

შ. ყიფიანი

# საქართველოს კარსტი

(გეომორფოლოგიური დასახიამთების ცდა)

I

გავრცელება, შესწავლილობა და მორიგი ამოცანები

გამომცემლობა „მცნიერება“

თბილისი

1974

მონოგრაფიული ეს გამოკვლევა საქართველოს კარსტის გეომორფოლოგიური დახასიათების პირველ ცდას წარმოადგენს. წიგნში მოცემულია საქართველოს კარსტის რეგიონალური (ოლქები, ქვეოლქები, რაიონები) და ტიპოლოგიური (ტიპები) გეომორფოლოგიური დარაიონება, აგრეთვე გაშუქებულია საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილი კარსტული ფენომენების გეოგრაფიული გავრცელების კანონზომიერება. შედგენილია საქართველოს კარსტული რელიეფის ტიპებისა და მათი გავრცელების რეგიონების რუკა.

წიგნში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის პრობლემას, რომელიც გაშუქებულია ფიზიკური გეოგრაფიის ცალკეული დარგების მიხედვით. გამახვილებულია ყურადღება საქართველოს კარსტის გეომორფოლოგიურ და კომპლექსურ ფიზიკურ-გეოგრაფიულ (ლანდშაფტმოდინებით) შესწავლილობაზე. ავტორმა ჩამოაყალიბა საქართველოს კარსტის შესწავლილობის პერიოდობაცია. ყოველი პერიოდი დეტალურად არის ანალიზირებული; არეკლილია ქართველ კარსტოლოგთა მეცნიერული მიღწევები.

წიგნს ამდიდრებს საქართველოს კარსტის შესახებ დღემდე არსებულ გეოგრაფიული ლიტერატურის ვრცელი სია. რომელიც ვარკვეულ სამსახურს გაუწევს საქართველოს კარსტით დაინტერესებულ მკითხველს.

მონოგრაფია გამიზნულია ბუნებისმეტყველთა ფართო წრისათვის, კერძოდ: გეოგრაფების, გეოლოგების, ბიოლოგების, კარსტოლოგებისა და სპელეოლოგებისათვის და აგრეთვე არქეოლოგებისათვის.

რედაქტორი: აკად. თ. დ ა ვ ი თ ა ი ა

## წ ი ნ ა ს ი ტ უ ვ ა ო ბ ა

საქართველოს ტერიტორია მრავალფეროვანი და რთული ბუნებრივი, მათ შორის რელიეფური, პირობებით ხასიათდება. მისი ბუნების მრავალფეროვნებასა და სირთულეში მნიშვნელოვანი როლი კარსტულ მოვლენებსაც ეკუთვნით. ამ მხრივ საქართველოს მიწა-წყალი ერთ-ერთ კლასიკურ ქვეყანას წარმოადგენს. ცნობილია, რომ კარსტული მოვლენების შესწავლას აქვს როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. ამით არის გამოწვეული ის, რომ საქართველოს კარსტის შესწავლასა და გამოყენებას ყოველთვის მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა და, განსაკუთრებით, ამჟამად ექცევა.

უკანასკნელ წლებში საქართველოს კარსტის გეოგრაფიულმა, მათ შორის კი გეომორფოლოგიურმა შესწავლამ მნიშვნელოვნად წინ წაიწია; გამოქვეყნდა მრავალი ნაშრომი, რომელშიც გაშუქებულია კარსტული რეგიონებისა და ფორმების ბუნება. ამასთან, საქართველოს კარსტის შესწავლის საფუძველზე გარკვეულ იქნა როგორც კარსტის კერძო რეგიონული, ისე ზოგადი კარსტოლოგიური საკითხები.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საქართველოს კარსტის გეომორფოლოგიური მონოგრაფიული დახასიათება ჭერჭეროვან კვლავ დღის წესრიგშია. დადგა დრო საქართველოს კარსტის შესახებ შეკრებილი მდიდარი მასალის შეჯამება-განზოგადებისა. როგორც ცნობილია, მეცნიერების ამა თუ იმ დარგის განვითარების თუ რეგიონის შესწავლილობის ყოველ ეტაპზე ასეთი ნაშრომი საშუალებას გვაძლევს თვალი გადავავლოთ განვილი გზას, შევაჯამოთ მიღწეული შედეგები და ნათლად დავსახოთ მომავლის კვლევა-ძიების მიმართულებანი და გზები.

აღნიშნული მოტივები გვიკარნახებდა ხელი მოგვეციდა საქართველოს კარსტის გეომორფოლოგიური დახასიათების შედგენისათვის — ამ მძიმე და საპასუხისმგებლო, მაგრამ მეტად საჭირო საქმისათვის.

განზრახული გვაქვს საქართველოს კარსტის გეომორფოლოგიურ დახასიათებას რამდენიმე წიგნი მივუძღვნათ. წინამდებარე, პირველ წიგნში ჩვენ ვიძლევით კარსტული და მის ნაირსახეობის მოვლენების გავრცელებას საქართველოს ტერიტორიაზე, აგრეთვე ამ მოვლენების გეოგრაფიულ შესწავლილობას; აქვე ვსახავთ საქართველოს კარსტის კვლევის მორიგ ამოცანებს. წიგნს ვურთავთ საქართველოს კარსტული ტიპებისა და რაიონების გავრცელების რუკასა და ვრცელ ბიბლიოგრაფიულ სარჩევს, რომელშიც შესულია თითქმის ყველა ნაშრომი, რომელიც 1974 წლამდე გამოქვეყნდა. მომდევნო წიგნებში მოცემული იქნება საქართველოს კარსტის გეომორფოლოგიის დანარჩენი საკითხები, როგორცაა, მაგალითად: კარსტული მოვლენების გავრცე-

ლების პირობები (პროცესები, ფაქტორები და აგენტები), კარსტული რელიეფის ფორმები, ტიპები და მათი გავრცელების რაიონები, კარსტული რელიეფის განვითარების ისტორია და ასაკი, კარსტის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა და სხვ.

დასასრულ, უღრმესი მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო ჩემი მასწავლებლის აკადემიკოს, აწ განსვენებულ ალექსანდრე ჯავახიშვილის ამაგი თავის დროზე ამ წიგნის გამოცემაზე ზრუნვისათვის და პირველი რედაქციისათვის. მადლობა მინდა მოვახსენო პროფესორ დავით წერეთელსა და სპელოლოგიური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებელს კონსტანტინე ჯავრიშვილს ამ შრომის ხელნაწერი ტექსტის წაკითხვისათვის და იმ შენიშვნებისათვის, რომლებიც შეძლებისდაგვარად არის გათვალისწინებული.

## თხვი კირვალი

### კარსტული მოვლენების გავრცელება (გაომომოგროლოგიური ტიპები და რაიონები)

საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის დახასიათებამდე და მორიგი ამოცანების დასახვამდე მიზანშეწონილია მოვიყვანოთ ზოგიერთი მონაცემი კარსტული, კლასტოკარსტული, სუფოზიური და ფსევდოკარსტული მოვლენების გავრცელებაზე.

საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ფართობი, დაახლოებით 10200 კვ. კმ, ანუ მთელი ტერიტორიის 14,7%, სხვადასხვა ასაკის (ზედაიურულ, ცარცულ, მესამეულ და მეოთხეულ) კარბონატულ ქანებს (კირქვებს, დოლომიტებს, მერგელებს, კირქვის კონგლომერატებს, აგრეთვე კარბონატულ ფლიშს და სხვ.) უჭირავს; მნიშვნელოვანი ფართობრივი გავრცელებით ხასიათდება აგრეთვე მესამეული ასაკის თაბაშირის შემცველი ქანები (დაახლოებით 200 კვ. კმ) და თიხები (დაახლოებით 550 კვ. კმ). აღნიშნულ ქანებში, რომელთა საერთო ფართობი დაახლოებით 11000 კვ. კმ შეადგენს, რაც საქართველოს ტერიტორიის მთლიანი ფართობის 15,8%-ია, მეტ-ნაკლები ინტენსივობით განვითარებულია კარსტული, კლასტოკარსტული, სუფოზიური და ფსევდოკარსტული მოვლენები. აღნიშნული მოვლენების შესაბამისად, რომელთა სხვაობა უმთავრესად სუბსტრატის ლითოლოგიურ შედგენილობაზეა დამოკიდებული, საქართველოს ტერიტორიაზე გამოიყოფა კირქვის (ქეშმარიტი), კირქვის კონგლომერატის (კლასტოკარსტი), კარბონატული ფლიშის, თაბაშირის შემცველი ქანების (სუფოზიური) და თიხის (ფსევდო) კარსტის ტიპები. ამასთან, კირქვის კარსტს შორის ჰიფსომეტრიული ფაქტორის დიდი მნიშვნელობის გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოყოფა ბარის (დაბალმთის), საშუალომთისა და მაღალმთის კარსტის ტიპები, აგრეთვე სუბმარინული კარსტის ტიპი.

დასახვებულ კარსტის ტიპები ტერიტორიულად გავრცელებას პოლოზებზე ერთ ან რამდენიმე რაიონში, ანდა ერთ რაიონში რამდენიმე კარსტის ტიპია წარმოდგენილი. კარსტული რაიონები ერთმეორისაგან განსხვავდებოთ ადგილობრივი კარსტწარმოშობის ფაქტორების თავისებურებათა მეოხებით (მაგალითად, კარსტვადი ქანების ლითოლოგიური და მიკროტექტონიკური, მათ შორის დანაპარალიანების ხარისხით, შრეების სიმძლავრით, ცალკეული რაიონების მორფოგრაფიული გამოყოფით და მისი სიმაღლით, ამასთან დაკავშირებით კი კარსტის დენუდაციის ბაზისის მდებარეობით, ტოპოგრაფიული ზედაპირის დახრილობით, ნიადაგობრივი და მცენარეული საფარით და სხვ.). კარსტული რაიონების თავისებურებაზე მნიშვნელოვან დაღს ასვამს კლიმატური პირობები, განსაკუთრებით ატმოსფერული ნალექების რაოდენობა, ხასიათი და რეჟიმი, აგრეთვე ჰაერის ტემპერატურები და სხვ. ამ ნიშ-

ნის მიხედვით კარსტის რაიონებს ოთხ ოლქში ვეერთიანებთ: ჰუმიდური, სემი-ჰუმიდური, სემიარიდული და არიდული ოლქები, რომელთაც თავის მხრივ ქვეოლქებადაც ვყოფთ. ცალკე ქვეოლქად გამოყოფილი გვაქვს შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის კონტინენტურ ბაქანზე, გაგრა-განთიადის მიდამოებში განვითარებული სუბპარინული კარსტი. ზემოაღნიშნულ საქართველოს კარსტის ტიპების გავრცელების რაიონების და ოლქების მოკლე დახასიათებას ქვემოთ ვიძლევი, რომელიც ილუსტრირებულია 1:600000 მასშტაბიანი გეომორფოლოგიური რუკით.

საქართველოს ფარგლებში კარსტული მოვლენები უმთავრესად ვრცელდება კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე, ძირითადად საშუალომთისა და ნაწილობრივ მაღალმთის ზონებში (7793 კვ. კმ), დაწყებული ჩვენი რესპუბლიკის დასავლეთ საზღვრიდან (მდ. ფსოუს ხეობიდან) და დამთავრებული აღმოსავლეთით მდ. მაწიმის ხეობამდე. იგი აგრეთვე ფართოდ არის წარმოდგენილი საქართველოს მთათაშორის დეპრესიაში — ბარის ზონაში (2889 კვ. კმ). მის ცალკეულ ნაჩენებს ვნახულობთ საქართველოს სამხრეთ მთიანეთის ჩრდილო პერიფერიაზე — შედარებით მცირე ფართობის სახით (288 კვ. კმ).

კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე საქართველოს ფარგლებში კარსტული ზოლი ჩრდილო-დასავლეთით აფხაზეთში იწყება — მდ. ფსოუს ხეობის მარცხენა მხარეზე, ვრცელდება ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთით და მთავრდება კახეთში, — მაწიმის ხეობის მარჯვენა მხარეზე. აქ იგი გადავიშლება დაახლოებით 550 კმ მანძილზე. ეს ზოლი განსაკუთრებით დიდ სიგანეს აღწევს აფხაზეთის, ასხისა და რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე, 25—35 კმ-მდე, ხოლო უმცირესს — კოდორის ქედის სამხრეთ პერიფერიაზე, 2—3 კმ-ს.

აღნიშნული კარსტული ზოლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი, მდ. მდ. ფსოუსა და ბზიფს შორის ვრცელდება გაგრის კორქევიანი რაიონი (№ 1), დაახლოებით 524 კვ. კმ ფართობით. ეს რაიონი სამხრეთით ისაზღვრება ძირითადად შავი ზღვის ნაპირით, ხოლო ჩრდილოეთით — მდ. გეგისა და ნაწილობრივ მდ. ფსოუს სათავეების ხევ-ხეობებით. რაიონი კარსტული მოვლენების განსაკუთრებით ფართო გავრცელებით ხასიათდება და ამ მხრივ იგი ერთ-ერთ კლასიკურ რაიონად შეიძლება ჩაითვალოს. მის აგებულებაში უმთავრესად მონაწილეობს ზედაიურული რიფული კირქვები, აგრეთვე ნეოკომური შრიანი კირქვები და სხვ., რომლებიც ხელსაყრელ პირობებს ქმნიან ამ მასივზე კარსტული მოვლენების განვითარებისათვის. ამ რაიონში კარსტული მოვლენების გავრცელების ჰიფსომეტრიული დიაპაზონი მეტად დიდია — იწყება ზღვის დონიდან და მთავრდება მ. სპელეოლოგთა პიკით — 2758 მ. ამასთან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მდებარეობს საშუალომთიან ზონაში, შედარებით ნაკლები — მაღალმთიანში, ხოლო მცირე დაბალმთის ზონაშია მოქცეული. რაიონის ასეთი სიმადლით გავრცელების გამო, გეოლოგიური აგებულებასთან ერთად, იგი განსაკუთრებით გამოირჩევა კარსტული და გლაციოგენური ფორმების ურთიერთშერწყმით და შეხამებით. რაიონის ჩრდილო ნაწილში ყინვარულ კარებთან და ტროგებთან ერთად, აგრეთვე თვით ამ ფორმებში უშუალოდ გვხვდებიან კარსტული დოლინები, კარები (ანუ შრატები), ჰები და უფესკრულები. რაიონის სამხრეთ ნაწილში აღნიშნული კარსტული ფორმები ეგზარაციული ფორმების გარეშეც არის განვითარებული. რაიონის პერიფერიაზე, აგრეთვე მის ტერიტორიაზე არსებულ ხევ-ხეობების ფერდობებზე, სხვადასხვა დონეებზე კარსტული გამოქვაბულები ვრცელდებიან, ხოლო კარსტული

ეროზიის ბაზისის ღონეზე, რასაც აქ შავი ზღვის ღონე და მდინარეული ხეობების ძირი წარმოადგენს, გამოსასვლელებს პოულობენ ვოკლუზური ტიპის უხვდებიტიანი წყაროები (ცივწყალა ანუ ბეგერიფშთა, რეპრუა, ცივწყარო, კლდისწყარო, ცისფერი ტბა<sup>1</sup> და მრავალი სხვ.), ხოლო აღნიშნული ღონეების ქვემოთ—სუბმარინული წყაროები (გაგრისა და განთიადის სუბმარინული წყაროები). ასეთივე მძლავრი წყაროები გამოდის დაკიდული წყლების ქვეზონაშიც; მაგალითად, გეგის ჩანჩქერი და სხვ.

გაგრის რაიონი ორ ქვერაიონად იყოფა: არბიკა<sup>2</sup>-მზიურისა (№ 1-ა) და ახაგ-ახახის (№ 1-ბ) ქვერაიონებად, შესაბამისად 435 და 89 კვ. კმ ფართობებით; მათ შორის საზღვარი მდ. სანდრიფშის სათავეებსა და გეგის მარჯვენა შემდინარის შორის მდებარე გადასასვლელზე გადის.

გაგრის რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. გეგასა და იუფშარას შორის ფ შ ე გ ი შ ხ ი ს რ ა ი ო ნ ი ა გავრცელებული (№ 2), რომლის ფართობი 36 კვ. კმ შეადგენს. ამ რაიონის სუბსტრატის აგებულებაში მონაწილეობს ზედაიურული რიფული კირქვები და სხვა კარბონატული ქანები. რაიონის რელიეფი უპირატესად აღმოსავლეთით დაქანებულ სწორ ზედაპირს წარმოადგენს, რომლის აღმოსავლეთი ნაწილი შედარებით დამრეცია და გართულებულია დოლინებით. დოლინების განვითარებას აქ განსაკუთრებით ხელს უწყობს ეგზოტექტონიკური ნაპრალები.

დასახელებული რაიონების ჩრდილოეთით, მდ. გეგისა და მზიმთის სათავეებს შორის (მდ. აგეფსთის აუზში) ა გ ე ფ ს თ ი ს კ ი რ ქ ე ვ უ ლ ი რ ა ი ო ნ ი ვრცელდება (№ 3), რომლის ფართობი 26 კვ. კმ აღწევს. იგი დაახლოებით ვრცელდება 1700 — 2200 მ სიმაღლეზე ზღ. დ. და აგებულია ტიტონურ-კიმერიფულ-ლუზიტანური რიფული კირქვებით, ნეოკომური შრეებრივი კირქვებით და აბტური მერგალებითა და თიხიანი მერგალებით. რაიონის მცირე ფართობის გამო აქ კარსტული მოვლენები შედარებით სუსტად არის წარმოდგენილი.

გაგრისა და ფშეგიშხის რაიონების აღმოსავლეთით, მდ. მდ. ბზიფსა და აფსთას (ბაკლანოვკა) შორის ბ ზ ი ფ ი ს კ ი რ ქ ე ვ უ ლ ი რ ა ი ო ნ ი ვრცელდება (№ 4). ეს რაიონი ჩრდილო მხარეზე აგრეთვე ბზიფის ხეობით განისაზღვრება, ხოლო სამხრეთით — კოლხეთის ბარის ჩრდილო პერიფერიით. მისი ფართობი 519 კვ. კმ შეადგენს. იგი ძირითადად აგებულია ზედაიურული რიფული და ნეოკომური შრეებრივი და მასიური დოლომიტიანი კირქვებით, დოლომიტებით და სხვ. ამ რაიონში ფართოდაა განვითარებული ზედაპირული კარსტული ფორმები, სხვადასხვა მოყვანილობისა და სიდიდის დოლინებისა და კარების სახით; კარსტული კუბები და უფესკრულები აქ სადღეისოდ მცირე რაოდენობით არის ცნობილი, თუმცა მათი დიდი გავრცელება ეწვეს არ იწვევს. რაიონის მაღალ ნაწილში კარსტული ფორმები უინეარულ ფორმებთან არის შერწყმული. პერიფერიულ ნაწილში კარსტული მოვლენები უმთავრესად გამოკვებაულებით და უხვდებიტიანი ვოკლუზური წყაროებით ვლინდება; ვოკლუზური წყაროები გამოდის როგორც კარსტული ეროზიის ბაზისისა ღონეზე (მჭიშთა და სხვ.), ასევე დაკიდული წყლების ქვეზონაში (ჯირხვა და სხვ.).

<sup>1</sup> ამ ტბის წყლისფერის მიზეზის შესახებ იხ. ვ. შარონოვის სტატია [1343].

<sup>2</sup> ამ ბოლო დროს გამოცემულ ტოპოგრაფიულ რუკებზე, აგრეთვე სამეცნიერო ნაშრომებში, არასწორად არბიკის მაგიერ არაბიკას წერენ. აქაური მწყემსები ამ მთიან მასივს არაბიკას კი არა არბიკას უწოდებენ, რაც სწორად აქვს აღნიშნული ნ. ალბოვის თავის ნაშრომებში [535—541].

მდ. თეთრწყალა (ხიფსთა) ბზიფის რაიონს ორად ჰყოფს — აბაც-ძიშრისა (№ 4-ა) და ხიფსთის (№ 4-ბ) ქვერაიონებად, შესაბამისად 395 და 124 კვ. კმ ფართობებით.

ბზიფის რაიონის ჩრდილოეთით რიხეის (აჩიბახის) რაიონი მდებარეობს (№ 5). ეს რაიონი ოთხივე მხრიდან მკვეთრად არის გამოყოფილი ბზიფის, გეგის, იუფშარისა და ფშიწის მდინარეთა ხეობებით. რაიონის ფართობი 122 კვ. კმ შეადგენს: აგებულია ზედაიურული და ცარცული კირქვებით. ზედაპირული ფორმებიდან კარგადაა განვითარებული კარსტული პოლიები, უვალები, დოლინები, შრატები და სხვ., სიღრმითი კი — სუსტად.

დასახლებული რაიონის აღმოსავლეთით, მდ. ბზიფის მარჯვენა მხარეზე, მდ. ფშიწასა და ბავიუს შორის ვრცელდება ლაკოროზის რაიონი (№ 6). მისი ფართობი 32 კვ. კმ-ია; აგებულია ზედაიურული რიფული კირქვებით. რაიონის მცირე ფართობის გამო კარსტული ფორმები ფართოდ არ არის წარმოდგენილი.

ბზიფის რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. აფსთასა და დასავლეთ გუმისთას სათავეებს შორის, ბზიფსა და მის შემდინარე რეშავას სამხრეთით, 1400 — 1800 მ-ის სიმაღლეზე ზდ. დ. ვრცელდება აჭავჭავრის (დოუს) რაიონი (№ 7). იგი აგებულია კიმერიჭულ-ტიტონური კირქვებით და დოლომიტებით. ამ რაიონის ფართობი დაახლოებით 9 კვ. კმ შეადგენს. აღნიშნულის გამო კარსტული ფორმები ამ მასივზე სუსტად არის განვითარებული.

ბზიფის კირქველი რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. მდ. აფსთასა და დასავლეთ გუმისთას შორის ვრცელდება იუმიშხა-ხიციმის საშუალო მთიანი კირქვეული (№ 8) და აქამგვის (ფსიოციხის ანახალი ათონის) დაბალმთიანი (№ 34) რაიონები. მათ შორის საზღვარი მდ. ფსიოციხისა და დასავლეთ გუმისთის შემდინარე ხოიჭეთის სიგანედურ მონაკვეთზე გადის. აქამგვის კირქველი რაიონის ფართობი 107 კვ. კმ შეადგენს. იგი დასავლეთ ნაწილში აგებულია ნეოკომური შრეებრივი და მასიური დოლომიტიანი კირქვებით და დოლომიტებით, ხოლო აღმოსავლეთში — ტურონულ-აენონური და დანიური შრეებრივი კირქვებით. ამ რაიონში კარსტული მოვლენები კარგად არის განვითარებული კარების, დოლინების, ქვების, უფსკრულების, გამოქვაბულების, ვოკლუზიებისა და სხვათა სახით.

გუმიშხა-ხიციმის კირქველი რაიონის ფართობი 122 კვ. კმ აღწევს. მის აგებულებაში უმთავრესად მონაწილეობს ნეოკომური შრეებრივი და მასიური დოლომიტიანი კირქვები და დოლომიტები. კარსტული მოვლენები ამ მასივზეც კარგად არის წარმოდგენილი.

აქამგვის რაიონის აღმოსავლეთით, მდ. დასავლეთ და აღმოსავლეთ გუმისთებს შორის, მდებარეობს ოთოიუშის კირქველი რაიონი (№ 35), რომლის ფართობი დაახლოებით 19 კვ. კმ-ია. მის აგებულებაში ძირითადად მონაწილეობს ტურონ-დანიური შრეებრივი კირქვები. ამ რაიონში ზედაპირულ კარსტულ ფორმებს გარდა კარგად არის განვითარებული მიწისქვეშა სიღრუებიც.

მდ. მდ. აღმოსავლეთ გუმისთასა და კელასურს შორის ორი კირქველი რაიონი ვრცელდება: სამხრეთით იაშტუხ-ზიციხისა (№ 36) და ჩრდილოეთით — აბიანდა-ჩაამის (№ 37) რაიონები. იაშტუხ-ზიციხის რაიონის ფართობი 38 კვ. კმ-ია და მის აგებულებაში ძირითადად მონაწილეობს ტურონ-დანიური შრეებრივი კირქვები. აბიანდა-ჩაამის რაიონი (75 კვ. კმ



ფართობით) აგებულია აგრეთვე ტურონ-დანიური შრეებრივი კირქვებითა და ნაწილობრივ აპტ-ალბ-სენომანური მერგელებით და მერგელოვანი კირქვებით. ორივე რაიონში კარსტული მოვლენები საშუალო სიმძლავრით არის გამოხატული.

ზეომაღნიშნული რაიონების აღმოსავლეთით, მდ. კელასურსა და კოდორს შორის, ვრცელდება ა მ ლ ა რ - ა ფ უ შ თ ა - ფ ა ლ ი ს ა (№ 9) და წ ე ბ ე ლ დ ი ს (№ 38) რ ა ი ო ნ ე ბ ი. წებელდის რაიონის ფართობი 136 კვ. კმ შეადგენს; იგი აგებულია ტურონ-დანიური შრეებრივი კირქვებით და პალეოგენური მერგელოვანი კირქვებით. რაიონი გამოირჩევა ინტენსიური დაკარსტებით. ამლარ-აფუშთა-ფალის რაიონი წებელდის რაიონის ჩრდილოეთით ვრცელდება. ამ რაიონის ფართობი 86 კვ. კმ-ია; იგი აგებულია ტურონ-დანიური და პალეოგენური კარბონატული ქანებით და ინტენსიურად არის დაკარსტული.

აღნიშნული რაიონის ჩრდილოეთით, მდ. ჯამფალისა და კოდორს შორის, მდ. ზიმის აუზის ქვემო ნაწილში და კოფშარის ქედის გასწვრივ ვრცელდება ბარემული ურგონული ფაციესის კირქვებისა და ტურონ-დანიური შრეებრივი კირქვების ვიწრო ზოლი, რ ო მ ე ლ ი ც ზ ი მ ი ს ა ნ უ კ ო ფ შ ა რ ი ს რ ა ი ო ნ ი ს (№ 10) სუბსტრატს წარმოადგენს. აღსანიშნავია აგრეთვე მდ. ჯამფალის მარჯვენა მხარეზე მ. მცირე სხაფაჟის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მცირე ფართობის მქონე იმავე ასაკის კირქვეული „კუნძული“. მათი საერთო ფართობი 19 კვ. კმ შეადგენს. მიუხედავად მცირე ფართობისა ეს რაიონი კარსტული ფორმების, განსაკუთრებით კი შრატების ფართო გავრცელებით ხასიათდება.

მდ. კოდორსა და დღამიშის სათავეებს შორის, წებელდის რაიონის აღმოსავლეთით, ა ქ ა დ ა რ ი ს რ ა ი ო ნ ი (№ 11) მდებარეობს (75 კვ. კმ ფართობით). მისი სუბსტრატის აგებულია ძირითადად ტურონ-დანიური შრეებრივი კირქვებით, ხოლო მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი—ბარემული ურგონული ფაციესის კირქვებით და სამხრეთი ნაწილი კი — პალეოგენური ფორამინიფერიანი და მერგელოვანი კირქვებით. ეს რაიონი კარსტული მოვლენების გავრცელების მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანია.

აღნიშნულ რაიონის აღმოსავლეთით მდ. ოქუშამდე, დაახლოებით 40 კმ მანძილზე გადაჭიმულია ყ ა დ ი ს, ბ ე ბ შ რ ი ს რ ე ჩ ი შ ხ ი ს, ო გ ი რ დ ე ს, ტ ყ ა უ ჩ ი ს, ა ი ს რ ი ს, ლ ა შ კ ა ნ დ ე რ ი ს და სხვ. მ ა ლ ო ბ ე ბ ი ს რ ა ი ო ნ ი (№ 39), რომლებიც დაყოფილია დუბის, აძიქვის, ულისას, მოქვის, დიდი ლეჭირის, ღალიძგის და სხვა მდინარეთა ხეე-ხეობებით; რაიონის საერთო ფართობი 107 კვ. კმ შეადგენს. მათ აგებულებაში უმთავრესად მონაწილეობს ბარემული ურგონული ფაციესის კირქვები და ტურონ-დანიური შრეებრივი კირქვები. აქ კარბონატული ქანების გავრცელების სივანე მცირეა და სულ რაღაც 1—3 კმ-ს შეადგენს. მიუხედავად ამისა ეს რაიონი კარსტული მოვლენების ინტენსიური განვითარებით გამოირჩევა.

მდ. ოქუშისა და ენგურს შორის ო ხ ა ჩ უ ე ს რ ა ი ო ნ ი (№ 12) ვრცელდება. მისი ფართობი 125 კვ. კმ შეადგენს. ამ რაიონის ფართობის დიდი ნაწილი აგებულია ბარემული ურგონული ფაციესის კირქვებით, რომელთა შრეები სამხრეთით მონოკლინურად არიან დაქანებული და გართულებულია მეორადი ნაოჭით. კარსტული მოვლენები ამ რაიონშიც კლასიკურად არის წარმოდგენილი, მსგავსად დანარჩენ მალაშმისა და საშუალომთის კირქვეულ რაიონებისა, რომელთაც აგრეთვე სუბსტრატის მსგავსი აგებულება და ზედაპირის მნიშვნელოვანი ფართობები ახასიათებთ.

ობაჩქეუეს რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ვრცელდება ჩეკლედერის<sup>3</sup>, წულიშის, ყვირის, გაუჩისა და მინგარიის<sup>4</sup> კირქველი რაიონები. ჩეკლედერის რაიონი (№13) მდ. ენგურის ორივე მხარეზეა ვანლაგებული, ამავე სახელწოდების შთის (1239 მ) მიდამოებში, 4 კვ. ფართობზე; აგებულია ნეოკომური მასივური და შრეებრივი კირქვებით, რომლებიც დაქანებულია სამხრეთით (დაქანების კუთხე 70<sup>0</sup>-მდეა). სამხრეთ მხარეზე იგი ისაზღვრება ტექტონიკური რღვევით. კარსტული მოვლენები ამ რაიონში სუსტად არის განვითარებული. წულიშის რაიონი (№ 14) მოქცეულია მდ. ენგურსა და მაგანას შორის, ყვირის რაიონი (№ 15) მაგანასა და ჭანისწყალს შორის, გაუჩის რაიონი (№ 16) ჭანისწყალსა და ხობს შორის, ხოლო მინგარიის რაიონი (№ 17) ხობსა და ტეხურას შორის. ამ რაიონებს აგებულებაში მონაწილეობს ბარემული ურგონული ფაციესის კირქვები და, ნაწილობრივ, მათ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებში—შუა და ზედა-ქარსტული და პალეოცენური კირქვები და კარბონატული სხვა ქანები. ამ ქანთა შრეები მონოკლინურად, უმთავრესად სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით სხვადასხვა კუთხით არიან დაქანებულნი. ამ რაიონებს შორის კარსტულ მოვლენების განსაკუთრებით ინტენსიური განვითარებით გამოირჩევიან ყვირისა და მინგარიის რაიონები, რასაც სხვა ხელსაყრელ ფაქტორებთან ერთად ზელს უწყობს მათი შედარებით მნიშვნელოვანი ფართობები, რაც შესაბამისად 53 და 75 კვ. კმ შეადგენს. კარსტული მოვლენები გაცილებით სუსტად არის წარმოდგენილი გაუჩის რაიონში (ფართობი 17 კვ. კმ) და უფრო ნაკლებ წულიშის რაიონში (ფართობი 7 კვ. კმ).

ზემოაღნიშნულ რაიონების აღმოსავლეთით, მდ. ტეხურსა და ცხენისწყალს შორის ვრცელდება ას ხ ი ს რ ა ი ო ნ ი (№ 18), რომლის ფართობი 413 კვ. კმ. მის აგებულებაში უმთავრესად მონაწილეობს ბარემული ურგონული ფაციესის მერგელოვანი კირქვები (ჩრდილო ნაწილში), ტურონ-დანიური კირქვენი და მერგელები (სამხრეთ ნაწილში). ეს რაიონი კარსტული მოვლენების ინტენსიური გავრცელებით გამოირჩევა და საქართველოს კარსტის ერთ-ერთ კლასიკურ ადგილს წარმოადგენს. ამას ხელს უწყობს მისი გეოლოგიური აგებულება, მნიშვნელოვანი ფართობი, გამოყოფა და სხვა ხელსაყრელი პირობები.

მდ. ცხენისწყალსა და ასკისწყალს შორის ვრცელდება ხ ვ ა მ ლ ი ს რ ა ი ო ნ ი (№ 19). მისი ფართობი 83 კვ. კმ შეადგენს. იგი მდ. ლვირიშით და ლაჭანურის ხეობებით სამ ნაწილად იყოფა: ა) ხვამლის პლატოს, ბ) ალბანისა და გ) საირმე-უდაბნოს ქვერაიონებად. მათი ფართობი შესაბამისად 48,11 და 24 კვ. კმ შეადგენს. ამ რაიონის აგებულებაში მონაწილეობს ქარსტული კირქვები, უმთავრესად ბარემული ურგონული ფაციესისა და ტურონ-დანიური კირქვები. აღნიშნული კირქვები ხელსაყრელ ფონს ქმნიან ამ რაიონში კარსტული მოვლენების ინტენსიური განვითარებისათვის. კარსტული ფენომენების განვითარების მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ხვამლის პლატოს ქვერაიონი, შემ-

<sup>3</sup> ჩეკლედერი თეთრ კლდეს ნიშნავს. მისი სახელწოდება წარმოსდგება მეგრული სიტყვა ჩე-სა-გან, რაც თეთრს ნიშნავს. ეს შთა მართლაც ამართლებს თავის სახელწოდებას.

<sup>4</sup> მინგარიას შესახებ გამოქვეყნებულ თითქმის ყველა ნაშრომში, აგრეთვე ტოპოგრაფიულ რუკებზე იგი წოდებულია მიგარიად. მასივის ახლომდებარე სოფლების მცხოვრებლები მას მინგარიას, ე. ი. მტრიალას შთის უწოდებენ. მართლაც მინგარია გამოირჩევა განსაკუთრებით უხვი ატმოსფერული ნალექებით, რაც სხვათა შორის, მის მცენარეული საფარის თავისებურებაზეც არის ატყვევლი.

დეგ მოდის საირმე-უდაბნოს ქვერაიონი, ხოლო ალბანის ქვერაიონში ეს მოვლენები შედარებით სუსტად არის წარმოდგენილი. ეს გარემოება მიუხედავად ერთნაირი გეოლოგიური აგებულებისა, გამოწვეულია მათი ფართობების სხვადასხვა სიდიდებით და განსხვავებული მორფოგრაფიით.

ხეამლის კირქვეული რაიონის ჩრდილოეთით, მდ. ჯონოულასა და ასკისწყალს შორის, რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაზე ფარულ-ქვიციხელ-ლაილაშის რაიონი (№ 20) ვრცელდება. მისი ფართობი 28 კვ. კმ შეადგენს. რაიონის აგებულებაში ცარცული კირქვები და მერგელები მონაწილეობს. არახელსაყრელი მორფოგრაფიული პირობების გამო ამ რაიონში კარსტული მოვლენები სუსტად არის განვითარებული.

მდ. რიონსა და ველეურას შორის, ლეჩხუმის რაიონის აღმოსავლეთ გაგრძელებას რაჭის კირქვეული რაიონი (№ 21) წარმოადგენს, რომელიც კარსტული მოვლენების გავრცელების კლასიკური მხარეა; მისი ფართობი 382 კვ. კმ შეადგენს. რაიონის აგებულებაში ძირითადად მონაწილეობს ბარემული ურგონული ფაციესის კირქვები, აღსანიშნავია აგრეთვე ტურონ-დანიური კირქვები და მერგელები, რომელთაც შედარებით მცირე გავრცელება აქვთ. ეს რაიონი ტექტონიკურად რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის სამხრეთ გართულბულ ფრთის ნაწილს მოიცავს. რაჭის რაიონში გამოიყოფა ქვერაიონები: ა) თავშაფის (მდ. რიონსა და შვარას შორის, 99 კვ. კმ ფართობით) და ბ) ნაქერალა-საწალიყის (მდ. შარაულასა და ველურას შორის, 283 კვ. კმ ფართობით). კარსტული მოვლენების ინტენსიური განვითარებით განსაკუთრებით ვამოირჩევა ნაქერალა-საწალიყის ქვერაიონი.

რაჭის ქედის აღმოსავლეთი ნაწილი, მდ. ველეურასა და ჩეხორას შორის, ხიხამთა-შქმერიის კარსტულ რაიონს წარმოადგენს (№ 22), რომლის ფართობი დაახლოებით 167 კვ. კმ-ია. ამ რაიონში კარსტული მოვლენები, შედარებით ნაქერალა-საწალიყის ქვერაიონისა, სუსტად არის წარმოდგენილი.

რაჭის ქედის ჩრდილოეთით, ფარულ-ქვიციხე-ლაილაშის რაიონის (№ 20) აღმოსავლეთით გაგრძელებაზე, მდ. რიონის სივანედური მონაკვეთის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს საელიაოს რაიონი (№ 23). იგი იწყება მდ. ასკისწყლის მარცხენა მხარეზე და აღმოსავლეთით მდ. წესურამდე და შემდეგ მდ. რიონის მარცხენა მხარეზეც ვრცელდება (დაახლოებით სოფ. ფარახეთის მერიდიანამდე). მისი ფართობი 19 კვ. კმ შეადგენს. მის აგებულებაში მონაწილეობს ცარცული კირქვები და მერგელები. რაიონში კარსტული მოვლენები სუსტად არის წარმოდგენილი, რაც მისი მორფოგრაფიულ-მორფომეტრიულ არახელსაყრელ პირობებით არის გამოწვეული.

რაჭის რაიონის აღმოსავლეთ გაგრძელებაზე, სამხრეთ ოსეთში ვრცელდება ველუანთ-უკივლეთის (კუდაროს), ბუბის (ვალხოხის ან ერწო-წონის) და ალხაშენდის კირქვეული რაიონები (№№ 24 — 26), რომელთა ფართობი შესაბამისად 8, 13 და 29 კვ. კმ შეადგენს. ველუანთ-უკივლეთის და ბუბის რაიონების მცირე ფართობების მიუხედავად მათზე კარსტული მოვლენები ინტენსიურად არის განვითარებული და მკვლევართა უმრავლესობის აზრით აქ შეფინილ კარსტთან გვაქვს საქმე ([1084], გვ. 166; [1129], გვ. 400 და 402; [1242]; იხ. აგრეთვე: [674], გვ. 178; [678], გვ. 333 და სხვები). რამდენიმედ შესუსტებული სახით კარსტული მოვლენები გამოხატულია ალხაშენდის რაიონში, რაც გამოწვეული

უნდა იყოს მისი აგებულებით, ზედაიურული (ლუზიტანური და კიმერიჭული) მასიური რიფული და შრეებრივი კირქვების არსებობით, რომლებიც აქ არაკარბონატული მინარევების მნიშვნელოვანი რაოდენობით ხასიათდებიან და სხვ.

რ ა ქ ა - ო ს ე თ - მ თ ი უ ლ ე თ - კ ა ხ ე თ ი ს ტერიტორიაზე ვრცელდება ც ა რ ც უ ლ ი კ ა რ ბ ო ნ ა ტ უ ლ ი ფ ლ ი შ ი ს რ ა ი ო ნ ი (№ 27), დაახლოებით 2300 კვ. კმ ფართობზე. ამ რაიონში კარსტული მოვლენები საერთოდ, შედარებით ზემოთ დასახლებულ რაიონებთან სუსტად ვლინდება, მაგრამ მაინც მეტ-ნაკლები ინტენსივობით იგი აქაც აღინიშნება, განსაკუთრებით კი იმ ტერიტორიაზე, რომელიც მოქცეულია ქსანსა და ალაზნის მდინარეებს შორის დაახლოებით 600 კვ. კმ ფართობზე. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფ. ყინვანის მიდამოები და სხვ. კარსტული მოვლენების შედარებით ინტენსიურ განვითარებას ამ ტერიტორიაზე ხელს უწყობს მისი სუბსტრატის ლითოლოგიური შედგენილობა, რომელიც წარმოდგენილია ტურონ-დანური კირქვებით და მერგელებით.

კავკასიონის მაღალმთიან ცენტრალურ ნაწილში კარსტული მოვლენები მართალია სუსტად, მაგრამ მაინც ვლინდება ზ ე მ ო ს ვ ა ნ ე თ - ო ს ე თ - მ თ ი უ ლ ე თ - კ ა ხ ე თ ი ს ტერიტორიაზე გავრცელებულ ზ ე დ ა ი უ რ უ ლ კ ა რ ბ ო ნ ა ტ უ ლ (კ ი რ ქ ვ ი ა ნ - მ ე რ გ ე ლ ი ა ნ ი) ფ ლ ი შ ი ს გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ი ს რ ა ი ო ნ შ ი ც (№ 28). ეს რაიონი ზემო სვანეთში (მდ. ნაკრას მარჯვენა მხარეზე) ისახება და შემდეგ ვრცელდება აღმოსავლეთით მდ. ენგურის მარჯვენა მხარეზე, გაივლის მესტიის მიდამოებს და სამხრეთ აღმოსავლეთით გრძელდება ჩვენი რესპუბლიკის აღმოსავლეთ საზღვრამდე (მდ. მაწიამდე). ამ მონაკვეთზე მას უჭირავს დაახლოებით 2500 კვ. კმ ფართობი. ეს ფლში აგებს ცალკეულ მაღლობებს, რომლებიც მდ. რიონის, დიდი ლიახვის, იორის, ილტოს და ალაზნის მიერ არიან გამოყოფილნი. უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით ამ წყებით აგებულია კანეთის კავკასიონის დაბალმთიანი მაღლობები, ე. წ. კულიგორები. ამ უკანასკნელების აგებულებაში მონაწილეობს ქვედაცარცული (ვალანეინური) კარბონატული ფლიშიც. ამ წყებაში კარსტული მოვლენები გამოხატულია როგორც ზედაიურული ფორმების, ისე ვოკლუზური წყლების სახით, მაგალითად ზემო სვანეთში, მდ. ნაკრას აღმოსავლეთით, კახეთში სოფ. ალვანის და შაქრიანის მიდამოებში და სხვ.

საქართველოს სამხრეთ მთიანეთის პერიფერია, აქარა-თრიალეთის ნაოქა სისტემის ფარგლებში, აგებული ცარცული და მესამეული კარბონატული წყებით, კარსტული მოვლენების განვითარების ნაკლები ინტენსივობით და გავრცელებით გამოირჩევა. ეს გარემოება უპირატესად დაკავშირებულია მისი სუბსტრატის ამგებელ შრეების არახელსაყრელ ლითოლოგიურ შედგენილობასთან — კარბონატული ქანები აქ უმთავრესად წარმოდგენილია თიხისა და ქვიშის მნიშვნელოვანი მინარევებით. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ტერიტორიაზე შედარებით სუფთა კირქვებს მცირე გავრცელება ახასიათებს.

საქართველოს სამხრეთ მთიანეთის ფარგლებში კარსტული მოვლენები უმთავრესად ზედაცარცული (ტურონ-დანური) კირქვებში გვხვდება. ასეთ რაიონებს წარმოადგენენ: 1) ა ქ ა რ ა ი მ ე რ ე თ ი ს ქ ე დ ი ს ა ლ მ ო ს ა ვ ლ ე თ ნ ა წ ი ლ ი ს ჩ რ დ ი ლ ო ფ ე რ დ ო ბ ი ს რ ა ი ო ნ ი, დაწყებული მდ. ხანისწყლის სათავეებიდან და გავრცელებული ჩრდილო-ჩრდილო-აღმოსავლეთით ბორჯომის მერიდიანამდე (№ 29); მისი ფართობი დაახლოებით 45

კვ. კმ უღრის; 2) თ რ ი ა ლ ე თ ი ს ქ ე დ ი ს ჩ რ დ ი ლ ო ფ ე რ დ ო ბ ი ს შ უ ა ნ ა წ ი ლ ი 55 კვ. კმ ფართობით, მდ. ძამასა და სოფ. ზემო ხედეურეთის მერი-  
დიანს შორის (№ 30), 3) თ რ ი ა ლ ე თ ი ს ქ ე დ ი ს ჩ რ დ ი ლ ო - ა ლ მ ო -  
ს ა ვ ლ ე თ ი ნ ა წ ი ლ ი 81 კვ. კმ ფართობით, მდ. თეძამსა და ძეგვს შორის  
(№ 31); 4) თ რ ი ა ლ ე თ ი ს ქ ე დ ი ს ა ლ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ნ ა წ ი ლ ი ს  
ს ა მ ხ რ ე თ ფ ე რ დ ო ბ ი 67 კვ. კმ ფართობით (№ 32). აქ მდ. ხრამსა და  
ალგეთს შორის რამდენიმე „კუნძულის“ სახით ზედაპირზე გამოდის ზედატუ-  
რონულ-დანითური კირქვები და მერგელები, აგრეთვე სანტონურ-დანითური  
შრეებრივი კირქვები. ამ ქანებში კარსტული მოვლენები სუსტადაა გამოხატუ-  
ლი; 5) ს ო მ ხ ი თ ი ს მ თ ე ბ ი ს ჩ რ დ ი ლ ო ფ ე რ დ ო ბ ი, მდ. მდ. მაშა-  
ვერასა და დებედას შორის (№ 33). ამ ფარგლებში ვრცელდება სენომანური  
კირქვების ვიწრო ზოლი 40 კვ. კმ ფართობით, რომელშიც კარსტული მოვლე-  
ნები ჩანასახის მდგომარეობაში გვხვდება.

კარსტული მოვლენების ინტენსივობით, ნაირნაირობითა და ფართო გავრ-  
ცელებით ხასიათდება ხაჭრთველოს მთათაშორისი ბარი. აქ გვაქვს როგორც  
კირქვებში, ისე კირქვის კონგლომერატებში განვითარებული კარსტული (კლას-  
ტოკარსტული) და თაბაშირის შემცველ ქანებში — სუფოზური მოვლენები;  
გვხვდება აგრეთვე თიხის კარსტიც (ფსევდოკარსტი).

კოლხეთის ბარის ფარგლებში, გარდა ზემოდასახელებულ აუზების,  
ოთოიუშის, იაშტუხ-ბირცის, აბიანდა-ჩაამის, წებელდის, აგრეთვე ყადის, ბებ-  
შრის, რეჩიშხის, ოგირდეს, ტყაუჩის, აისრის, ლაშქანდერის და სხვა მალლო-  
ბების კირქვეული რაიონებისა (№№ 34—39), გვაქვს სხვებიც. კირქვეული მალ-  
ლობების რკალი ვრცელდება აგრეთვე სამეგრელოს მესამეული აუზის პერი-  
ფერიასზე, ს ა თ ა ნ ა წ ო ს<sup>8</sup>, უ რ თ ი ს, ე კ ი ს, ნ ა ქ ა ლ ა ქ ე ვ ი ს ა და ა ბ ე -  
და თ ი ს რ ა ი ო ნ ე ბ ი ს სახით (№№ 40—44). მათი ფართობები დიდი არ  
არის და შესაბამისად შეადგენს 15, 26, 24, 8 და 13 კვ. კმ. აღნიშნული რაიო-  
ნები ტექტონიკურად ბრაქიანტიკლინებს წარმოადგენენ და უმთავრესად აგე-  
ბულია ზედაცარცულ (ტურონ-დანითური) კირქვებით და მერგელებით, რაც სხვა  
ფაქტორებთან ერთად აპირობებს ამ მალლობებზე კარსტული მოვლენების გან-  
ვითარებას როგორც ზედაპირული, ისე მიწისქვეშა ფენომენების სახით.

აღსანიშნავია აგრეთვე კოლხეთის ბარის სამხრეთ ნაწილში გურიის (ნიგო-  
ითის) ქედისა და სამხრეთ იმერეთის კირქვეული რაიონები (№ 45—46).  
გ უ რ ი ი ს ( ნ ი გ ო ი თ ი ს ) ქ ე დ ი ს რ ა ი ო ნ ი ვ რ ც ე ლ დ ე ბ ა კ ო ლ ხ ე თ ი ს  
დაბლობის სამხრეთ კიდეზე ერთი მხრივ მდ. სუფსასა და მეორე მხრივ, მდ.  
ფიორასა და რიონს შორის და უჭირავს ამ ქედის თხემური და ჩრდილო ფერ-  
დობი. აქ კარსტული მოვლენები ზედაცარცულ კირქვებში სუსტად არის გან-  
ვითარებული, რომელიც 5 კვ. კმ ფართობით ისაზღვრება. გურიის ქედის რაი-  
ონის აღმოსავლეთ გაგრძელებაზე ვრცელდება ს ა მ ხ რ ე თ ი მ ე რ ე თ ი ს  
კ ი რ ქ ვ ე უ ლ ი რ ა ი ო ნ ი (მდ. რიონსა და ყვირილის მარცხენა მხარეზე,  
სამტრედიასა და ზესტაფონის მერიდიანებს შორის) სამი დამოუკიდებელი  
„კუნძულის“ სახით: 1) სამტრედიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, შუამთის სასო-  
ფლო საბჭოს ტერიტორიაზე; 2) დაბა ვანის სამხრეთ-აღმოსავლეთით დიხაშხოს  
სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე, სოფ. ისრითის მიდამოებში და 3) სოფ.

<sup>8</sup> სათანჯო ქართულად ორბენტირის ნიშნავს და არა სატანჯავ ადგილს, როგორც ეს ზოგიერთს  
არასწორად მიაჩნია.

ობჩისა და სვირის ტერიტორიაზე (№ 46). ამ რაიონში კარსტული მოვლენები უკეთ არის განვითარებული ზედაცარცულ კირქვებში, დაახლოებით 35 კვ. კმ ფართობზე.

კოლხეთის ბარის ფარგლებში კარსტული მოვლენების ინტენსიური და ფართო გავრცელების მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ცხენისწყალ-რიონის წყალგამყოფი მათხოჯ-წყალტუბო-ხომელის მიდამოებში და ოკრიბის სამხრეთი ნაწილი. აღსანიშნავია აგრეთვე ქართლ-იმერეთის მდლოების დასავლეთი ნაწილი ზემო იმერეთის პლატოს ფარგლებში. ასხისა და ზვამლის მდლობთა სამხრეთით, მ. შ. მდ. ცხენისწყალსა და რიონს შორის ვრცელდება წყალტუბო-სათაფლიის კირქვეული რაიონი (№ 47), რომლის ფართობი 92 კვ. კმ შეადგენს. აქ ძირითადად ბარემულ ურგონული ფაციესის კირქვებში კარსტული მოვლენები ინტენსიურად არის განვითარებული. ამ მასივის აღმოსავლეთ გარეგნებაზე, მდ. რიონსა და წყალწითელას შორის ვრცელდება ჭახათის რაიონი (№ 48), რომელიც აგრეთვე ურგონული კირქვებითაა აგებული და ძლიერ არის დაკარსტული. მისი ფართობი დაახლოებით 10 კვ. კმ არ აღემატება.

მდ. წყალწითელასა და ძუსას შორის, კოლხეთის დაბლობის კიდის ჩრდილოეთით, სოფ. გოდოგნის, ნაგარევის, ნავენახევის, სიმონეთის, ძეგრის, ჩხარის და სხვ. მიდამოებში ვრცელდება ოკრიბის რაიონი (№ 49); მისი ფართობი 136 კვ. კმ შეადგენს. რაიონის აგებულებაში ცარცული კირქვები მონაწილეობს. ეს რაიონიც ხასიათდება კარსტული მოვლენების ინტენსიური განვითარებით.

კარსტული მოვლენების ინტენსიური განვითარებით აღინიშნება აგრეთვე ზემო იმერეთის კირქვეული პლატოს რაიონი (№ 50) მდ. ძუსასა და ძირულას შორის. აქ დაკარსტული ტერიტორიის ფართობი 150 კვ. კმ შეადგენს. კარსტი განვითარებულია ტურონ-დანიურ კირქვებში, რომლებიც ზოგან მერგელებით არის გადაფარებული.

ქართლ-იმერეთის მდლოების სამხრეთ ნაწილი (№ 51), მდ. ჩხერიმელის აუზში (სოფ. ლაშეს აღმოსავლეთით) კარსტული მოვლენების გავრცელებით არის ცნობილი. კარსტული მოვლენები, მართალია სუსტად, მაგრამ მაინც, ამ აუზის აღმოსავლეთითაც ვრცელდება შიდა ქართლის ბარის ჩრდილო ნაწილში (სოფ. ალის მერიდიანამდე). კარსტული მოვლენები ამ ტერიტორიაზე ცარცულ კირქვებშია განვითარებული დაახლოებით 70 კვ. კმ ფართობზე.

კახეთის ბარზე კარსტული მოვლენები პოტენციალურად სუსტი განვითარების შესაძლო რაიონს წარმოადგენს, სადაც ამ მხრივ გამოიყოფა ცივგომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდობი (№ 52), დაახლოებით 460 კვ. კმ ფართობით; მის სუბსტრატს ცარცული კარბონატული ქანები წარმოადგენენ.

კოლხეთის ბარზე, გარდა კირქვის კარსტისა, განვითარებულია კლასტო-კარსტის ტიპიც — ბაჩის, ოთხარის, დურიფშის, ჭალის და ცენტრალური სამეგრელოს რაიონები. ბაჩის მდლოების კლასტოკარსტული რაიონი (№ 53) ვრცელდება მდ. მუიშის მარცხენა მხარეზე (სოფ. ოთხარის სამხრეთით). მისი ფართობი დაახლოებით 2 კვ. კმ შეადგენს. ამ რაიონის აგებულებაში მონაწილეობს შუამიოცენური კირქვის კონგლომერატები, რომლებშიც კლასტოკარსტული ქვები და გამოჭევაბულები გვხვდება.

ბაჩის რაიონის ჩრდილოეთით ოთხარის კლასტოკარსტული რაიონი ვრცელდება (№ 54) ამავე სახელწოდების სოფლის მიდამოებში. მისი ფართობი დაახლოებით 4 კვ. კმ შეადგენს. აქ მეოთხეულ ალუვიურ და დელუვიურ კირქვის კონგლომერატებში განვითარებულია გამოქვაბულები, ჰეზი და სხვ.

ოთხარის რაიონის აღმოსავლეთით, მდ. თეთრწყალსა (ხიფსთა) და გუდოუს შორის მდებარეობს საკმაოდ ვრცელი დურიფშის კლასტოკარსტული პლატო (№ 55); მისი ფართობი 47 კვ. კმ-ია. ამ პლატოზე მეოთხეულ ალუვიურ და ნაწილობრივ დელუვიურ კირქვის კონგლომერატებში ინტენსიურად არის განვითარებული კარსტული მოვლენები — დოლინების, ჰეზის, გამოქვაბულების და სხვათა სახით.

მდ. მოქესა და ლალიძგას შორის ჯალის კლასტოკარსტული რაიონი ვრცელდება (№ 56), რომლის ფართობი 5 კვ. კმ შეადგენს. აქ პლიოცენურ (კიმერულ) კირქვის კონგლომერატებში, რომელიც ზემოდან გადაფარებულია 5—6 მ სიმძლავრის ქვიშა-თიხოვანი ნალექებით, განვითარებულია კლასტოკარსტული მიწისქვეშა ფორმები.

კოლხეთის ბარის ფარგლებში კლასტოკარსტული მოვლენები განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი ცენტრალური სამეგრელოს რაიონში (№ 57), მდ. ენგურსა და ტეხურს შორის, დაახლოებით 555 კვ. კმ ფართობზე. კლასტოკარსტული ფორმები ამ რაიონში უმთავრესად მიწისქვეშა სიღრუეების, გამოქვაბულების სახით გვხვდება და გამოუმუშავებულია ნეოგენურ პორფირიტებისა და კირქვის კონგლომერატებში.

ქვემო ქართლის ბარის ტერიტორიაზე, თბილისის მიდამოებში და მის დასავლეთით და აღმოსავლეთით ზედაეოცენურ თაბაშირიან წყებაში აღინიშნება სუფოზიური მოვლენების ფართო გავრცელება, დაახლოებით 200 კვ. კმ ფართობზე. ეს ტერიტორია გამოყოფილი გვაქვს თბილისის სუფოზურ რაიონის სახელწოდებით (№ 58).

გარე კახეთის ზეგანის აღმოსავლეთ ნაწილში მდ. ალაზნისა და იორს შორის მობლიოცენურ თიხებში, თიხნარებში და ქვიშაქვებში თიხის კარსტია განვითარებული, რომელსაც გარე კახეთის ზეგანის ბედლენდების თიხის კარსტის რაიონად გვაქვს გამოყოფილი (№ 59). თიხის კარსტი ი. აფხაზაფას სიტყვიერი ცნობით განვითარებულია აგრეთვე გურიაში, სოფ. არჩეულის (ებალაურის), ეწერისა და სხვ. მიდამოებში. ამ ადგილებში სუფოზიური მოვლენების თიხებში განვითარების შედეგად წარმოშობილია ძაბრისებრივი მოყვანილობის უარყოფითი ფორმები, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობა „ნავარსკვლავებს“ უწოდებს.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ შავი ზღვის შეღვის აღმოსავლეთ ნაწილში, გაგრა-განთიადის მიდამოებში, დიდი ხანია აღნიშნავენ მიწისქვეშა წყლების განტვირთვას სუბმარინული წყაროების სახით 400 მ-ის სიღრმემდეც კი [593, 596, 1006, 1150, 1504]. აქ სუბტრატი ძირითადად ცარცული კირქვებით არის წარმოდგენილი. ამ ტერიტორიაზე უნდა გვქონდეს სუბმარინული კირქვის კარსტის რელიეფიც [383] და მაშასადამე ამ ტიპის გავრცელების რაიონი, რომელსაც პირობითად გაგრა-განთიადის რაიონად გამოვყოფთ (№ 60).

ქვემოთ მოგვყავს ზოგიერთი ცნობა საქართველოს უმთავრესი კარსტული რაიონების შესახებ.

საქართველოს უმთავრესი კარსტული რაიონები

№ რიგში	სახელწოდება	მდებარეობა	ქილსომეტრიული გაერცელება		ს ი ლ ე ე		
			მინიმალური მ ზღ. დ.	მაქსიმალური, მ ზღვის დონიდან	სიგანე, კმ	უღივსო სიღრმე, კმ	ფართობი კვ. კმ
1	2	3	4	5	6	7	8
I. კავკასიონის სამხრეთ ფერდობის საშუალომთისა და მაღალმთის ზონა (7793 კვ. კმ)							
ა) კირქვის კარსტის რაიონები (2993 კვ. კმ)							
1	გაგრის რაიონი	მდ. ფსოუსა და ბზიფ-გეგის, აგრეთვე შავი ზღვის სანაპიროს შორის	0	2657 (მ. არბიკა) — 2758 (მ. სპე-ლეოლოვთა პიკი)	18—22	34	524*
	ა) ირბიკა-შნიურის ქვერაიონი	მდ. სანდრიფშის სათავეებსა და გეგის მარჯვენა შემდინარეთა შორის მდებარე გადასასვლელის სამხრეთით	0	2657—2758	4—18	34	435
	ბ) ახაკ-ახახის (ტეპებაშის) ქვერაიონი	აღნიშნულ გადასასვლელის ჩრდილოეთით	100	1969 (მ. კამერუნ-დუბა) — 2736 (მ. ახაკი)	2—4	34	89
2	ფშევიშის რაიონი	მდ. გეგისა და იუფშარას შორის	290	2217 (მ. ფშევიშ-ხა)	6	7	36
3	ავეფსთის რაიონი	მდ. გეგის მარცხენა შემდინარის ავეფსთას ორივე მხარეზე	1000	2200	1—4	12	26
4	ბზიფის რაიონი	მდ. ბზიფსა და აფსთას (ბაკ-ლანოეკას) შორის	55—150	2634 (მ. ძიშრა)	14—20	33	519
	ა) ბაბო-ძიშრის ქვერაიონი	მდ. ბზიფსა და თეთრწყალს (ხიფსთას) შორის	55	2120 (მ. ჩიფეაგ-რა) — 2634 (მ. ძიშრა)	16—18	20	395
	ბ) ხიფსთის ქვერაიონი	მდ. თეთრწყალსა და აფსთას შორის	150	2497 (მ. ხიფსთა) — 2519 (მ. ახი-ბოხი)	1—11	13	124
5	რიხვის (არბახის) რაიონი	მდ. ბზიფის, გეგის, იუფშარასა და ფშიწას შორის	125	2378 (მ. რიხვა)	6—8	18	122
6	ლაკორზის რაიონი	მდ. ფშიწასა და ბავიუს შორის	400	2144 (მ. ლაკორზა)	4	9	32
7	იჭავეარის (დოუს) რაიონი	მდ. აფსთასა და დასავლეთ გუმბისთას სათავეებს შორის	850	1800	1—2	6	9

\* კარსტული რაიონების ფართობები, ჩემი თხოვნით, გამოთვლილია თბილისის უნივერსიტეტის გეომორფოლოგიის კათედრის თანამშრომლის ყ. ხარბიტაშვილის მიერ.



1	2	3	4	5	6	7	8
8	გუმბაზი-ხიციის რაიონი	მლ. აფხთასა და დასავლეთ გუმბაზის შორის	350	1498 (მ. ხიცი) — 1804 (მ. გუმბაზი)	3—9	22	122
9	ამლარ-აფუშთა ფალის რაიონი	მლ. კელასურსა და კოდორის შორის	185	1336 (მ. ფალი) — 1862 (მ. სსაფაქი)	4—5	19	86
	ა) ამლარის ქვერაიონი	მლ. კელასურსა და ამტყელს შორის	280	1839 (მ. ამლარი)	5	10	39
	ბ) აფუშთის ქვერაიონი	მლ. ამტყელსა და ჭამფალას შორის	220	928 (მ. ფშოუ)	1.5—2	5	27
	გ) ფალის ქვერაიონი	მლ. ჭამფალასა და კოდორის შორის	185	1336 (მ. ფალი)	1—2	4	20
10	ხობის (კოფშარის) რაიონი	მლ. ჭამფალასა და კოდორის შორის	485	1316 (მ. კოფშარი)	0.5—1	20	19
11	აჭარდარის რაიონი	მლ. კოდორსა და დღამიშის სათავეებს შორის	180	1050 (გალ. აჭარდარი) — 1220	7—9	11	75
12	ოხაჩქუეს რაიონი	მლ. ოქუშსა და ენგურს შორის	170-200	2156 (მ. ოხაჩქუე)	7—9	20	125
13	ჩეკელდერის რაიონი	მლ. ენგურის ორივე მხარეზე ხაიშს ქვემოთ	400	1239 (მ. ჩეკელდერი)	1—1.5	4	4
14	წულიშის რაიონი	მლ. ენგურსა და მაგანას შორის	275	1135 (მ. წულიში)	0.5—1.5	6	7
15	ყვირის რაიონი	მლ. მაგანასა და ჭანისწყალს შორის	290	2038 (მ. ყვირა)	3—5	12	53
16	გაუჩის რაიონი	მლ. ჭანისწყალსა და ხობს შორის	300	1106 (მ. გაუჩა)	3—4	5	17
17	მინგარიის რაიონი	მლ. ხობსა და ტეხურას შორის	300	2024 (მ. მინგარია)	4—6	15	75
18	ასხის რაიონი	მლ. ტეხურასა და ცხენისწყალს შორის	200	2437 (მ. ასხი) — 2519 (მ. გაღირაკილი)	18—22	26	413
	ა) ასხის პლატოს ქვერაიონი	საწერეკოს (საკვეროს) ქედის ჩრდილოეთით	320	2519 (მ. გაღირაკილი)	12	24	233
	ბ) თურჩუს პოლიესა და შიხი მიდამოების ქვერაიონი	ამავე პედის სამხრეთით	200	1264 (მ. საჩიქვანო)	10	15	180
19	ხვამლის რაიონი	მლ. ცხენისწყალსა და ასკისწყალს შორის	300	2002 (მ. ხვამლი)	7	24	83
	ა) ხვამლის პლატოს ქვერაიონი	მლ. ცხენისწყალსა და რიონდვინის შორის	300	2002 (მ. ხვამლი)	2—7	10	48
	ბ) ალპანის ქვერაიონი	მლ. ლვირისა და ლაქანურს შორის	350	1201	2—3	4	11
	გ) საირმე-უღაბნის ქვერაიონი	მლ. ლაქანურსა და ასკისწყალს შორის	400	1400 (მ. ლაბეჟინა)	3—5	6	24
20	ფარულ-ქვაციხე-ლაღაშის რაიონი	მლ. ჭონოულსა და ასკისწყალს შორის	500	1335 (მ. ფარული) — 1645 (მ. ქვაციხე)	0.5—1.5	30	28

1	2	3	4	5	6	7	8
21	რაქის რაიონი	მდ. ჩიონსა და ველურს შორის	400	1996 (მ. საწლიცე)	7—20	34	382
	ა) თაეშავის ქვე-რაიონი	მდ. ჩიონსა და შავის შორის	400	1770 (მ. თაშავა)	6—9	12	99
	ბ) ნაქერალა-ხაწა-ღვეს ქვერაიონი	მდ. შავრასა და ველურს შორის	900	1570 (მ. ცხრაჯვარი) —1996 (მ. საწლიცე)	10—22	22	283
22	ხიხთა-შქმერის რაიონი	მდ. ველურასა და ჟეჯორას შორის	900	1927 (მ. ველუტყვი) —2239 (მ. ხიხთა)	7—8	22	167
23	საელაიავის რაიონი	მდ. ასისწყალსა და ს. ფარაბეთის მერიდიანს შორის	1000	1571 (მ. საელიაო)	0,5—1	26	19
24	ველუანთა-უკვილეთის (კუდაროს) რაიონი	მდ. ქვედრულასა და ჟეჯორას შორის	1200	2223 (მ. ველუანთა) —2211 (მ. უკვილეთა)	0,5—2	8	8
25	ბუბის (ვალხობის) რაიონი	მდ. ჟეჯორასა და ვერწოს მერიდიანს შორის	1700	2359 (მ. ბუბა)	0,5—2	11	13
26	ალხაშენდის რაიონი	მდ. ყვირილასა და ს. ვერწოს მერიდიანს შორის	1500	2320 (მ. ალხაშენდა)	2—3	11	29

ბ) კარბონატული ფლიშის კარსტის რაიონები (4800 კვ. კმ)

27	რაქა-ოსეთ-მთიულეთ-კახეთის ცარკული კარბონატული ფლიშის რაიონი	ჩიონის მარჯვენა შემიღნარე ლუხუნისწყალსა და სტორის შორის	400	2594 (მ. ძირისი)	12—21	120	2300
28	ზემო სვანეთ-ოხეთ-მთიულეთ-კახეთის ზედა იურული კარბონატული ფლიშის რაიონი	ენგურის მარჯვენა შემიღნარე ხაქრასა და შაწიმის შორის	200	3428 (მ. გესკე)	2—20	300	2500

II. საქართველოს სამხრეთ მთიანეთის ზონა (288 კვ. კმ)—ციტკვის კარსტის რაიონები (288 კვ. კმ)

29	აჭარა-იმერეთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილის ჩრდილო ფერდობის რაიონი	მდ. ხანისწყლის სათავეებში ანსა და ქ. ბორჯომის მერიდიანს შორის	1400	2648	1—2	35	45
30	რაილეთის ქედის ჩრდილო ფერდობის შუა ნაწილის რაიონი	მდ. ძამასა და ს. ზემო ხვედურეთის მერიდიანს შორის	800	2030 (მ. საცხენისი)	1—4	22	55
31	თრიალეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონი	მდ. თეძამსა და ძეგვის შორის	700	850	1—3	32	81
32	თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილის სამხრეთ ფერდობის რაიონი	მდ. ზრამსა და ალგეთს შორის	800	1500	1—4	17	67
33	სომხეთის ქედის ჩრდილო ფერდობის რაიონი	მდ. მაშავერასა და ღებღღას შორის	900	1150	1—2	36	40

1	2	3	4	5	6	7	8
---	---	---	---	---	---	---	---

III. საქართველოს მთავარჯიშის ბარის ზონა (2889 კვ. კმ)

ა) ქიქვის კარსტის რაიონები (1526 კვ. კმ)

34	აფაშკის (ფსორცხის, ახალი ათონის) რაიონი	მდ. აფსთასა და დასავლეთ-აღმოსავლეთის შორის	50	1284 (მ. აფაშკე) — 800 (მ. აბაშალდარა) — 310 (მ. ბუჯრია)	6	20	107
35	ოთოიუშის რაიონი	მდ. დასავლეთ და აღმოსავლეთ გუმბისთებს შორის	122	939 (მ. ოთოიუში)	3	5-7	19
36	იაშტუბ-ბერკის რაიონი	მდ. აღმოსავლეთ გუმბისთასა და კელასურს შორის	120	593 (მ. ბიკო)	2-4	10	38
37	აბანდა-ჩაბის რაიონი	მდ. აღმოსავლეთ გუმბისთასა და კელასურს შორის	120	1005 (მ. აბანდა) — 1291 (მ. ჩაბი)	4-8	11	75
38	წყებლდის რაიონი	მდ. კელასურსა და კოდორს შორის	150	1060 (მ. აფიანჩა) — 1174 (მ. პრეხა) — 1387 (მ. ახუჯაქი)	8-10	15	136
39	ყადის, ბებშრის, რეჩიშხის, ოჯირდის, ტყაურის, აისრის, ლაშქანდერის და სხვ. რაიონი	მდ. ლლაშის სათავეებსა და ოქუშის შორის	200	865 (მ. ბებშრა) — 1438 (მ. რეჩი)	1-3	40	107
40	სათანჯოს რაიონი	მდ. ერისწყალსა და ენგურს შორის	120	496 (მ. სათანჯო)	1-3	7	15
41	ურთის რაიონი	მდ. ჩხოუშსა და კანისწყალს შორის	150	466 (მ. ურთა)	2-3	12	26
42	ეკის რაიონი	მდ. ციხსა და ტებურას შორის	150	467 (მ. ეკა)	1-3.5	9	24
43	ნაქალაქევის რაიონი	მდ. ტებურის ორთვე მხარეზე სოფ. ნაქალაქევა და ბეთლემს შორის	150	400	1-2	5	8
44	აბედათის რაიონი	მდ. ტებურასა და აბაშას შორის	150	555 (მ. აბედათ)	1-1.5	11	13
45	გურიის (ნიგოთის) ქედის რაიონი	მდ. სუფსას, ფირორასა და ბონის შორის	120	525	0.5-1	10	5
46	სამხრეთ იმერეთის რაიონი	მდ. რიონისა და ყვირილის მარცხენა მხარეზე, სამტრედიასა და ზესტაფონის მერიდიანებს შორის	120	450	0.5-2	55	35
47	წყალტუბო-სათაფლიის რაიონი	მდ. ცხენისწყალსა და რიონს შორის	150	494 (მ. ცისკარა)	2-8	24	92
48	ქახათის რაიონი	მდ. რიონსა და წყალწითელას შორის	150	400	1-3	5	10

1	2	3	4	5	6	7	8
49	ოკრიბის რაიონი	მღ. მღ. წყალწითელსა და ძუსას შორის	120	872	2—9	30	136
50	ზემო იმერეთის პლატოს რაიონი	მღ. ძუსასა და ძირულის შორის	200	900	5—11	22	150
51	ქართლ-იმერეთის მაღლობის სამხრეთი რაიონი	მღ. ჩხერიმელისა და სხვ. აუზები, სოფ. ლაშვასა და ალის მერდიანებს შორის	310	800	1—5	42	70
52	ციხე-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონი	გომბორის გადასასვლელისა და გურჯაანის მერიდიანებს შორის	900	1400	5—11	64	460

ბ) კლასტოკარტის რაიონები (1613 კვ. კმ)

53	ბაჩის მაღლობის რაიონი	მღ. მკვიშთისა და მის შემდინარეებს კუშირთასა და თუთურას შორის	30	230 (მ. ბაჩა)	0,5—1	1,5	2
54	ოთხარის რაიონი	მღ. მკვიშთის მარცხენა მხარეზე ს. ოთხარას მიდამოებში	25	300	2	2	4
55	დურეიფშის პლატოს რაიონი	მღ. თეთრწყალასა და გულოუს შორის	10	300	2—5	12	47
56	ქალის რაიონი	მღ. მოქვასა და ლალიძგას შორის	100	200	1,5—2	3	5
57	ცენტრალური სამეგრელოს (ოდიშის) რაიონი	მღ. ენგურსა და ტეზურს შორის	100	400	10—28	34	555

გ) სუფოზური კარტის რაიონი (200 კვ. კმ)

58	თბილისის მიდამოების რაიონი	მღ. მტკვარსა და იორს შორის	400	800	7—12	25	200
----	----------------------------	----------------------------	-----	-----	------	----	-----

დ) თიხის (ფსევდო) კარტის რაიონი (550 კვ. კმ)

59	გარე კახეთის ზეგნის ბელუნდების რაიონი	მღ. ალაზნასა და იორს შორის	600	800	1—5	90	550
----	---------------------------------------	----------------------------	-----	-----	-----	----	-----

IV. შავი ზღვის შელფის ზონა  
სუბმარინული კირქვის კარტის რაიონი

60	ვაგრა-განთიადის შელფის რაიონი	შავი ზღვის შელფის აღმოსავლეთ ნაწილი	400 კვ. კმ	0	—	—	—
----	-------------------------------	-------------------------------------	------------	---	---	---	---

გეოგრაფიული შესწავლილობა და მორიგი ამოცანები

საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობა დღევანდლამდე სრულყოფილად გაშუქებული არ არის. მიუხედავად ა. კრუბერის შრომებისა [925—926, 931], ასეთივე მდგომარეობა გვექონდა ამ ოციოდე წლის წინათ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გავრცელებული კარსტის მიმართაც; ეს მდგომარეობა, სხვათა შორის, აღნიშნულ იქნა 1947 წელს მოლოტოვის (პერმის) კარსტულ კონფერენციაზეც ამ კონფერენციის მოწყობის ინიციატორის პროფ. გიორგი მაქსიმოვიჩის მიერ. აღნიშნული კარსტოლოგიური კონფერენციის ამოცანების დასახვისას იგი მიუთითებდა, რომ ... „история изучения карста в СССР ещё ждёт своего исследователя“ (1975), გვ. 9). მომდევნო წლებში ამ საკითხზე მრავალი შრომა გამოქვეყნდა როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირის ტერიტორიის, ისე მისი ცალკეული მხარის შესახებ. ასეთ შრომათა შორის აღსანიშნავია ნ. გვოზდეცკის, მ. ზუბაშჩენკოს, ი. ზაიცევის, ა. ივანოვის, გ. მაქსიმოვიჩისა და კ. გორბუნოვას, ი. პობოვის, ა. ჩიკიშევის, ა. სტუბინინის, დ. რიეოკოვის, დ. სულეიმანოვის, ვ. ილიუხინის, ვ. დუბლიანსკისა და სხვათა მიერ შესრულებული გამოკვლევები [671, 678, 689, 713, 803, 823—824, 833, 1005, 1127—1128, 1159, 1193, 1238, 1240, 1321, 1323].

საქართველოს კარსტის გეოგრაფიულ შესწავლილობაზე ზოგიერთი მონაცემი მოიპოვება კავკასიის, საქართველოს ან მისი ცალკეული ნაწილის საერთო გეოგრაფიული შესწავლის ფონზე ალ. ჯავახიშვილის, ა. ასლანიკაშვილის, ნ. გვოზდეცკის, შ. ლაშხიას, დ. წერეთლის და სხვ. შრომებში [5, 452, 477—478, 481, 712, 759, 945]. ასეთივე მონაცემები არსებობს საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული კომპონენტების შესწავლილობის დახასიათებისადმი მიძღვნილ შრომებშიც, რომლებიც დ. გედევანიშვილს, მ. კორჩახიას, მ. საბაშვილს, ბ. ყავერიშვილს, ი. შაქარიშვილსა და სხვებს ეკუთვნით [34, 171, 249, 370, 427].

საქართველოს კარსტის შესწავლილობა გეოგრაფიული ან ფიზიკურ-გეოგრაფიული კომპონენტის მიხედვით მეტ-ნაკლები სისრულით შესრულებული აქვთ ფ. ზაიცეს, დ. კობახიძეს, ლ. მარუაშვილს, კ. მგელაძეს, შ. ყიფიანს და სხვებს [166, 168, 189, 197, 199, 204, 212, 392, 394, 403, 405—406, 408, 410—411, 413, 806, 889, 1462, 1464].

აღნიშნული გამოკვლევები მხოლოდ ნაწილობრივ გვაძლევენ წარმოდგენას საქართველოს კარსტის გეოგრაფიულ შესწავლილობაზე. საქართველოს კარსტის შესწავლილობის ასეთი დონე, რა თქმა უნდა, ამჟამად სრულებით საკმაო აღარ არის, მაშინ როცა კარსტული მოვლენების შესწავლისადმი ინტერესი გაზრდილია როგორც საზღვარგარეთ, ისე საბჭოთა კავშირში, მათ შო-

რის საქართველოშიც. ამასთან დაკავშირებით ქართველ კარსტოლოგების წინაშე გადაუდებელ ამოცანად დაისვა საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის საკითხის სრულყოფილად გამოვლენა. პირველ ასეთ ცდას წინამდებარე ნარკვევი წარმოადგენს.

### პერიოდნიზაცია

ცნობილია, რომ მეცნიერების განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეურნეო-ეკონომიური მდგომარეობა და ის ისტორიული ქარტეხილები, რასაც მისი ხალხის ცხოვრებაში აქვს ადგილი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ძირეულ ცვლილებებს აქვს ადგილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად. ეს ცვლილებები მეცნიერების განვითარებაზეც არის მკვეთრად არეკლილი, კერძოდ გეოგრაფიაზე. ოქტომბრის რევოლუციის შედეგად საბჭოთა კავშირში სრულიად შეიცვალა გეოგრაფიული მეცნიერების მდგომარეობა, მისი განვითარების მიმართულება და ტემპი. გეოგრაფიულმა მეცნიერებამ ახალი შინაარსი და დანიშნულება მიიღო. საქართველოშიც მეცნიერების განვითარებაში კოლოსალურ ნახტომს ვაშჩნევთ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ცხადია, როცა საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების ამა თუ იმ დარგის განვითარებას გვინდა გავვლოთ თვალი, სამიჯნო თარიღად სწორედ 1921 წელი გამოგვადგება. ამ მხრივ გამოჩაყლის საქართველოს კარსტის შესწავლაც არ წარმოადგენს. მართლაც, საქართველოს კარსტის შესწავლილობის საკითხების დამუშავებისას ჩვენთვის აშკარა გახდა მის განვითარებაში ორი მკაცრად განსხვავებული პერიოდი გამოგვეყო — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და მის შემდეგ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კარსტის შესახებ უმთავრესად ფაქტიური მასალის დაგროვება (კარსტული ფორმების გავრცელება, ცალკეული ობიექტების, განსაკუთრებით გამოქვაბულების მორფოგრაფიულ-მორფომეტრიული აღწერა) ხდებოდა, ხოლო მის გენეტურ მხარეს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამ პერიოდისათვის ისიც არის დამახასიათებელი, რომ კარსტული მოვლენების სპეციალური შესწავლა იშვიათად წარმოებდა. მთელი მუშაობა ამ მიმართულებით მიმდინარეობდა სხვა საკითხების კვლევასთან ერთად, კარსტის კვლევის საკითხებიც შეზღუდული იყო. არ არსებობდა ამ მუშაობის შემსრულებელი ორგანიზაციული ცენტრი. იგი არ წარმოადგენდა სახელმწიფოს ზრუნვის საგანს და მთელი მუშაობა უმთავრესად ამა თუ იმ სპეციალობის მკვლევარის პირად ინტერესებზე იყო დამყარებული.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოს ბუნების შესწავლის გაცხოველებასთან ერთად კარსტული მოვლენების შესწავლასაც ახალი გაქანება მიეცა: იზრდება კარსტული მოვლენების შესწავლის საკითხების სფერო; კარსტული მოვლენების აღწერა-გავრცელებასთან ერთად მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მის გენეტურ მხარეს; ხშირად კარსტული მოვლენების შესწავლას უკავშირებენ საქართველოს სახალხო მეურნეობის მიერ დასმულ პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას და სხვ.; კარსტული მოვლენების შესწავლას იწყებს მრავალი სამეცნიერო, სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი დაწესებულება, აგრეთვე საინჟინერო დაწესებულებები; ამასთან ყალიბდება საკოორდინაციო ცენტრი.

საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის აღნიშნულ პერიოდებში კარსტული ფენომენების კვლევა ერთნაირი სისრულითა და მოცულობით არ ტარდებოდა, რაც დაკავშირებული იყო სოციალურ-ეკონომიურ ფაქტორებთან ერთად მეცნიერების ამ დარგის განვითარების დონეზეც. ამიტომ ამ პერიოდებში, თავის მხრივ, რამდენიმე ეტაპი შეიძლება გამოვყოთ (რომლებიც ქვემოთაა მოყვანილი).

საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის პერიოდიზაცია

პერიოდი	ეტაპები	სოციალ-ეკონომიური ფორმაციები	დრო
---------	---------	------------------------------	-----

I. საბჭოურამდელი (მონათმფლობელური, ფეოდალური და კაპიტალისტური ურთიერთობათა) პერიოდი უძველესი დროიდან 1921 წლამდე

1	კარსტული გამოქვაბულების შესახებ პირველი ზოგადი ცნობები მოპოვებისა და დაგროვების ეტაპი	მონათმფლობელური და ფეოდალური ურთიერთობათა ხანა	უძველესი დროიდან 71X ს. 50-იან წლებამდე
2	კარსტული მოვლენების რეგისტრაციისა და მათი მორფოგრაფიულ-მორფომეტრული აღწერის საწყისი ეტაპი	კაპიტალისტურ ურთიერთობათა ხანის პირველი ნახევარი	XIX საუკუნის მეორე ნახევარი
3	კარსტული მოვლენების მორფოგრაფიულ-მორფომეტრიული, ნაწილობრივ კი გენეტური და პრაქტიკული მნიშვნელობის შესწავლის საწყისი ეტაპი	კაპიტალისტურ ურთიერთობათა ხანის მეორე ნახევარი	1901—1920 წწ.

II. საბჭოური (სოციალისტურ ურთიერთობათა) პერიოდი 1921 წლიდან დღევანდლამდე

4	კარსტული მოვლენების გენეტრიკული დასაწყისისა და მისი პრაქტიკული ათვისების პირველი ცდების ეტაპი სოციალისტურ მშენებლობის მოთხოვნილებათა შესაბამისად.	სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისა და სოციალისტური მშენებლობის ხანა	1921—1940 წწ.
5	კარსტული და კლასტოკარსტული გამოქვაბულების უმთავრესად გეომორფოლოგიური კვლევის და მათი გამოყენების შესაძლებლობის დადგენის ეტაპი.	დღიე საშემულო ომის ხანა	1941—1945 წწ.
6	კარსტის უმთავრესად გეომორფოლოგიური გაღრმავებული კვლევის ეტაპი	სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური მშენებლობის ხანა	1946—1957 წწ.
7	კარსტის ფიზიკურ-გეოგრაფიული დარგობრივი და კომპლექსური (ლანდშაფტური) გაღრმავებული კვლევისა და მისი პრაქტიკული რაციონალური გამოყენების ეტაპი	კომუნისტური მშენებლობის ხანა	1958 წლიდან დღევანდლამდე

საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის პირველი ეტაპი მოიცავს მონათმფლობელურ და ფეოდალურ ურთიერთობათა ხანის XIX საუკუნის 50-იან წლებამდე. ეს ეტაპი უმთავრესად ხასიათდება კარსტული ფენომენების, განსაკუთრებით გამოქვაბულების ზოგადი აღწერით საქართველოს ბუნების თუ ისტორიული მოვლენების დახასიათების ფონზე. ესაა ეტაპი კარსტული გამოქვაბულების შესახებ პირველი ზოგადი ცნობების მოპოვებისა და დაგროვების.

საქართველოს კარსტის შესწავლილობის მეორე ეტაპი მოიცავს კაპიტალურ ურთიერთობათა დროის პირველ ნახევარს, გასული საუკუნის 50-იან წლებიდან ამავე საუკუნის დასასრულამდე. ამ დროს, როგორც ცნობილია, ადგილი აქვს საერთოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერების სწრაფი ნაბიჯებით წინსვლას როგორც უცხოეთში, ისე რუსეთში და მეფის რუსეთის კავკასიის ტერიტორიით დაინტერესებას, კერძოდ საქართველოთი — მისი სტრატეგიული მდებარეობის გამო. ეს კი იწვევს საქართველოს ტერიტორიის ტოპოგრაფიული აგებულების ჩატარებისა და ბუნებრივი პირობების შესწავლის აუცილებლობას. ამ ეტაპზე გამოქვეყნებულ ზოგადგეოგრაფიულ, ბიოგეოგრაფიულ, არქეოლოგიურ, სამხედრო და სამხედრო-სტატისტიკურ და სხვა შრომებში, აგრეთვე მოგზაურობების და ექსკურსიათა აღწერებში საქართველოს ბუნების და ისტორიული ძეგლების დახასიათებასთან ერთად კარსტული მოვლენის ესა თუ ის მხარეც კპოვებს გაშუქებას. ამ ეტაპზე პირველად ჩნდება კარსტული მოვლენების გეოგრაფიული აღწერილობანი. ამავე ეტაპის დასაწყისში და განსაკუთრებით მის მიწურულში მკვეთრად გამოიხატა კარსტული მოვლენების გენეტური მხარის შესწავლისადმი ყურადღების გამახვილება. ესაა კარსტული მოვლენების რეგისტრაციისა და მათი მორფოგრაფიულ-მორფომეტრიული აღწერის საწყისი ეტაპი.

საქართველოს კარსტის შესწავლის რევოლუციამდელი ხანის მესამე ეტაპი ემთხვევა კაპიტალისტურ ურთიერთობათა დროის მეორე ნახევარს, რომელიც XX საუკუნის პირველ მეოთხედს მოიცავს 1921 წლამდე; იგი გამოირჩევა საქართველოს კარსტის გეოგრაფიული აღწერილობათა ზრდით; ყურადღება ექცევა კარსტის შესწავლის გენეტურ მხარეს და მის პრაქტიკულ მნიშვნელობასაც. ესაა კარსტული მოვლენების მორფოგრაფიულ-მორფომეტრიული, ნაწილობრივ კი გენეტური და პრაქტიკული მნიშვნელობის შესწავლის საწყისი ეტაპი.

საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის საბჭოურ პერიოდშიც კარსტის კვლევა ერთნაირი მოცულობით და ხარისხით არ წარმოებდა, რაც დამოკიდებული იყო სახალხო მეურნეობის მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებასთან, აგრეთვე კარსტოლოგიური კვლევა-ძიების თავისებურებებთან და ზოგიერთ სამეცნიერო ორგანიზაციულ ღონისძიებებთან. ამასთან დაკავშირებით ამ პერიოდში ოთხი ეტაპი შეიძლება გამოიყოს.

კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის საბჭოური პერიოდის დასაწყისში, სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისა და სოციალისტური მშენებლობის ეტაპზე, 1921 — 1940 წლებში, საქართველოს კარსტის გეოგრაფიულ შესწავლას ჯერ კიდევ მტკიცე ორგანიზებული სახე არ ჰქონდა აღღებული და მისი შესწავლა უმთავრესად წარმოებდა ამა თუ იმ არაგეოგრაფიული დაწესებულების ან მკვლევრის ინიციატივით. მიუხედავად ამისა ამ ეტაპზე, განსაკუთრებით მის ბოლო წლებში, საქართველოს კარსტის შესახებ ქვეყნდება გე-



ოგრაფიული ხასიათის მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი და პოპულარული სპეციალური შრომები. ესაა კარსტული მოვლენების გენეტური კვლევის დასაწყისისა და მისი პრაქტიკული ათვისების პირველი ცდების ეტაპი სოციალისტური მშენებლობის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის შემდგომი ეტაპი მოიცავს დიდ სამამულო ომის პერიოდს, 1941 — 1945 წლებს, როცა საქართველოს კარსტის კვლევა უმთავრესად ჩვენი ქვეყნის თავდაცვის მიზნებს ექვემდებარებოდა. ამ ეტაპზე საქართველოს კარსტის შესწავლის მიმართულებით მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული უმთავრესად იმერეთში, რაჭასა და სამეგრელოში გავრცელებული გამოქვაბულების გამოსაყენებლად. ესაა კარსტული და კლასტო-კარსტული გამოქვაბულების უმთავრესად გეომორფოლოგიური კვლევისა და მათი გამოყენების შესაძლებლობათა დადგენის ეტაპი.

გეოგრაფიული კვლევის მესამე ეტაპი მოიცავს სამამულო ომის შემდგომ, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური მშენებლობის ხანას, 1946—1957 წლებს. ამ ეტაპზე კარსტის გეოგრაფიული შესწავლა რამდენადმე გაცხოველდა, რაც გამოიხატა სამეცნიერო და პოპულარული შრომების გამოქვეყნებით; მაგრამ კარსტის კვლევას მაინც ეპიზოდური ხასიათი აქვს. ესაა კარსტის უმთავრესად გეომორფოლოგიური გაღრმავებული კვლევის ეტაპი.

საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის ბოლო ეტაპი მოიცავს თანამედროვე ხანას, რომელიც იწყება 1958 წლიდან და გრძელდება დღესაც. ამ ეტაპისათვის დამახასიათებელია ის, რომ საქართველოს კარსტის გეოგრაფიული კვლევა ორგანიზებულ სახეს იღებს, მუშაობა წარმოებს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების გეოგრაფიულ კათედრებზე (თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის და სოხუმის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტები და სხვ.); ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში ყალიბდება კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორია; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან იქმნება საკოორდინაციო ცენტრი სპელეოლოგიური კომისიის (ახლა საბჭოს) სახით; საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოების სამეცნიერო-კვლევით განყოფილებასთან გამოიყო კარსტოლოგია-სპელეოლოგიის სექცია; საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციაში ადრე შექმნილი სპელეოლოგიური კომისიის ბაზაზე — სპელეოსპორტის კომიტეტი, ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსთან სპელეოტურისტული სექცია, რომელსაც აქვს თავისი ქვესექციები თბილისში, ქუთაისსა („ოქროს ჩარდახთან“) და სოხუმში და სხვა. მიღებულმა ორგანიზაციულმა ღონისძიებებმა დიდად შეუწყო ხელი საქართველოს კარსტის შესწავლას. ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე ქვეყნდება სამეცნიერო და პოპულარული ხასიათის მრავალი შრომა, გამოდის სპეციალური სპელეოლოგიური კრებული და სხვ. ესაა კარსტის ფიზიკურ-გეოგრაფიული დარგობრივი და კომპლექსური (ლანდშაფტური) გაღრმავებული კვლევისა და მისი პრაქტიკული რაციონალური გამოყენების ეტაპი.

1. კარსტული გამოქვაბულების შესახებ პირველი ზოგადი ცნობების მოპოვებისა და დაგროვების ეტაპი (უძველესი დროიდან XIX საუკუნის 50-იან წლებამდე)

კარსტული მოვლენების შედეგად წარმოშობილი რელიეფის ფორმები, განსაკუთრებით გამოქვაბულები, ადამიანთა საზოგადოების ყოფა-ფხოვრებაში ძველთაგანვე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ამ მხრივ გამონაკლისს ქართველი ხალხიც არ წარმოადგენს, რომლებიც კავკასიის მიწა-წყლის ავტოქტონურ, ადგილობრივ, მკვიდრ მოსახლეობას შეადგენს (იხ. ალ. ჯავახიშვილი: [473—474, 756—757, 1414]). ადამიანთა საზოგადოების განვითარების პირველ საფეხურზე კარსტული გამოქვაბულები ქართველი ხალხის წინაპართა მიერაც კავკასიაშიც გამოყენებული იყო მუდმივ საცხოვრებლად ან დროებით თავშესაფრად. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველთა წინაპრებიც — პირველყოფილი პალეოლითელი ადამიანი არჩევდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საცხოვრებლად გამოსადეგ თუ გამოუსადეგარ გამოქვაბულებს და იცოდა სად მდებარეობდა ისინი, მაგრამ ამის შესახებ, რა თქმა უნდა, წერილობითი დოკუმენტები არ გავაჩნია. ამას ადასტურებს მრავალი პალეოლითური სადგომის მიკვლევა კარსტულ გამოქვაბულებში, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იქნა დადგენილი განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში [8, 17—22, 73—77, 79—80, 124—132, 137—140, 160—163, 229—235, 456—459, 469, 569—573, 800, 811—815, 830, 853—854, 933, 964—970, 1094, 1204—1205, 1380, 1453, 1513].

შემდეგ პერიოდში, როცა ადამიანს შეეძლო თავისი აზრი წერილობით გამოეხატა, გამოქვაბულთა შესახებ პირველი ცნობებიც ჩნდება. ამ დროს, განსაკუთრებით ფეოდალურ ეპოქაში, ზოგჯერ კარსტულ გამოქვაბულებს ქართველები დროებით თავშესაფარად ან განათსაცავად და სხვა მიზნით იყენებდა. ამ დროინდელ წარმოდგენებზე გამოქვაბულთა შესახებ უკვე შეიძლება ვიმსჯელოთ უმთავრესად ისტორიული წყაროების — ქართლის ცხოვრებისა და სხვ. მიხედვით [110, 353—356].

ფეოდალურ ეპოქის ბოლო ხანაში, განსაკუთრებით XVII—XVIII სს. და XIX ს. პირველ ნახევარში ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიულ ან მოგზაურობათა აღწერებში ჩნდება პირველი სარწმუნო ცნობები საქართველოს კარსტულ გამოქვაბულებზე და საერთოდ კარსტულ მოვლენებზე. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ კარსტულ ფორმებს, განსაკუთრებით კი გამოქვაბულებს ქართველები კვლავ იყენებდნენ ან ეს მოვლენა მათ ყურადღებას იპყრობდა.

ანტიკური მწერლების ცნობები კავკასიაში გამოქვაბულებზე

რელიეფის ფორმათა შორის კარსტული გამოქვაბულები საცხოვრებლად ყველაზე უფრო მოსახერხებელ ბუნებრივ ადგილებს წარმოადგენდა პირველყოფილი ადამიანისათვის. და მართლაც კარსტული გამოქვაბულები პირველ რიგში იყო მათ მიერ გამოყენებული. ამას ადასტურებს არქეოლოგიური შასა-ლა, რაც მოპოვებულია სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოს კარსტულ გამოქვაბულებში.

ცხადია, რომ პირველყოფილი ადამიანთა შეხედულებანი კარსტულ გამოქვაბულებზე პრიმიტიული იყო, მაგრამ მათ უკვე შეეძლოთ გაერჩიათ ისინი საცხოვრებლად კარგი, თუ ცუდი პირობების მიხედვით. წერილობითი ცნობები პალეოლითელი ადამიანის ამ შეხედულებებზე არ დაგვრჩენია და, რა თქმა უნდა, არც შეიძლება გვეჩინდეს. ამ წარმოდგენებს ჩვენამდე შეიძლება მხოლოდ მითური თქმულებების სახით მოედწია მარტო მას შემდეგ, რაც ადამიანი განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე ავიდა და თავის განცდები და ნახული მოვლენები სიტყვიერად შეეძლო გამოეხატა. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ძველი ბერძნების თქმულება ჩრდილოეთის ქარზე — ბორეასზე (Boreas), რომლის სამშობლოს ურალის მთებს და თვით დასავლეთ კავკასიონსაც კი გულისხმობენ ([1292], გვ. 189). ამ თქმულების მიხედვით ბორეასი სიცივეს იწვევს, მოაქვს თოვლი, სეტყვა და თვით ყინულიც. იგი ცხოვრობს გამოქვაბულის სიღრმეში, ხოლო შესასვლელთან დარგული აქვს ფრიქსა (Phrixia), რომელიც თოვლზე ცივია ([1282], გვ. 190; [591; 665; 937—938; 944; 971; 1355; 1439; 1495]).

ცხადია, ძველი ბერძნების თქმულება ბორეასის შესახებ წარმოადგენს წარსულის ხსოვნის გამოძახილს გამოქვაბულის მცხოვრებლებზე. თვით მითითება იმაზე, რომ ქარის ღმერთი — ბორეასი გამოქვაბულის შიგნით ცხოვრობდა, გვაფიქრებინებს, რომ ამ დროს ჰქონდათ წარმოდგენა ყინულოვან გამოქვაბულებზე და რომ ისინი გვხედებოდა როგორც ურალზე, ისე დასავლეთ კავკასიაშიც. ამ თქმულების არსებობა ა. უეაროვის აზრით ადასტურებს, რომ ძველი ბერძნები საფუძვლიანად იცნობდნენ კავკასიასაც და, რომ აქაც, დასავლეთ კავკასიაში, არსებობდა დასახლებული გამოქვაბულები ([1282], გვ. 190).

აღსანიშნავია ისიც, რომ არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის შესახებ არსებულ თქმულებაში (ძვ. წ. ა. III ს-მდე) მოხსენებულია მშრალი გამოქვაბულებიც ([247], გვ. 83, 85, 97, 114, 147, 154, 157, 177 და სხვ.; [348; 1282], გვ. 190); მსგავს ცნობებს ვპოულობთ აგრეთვე ფსევდო-პლუტარქეს (ახ. წ. ა. II ს.) ნაშრომებშიც (იხ. [665], გვ. 156; [944], გვ. 502—503; [1282], გვ. 190 და სხვ.).

სტრაბონის (I საუკუნე ახ. წ. ა.) მითითების მიხედვით დასავლეთ კავკასიაში სირაკების დაბლობის მახლობლად ტროგლოდიტები გვხვდებიან, რომლებიც „ცხოვრობენ ბუნაგებში ყინვის გამო“ ([297], გვ. 141; [379], გვ. 263); სტრაბონი აგრეთვე მოიხსენიებს ისეთ გამოქვაბულს ფნაგორიის (ტამანის — შ. ყ.) ([379], გვ. 236, 297—298) ახლო, რომელშიც დამალვაც კი შეიძლება ([297], გვ. 116—117). მისივე მითითებით პრომეთესი მიჭაჭული იყო პონტის მთების ერთ-ერთ გამოქვაბულში ([297], გვ. 223).

ამგვარად, ანტიკურ ხანაში ძველმა ბერძნებმა უკვე კარგად იცოდნენ, რომ დასავლეთ კავკასიონში არსებობდა ცივი და მშრალი გამოქვაბულები და ზოგ მათგანში ცხოვრობდა ტროგლოდიტები. მაგრამ ამ გამოქვაბულთა მდებარეობა ზუსტად არ არის მითითებული და არც სხვა ცნობებია მოყვანილი. ცხადია, რომ ისინი ბუნებრივ გამოქვაბულებად უნდა ჩავთვალოთ და დასავლეთ კავკასიონის პირობებისათვის ისინი კარსტული იქნებოდნენ.

ქართლის ცხოვრებისა და ძველი ქართული  
ლიტერატურული ძეგლების ცნობები გამოქვაბულებზე

ისტორიულ ხანაში ადამიანი თავდაცვის მიზნით არა მარტო ბუნებრივ გამოქვაბულებს იყენებდა, არამედ აფართოებდა მას და ახალსაც ქმნიდა. ამ უკანასკნელთა შესანიშნავ ძეგლებს ვაპანის, ვარძიის, შიომღვიმის, უფლისციხისა და სხვა ხელოვნურ გამოქვაბულთა კომპლექსები წარმოადგენენ. მათ შესახებ, აგრეთვე ბუნებრივ ან ნაწილობრივ ხელოვნურად გაფართოებულ გამოქვაბულებზე, ძვირფასი ცნობები მოიპოვება ქართულ ისტორიულ მატრიანეებში და ისტორიულ ძეგლებში. ძველად ამ გამოქვაბულებს ქვაბებს ან ქვაბოვანებს, ანდა ქუაბებს და ქუაბოვანებს უწოდებდნენ. მაგალითად, ლეონტი მროველი აღნიშნავს, „ქუაბს“ დილომის მიდამოებში ([216], გვ. 21), „ჭურღმულს“ (ე. ი. წყლიან ორმოს — შ. ყ.; იხ.: [354], გვ. 461), „უფსკრულს“ ([217], გვ. 74 და 96). ვახტანგ გორგასალის ქ. პონტზე ლაშქრობასთან დაკავშირებით, ჭუნშერი მოიხსენიებს ამ ქალაქის „ქუაბებს“, აგრეთვე მცხეთის დასავლეთით ადგილ მღვიმეს მიდამოებში — „ქვაბი კლდისა გამოკვეთილი“ ([516], გვ. 163 და 210). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს აგრეთვე მოხსენებული აქვს „ქუაბი“ ([81], გვ. 327). „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“—ში ლაპარაკია ვარძიის გამოქვაბულის აგებაზე ([135], გვ. 91), ქალაქ ანისში არსებულ „ქუაბიან“ ადგილზე (იქვე, გვ. 100).

XIII საუკუნის ძეგლში — „ვაპანის ქვაბთა განგება“—ში გვითხულობთ: „ვაპანის ქუაბსა შინა“ ან „ვაპანის ქუაბთჲ“ და სხვ. ([112], გვ. 63, 18; 89, 17). ვაპანი ან ვანი მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეზე, ვარძიის გამოქვაბულთა კომპლექსის ცოტა ქვემოთ.

ხვამლის გამოქვაბულის, როგორც მეფეთა განძთსაცავის შესახებ პირველ ცნობებს გვაწვდის უცნობი ისტორიკოსი — ეპითაღმწერელი. იგი აღწერს რა XIII საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს სამეფოს ორად გაყოფას გიორგი (IV)—ლაშას მემკვიდრეებს—დავით V (გიორგი ლაშას ძესა; ულუ-დავითად, ე. ი. უფროს დავითად წოდებული) და დავით IV (რუსუდანის ძესა; ნარინ-დავითად, ე. ი. უმცროს დავითად წოდებული) შორის, ჩერდება ხვამლის გამოქვაბულში არსებული განძის განაწილებაზეც. იგი წერს... „გარნა ხუამლისა ქუაბსა რომელი იდვა, მცირე გამოიღეს და გაიყვეს, და უფროსი ქუაბსავე დაუტევეს“ ([245], გვ. 243; იხ. აგრეთვე: [353], გვ. 393; [488], გვ. 172—173). ვახუშტის მიხედვით ეს გაყოფა 1259 წელს მოხდა ([110], გვ. 245; [356], გვ. 219), ხოლო ივ. ჯავახიშვილის აზრით „1262 წ. 21 აგვისტოზე უწინარეს უნდა ვიგულისხმოთ“ ([488], გვ. 174).

ბერი ეგნატაშვილი (XVII—XVIII სს.) ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტში მოიხსენიებს „ქუაბს“ ან „ქუაბებს“ ([105], გვ. 518—519 და 529). ქართლის ცხოვრების მე-2 ტომში მოხსენებულია აგრეთვე დარანი, მოხრებლი და სხვ. ([355], გვ. 558 და 276).

უკვდავი შოთა რუსთაველი (XII ს.) თავის „ვეფხისტყაოსანის“ გმირების ტარიელისა და ასმათის თავშესაფრად ქვაბი ან ქვაბნი, ანდა ქვაბოვანი აქვს მითითებული, რომელიც „კლდეთა შიგან“ მდებარეობს ([248], სტროფები და სტრიქონები: 219,2; 220,1; 221,2; 224,2; სათაური 230 სტროფის წინ; 230,2; 265,1; 654,1, 690,1, 700,2; 842,4, 844,3, 860,2, 906,4; სათაური 916 სტროფის

წინ; 916,1; 936,2; 937,1; 944,1; 998,1; 999,1; 1331,1; 1355,1; 1356,1; 1363,4; 1364,3; სათაური 1492 სტროფის წინ; 1497,1 და 1498,1).

შოთა რუსთაველის მიერ აღწერილი ქვაბი ან ქვაბნი, ანდა ქვაბოვანი და მისი მიდამოები ძლიერ ჰგავს საქართველოში ასე ფართოდ გავრცელებულ კარსტულ გამოქვაბულებს და მათ მიდამოებს. ეგების დიდ შოთას სწორედ საქართველოს კარსტული ერთ-ერთი მხარე ჰქონდა მხედველობაში, როცა თავის სათაყვანებელი გმირის ტარიელის სადგომის აღწერას პოეტური ფორმებში აყალიბებდა. მაშინდელ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში ასეთ ობიექტად უფრო შესაძლებელია გამხდარიყო ზემო იმერეთის ტერიტორია, კერძოდ ჩხერიმელას ხეობაში გავრცელებული ერთ-ერთი გამოქვაბული და სხვ. ასეთ შესაძლებლობაზე მიუთითებს ვაზ. ივერიის კორესპოდენტები ს. ჩხერელი და კორნელი. მაგალითად, ს. ჩხერელი 1896 წელს წერდა: „ამ სოფლის (ე. ი. ჩხერიმელას ხეობაში არსებული ს. ჩხერის— შ. ყ.) მახლობლად სამის ვერსის სიშორეზედ მდებარეობს სოფელი „თეთრა წყარო“. ამ სოფელში, აზნაურ წულუკიძეების მამულში არის ერთი გამოქვაბული კლდე, რომელსაც სიგარძე ნახევარი ვერსის ოდენი ექნება, სიმაღლე ხუთ საუენამდე და სიგანე ათ საუენზედ ცოტა მეტი. ეს კლდე ძალიან გვაგონებს იმ კლდეს, რომელიც უკვდავ შოთა რუსთაველსა აქვს აწერილი „ვეფხვის-ტყაოსანში“, სადაც ვეფხვის-ტყაოსანის ორმა გმირმა, ავთანდილმა და ტარიელმა ერთმანერთი ნახეს. კლდის წინ იგივე შაბნარია, ტყე და პატარა ხევი, როგორც ვეფხვის-ტყაოსანშია ნათქვამი. გამოქვაბულ კლდეს მცხოვრებლები უწოდებენ „დევის სადგურსა“. ეს კლდე მე თვითონ ვნახე ამ ცოტა ხანში და სწორედ შესანიშნავია თავის მოყვანილობით და ღირსია ჩვენი არქეოლოგების ყურადღებისა“ [443]. სხვათა შორის ეს გამოქვაბული დევისხვრელი უნდა იყოს, რომელიც გ. ნიორაძის არქეოლოგიური გამოკვლევების წყალობით [229—230, 1094] ასე ფართოდაც ცნობილი პალეოლითელ ადამიანის სადგომთა შორის. ვაზ. ივერიის მეორე კორესპოდენტია კორნელი 1887 წელს, აღწერს რა სოფ. ძეგრის მიდამოებს, განსაკუთრებით კი მდ. ძეგრულას სათავეებში არსებულ გამოქვაბულებს, აღნიშნავს, რომ „საზოგადოთ ეს ადგილი ძალიანა ჰგავს „ვეფხვის-ტყაოსანში“ აღწერილ ტარიელის სადგომს; ამას ისიც დავუმატოთ, შენიშნავს ავტორი, რომ ხალხი ერთ გამოქვაბულთაგანს პირდაპირ ტარიელის სადგომს უწოდებს“ ([170], გვ. 3).

ამავე ლიტერატურულ ძეგლში მოხსენებულია აგრეთვე შემდეგი ტერმინებიც: ქვესკნელი ([248], გვ. 97,3; 133,4 და 1319,4), გვირაბი (გვ. 1243,1; 1300,2 და 1392,1) და ზვრელი (გვ. 1243,3 და 1420,1).

როგორც ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, ფეოდალურ საქართველოში, სახელდობრ XI—XVII სს. ისტორიულ და ლიტერატურულ ძეგლებში დაცულია ბევრი მნიშვნელოვანი ცნობა უმთავრესად ხელოვნურ გამოქვაბულებზე, რომელთაც ამ ხანაში თავშესაფრად, ციხესიმაგრეებად ან სხვა მიზნით იყენებდა ქართველი ხალხი. ამავე მიზნით ნაწილობრივ იყენებდნენ ბუნებრივ, კერძოდ კარსტულ გამოქვაბულებსაც; მაგალითად, ხვამლის გამოქვაბული ცნობილია როგორც მეფეთა განძთსაცავი. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ამ ხანაში ცნობილი იყო სხვა კარსტული გამოქვაბულებიც, რომელთა ნაწილსაც ზემოაღნიშნული მიზნით იყენებდნენ. მაგრამ ამ გამოქვაბულთა შესახებ ჭკრჭკრობით ცნობები აღმოჩენილი არ არის. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ დასახელებულ და სხვა ძეგლებში შემორჩენილია კარსტმცოდ-

ნობითი ბევრი ტერმინი, რომელსაც დღესაც ხმარობენ, ან მომავალში შეიძლება იქნას გამოყენებული.

არქ. ლამბერტის ცნობები სამეგრელოს კარსტის შესახებ (XVII საუკუნის 50-იანი წლები)

როგორც ცნობილია, იტალიელმა მისიონერმა არქანჯელო ლამბერტმა 1654 წელს გამოაქვეყნა შრომა სამეგრელოს აღწერა [1477]. ეს შრომა შედგენილია სამეგრელოში მოგზაურობისა და ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად, 1633—1649 წწ. ([487], გვ. 121). იგი ახასიათებს რა ოდიშის (სამეგრელოს) რელიეფს, წერს: „ფიქრობენ, რომ მიწაში მრავალი მღვიმე არისო, რადგან მრავალ ადგილას, როცა ცხენი გარბის, მიწას ჟღერის ხმა გააქვს, რისი ახსნაც მხოლოდ იმით შეიძლება, რომ ძირს მღვიმეები უნდა იყოს“ ([175], გვ. 5; [943, 1477]).

არქანჯელო ლამბერტის აზრითვე შავსა და კასპიის ზღვებს შორის მიწისქვეშა კავშირი არსებობს. ამის შესახებ იგი წერს: „საზოგადო აზრით, ამის მიზეზი ც. ი. კასპიის ზღვის წყალი მარილიანია და მასში წყლის რაოდენობა არ მატულობს, მიუხედავად მდინარეთა შერთვისა — შ. ყ.) ის არის, რომ მისი წყალი ერთვის შავი ზღვის წყალს მიწისქვეშეთის არხებით. ამის უარყოფა შეუძლებელია, თუმცა არავის არ გამოუცვლევია, თუ სად არის ეს არხები. მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ზოგი ასეთი არხი კოლხიდაში უნდა იყოს. ამის დამამტკიცებელი ის არის, რომ კოლხიდაში მე მრავალ ადგილას შემონიშნავს, განსაკუთრებით მინდვრებში, როცა ცხენი მიჰყვება, მიწისქვეშ რალაც გუგუნი ისმის, რომელიც ცხადად გვიჩვენებს, რომ იქ დიდი ცარიელი სივრცე უნდა იყოს: ეს სიცარიელე უძველესი ნიშანია, რომ მისი შემწეობით ორსავე ზღვას კავშირი აქვს ერთმანეთთან. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ ორივე ზღვაში მრავალი თევზია ერთის და იმავე ჯიშისა“ ([175], გვ. 176—177).

რა თქმა უნდა შავ და კასპიის ზღვებს შორის მიწისქვეშა არხების საშუალებით კავშირი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ არქანჯელო ლამბერტის მითითება სამეგრელოში მიწისქვეშა სიცარიელების არსებობაზე სინამდვილეს შეესაბამება, თუმცა არა ისეთი მნიშვნელოვანი სიდიდისა, როგორც იმას იგი გულისხმობდა. არქანჯელო ლამბერტის მიერ მითითებული მიწისქვეშა სიღრმეები, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ის კლასტოკარსტული გამოქვაბულები, რომლებიც ამ ბოლო დროს გახდა გაცხოველებული კვლევის ობიექტი. ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ არქანჯელო ლამბერტისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ზოგიერთი ასეთი გამოქვაბული, თუმცა იგი ამას არ აღნიშნავს.

ქართულ მეცნიერ-სწავლულთა და უცხოელ მოგზაურთა ცნობები კარსტზე (XVIII საუკუნის 20—40-იანი და 80-იანი წლები)

ქართველი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის ცნობილ შრომაში, — „ლექსიკონი ქართული“ [239], რომლის შედგენა მან XVIII საუკუნის პირველ მეოთხედის ბოლოს დაასრულა, მოიპოვება მთელი რიგი კარსტოლოგიური ტერმინი და მოცემულია მათი სათანადო განმარტება, მაგალითად: ბაქანი (გვ. 101), ბელლოგი (გვ. 105), გვიმი ან გვიმი (გვ. 162, 184), ღარანი (გვ. 201), ეხი (გვ. 254), მთხრებლი, მთა შორის: მღვიმე ან მღვმე, ორმო, ჭა, კნარცი, ჯურღმული (გვ. 481—482, 539, 608; აგრეთვე: გვ. 396, 440, 462), პარე-

ხი (გვ. 617), სასულე (გვ. 58), სორო (გვ. 109), ქვაბი (გვ. 713), ღრუ (გვ. 256), ღრუღო (გვ. 257) და სხვ.

სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონში შეტანილი ამ ტერმინების ნაწილი დღესაც იხმარება, ხოლო დანარჩენი საჭიროა აღდგენილ იქნას. ამასთან ეს ლექსიკონი გვეხმარება ზოგიერთი ტერმინის მნიშვნელობის დაზუსტებაში, მაგალითად, მღვიმისა და გამოქვაბულის და სხვ. (იხ. ქვემოთ).

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობის თხზულებაში — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (საქართველოს გეოგრაფია) [108—109, 111, 356, 612], რომლის შედგენა 1745 წელს დასრულდა, ვხვდებით აღმოსავლეთ საქართველოში ასე ფართოდ გავრცელებულ ხელოვნურ გამოქვაბულთა აღწერასთან ერთად, დასავლეთ საქართველოს კარსტულ გამოქვაბულებზე და, როგორც ჩანს, ზოგიერთ კარსტულ მოვლენაზეც მეტად საინტერესო ცნობებს. ეს ცნობები შეეხება ხვამლის, ყვირილის ხეობის, ძევერის და მღვიმევის კარსტულ გამოქვაბულებს და სხვ.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ვახუშტის თხზულებაში აღნიშნული ის გამოქვაბულები, ყინულოვანი ჭები და სხვა, რომლებიც დასავლეთ საქართველოს კარსტულ ზოლშია გავრცელებული; ასეთები ვახუშტის რამდენიმე აქვს დასახელებული და მოკლედ დახასიათებული; სახელდობრ შემდეგ: 1) „გელათის სამკრით, აქვე მთაში, არს ქუაბნი, გამოკუეთილნი კლდესა შინა, მრავალნი, განშორებულთათვის, და აწ ცარიელ არს“ ([356], გვ. 754, 13—14), 2) „ძევერის წყალზედ, კიდს ზეით, არიან ქუაბნი დიდ-დიდნი, გამოკუეთილნი, მრავალნი, კლდესა შინა, დასავლით. და არს ქუაბი ერთი დიდ-ფრიად, რამეთუ კაცთა ქმნულად გასაკვირვებლად. ამ ქუაბსა შინა გამოსდის მდინარე ორი ნაჯადულე წყაროდ, და არს მას შინა კალმანხი მრავალ. ამ ძევერულას, ამ ქუაბს ზეით, ერთვის კევი ქ უ ე ვ რ უ ლ“ (იქვე, გვ. 755, 11—16); 3) მღვიმევის გამოქვაბულის — ქვაბის შესახებ იგი სწერს, რომ: „ქუაბსა შინა დის წყარო დიდი და კეთილი“ (გვ. 759, 25); 4) „სუერის წყლის შესართავიდან მღვმე — საჩხერამდე, ამ ყვირილას იქით და აქეთ კიდენი არს ფრიად მაღალი კლდე, და არიან მას შინა ქუაბნი მრავალნი, გამოკუეთილნი სახიზრად და შეუალი მტრისაგან, და საკვრველი, თუ ვითარ უქმნიათ“ (გვ. 760, 1—4); 5) „რიონის დასავლეთით, მთის ძირს, არს ხო მ ლ ი ს კ ლ დ ე, ფრიად მაღალი. მოიგო ამან სახელი ესე სიმაღლით, ხომლის ვარსკვლავის სწორობით. ამ კლდეში არს ქუაბი გამოკუეთილი, მტრისაგან შეუალი, მეფეთა საგანძურთ სადები“ (გვ. 762, 9—12).

რაკაში, შაორის ამოქვაბულის მიდამოებში ვახუშტი მიუთითებს ყინულოვანი ჭის არსებობაზე. იგი წერს: „ამ ქვეზედ (ვახუშტით „სხოვისხეზე“; სხვა-ვისხეზე—შ. ყ.) არს ორმო დიდი, ვრცელი და ღრმა, რომელსა შინა დის წყარო, და ვერ განწყინავს ზამთარს, არამედ ზაფხულის ჰყინავს სრულიად, რომელი ამოულეველი არს, რაოდენცა სუას მრავალმან კაცმან, გარნა თუ შთავიდე სკაი უცხო, თვნიერ მუნ მყოფისა, აციეებს წელსა ერთსა“ (გვ. 764, 12—17).

ვახუშტი ბუჯის ხეობაში, ხრეთს ქვემოთ მიუთითებს წყაროს არსებობაზე, რომელიც მისი აღწერის მიხედვით კარსტულ წყაროს — ვოკლუზს უნდა წარმოადგენდეს. იგი წერს: „ბუჯაზედ არს, ქვა-ციხეს მდინარის კიდურზედ, წყარო გამომდინარე, რომელსა გაზაფხულს მოუდგამენ გოდორსა და ალივების წურილის თევზითა, წყაროდან გამოშვალთა, ვითარ ვერ მოასწრებენ აღ-

მოღებდას. სამ თთუე ოდენ ესრეთ, მერმე არღარა, და უწოდებენ ამას ღრუ-  
ღოს“ (გვ. 756, 12—16)<sup>7</sup>.

ამგვარად, შედარებით ზუსტ, იმ დროისათვის მეცნიერულ ცნობებს სა-  
ქართველოს კარსტის შესახებ პირველად ქართულ წყაროებს შორის ვახუშტის  
შრომებში ვნახულობთ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცნობები ეხება  
დასავლეთ საქართველოს კარსტულ ზოგიერთ ფორმის, განსაკუთრებით გამო-  
ქვაბულების მორფოგრაფიულ დახასიათებას (აგრეთვე განსაზღვრულია და გა-  
შუქებულია მათი მდებარეობა და მნიშვნელობა) და ყურადღება არ ექცევა მათ  
გენეზისს, ამ ცნობებს დღესაც არ დაუქარგავთ თავისი მნიშვნელობა, როგორც  
პირველ წყაროს. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ქვეყნის მეც-  
ნიერული აღწერა მაშინ სწორედ ასეთნაირად წარმოებდა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელე-  
ბულ ხელოვნურ გამოქვაბულებს — ქუაბებს ვახუშტი ჰყოფს სიდიდის, რაო-  
დენობის, კლდოვანების, სიმაღლითი გავრცელების, მისადგომობის, გამოყენე-  
ბისა და სხვა ნიშნების მიხედვით. მაგალითად: 1) „ქუაბი“ ([356], გვ. 538,2);  
2) „ქუაბნი გამოკუეთილნი“ (იქვე, გვ. 328,25 და 353,11); 3) „ქუაბნი გამო-  
კუეთილნი მრავალნი“ (გვ. 364,23—24) ან „გამოკუეთილნი ქუაბნი მრავალ-  
დიდნი“ (გვ. 366,18 და 547,1—2); 4) „ქუაბნი კლდისანი და კოშკოვანი“ (გვ.  
375,4—5); 5) „ქუაბნი, გამოკუეთილნი კლდისაგან, მრავალნი“ (გვ. 350,5—6);  
6) „ქუაბნი გამოკუეთილნი მაღალსა კლდესა შინა მრავალნი“ (გვ. 345, 2—3;  
370, 19—20) ან „კლდესა შინა არიან ქუაბნი გამოკუეთილნი ფრიად მაღალსა“  
(გვ. 357,26—27); 7) „დიდს მაღალს კლდესა შინა, ქუაბნი გამოკუეთილნი დიდ-  
დიდნი“ (გვ. 650,8); 8) „გამოკუეთილნი კლდესა შინა ქუაბნი მრავალნი სახი-  
ზრად“ (გვ. 669,13—14); 9) „ქუაბნი, კლდეთა მაღალთა შინა გამოკუეთილნი  
სახიზრად“ (გვ. 323,19—20); 10) „კლდესა შინა გამოკუეთილნი ქუაბნი დიდ-  
დიდნი, სახიზრად“ (გვ. 666,27); 11) „ქუაბნი კლდისა გამოკუეთილნი, ფრიად  
მაგარნი და შეუალნი“ (გვ. 682,4 — 5); 12) „ქუაბნი გამოკუეთილნი, დიდ-დიდ-  
ნი, კლდესა შინა და აწ უქმნი“ (გვ. 665,4—5); 13) „მაღალს კლდესა შინა ქუა-  
ბნი მრავალნი, და მას ქუაბსა შინა მდებარებენ წიგნნი მრავალნი ძუელნი, არა-  
მედ კაცთა აუსვლელობით უქმარ არიან“ (გვ. 308, 13 — 15); 14) „ქუაბნი  
კლდისა, რომელ არს ზამთარ თბილი, ვითარცა აბანო, და ზაფხულს დის წყა-  
რონი კლდიდამ; მას წყაროს ჰყინავს, და არს ყინული ფრიად წმინდა და მრავ-  
ალი, ზიდვენ ზაფხულს მეფისათვის“ (გვ. 321,23—26).

გარდა ქვაბებისა, ვახუშტი ასახელებს აგრეთვე გვირაბებს (გვ. 366, 16;  
367,6), დარანებს — „დარანნი<sup>8</sup> დიდ-დიდნი“ (გვ. 327,23) და მღვიმეებს (გვ.  
350,7 და 759,23).

<sup>7</sup> ღრუღო მ. ჯანაშვილს გაგებული აქვს როგორც საკუთარი სახელი და ამ ადგილს რუსულად  
შესაბამისად ასე თარგმნის: «и его называли Грудо (ღრუღო)» ([612], გვ. 207), რაც, ჩემი აზრით,  
მხოლოდ ნაწილობრივ არის სწორი, რადგან სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ღრუღოს  
წოდებენ მდინარისა და კიღეთა წყაროსა, გამომდინარესა კლდის ქურღეთაგან, ზამთარ თევზთა  
საბუნავოსა“ ([239], გვ. 735; იხ. აგრეთვე ნ. ჩუბინაშვილი [439], გვ. 412).

<sup>8</sup> სხეთა შორის დარანნი-სა, აგრეთვე ნაწილობრივ კარკნალის მნიშვნელობა მ. ჯანაშვილს  
ზუსტად არ აქვს გაგებული, ამიტომაც, რომ იგი ვახუშტის გეოგრაფიის შესაბამ ადგილს, სახელდობრ:  
„საკი არს კარკნალი და დარანნი დიდ-დიდნი“ ([356], გვ. 327, 23) თარგმნის ასე: «Где имеется  
скалистая гора и грандиозный разселены» ([612], გვ. 51). დარანნი სულხან-საბა ორბელიანის  
განმარტებით: „ყლდესი, ანუ მიწას ქუშუ შესასვლელი“ ([239], გვ. 201), ე. ი. გამოქვაბულის მსგავს  
ფორმას წარმოადგენს, რაც შეეხება კარკნალს (ან კარკარს — შ. ყ.) იგი „წულტუ კლდეს“ ანუ  
„სალო კლდეს“ ნიშნავს (იქვე, გვ. 358, 381—382).



XVIII საუკუნის მე-3 მეოთხედში, სახელდობრ 1771 — 1772 წლებში, ახალგაზრდა გერმანელმა მეცნიერმა ექიმმა და ბუნებისმეტყველმა იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა საქართველოში იმოგზაურა ([487], გვ. 122; [723], გვ. 103—104; [1123]). ამ მოგზაურობის შედეგად ი. გიულდენშტედტმა შეადგინა ვრცელი მონოგრაფია, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ, პირველად სან-პეტერბურგში გამოიცა 1787 და 1791 წწ. პ. პალასის ხელმძღვანელობით ორ ტომად [1440]; შემდეგ აღნიშნული შრომა ქვეყნდება რუსულ ენაზეც 1809 წელს სან-პეტერბურგში [740] და გერმანულ ენაზე ი. კლაპროთის მიერ 1815 წელს ბერლინში [1441]. ეს შრომა 1962 წელს გამოსცა გ. გელაშვილმა ქართული თარგმანითურთ და შენიშვნებით [65]. ჩვენ ძირითადად ამ ბოლო გამოცემით ვსარგებლობთ.

ი. გიულდენშტედტს რაჭაში, იმერეთსა და სამეგრელოში მოგზაურობის აღწერისას მოჰყავს ამ მხარეში გავრცელებული კარსტულ ფენომენებზე საინტერესო, განსაკუთრებით მორფოგრაფიული და ნაწილობრივ გენეტური ხასიათის ცნობები. მათ შორის აღსანიშნავია რაჭის შესახებ მოყვანილი ცნობები, მაგალითად: 1) ხოტევის ქვემოთ დამდგარი ტბის შესახებ ([65], გვ. 115); 2) სოფ. აგარის ახლომდებარე ტბაზე (იქვე, გვ. 131 და 133) და 3) შაორის ამოქვაბულის შესახებ, კერძოდ მდ. შაორის დაკარგვაზე კირქვიან ხეობაში და მის გამოსასვლელზე — შარაულაზე; აქ არსებულ გამოქვაბულთა სტრატოტიპებზე; ამასთან მიუთითებს, რომ წყალი აქ ორ ადგილას გამოდის და უფრო მეტია, ვიდრე გაუონის ადგილზე შაორას აქვსო (გვ. 131 და 133; [740], გვ. 327—328).

ი. გიულდენშტედტი აგრეთვე მიუთითებს, რომ იმერეთში მდ. წყალტუბო სათავეს ღებულობს კირქვიან კლდის პორიზირებულ ნაპრალიდან და იძლევა ამ ნაპრალის ზომებს (გვ. 147). ამასთან აღნიშნავს, რომ ეს მხარე უწყლობით ხასიათდებაო (იქვე).

გარდა ამისა ი. გიულდენშტედტი ასახელებს კირქვიან ქედებს ან კლდეებს, მაგრამ მათ სხვა თავისებურებაზე არაფერს ლაპარაკობს. მათ შორის აღნიშნულია: 1) კახეთში, სოფ. ლალისყურის ახლო ჩრდილოეთით კირქვიანი კლდე ([65], გვ. 35); 2) რაჭაში კირქვიანი კლდე მდ. ჭეჭორის ხეობაში (იქვე, გვ. 109); 3) კირქვიანი კლდე ამბროლაურის რაიონში, რაც მდინარე რიონის შევიწროებას იწვევსო (გვ. 113 და 115) და კირქვიანი მთები აღწერილი აქვს სოფ. სხარტალის მიდამოებში (გვ. 127); 4) იმერეთში, ქალაქ ქუთაისის მიდამოებში, მდ. რიონის ხეობა შევიწროებულია გვერდითი კირქვიანი ქედითო (გვ. 139 და 143) და რომ რიონი ფიქალიანი მთებიდან შედის კირქვიან მთიანეთში, ხოლო შემდეგ ბარზე გამოდისო (გვ. 287); 5) მონასტერი გელათი დგას კირიანი კლდეების მწვერვალებზე, რომელიც ალაგ-ალაგ სრულიად გაშიშვლებულია (გვ. 145); 6) მდინარე წყალწითელა კირიან მთებიდან გამოდისო (იქვე); 7) კირიან მთებს აღნიშნავს აგრეთვე იგი ქუთაისის დასავლეთით; 8) კირქვიანი მოვაკებული მდლობო აღნიშნული აქვს მდ. წყალტუბოს აღმოსავლეთით (გვ. 147); 9) მდ. მდ. ბუჯა და ძუსა, ძვერულა და ჭიშურა მოედინება ქუთაისთან ალაპების კირქვიან მთებიდან (გვ. 167); 10) რომ ოკრიბის მხარე მდებარეობს ფიქალოვანი და კირქვიანი მთების სამხრეთ კალთაზე (გვ. 297); 11) სამეგრელოს, სამხრეთ-დასავლეთით, კირქვიანი მთები გამოყოფენ ლეჩხუმისაგანო (გვ. 321); 12) დანგრეული ციხე სკანდესთან კირქვიანი მთის ძირას ვრცელდებაო (გვ. 169).

ფრ. დიუბუა დე მონპერეს და სხვათა ცნობები  
კარსტის შესახებ (XIX საუკუნის 30—40-იანი წლები)

ი. გიულდენშტედტის შემდეგ, 1830-იან წლებში საქართველო ინახულა შვეიცარიელმა მეცნიერმა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ [1124]. ამ მოგზაურობის შედეგები პარიზში 1839—1843 წლებში ექვს ტომად იქნა გამოცემული ატლასის დართვით [1415]. ამ შრომაში ფრ. დიუბუა დე მონპერე აღწერს რიგ კარსტულ ფორმებს, მაგალითად: 1) წყალწითელას ხეობაში არსებულ იახონის გამოქვაბულს და ადგენს გეგმას ([1415], ტ. II, გვ. 175 და 194 და ატლასი, მე-2 სერია, გეგმა XV); 2) მღვიმეის გამოქვაბულს და ადგენს მის გეგმას (იქვე, ტ. III, გვ. 164 და ატლასი, მე-2 სერია, გეგმა XV); 3) ყინულიან გამოქვაბულს ხოტევეთან (ტ. II, გვ. 378—382 და ატლასი, მე-2 სერია, გეგმა XIX—6); 4) მღ. შაორის დაკარგვის ადგილს და ადგენს ადგილ ხერგის გეგმას (ტ. II, გვ. 380—381 და ატლასი, მე-5 სერია, გეგმა III); 5) აღნიშნავს საირმის კირქვიან სვეტებს (ტ. II, გვ. 430—438) და სხვ. დასახელებული ობიექტების მორფოგრაფიულ აღწერასთან ერთად, იგი ნაწილობრივ ჩერდება მათ გენეზისზეც.

ამავე პერიოდის სამთო მოხელებების ვოსკობონიკოვისა და გურიევის ანგარიშში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გეოგნოსტიკურ გამოკვლევასთან დაკავშირებით, ვნახულობთ მითითებას კარსტულ მოვლენებზე, მაგალითად, სოფ. ლიკუფშიდანოს ჩრდილო-ჩრდილო-დასავლეთით ახიძინხუს მთებში, რომ აფშრის ტყვიის მადნის მიღამოები უწყლობით ხასიათდება ([657], გვ. 332—333).

მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ პირველი ცნობები კავკასიის გამოქვაბულების შესახებ ანტიკური მწერლების თხზულებებში მოიპოვება. რაც შეეხება საკუთრივ საქართველოს გამოქვაბულებს, ამ მხრივ პირველ წყაროს ჭერჭერობით ქართლის ცხოვრება და შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს.

საინტერესო ცნობები მოიპოვება სამეგრელოში გავრცელებულ მიწისქვეშა სიცარიელებზე იტალიელ მისიონერის არქანჯელო ლამბერტის შრომაში (XVII საუკუნის 50-იანი წლები).

პირველი აღწერითი ხასიათის ცნობები საქართველოში გავრცელებულ კარსტულ მოვლენებზე მოიპოვება ვახუშტი ბაგრატიონის ცნობილ შრომაში — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია)“ (XVIII საუკუნის 40-იანი წლები). საქართველოში წარმოდგენილი კარსტული ფენომენები აღწერილი აქვს უცხოელ მოგზაურებსაც, მაგალითად ი. გიულდენშტედტს (XVIII ს. 80-იანი წლები) და ფრ. დიუბუა დე მონპერეს (XIX ს. 30—40-იანი წლები).

ამ ეტაპის ლიტერატურულ წყაროებში მოცემული ცნობები საქართველოს კარსტულ ფენომენების შესახებ ზოგად აღწერილობით ხასიათს ატარებენ.

## 2. კარსტული მოვლენების რეგისტრაციისა და მათი მორფოგრაფიული-მორფომეტრიული აღწერის საწყისი ეტაპი (XIX საუკუნის მე-2 ნახევარი)

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის მეორე ნახევარი ხასიათდება ბუნებისმეტყველების განსაკუთრებული სწრაფი აღმავლობით. რუსეთში ამას

ხელს უწყობდა კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება, განსაკუთრებით 60-იანი წლების რეფორმის შემდეგ. ამავე პერიოდში რუსეთის მეფის მთავრობა დიდ დანტერესებას იჩენს კავკასიით, კერძოდ საქართველოთი. ეს ინტერესი გაპრობებული იყო ამ ქვეყნის როგორც სტრატეგიული მდებარეობით, ისე ეკონომიური მნიშვნელობით. ამან გამოიწვია ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობების შესწავლისადმი ინტერესის გაღვივება და ტოპოგრაფიული ავეგმების განხორციელების საქიროება. ამ მუშაობაში ებმება სხვადასხვა სპეციალობის რუსი ბუნებისმეტყველები და სამხედრო ტოპოგრაფები. ნაწილობრივ მონაწილეობა აკრთვე უცხოელი სპეციალისტებიც. ყალიბდება მთელი რიგი დაწესებულებები, მაგალითად: კავკასიის სამთო სამმართველოს გეოლოგიური განყოფილება (1873 წ.), რომელიც შეუდგა კავკასიის, კერძოდ საქართველოს ტერიტორიის სისტემატურ გეოლოგიურ ავეგმვას და ამ პერიოდში ძირითადად განახორციელა კიდეც; იქმნება კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ტოპოგრაფიული განყოფილება (1847 წ.), რომელმაც დაიწყო და ძირითადად განახორციელა კავკასიის ტერიტორიის ტოპოგრაფიული ავეგმვები ჭერ წვრილ და შემდეგ მსხვილ მასშტაბში; ყალიბდება სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებებიც, მათ შორის სამმპერატორო რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება (1850 წ.) და სხვ. ეს საზოგადოება დიდ დახმარებას უწყვედა ცალკეულ სპეციალისტებს მივლინების მოწყობაში და მიღებულ შედეგების გამოქვეყნებაში.

საქართველოს ტერიტორიის ბუნებრივი პირობების შესწავლის გაცხოველებასთან და ტოპოგრაფიულ ავეგმვების დაწყებასთან დაკავშირებით, ცხადია, სათანადო სპეციალისტებს არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიექციათ ჩვენი ქვეყნის ბუნებისათვის მეტად დამახასიათებელ კარსტულ ლანდშაფტისათვის. და მართლაც, გასული საუკუნის მეორე ნახევარში, ბუნებისმეტყველთა ან სხვა სპეციალისტის პირობის მიერ შესრულებულ შრომებში, ჩვენ ვნახულობთ მეტად საინტერესო მონაცემებს საქართველოში გავრცელებულ კარსტულ მოვლენებზე. ეს ცნობები უმეტესად ამა თუ იმ პროფილის შრომის ძირითად საკითხებთან არის მოხსენებული, მაგრამ გვაქვს ისეთი ნაშრომებიც (მართალია შედარებით ძალიან მცირე), რომლებიც მხოლოდ კარსტული, განსაკუთრებით მიწისქვეშა ფენომენების დახასიათებისადმი მიძღვნილი. აღსანიშნავია, რომ კარსტული ფორმები დახასიათებულია უმთავრესად მორფოგრაფიულად. რაც შეეხება მათ გენეზისს ეს მეორე რიგში არის მოქცეული ან სრულიად არ არის გაშუქებული.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით გამოვავლინოთ საქართველოს კარსტის შესწავლილობა გასული საუკუნის მეორე ნახევრისათვის ამა თუ იმ დარგში ჩატარებულ სამუშაოებთან დაკავშირებით.

### ცნობები კარსტზე სამხედრო ან სამხედრო-სტატისტიკურ შრომებში

1870 წელს ქვეყნდება პოლკოვნიკ კრავეიჩის მიერ შედგენილი რიონის მხარის სამხედრო მიმოხილვა [922]. ამ შრომაში მხარის ბუნებისა და სხვა პირობების სამხედრო თვალსაზრისით დახასიათებასთან დაკავშირებით, მოყვანილია ცნობები კარსტულ მოვლენებზეც. მათ შორის აღსანიშნავია: 1) შორის ამოქვამულის მორფოგრაფიული აღწერა, მდ. შორის გაყონვა ცარსტულ კირ-

ქვებში და შემდეგ გამოსვლა შარაულას სახით (იქვე, გვ. 181); 2) მდ. ტყიბულის გაჯონვა ადგ. წყალდასავალის (ქვაშეგდეს) მიდამოებში და შემდეგ მისი გამოსვლა მდ. ძვერულას სახით (იქვე, გვ. 23); 3) ცნობები მდ. ჭინურაზე (გვ. 24); 4) მდ. ყვირილას შუა ნაწილი, რომელიც აგებულია კირქვის ჰორიზონტული შრეებისაგან და რომ ამასთან დაკავშირებით აქ ბევრი გამოქვაბულები და ენები გვხვდება (გვ. 41).

3. მეფესკი ყოფ. ქუთაისის გუბერნიის სამხედრო-სტატისტიკურ აღწერასთან დაკავშირებით [974] იძლევა მხარის გეოგრაფიულ ნარკვევსა და მიუთითებს ზოგიერთ კარსტულ მოვლენაზე; მაგალითად: 1) ბზიფის ქედზე მ. ჩეპ-შარასა და ჩედიმის მიდამოებში აღნიშნავს ვრცელი საძოვრების არსებობას, მაგრამ ზაფხულის მიწურულში, აგვისტოში ამ საძოვრებზე წყლის ნაკლებობა იგრძნობაო; 2) აღნიშნავს იმასაც, რომ ამ მხარეში დიდი რაოდენობით მოდის ატმოსფერული ნალექები, ხოლო გრუნტი ადვილადხსნადი ქანებით არის აგებული, რაც იწვევს ჩამოქცევებსა და მეწყერების განვითარებას; მაგალითად; ამ მოვლენის შედეგად წებელდის მიდამოებში ამტყელის ტბის ქვაბურიც კი წარმოიშვაო (იქვე, გვ. 49—50).

### კარსტული მოვლენების დახასიათება მხარის გეოლოგიურ შესწავლასთან დაკავშირებით

1852 წელს გამოქვეყნებულ სტატიებში აბრიუცკი II წებელდის მიდამოების გეოგრაფიულ (ოროგრაფიულ) დახასიათებასთან ერთად ჩერდება მისი სუბსტრატის კარბონატულ აგებულებაზე და ამასთან მოჰყავს ზოგიერთი ცნობა კარსტულ მოვლენაზე [528<sup>9</sup> — 529, 1371].

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰარმან აბიხის კავკასიის გეოლოგიური დახასიათებისადმი მიძღვნილი შემაჯამებელი შრომა, რომელიც 1858 წელს გამოქვეყნდა [1370]. ამ შრომაში იგი მიუთითებს რაჭისა და ოკრიბის ქვაბულის შემომზღუდავ ქედებზე კარსტული მოვლენების გავრცელებაზე; მაგალითად, გამოქვაბულისებრი ორმოებისა და თავისებურ ჰიდროგრაფიაზე, თუმცა ამას იგი კარსტულს კი არა, არამედ არასწორად პლუტონურ პროცესებს უკავშირებს. ჰ. აბიხი მიუთითებს, რომ პლუტონური პროცესებით გაპირობებულია ხაზობრივად გავრცელებული ამ ქედების გამყოლი ნაბზარებისა და ნაპრალების განლაგების მიმართულება; ეს უკანასკნელი იწვევს განსაკუთრებულ ჰიდროგრაფიულ მოვლენებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ზოგიერთი მდინარე, მაგალითად, შაორი (ჰ. აბიხით: Tschkharula — შ. ყ.) და ტყიბულა უეცრად იყარაბიან და შემდეგ 2—4 ვერსის მიწისქვეშა გზის გავლის შემდეგ გამოდიან ზედაპირზე ([1370], გვ. 23—29 ან 383—389).

აღსანიშნავია გ. შუროვსკის კავკასიის გეოლოგიური დახასიათებისადმი მიძღვნილი შრომა [1353]. ამ შრომაში რეფერირებულია ის გამოკვლევები, რომლებიც კავკასიის გეოლოგიას შეეხება (ფრ. დიუბუა დე მონპერეს, ჰ. აბი-

<sup>9</sup> სხვათა შორის ვაზ. კავკასში 1852 წელს გამოქვეყნებული ხელმოწერილი ნარკვევი [528], ჩენი აზრით, აბრიუცკი II მიეკუთვნება; ამაში გვარწმუნებს მისი ტექსტის სრული იდენტურობა ამავე წელს აბრიუცკი II ხელმოწერით გამოქვეყნებულ სტატიათა [529]. მათ შორის სხვაობა მხოლოდ იმაშია, რომ ამ უკანასკნელში უფრო დეტალური მასალა მოყვანილი ამ მხარის სუბსტრატის ლითოლოგიურ შედგენილობაზე.

ხის და სხვ. შრომები); აზიის შრომების დახასიათებისას იგი მთლიანად იზიარებს მის აზრს რაჭის ქედისა და ოკრიბის ქვაბულის შემომზღულად ქედებზე გავრცელებულ კარსტულ მოვლენების შესახებ ([1353], № 3, გვ. 97).

როგორც ცნობილია, კავკასიის გეოლოგიური შესწავლა განსაკუთრებით წინ წავიდა კავკასიის სამთო სამმართველოს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. ამ სამმართველოს თანამშრომლების მიერ დიდი მუშაობა იქნა გაწეული კავკასიის ტერიტორიის გეოლოგიური აგებმის საქმეში (სპ. სიმონოვიჩი, ლ. ბაქევიჩი, ა. სოროკინი, გ. წულუქიძე და სხვები). მათ ზოგიერთ შრომაში მოხსენებულია ამ მხარეში წარმოდგენილი კარსტული მოვლენები. ასეთ შრომათა შორის აღნიშნავთ რამდენიმეს. ლ. ბაქევიჩი და სპ. სიმონოვიჩი ოკრიბის მხარის გეოლოგიურ დახასიათებასთან დაკავშირებით 1873 წელს მიუთითებენ, რომ მდ. წყალწითელას მარჯვენა მხარეზე კარსტული კირქვებში განვითარებულია საკმაოდ ვრცელი იაზონის გამოქვაბული სტალაქტიტებითა და სტალაგმიტებით ([566], გვ. 5); ამასთან აღნიშნავენ, რომ ხვამლი-თაშავეს მთები, ტვიშის და ორხვის კლდის მიდამოებში აგებულია სამშენებლო კირქვების დიდი სისქის შრეებით და რომ მათში ძალიან ხშირად გვხვდება სტალაქტიტური და სტალაგმიტური გამოქვაბულები; მათივე მიუთითებით ამ სტალაქტიტებსა და სტალაგმიტებს ახასიათებთ მეტად მრავალნაირი და საკვირველი ფორმები (იქვე, გვ. 13).

სპ. სიმონოვიჩი, ა. სოროკინი და ლ. ბაქევიჩი 1874 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, რომელიც მიძღვნილია ყოფილი ქუთაისისა და შორაპნის მაზრების გეოლოგიურ დახასიათებასადმი, დაწერილებით აღწერენ მდ. ტყიბულის გაუქონვას ადგილ წყალდასავალთან და მის გამოსასვლელს სოფ. ძეგრის ზემოთ. ამასთან ისინი, როგორც ჩანს, დამსწრენი გამხდარან მდ. ტყიბულის წყალდიდობის და ამასთან დაკავშირებით ახალ სოფლის ვაკეზე დროებით გაჩენილ ტბის წარმოშობისა. შრომაში მოცემულია ამ მოვლენის მხატვრული და ნათელი აღწერა ([1182], გვ. 16—18). რომ მართლაც მდ. ტყიბულს ადგილ წყალდასავალთან ოქონება და შემდეგ გამოდის ძეგრულას სახით, ამის დამადასტურებლად აღნიშნულ მკვლევარებს მაიანია ქვანახშირის დამრგვალებული ნაქრების არსებობა მდ. ძეგრულასა და ყვირილას ხეობებში (იქვე, გვ. 21). მიუთითებულია აგრეთვე, რომ მდ. ჭერულის ხეობაში ვნახულობთ ფერდობებიდან ჩამოქცეულ კირქვის კლდეებს, ბზარებსა და გამოქვაბულებისებარ ჩაღრმავებებს, რაც მას ველურ, მეტად რომანტულ ხასიათს აძლევსო. ამასთან ერთად აღნიშნულია, რომ ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო იზრდება კირქვიანი კლდეების გარეგანი მოყვანილობით; დახასიათებულია მდ. ჭერულის სათავეში არსებული სტალაქტიტებით მორთული გამოქვაბული, რომელიც ზედაცარტულ კირქვებშია განვითარებული (გვ. 44—45); აღნიშნულია, რომ სტალაქტიტებს შორის ზოგი მათგანი გამოირჩევა თავიანთი მნიშვნელოვანი სიდიდებით, მათი სიგანე გარდიგარდმო ჭრილში 1—2 არშინს აღწევს, ხოლო სიგრძე 1,5 არშინსაო. დახასიათებულია მდ. ჭერულის ხეობა, ამასთან აღნიშნულია, რომ იგი მოგვაგონებს უზარმაზარ ნაგებობათა ნანგრევებს; კირქვიან კლდეებს აქვთ ორიგინალური მოყვანილობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ატმოსფერულმა წყლებმა ამ კლდეებში გააჩინეს თითქმის ვერტიკალური ჩაღრმავებანი, რომლებიც ზემოთ განივრია, ხოლო ქვემოთ თანდათანობით ვიწროვდებიან და ამის გამო ამ კლდეებს აქვთ ძველი ციხესიმაგრეების ნანგრევების სახე, გადარჩენილი ბასტიონებით და სათოფურებით (გვ. 45—46). ავტორები

მეტად საინტერესო მოვლენას აღწერენ მდ. ყვირილის ხეობაში გრანიტებისა და ცარცული კირქვების კონტაქტზე; ასეთ ადგილებში ცარცული კირქვებით აგებული ფლატის ძირთან მოიპოვება ტრავერტინების ნალექები. ამ ნალექების წარმოშობას აღნიშნული მკვლევარები კარსტულ მოვლენებს უკავშირებენ (გვ. 60—62).

სპ. სიმონოვიჩი, ლ. ბაევიჩი და ა. სოროკინი მეორე კოლექტიურ ნაშრომში, რომელიც ყოფილ ქუთაისის, ლეჩხუმის, სენაკისა და ზუგდიდის მაზრების გეოლოგიური აღწერაა მოცემული, ახასიათებენ მარტვილის ცნობილ ჩანჩქერს ([1183], გვ. 95—96).

აღსანიშნავია, რომ სპ. სიმონოვიჩი მოკლედ ჩერდება ტყიბულა-ძვერულის მიწისქვეშა დინებისა და საირმის კირქვების სვეტების შესახებ VII მსოფლიო გეოლოგიურ კონგრესისათვის შედგენილ მეგზურში ([1515], გვ. 2; [1516], გვ. 16).

ა. სოროკინი 1874—1875 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში მოკლედ ჩერდება მდ. მდ. ძვერულასა და ქერულას ზემოთ უკვე აღნიშნულ ჰიდროგრაფიულ თავისებურებებზე ([1206], გვ. 22).

ი. მუშკეტოვი ცნობილ ნაშრომში — ფიზიკური გეოლოგიის მეორე ნაწილში, რომელიც წარმოადგენს იმ დროის ძირითად წყაროს არა მარტო ფიზიკურ გეოლოგიაში, არამედ ზოგად გეომორფოლოგიაში, მიწისქვეშა წყლების მოქმედების დახასიათებისას კირქვიან სუბსტრატზე, მოიხსენიებს ქუთაისის ახლომდებარე იაზონის კარსტულ გამოქვაბულს ([1090], გვ. 216).

კავკასიის, კერძოდ საქართველოს გეოლოგიურ შესწავლასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობა მოჰყავთ უცხოელ მკვლევარებსაც, როგორცაა ე. ფაერი და ე. ფურნიე. ე. ფაერს ცენტრალურ კავკასიონის გეოლოგიურ დახასიათებასთან დაკავშირებით მოჰყავს ზოგიერთი ცნობა იაზონის გამოქვაბულზე ([1422], გვ. 4); მდ. ტყიბულის გაყონვაზე ლაგორიის კირქველ ქედის ქვეშ და შემდგომ მის გამოსვლაზე ძვერულის სახით (იქვე, გვ. 11 და სურ. 7); მდ. ყვირილის ხეობის აგებულების აღწერისას მოიხსენიებს მღვიმეის გამოქვაბულს და კაცხის სვეტს (გვ. 12—14); ჩერდება უდაბნოს (საირმეს) კირქვიან სვეტების წარმოშობაზე (გვ. 29), აგრეთვე შაორის ქვაბულზე და საყინულეს გამოქვაბულზე (გვ. 29).

ე. ფურნიე ცენტრალურ კავკასიონის გეოლოგიურ დახასიათებისადმი მიძღვნილ შრომის შესავალ ნაწილში ამ მხარის გეოდინამიკურ პროცესებზეც ჩერდება ([1427], გვ. 48—71), კერძოდ მიწისქვეშა წყლების აქტიურ მოქმედების შესახებ კირქვიან სუბსტრატზე. ამასთან დაკავშირებით იგი მოიხსენიებს საირმის კირქვის სვეტებს (იქვე, გვ. 49—50), მდ. ლაჭანურის ხეობაში აღნიშნავს გამოქვაბულებს (გვ. 51), აგრეთვე გამოქვაბულებს ალპანასთან და ტყიბულასა და შაორის მიწისქვეშა გაყონვას, ს. ნიკორწმინდაში არსებულ საყინულეს გამოქვაბულს (გვ. 58—59); ახასიათებს აგრეთვე გამოქვაბულების ნალექებს (გვ. 202) და სხვ.

კარსტული მოვლენების გაშუქება საქარის ამერიკული ვაზის სანერგის ლაბორატორიის შრომებში

საქართველოში გავრცელებული კარსტული მოვლენების შესახებ საინტერესო ცნობებს ვპოულობთ საქარის ამერიკული ვაზის სანერგის ლაბორატო-

რის მიერ გამოქვეყნებულ შრომებში. როგორც ცნობილია, ეს ლაბორატორია იკვლევდა დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონის ბუნებრივ პირობებსაც ამერიკული ვაზის გავრცელების თვალსაზრისით. კვლევის შედეგები რამდენიმე კრებულის სახით გამოქვეყნდა. ამ შრომებში მოიპოვება მითითება საკვლევ რაიონში წარმოდგენილ კარსტულ მოვლენებზე. აღნიშნაეთ რამდენიმე მათგანს.

1895 წელს ქვეყნდება მ. კალინინის შრომა მდ. ყვირილის მარჯვენა ნაპირის ნიადაგური საფარის შესახებ. ამ შრომაში მითითებულია მდ. მდ. ტყიბულა-ძევერულას ჰიდროგრაფიულ თავისებურებაზეც ([855], გვ. 64). იგივე მკვლევარი მეორე შრომაში, ყოფილ ქუთაისის მაზრის ნიადაგების შესახებ ახასიათებს მდ. კერულის ჰიდროგრაფიულ თავისებურებას და მის ხეობაში არსებულ გამოქვაბულებს ([856], გვ. 66); აღნიშნავს დოლინების გავრცელებას კირქვებით აგებულ, შიშველ ვაკიან ზედაპირზე სოფ. მოწამეთის, გელათის, გოდოგნის, ჭალისთავის, ცუცხვათის მიდამოებში და საერთოდ ღედაბრის ქედზე; ამასთან ცდილობს ახსნას მათი წარმოშობა (იქვე, გვ. 69—70). ამავე შრომაში აღნიშნულია, რომ კირქვების გავრცელების რაიონებში ფართოდაა წარმოდგენილი ვრცელი გამოქვაბულები და წყლის გამტარი ბუნებრივი გვირაბები; ამასთან შედარებით დაწვრილებით აღწერს სოფ. ქვილიშორის ტერიტორიაზე არსებულ სტალაქტიტიან გამოქვაბულს (იქვე, გვ. 116—117).

სხვა შრომაში სოფ. სენაკის მაზრის ნიადაგების შესახებ მ. კალინინი ჩერდება მარტვილის ჩანჩქერის დახასიათებაზე ([857], გვ. 4); მის აღწერიდან ლეხის შთების (აბაშისა და ტეხურის სათავეები) ფერდობების შესახებ (იქვე, გვ. 10) გამომდინარეობს, რომ აქ ჩვენ კარულ ზედაპირებთან გვაქვს საქმე.

ყოფილი რაჰის მაზრის ნიადაგების დახასიათებებში მ. კალინინი ჩერდება მდ. მდ. შაორისა და შარაულის ჰიდროგრაფიულ თავისებურებაზეც, ამასთან მოჰყავს საინტერესო ახალი ცნობები ([858], გვ. 168); სოფ. ხიკორწმინდის ახლო აღნიშნავს საყინულეს (იქვე, გვ. 173). მ. კალინინი აგრეთვე აღწერს, რომ კირქვებით აგებულ მთიან ადგილებში (სოფ. ცახის, გოგოლეთის, თხმორის და სხვა მიდამოები) არსებულ გამოქვაბულებს, რომლებიც მორთულია სტალაქტიტებით, სტალაგმიტებით და სტალაგნატებით (იქვე).

საქარის ამერიკული ვაზის სანერგის ლაბორატორიის შრომებში გამოქვეყნებულ სტატიათა სერიიდან აღსანიშნავია აგრეთვე ა. ლომაიკინის შრომა — ყოფილ შორაპნის მაზრის ტყეების შესახებ. ამ შრომაში იგი ახასიათებს რა საწალიკეს ქედის თხემურ ნაწილის მცენარეულობას, აღნიშნავს მის თავისებურებას კირქვიანი სუბსტრატის არსებობასთან დაკავშირებით და მიუთითებს ამ ქედზე დოლინების არსებობას და სხვ. ([961], გვ. 76).

## კარსტის საკითხები ბიოგეოგრაფიულ ნაშრომებში

საქართველოს კარსტის შესწავლის საქმეში, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მნიშვნელოვანი წვლილი იქნა შეტანილი მხარის ბიოგეოგრაფიულ კვლევასთან დაკავშირებით.

კავკასიის მუზეუმის დეპარტამენტით გ. რადდემ 1864 წელს იმოგზაურა რიონის, ცხენისწყლის და ენგურის ხეობებში ამ ხეობებისა და მათ შორის მდებ-

ბარე ქედების ან, როგორც იგი აღნიშნავს, „სამეგრელოს ალპების“ ბიოგეოგრაფიული შესწავლის თვალსაზრისით; იგი სწავლობდა ამ მხარის ცხოველებსა და მცენარეებს ნიდაგის საფარის თავისებურებასთან და კლიმატთან (ფიზიკურ-გეოგრაფიულ) პირობებთან დაკავშირებით. ამ მოგზაურობის შედეგები მან მნიშვნელოვანი ნაშრომის სახით გამოაქვეყნა საიმპერატორო რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების შრომებში. ამ ნაშრომში იგი იძლევა შაორის ქვაბულის დახასიათებას, კერძოდ ჩერდება მის ჰიდროგრაფიულ თავისებურებაზე—ადგილ ხერგის მიდამოებში მდ. შაორის გაყონვანზე და შემდეგ შარაულას სახით მის გამოსვლაზე, აგრეთვე მოჰყავს ცნობები მდ. ტყიბულის დაკარგვის შესახებ ([1138], გვ. 37—38 და 41). ამასთან იგი მიუთითებს შაორის ქვაბულის ფლორისტულ და ფაუნისტურ თავისებურებაზე. გ. რადდე აღწერს აგრეთვე ყინულიან გამოქვაბულს, ე. წ. საყინულეს სოფ. ნიკორწმინდის ახლო (იქვე გვ. 168); იგი აგრეთვე ჩერდება ამ მხარის კირქვიანი ქედების უწყლობაზე (გვ. 169—170).

მეორე ნაშრომში გ. რადდე აღწერს მარტვილის ჩანჩქერს აბაშაზე და წებელდის მიდამოებს ([1139], გვ. 14 და 23—25). კავკასიის მცენარეული საფარის ძირითადი ნიშნების დახასიათებისადმი მიძღვნილ ნაშრომში გ. რადდე ხაზს უსვამს კირქვიან სუბსტრატის მქონე რელიეფის ფორმების მცენარეების თავისებურებას ([1140], გვ. 90)

რიონის აუზის მცენარეულობის დახასიათებასთან დაკავშირებით კ. სრედინსკი ხაზს უსვამს მდ. შარაულა-შაორის ჰიდროგრაფიულ და ფლორისტულ თავისებურებებს ([1230], გვ. 74—75). ამასთან დაკავშირებით მიუთითებს აგრეთვე მდ. ტყიბულის მიწისქვეშა დინებაზე ლაგორიის ქედის გარდიგარდმოდ და შემდეგ ამ ქედის სამხრეთ ფერდობზე მის გამოსვლაზე ძვერულის სახელწოდებით (იქვე, გვ. 109).

ვლ. ჩერნიაევსკი წლების მანძილზე სწავლობდა შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროს ზოოგეოგრაფიულად, ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებთან დაკავშირებით. ამ კვლევათა შედეგად გამოქვეყნებულ შრომებში მას მოჰყავს საინტერესო ცნობები აფხაზეთის კარსტზე [1315—1319]. იგი აღნიშნავს, რომ ზღვის ნაპირის ახლო, სოხუმსა და წებელდის მიდამოებში, მდებარე კირქვებით აგებული ქედები ხშირად მიწისქვეშა ნაკადებით გარდიგარდმოდაა გაკვეთილი. ამის მაგალითად იგი ასახელებს მდ. მკვიშთას, რომელსაც სთვლის, ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემის საფუძველზე, მდ. ბზიფის ტოტად ([1315], გვ. 335); აღწერს აგრეთვე აბრსკილის (ჩერნიაევსკით: ჩელოვის—შ. ყ.) გამოქვაბულს ყოფ. ოჩამჩირის ოკრუგის სამმართველოს მოსამსახურეთა ცნობების მიხედვით, რომლებიც გამოქვეყნებულ შრომებში 1875 წელს; ამასთან მოჰყავს საინტერესო მასალა ამ გამოქვაბულზე (იქვე, გვ. 335—336); ვ. ჩერნიაევსკი დაწვრილებით აღწერს მდ. ბესლეთის სათავეში არსებულ გამოქვაბულს, რომლიდანაც ეს მდინარე გამოედინება და მიუთითებს, რომ აქ წყალი მიწისქვეშა არხებით კელასურიდან გადმოდისო (გვ. 336—337). ჩემი აზრით, ვ. ჩერნიაევსკის კალამს უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე ის ცნობა, რომელიც მოთავსებულია ფ. ბროკჟაუნისა და ო. ეფრონის ცნობილ ენციკლოპედიურ ცნობარში — ბესლახას შესახებ ([574]), გვ. 603—604), რაც მათი აღწერილობათა იდენტურობით დგინდება. ვ. ჩერნიაევსკი მიუთითებს აგრეთვე სხვა გამოქვაბულებებზეც, რომლებიც აფხაზეთში გვხვდება ([1315], გვ. 337); მოიხსენიებს



ახაბიუკის გამოქვამულსაც (იქვე). ამ ცნობის მოყვანასთან ერთად იგი ცდობს ახსნას აღნიშნულ მდინარეთა მიწისქვეშა დინების წარმოქმნის მიზეზები ([1315], გვ. 337; [1316], გვ. 417—418 და 422). გუმის საზოგადოების ტერიტორიაზე, მ. შაახის ფერდობზე და აბიანდის ქედის სამხრეთ ფერდობზე ვ. ჩერნიავესკი აღნიშნავს დოლინებსაც, რომელთაც კრატერების მსგავსი მოყვანილობა აქვთ (იქვე).

სხვა ნაშრომში ვ. ჩერნიავესკი მიუთითებს მდ. ბესლეთის სათავეში ორ დენაპერიოდულ (დენაწყვეტილ) წყაროს („перемежающиеся источники“) არსებობაზე ([1318], გვ. 98).

ივ. აკინფიევი სვანეთში 1890 წელს მოგზაურობასთან დაკავშირებით სოფ. ლაილაშის მიდამოებში აღნიშნავს კირქვიანი ქედის მცენარეულობის სიღარიბეს ([531], გვ. 93).

მეტად საინტერესო დაკვირვების შედეგები მოჰყავს დასავლეთ საქართველოს კირქვიანი მასივების მცენარეულობის თავისებურებისა და საერთოდ ამ მხარეში გავრცელებულ კარსტულ მოვლენებზე, აფხაზეთის ბუნების დაუღალავ და თავდადებულ მკვლევარს ნიკოლოზ ალბოვს 1893—1899 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში [535—541]. იგი ამ მუშაობისას არ ისაზღვრებოდა ვიწრო მიზნებით, მხოლოდ ბოტანიკური შესწავლით, არამედ მხარის ბოტანიკურ დახაზვათაგან იძლეოდა ბუნების ფიზიკურ-გეოგრაფიულ დანარჩენი კომპონენტების კავშირის ფონზე. ამიტომ არის, რომ ნ. ალბოვის შრომებს ბოტანიკურ-გეოგრაფიული ხასიათი აქვთ. ასეთი მასშტაბის კვლევის დროს ნ. ალბოვი, რა თქმა უნდა, ყურადღებას აქცევდა კარსტულ მოვლენებსაც და მის ნაშრომებში ამ მოვლენაზე მეტად საინტერესო ცნობები მოიპოვება, განსაკუთრებით ზედაპირული ფორმების შესახებ.

ერთ-ერთ თავის პირველ შრომაში ნ. ალბოვი ხაზს უსვამს ბზიფის ქედის კირქვიანების მცენარეულობის თავისებურებას, რომლებიც მკაცრადაა განსხვავებული გრანიტებით და ფიქლებისაგან აგებულ მხარის მცენარეულობისაგან ([535], გვ. 167—168 და სხვ.). ამასთან მიუთითებს, რომ ბზიფის ქედი ტიპური კარსტული ქედივით თავისი მრავალრიცხოვანი ქვებითა და დოლინებით, და რომ ზოგიერთი ქა მნიშვნელოვანი სიღრმისააო; მთელი ეს მხარე დახვრეტილია ორმოებით, რომელთა ძირზე ჩვეულებრივ თოვლი ძევს, და საერთოდ აქაურ ბუნებას აქვს განსაკუთრებით ველური და არასტუმართმოყვარე სახეო (გვ. 168).

მეორე ნაშრომში ნ. ალბოვი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ არა მარტო ბზიფის ქედი, არამედ მეზობელი გაგარის ქედიც (მამძიშხა, კუტუშორა, არბიკა) გამოირჩევა თავისი ორიგინალური მცენარეულობით, რაც ამ ქედის იურულ კირქვებით აგებულებასთან არის დაკავშირებული ([536], გვ. 80—81). სხვა შრომაში [537] იგი დაწვრილებით ჩერდება კირქვებით აგებულ მცენარეულობის თავისებურებაზე, განსხვავებით სხვა ნალექ ქანებით შედგენილ ქედებისაგან და ცდილობს გამოარკვიოს ამის მიზეზი. ამასთან დაკავშირებით მან შესწავლა ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილი საქართველოს ფარგლებშიც (აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდილო ფერდობები გურიისა და აჭარის ფარგლებში, ასხის, მინგარიის, ოხაჩქუეს, აიბლის და სხვა კირქველი მასივები). ამ შესწავლის შედეგად ნ. ალბოვი კვლავ ხაზს უსვამს კირქვიანი ქედების მცენარეულობის ორიგინალობას და მიუთითებს, რომ ასხის, მინგარიისა და სხვა კირქვიანი

ქედები ამ მხრივ სრულიად ემსგავსება აფხაზეთის ასეთსავე მთებსო; ამ ქედების ზედაპირი წარმოადგენს ორმოებით დახვრეტილ და ზოგან ნაპრალებით თითქმის ამოკმულ და დაკვალულ ზედაპირს; იგი ხასიათდება აგრეთვე სრული უწყლობით ([537], გვ. 127); ამასთან სამეგრელოს კირქვიანი მღვლოს მცენარეულობა მკაცრად გამსხვავდება არაკირქვიან ქედებისაგან (იქვე). ცალკეული კირქვიანი მასივებისა და ქედების მცენარეულობის დახასიათებისა და მათი შედარების შემდეგ არაკარბონატულ ქანებით აგებულ ქედებთან, ნ. ალბოვი აყალიბებს თავის მთავარ დებულებებს დასკვნების სახით (იქვე, გვ. 147 და 153—157).

საინტერესო დაკვირვებები აქვს ჩატარებული ნ. ალბოვის გაგრის ქედის დასავლეთ ნაწილში — ახახის კირქვიან ქედზე. ამ ქედის კირქვიანების ორიგინალური მცენარეულობის დახასიათებასთან ერთად აღნიშნავს მის უწყლობას ([540], გვ. 25—26; [538], გვ. 53), აგრეთვე მის ზედაპირზე არსებულ ღრმა ვარდნობებს, ორმოებს და, როგორც ჩანს, კარებს ([540], გვ. 26; იხ. აგრეთვე: [541], გვ. 21—22); ხომუფსეს ხევის გადასასვლელის იქით აღნიშნავს ღრმა ჭას, რომლის ძირზე 1894 წელს 20 აგვისტოს თოვლის გროვა არსებობდა ([540], გვ. 31—32), ნ. ალბოვი მიუთითებს აგრეთვე, რომ არბიკის მასივი, როგორც საერთოდ კირქვიანი მთები, სრულიად უწყლოა და წყურვილის მოკვლა ამ მხარეში შეიძლება მხოლოდ ღრმა ორმოებში არსებულ შემორჩენილი თოვლით ([538], გვ. 57). ამავე ნაშრომში იგი ახასიათებს ასხის, მინგარიის, ყვირის, ოხაჩქუეს და არბიკის მასივების კირქვიანების მცენარეულობას (იქვე, გვ. 64—88). კირქვიანი მასივების მცენარეულობის ორიგინალობაზე ნ. ალბოვი ჩერდება 1896 წელს გამოქვეყნებულ სხვა შრომაშიც და ცდილობს ამის მიზეზის ახსნას ([539], გვ. 33).

ამგვარად, როგორც ზემოთ დავინახეთ, ნ. ალბოვის დასახელებულ ნაშრომებში მოიპოვება მეტად საინტერესო გეოგრაფიული მონაცემები კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე გავრცელებულ კარსტულ მოვლენათა შესახებ, განსაკუთრებით ზედაპირულ ფენომენებზე, აგრეთვე ამ მხარის მცენარეულობაზე. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ნ. ალბოვის შემდეგ, დასავლეთ საქართველოს კირქვიანი მცენარეულობის კვლევის საქმეში, რამდენადაც ჩვენ ვიცით, XX საუკუნის პირველ მეოთხედში მნიშვნელოვანი გამოკვლევები არ ჩატარებულა.

### ცნობები კარსტის შესახებ ბალნეოლოგიურ და საკურორტო კვლევითი ხასიათის ნაშრომებში

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული კარსტული ფენომენების შესახებ საინტერესო მონაცემები მოიპოვება ბალნეოლოგიურ ან საკურორტო გამოკვლევებთან დაკავშირებით შესრულებულ ნაშრომებში; მათ შორის აღსანიშნავია სამთო ინჟინერ მ. სერგეევის, პ. ჯორნიეცკისა და ექიმ ი. პანტიუხოვის ნაშრომები.

1898 წელს შავი ზღვის სანაპიროზე მივლინებული იქნა განსაკუთრებული კომისია, რომლის მიზანსაც შეადგენდა ყოფილი შავი ზღვის გუბერნიისა

და სოხუმის მაზრის ტერიტორიაზე შეერჩია ისეთი ადგილები, სადაც შეიძლებოდა მთელი წლის განმავლობაში მოქმედი სანაპირო და მთის კურორტებისა და ბალნეოლოგიური პუნქტების მოწყობა. ამ კომისიაში შედიოდა ა. ვოეიკოვი, ფ. პასტერნაკი და მ. სერგეევი. კომისიის მუშაობის შედეგები მოხსენდა I სრულიად რუსეთის კლიმატოლოგთა, ჰიდროლოგთა და ბალნეოლოგთა ყრილობას და გამოქვეყნდა ცალკე კრებულის სახით [1178]. ჩვენთვის ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა მ. სერგეევის გამოკვლევა, რომელიც ეხება შავი ზღვის სანაპიროს ამგებელი ქანების ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს, აგრეთვე მტანარ და მინერალურ წყაროებს ნოვოროსიისკისა და სოხუმის შორის.

ამ ნაშრომში მ. სერგეევი ხაზს უსვამს სუბსტრატის შედგენილობას, კერძოდ ცარცული კირქვების გავლენას მცენარეულობის თავისებურებაზე ([1178], გვ. 9); მიუთითებს, რომ ატმოსფერული ნალექების მნიშვნელოვანი ნაწილი იქონება ცარცულ კირქვებში არსებულ ნაპრალების მეოხებით მიწისქვეშ, იწვევს იქ კირქვის გახსნას და შემდეგ ზედაპირზე გამოდიან გახსნილი ნივთიერებებით გაჯერებული წყაროების სახით (იქვე, გვ. 10—11 და 14).

შაორის ქვაბულისა და ნაწილობრივ აბაშის სათავეების დახასიათებისადმი მიძღვნილი საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნა ექიმმა ი. პანტიუხოვმა 1899 წელს ([1105]; იხ. აგრეთვე: [517, 1342]). ამ შრომაში ი. პანტიუხოვი მიუთითებს შაორის ქვაბულში ასე ფართოდ წარმოდგენილ კარსტულ მოვლენებზე, აღწერს ძროხისთვალის, ხარისთვალის და სხვა დოლინებს, მოჰყავს ცნობები საყინულეს დოლინაზე, თვით შაორის ქვაბულს განიხილავს როგორც უზარმაზარ დოლინას ([1105] გვ. 197—201); შემდეგ ჩერდება მდ. შაორის დახასიათებაზე — აღწერს მიწისქვეშ მის გაჯონვას და შემდეგ ზედაპირზე გამოსვლის ადგილებს, მიუთითებს ამ ქვაბულში დროებითი ტბის წარმოშობის მიზეზს, მოჰყავს ცნობები ამ მდინარის და სხვ. წყლის ტემპერატურაზე (იქვე, გვ. 201—203), იძლევა ქვაბულის კლიმატის, ფლორისა და ფაუნის მოკლე დახასიათებას (გვ. 204—208). შემდეგ ი. პანტიუხოვი ჩერდება მდ. აბაშის სათავეების დახასიათებაზე და მიუთითებს, რომ აქ ბევრი დოლინები გვხვდება და რომ ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ადგილი გოლენია; ი. პანტიუხოვის მითითებით აქ ერთ-ერთი დოლინის დიამეტრი ერთ ვერსს აღწევს, ხოლო სიღრმე—130 საყენს. იგი აღწერს თურჩუს ქვაბულში უსახელო ნაკადულის გაყოფას კირქვებში და მიუთითებს, რომ იგი მიწისქვეშა გზის გავლის შემდეგ ზედაპირზე გამოდის ტობის გრანდიოზული ჩანჩქერის სახით (გვ. 208—209); მოხსენებული აქვს მარტვილის ჩანჩქერიც (იქვე). სტატარს დასკვნით ნაწილში ი. პანტიუხოვი მიუთითებს გამოქვაბულის არსებობაზე ონიდან წონასიკენ მიმავალ გზაზე და სოფ. წედისა და შქმერის ახლო (გვ. 241). ი. პანტიუხოვის აზრით შაორა-შარალას მიწისქვეშა სადინარის გაჩენამდე შაორის ქვაბული ტბას წარმოადგენდა და ამ ტბიდან წყლის გადაღენა წარმოებდა მის ყველაზე დაბალ ადგილას—მდ. ღორწყოლის გასწვრივ ს. სხარტალის ახლომდებარე გადასასვლელზე (გვ. 242—243). მას დასაშვებად მიაჩნია, რომ შაორის ქვაბულის ქვეშ მიწისქვეშა წყალსაცავი უნდა არსებობდეს (გვ. 246). დასასრულს, ი. პანტიუხოვი მართებულად აღნიშნავს, რომ შაორის ქვაბული მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეზობელ ადგილების წყლით მომარაგების საქმეში, ამიტომ გადაუდებელ საპირობებლად მიაჩნია მისი ფერდობების ტყის (როგორც მოსული

ატმოსფერული წყლის ამ მარეგულირებელის) დაცვა განადგურებისაგან, რაც ახლა წარმოებსო (გვ. 246—247).

3. კორნიევსკის გაგრისა და მისი მიდამოების სამედიცინო გეოგრაფიულ ნარკვევში მოყვანილი აქვს ზოგიერთი ცნობები ამ მხარის კარსტულ ლანდშაფტებზეც, სახელდობრ გაგრიფშის წყაროებზე, ფლორაზე და სხვა ([918], გვ. 57—58).

### კარსტული გამოქვაბულების შესწავლა არქეოლოგიურ სამუშაოებთან დაკავშირებით

საქართველოს კარსტული გამოქვაბულების შესახებ საინტერესო გეოგრაფიულ მონაცემებს ვპოულობთ არქეოლოგიურ შრომებში. ეს გასაგებიცაა, რადგან პირველყოფილი ადამიანი განსაკუთრებით კარსტულ გამოქვაბულებში პოუვდა თავშესაფარს როგორც მზამზარეულ, ბუნების მიერ შექმნილ საცხოვრებელს. მართლაც ამ გამოქვაბულში პოულობენ პირველყოფილ ადამიანის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ნარჩენებს. ამიტომაც რომ XIX ს. მეორე ნახევარში გამოქვეყნებულ ბევრ არქეოლოგიურ შრომაში მოცემულია საკირო ცნობები ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე.

ამ საკითხებს, გასაგები მიზეზების გამო, მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო V არქეოლოგიური ყრილობის მოსამზადებელმა კომიტეტმა და თვით ყრილობამაც, რომელიც შედგა 1881 წელს ქ. თბილისში; მაგალითად, ამ კომიტეტის პირველსავე სხდომაზე (1879 წლის 15 ოქტომბერს) განსახილველად წარმოდგენილი და შემდეგ მიღებული პროგრამის პროექტი ითვალისწინებს, რათა წინასწარ იქნას შეგროვილი ცნობები ისეთ გამოქვაბულებზე, რომლებშიც მოიპოვება ცხოველთა ძვლები, აგრეთვე წყლიან და ყინულოვან გამოქვაბულებზე და სხვა. ამასთან პროექტით გათვალისწინებულია აღნიშნულ გამოქვაბულთა წინასწარი შესწავლაც ([1137], გვ. 71). მოსამზადებელ კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე (1879 წლის 23 ნოემბერს) იხილებოდა და მიღებული იქნა დოუკინსის ნაშრომიდან ამოღებული ინსტრუქცია გამოქვაბულთა შესწავლის მეთოდებისა და ამ შესწავლასთან დაკავშირებულ საკირო ხელსაწყოებზე ([784], გვ. 13—14 და 25—29). წინასწარ განიხილეს წარმოდგენილი ჩანაწერები და მასზე მიღებული შენიშვნები დასავლეთ კავკასიონის ძეგლების შესახებ, რომელშიც აგრეთვე მოხსენებულია კარსტული გამოქვაბულებიც ([613], გვ. 125—130. [617], გვ. 55—57; [1317], გვ. 13—25; იხ. აგრეთვე: [1319], გვ. 253—261). თვით ყრილობაზე ი. ლიხაჩოვის მიერ წაკითხული იქნა მოხსენება აბრსკილის გამოქვაბულზე ([958], გვ. 245—248) და სხვ.

ვ. ჩერნიავსკის ყრილობის მოსამზადებელ კომიტეტისადმი წარდგენილ ბარათში, დასავლეთ ამიერკავკასიის ძეგლთა შესახებ მოჰყავს კარსტული გამოქვაბულების მოკლე დახასიათება; მაგალითად, ბესლეთას სათავეში არსებულ გამოქვაბულზე ([1317], გვ. 17—18); ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეზე დაყრდნობით ვ. ჩერნიავსკი აღნიშნავს უზარმაზარ მიწისქვეშა სიღრუხის არსებობას გაგრის ძველ ციხე-სიმაგრის ქვეშ (გვ. 19), რომელიც შემდეგ სინამდვილე არ აღმოჩნდა; მიუთითებს მჭიშთის გამოქვაბულზე (გვ. 20), მოჰყავს ცნობები აბრსკილის გამოქვაბულზე (გვ. 22), სტალაქტიტიან გამოქვაბულზე სოხუმის ახლო (გვ. 22—23), აღნიშნავს დიდი გამოქვაბულის არსებო-

ბას ახაბოუკის სერის ჩრდილო ფერდობზე (გვ. 23). ამავე ბარათში მითითებულია სხვა გამოქვაბულები და კარსტული მოვლენების არსებობაზე, მაგალითად, მდინარის მიწისქვეშა დინება მ. აბოჯა-ახაბოუკის შემადგენელ სერის გასწვრივ (გვ. 23—24). ვ. ჩერნიავსკი მითითებს აგრეთვე დიდი გამოქვაბულის არსებობას მარამბის ქვაბულში, მდ. მაქარის ხევიში (გვ. 24).

სხვა ნაშრომში ვ. ჩერნიავსკის მოჰყავს ზოგიერთი ცნობა მდ. მკერშის სათავეში არსებულ გამოქვაბულზე ([1319], გვ. 254); აქვე აღნიშნავს მარამბის გამოქვაბულის არსებობას (გვ. 255); მითითებული აქვს სოხუმის ჩრდილოეთით კონგლომერატებში გამოჩენილი გამოქვაბული (გვ. 255—256), აგრეთვე ადგილ გუმში, გუმბიხუს მთის ფერდობის ძირთან ღამურებით დასახლებულ გამოქვაბულის ვიწრო შესასვლელზე (გვ. 256). დაწვრილებით აღწერს ს. ლიხნის მიდამოებში არსებულ ადლიგარის გამოქვაბულს (გვ. 256) და მითითებს, რომ არის სხვა გამოქვაბულებიც როგორც ლიხნის, ისე ღურთფშის მიდამოებში (გვ. 256—257). ვ. ჩერნიავსკი ამავე ნაშრომში აღნიშნავს სხვა გამოქვაბულების არსებობას ფსირცხის მიდამოებში, მდ. თეთრწყალის (ხიჭათის) მარცხენა მხარეზე და სხვ. (გვ. 257). ვ. ჩერნიავსკის შრომაში მოყვანილია აგრეთვე ზოგიერთი ცნობა ბესლეთის გამოქვაბულზე და გაგარის ჩრდილო-დასავლეთით მშრალ ხევიში არსებულ ამბარის გამოქვაბულზე (გვ. 258) და აბრსკილის გამოქვაბულის შესახებ (გვ. 260).

ვ. ჩერნიავსკის ბარათზე [1317] გაკეთებულ შენიშვნებში ა. ვედედნისკის საინტერესო ცნობები მოჰყავს აფხაზეთის გამოქვაბულებზე, კერძოდ წებელდის ქვაბულში მ. აფიანჩის ძირთან არაღრმა ეხისა და ადგილ მარამბის მიდამოებში არსებულ ორმოზე ([613], გვ. 129).

ე. ვედედნაუმს შრომაში, — კავკასიის გამოქვაბულები, — დასახელებული აქვს გამოქვაბული სოხუმის ახლო, აბრსკილის გამოქვაბული და წყალწითელის (იაზონის) გამოქვაბული ძირითადად არსებული ლიტერატურული წყაროების მიხედვით ([617], გვ. 55—57).

საინტერესო ცნობებია მოყვანილი აბრსკილის გამოქვაბულზე და მის შესახებ არსებული ლეგენდის შესახებ მ. ლიხაჩოვის მიერ წაყითხულ ჰოხსენებაში, რომელიც გამოქვეყნდა V არქეოლოგიური ყრილობის შრომებში ([958], გვ. 245—248).

გარდა ზემოაღნიშნულისა, სხვა არქეოლოგების (ფ. ბაიერნის, ა. ბერნაცკის, უვაროვას, დ. ანუჩინის, ვ. სიხოვის და სხვ.) მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებშიც მოიპოვება საინტერესო ცნობები დასავლეთ საქართველოს კარსტულ გამოქვაბულზე.

ფ. ბაიერნი თავის ნაშრომში კავკასიის ძველი ნაგებობათა შესახებ [557] მითითებს მარჯინან კორქეებში გამოჩენილ გამოქვაბულების არსებობას მდ. ჭეჯორის მარცხენა მხარეზე, აგრეთვე ონსა და შქმერს შორის; აღნიშნავს წედისის გამოქვაბულსაც, რომელსაც მოსახლეობა თავშესაფრად იყენებდაო; მოიხსენიებს ს. მღვიმეის ახლომდებარე გამოქვაბულს; მითითებს აგრეთვე რომ ბევრია გამოქვაბული ძირულის ხეობაში და გამოთქვამს რწმენას, რომ ასეთი გამოქვაბულები ცხენისწყლის სათავეებშიც უნდა იყოსო ([557], გვ. 315), იგი მოიხსენიებს იაზონის გამოქვაბულსაც, ქუთაისის ახლო (იქვე, გვ. 317).

ა. ბერნაცი მიუთითებს ყოფილ შორაპნის მახრამი არა დიდ სტალაქტიტიანი გამოქვაბულის არსებობას ს. რგანის ახლო და იძლევა მის დახასიათებას ([573], გვ. 2—3; [1380]).

უვაროვას 1887 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში აღწერილი აქვს იაზონის გამოქვაბული ([1284], გვ. 168). ამავე სერიის მეორე ნაშრომში უვაროვა აღნიშნავს სოხუმის ახლო ჩიუოუშის პლატოს ძირში გამოქვაბულს ([1285], გვ. 104), აგრეთვე ს. აძაას (ანუ რიფშის) ახლო ე. წ. მილიპაფეს გამოქვაბულის არსებობას (იქვე, გვ. 134). უვაროვა გვიანდელ შრომაში (1904 წ.) მიუთითებს გამოქვაბულის არსებობას ხვამლის მაღლობზე ([128ა], გვ. 7), კირქვის სვეტებს ს. საორმესთან და უდაბნოს მონასტერზე გაჩენილ ნაპრალებს (გვ. 8—10), აგრეთვე ნიკორწმინდასთან არსებულ ყინულიან გამოქვაბულს (საყინულეს) და შაორა-შარაულას მიწისქვეშა დინებას (იქვე გვ. 51).

დ. ანუჩინს ბუნებრივ გამოქვაბულთა შორის მოხსენებული აქვს რგანის გამოქვაბული და მასში აღმოჩენილი ცხოველთა ძვლების არსებობა ([546; 547], გვ. 555; [1378]). ე. მილაშვიტი 1878 წ. კარსტულ რამდენიმე მცირე გამოქვაბულს აღნიშნავს მდ. რიონის მარჯვენა მხარეზე ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე, აღწერს იაზონის გამოქვაბულს წყალწითელას ხეობაში ფ. დიუბუა დე მონპერეს მიხედვით ([1415], ტ. II, გვ. 199), ზოგადად აღწერს მდ. ძეგრულას სათავეში არსებულ გამოქვაბულებს, აგრეთვე მდ. ტყიბულას გაუონვას ადგილს წყალდასავალთან ([1079], გვ. 3—4); შემდეგ ამავე მკვლევარს მოჰყავს ზოგიერთი ცნობა ქვემო რაქისა და ზემო იმერეთის კარსტული გამოქვაბულების შესახებ ფ. ბაიერნისა ([557], გვ. 315) და ფ. დიუბუა დე მონპერეს ([1415], ტ. III, გვ. 163), აგრეთვე ს. სიმონოვიჩის, ლ. ბაცევიჩისა და ა. სოროკინის შრომებზე ([565], გვ. 13; [1182], გვ. 4 და 45) დაყრდნობით (იქვე, გვ. 5—6).

ვ. სიზოვი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ჩატარებულ ექსკურსიასთან დაკავშირებით აღნიშნავს სოხუმის ახლომდებარე სტალაქტიტიან (შრომის — შ. ყ.) გამოქვაბულს და იძლევა მის მოკლე დახასიათებას ([1180], გვ. 10—12). საინტერესო ცნობები მოიპოვება აგრეთვე ი. პანტოუხოვის ნაშრომშიც ადგილ გუმის, წებელდისა და სოფ. ქლოუს მიდამოებში არსებულ გამოქვაბულებზე ([1104], გვ. 14—37 და სხვ.).

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდებოდა, ზოგიერთი ცნობები შესანიშნავ კარსტულ ობიექტებზე, მაგ., მამონტის გამოქვაბულზე [97] და სხვ.

### ცნობები კარსტზე ზოგად გეოგრაფიულ მოგზაურობებისა და ექსკურსიების აღწერებში

საქართველოს ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწილის ზოგად გეოგრაფიულ აღწერებში საინტერესო ფაქტობრივი მონაცემები მოიპოვება კარსტულ ფენომენებზეც; მაგალითად, კ. მაჰავარიანის სტატიებში ამტყვებს ტბის წარმოშობაზე და ხვამლის მიდამოების კარსტზე ([207], გვ. 1; [1056], გვ. 2); გ. გძელი-შვილის ნარკვევში შაორა-შარაულას მიწისქვეშა დინებაზე, ცახის გამოქვაბულზე და სხვ. ([78], გვ. 1—4); ი. ბახტაძის სტატიაში — შაორა-შარაულას მიწისქვეშა დინებაზე და ნიკორწმინდის მიდამოებში არსებულ ტბებზე ([567], გვ. 4); ვ. ბოჩკარიოვი მოიხსენიებს ძირულის მიწისქვეშა დინებას ([592]), გვ.

4); ჟურნალ „ივერიის“ კორესპონდენტების კორნელისა და ჩხერელის სტატიები — მღ. ძეგრულის სათავეებში არსებულ გამოქვებულებზე, კერძოდ ტარიელის სადგომის გამოქვებულებზე და მღ. ჩხერიმელას ხეობაში ს. ჩხერის ახლომდებარე დევისსადგურის (დევისჩხერელის—შ. ყ.) გამოქვებულებზე [170, 443] და სხვ.

საქართველოს კარსტული ფენომენების შესახებ ბევრი საინტერესო ცნობები გვხვდება აგრეთვე ზოგად გეოგრაფიულ და ამა თუ იმ მიზნით ჩატარებულ მოგზაურობათა, თუ ექსკურსიების აღწერილობებში. მაგალითად, ვ. პუაფის შრომაში არის ცნობები ერწოს ტბის შესახებ ([1336], გვ. 159); ა. სტოიანოვის ეთნოგრაფიულ ექსკურსიის აღწერაში მითითებულია მღ. რიონის ხეობაში სოფ. მექვენასა და ტვიში შორის გამოქვებულების არსებობა და მოყვანილია ზოგიერთი ცნობა მათ შესახებ ([1236], გვ. 249). ნ. სახაროვს დასახელებული აქვს ჩაქცევით წარმოშობილი ორმოები შაორის ქვაბულში, ამასთან იძლევა შედარებით დაწვრილებით აღწერას საყინულეს გამოქვებულებზე სოფ. ნიკორწმინდის ახლო ([1175], გვ. 398—399). სხვათა შორის საყინულის გამოქვებულის შესახებ არის მოკლე ცნობა ფ. ბროკაუზისა და ი. ეფრონის ენციკლოპედიურ სიტყვარშიც ([554], გვ. 556—558). ფ. ხუსკივაძე ყვირილის ხეობის აღწერასთან დაკავშირებით მოიხსენიებს კაცხის სვეტსა და მღვიმევის მონასტერს ([1301], გვ. 29 და 30—33). შ. ლომინაძეს რიონის ხეობის აღწერისას მოჰყავს ზოგიერთი ცნობა ხვამლის ცნობილ გამოქვებულს შესახებ, აგრეთვე საირმის კირქვიან კოლონებზე ([962], გვ. 193). კ. მაჭავარიანი აღნიშნავს წებელდის მიდამოებში გამოქვებულის არსებობას, აგრეთვე გრანდიოზულ ჩამოქცევას მღ. ამტყელის ხეობაში ([1057], გვ. 91—92).

პირველი ცნობა სოხუმის ახლომდებარე სტალაქტიტიან (შრომის ან სოხუმის) გამოქვებულებზე 1872 წელს გამოქვეყნდა ([1231], გვ. 108—110), ხოლო მისი შედარებით დაწვრილებითი მორფოგრაფიულ-მორფომეტრიული აღწერა გრ. კრონგელმა მოგვცა 1873 წელს ([924], გვ. 38—39).

საკმაოდ დეტალურ აღწერას იძლევა ა. ივანოვი სოხუმის მიდამოებში არსებულ სტალაქტიტიან გამოქვებულებზე ([825], გვ. 39—44), ამასთან იგი მიუთითებს სხვა გამოქვებულთა არსებობაზეც (იქვე, გვ. 44—45); საინტერესო ცნობებია მოყვანილი აბრსკილის გამოქვებულზე (გვ. 45) და მღ. ბესლეთ-კელასურის მიწისქვეშა დინების შესახებ (გვ. 45—46); იგი აღწერს შქიშთის სათავეს და სთვლის, რომ ეს მდინარე ბზიდის მიწისქვეშა განაღონ წყლის ტოტს წარმოადგენს (გვ. 46). ა. ივანოვი მიუთითებს აგრეთვე მღ. გუმისთის შემდინარე მიწისქვეშა ნაკაღზე და სხვა სტალაქტიტიან გამოქვებულებზე (იქვე).

რ. გორდულაძე კარსტულ გამოქვებულებს აღნიშნავს სოფ. გელავერის, გვიშტიბისა და ძეძელეთის მიდამოებში ცხენისწყლის მარცხენა მხარეზე [72].

## ცნობები კარსტულ მოკლენებზე ელიზბერეკლიუს შრომებში

საქართველოს კარსტის ზოგიერთმა თავისებურებამ არეკლა ჰპოვა ჟან-ჟან-ელიზე რეკლიუს საყოველთაო ცნობილ კაპიტალურ ნაშრომში — „მსოფლიო გეოგრაფიაში“. ამ მონოგრაფიის VI ტომში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს

აღწერისას მითითებულია, რომ აფხაზეთში ბევრ მდინარეს ახასიათებს მიწის-ქვეშა დინება და იწყებიან გამოქვაბულებიდან, ზაგალითად მკიშთა ([1504] გვ. 91—92; იხ. აგრეთვე: [1150], 1883 და 1892 წლების გამოცემების გვ. 66, ხოლო 1898 წლის გამოცემის გვ. 78—79). ელიზე რეკლიუ ამავე ნაშრომში აღნიშნავს გაგრასთან სუბმარინული შადრევანის არსებობას. იგი წერს: „გაგრის ახლო ნაპირთან ამოდის დიდი სუბმარინული შადრევანი“ («Prás de Gagri un ruisseau sous-marin jaillit au large de la côte»)¹⁰ ([1504], გვ. 92).

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, გასული საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლისას მთავარი ადგილი ეკავა ფაქტიურ მასალის დაგროვებას — კარსტული მოვლენების გავრცელება, ზედაპირული და მიწისქვეშა ფორმების, განსაკუთრებით გამოქვაბულების მორფოგრაფიული-მორფომეტრიული აღწერა. რაც შეეხება კარსტული ფენომენების გენეზისის საკითხს, მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული და მხოლოდ ამ საუკუნის მიწურულში რამდენიმედ გაძლიერდა.

ასეთი მასალები გროვდებოდა საქართველოს ტერიტორიის ტოპოგრაფიული აგეგმვების, გეოლოგიური, ნიადაგური და მცენარეული საფარის, არქეოლოგიური და სხვა გამოკვლევათა პროცესში.

ამ ეტაპისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ საქართველოს კარსტის გეოგრაფიული დახასიათებისადმი მიძღვნილი სპეციალური ნაშრომები იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა.

### მ. კარსტული მოვლენების მორფოგრაფიულ-მორფომეტრიული, ნაწილობრივ კი გენეტური და პრაქტიკული მნიშვნელობის შესწავლის საწყისი ეტაპი (1901—1920 წწ.)

გასული საუკუნის 90-იანი წლები და მიმდინარე საუკუნის დასაწყისი ცენტრალურ ევროპაში აღინიშნა კარსტული მოვლენების შესწავლის გაცხოველებით. ამასთან დაკავშირებით ქვეყნდება მთელი რიგი მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომები, რომლებიც კარსტის როგორც ზოგადი თეორიულ, თუ რეგიონულ საკითხებისადმი მიძღვნილი. მათ შორის: აღსანიშნავია იოჰან ცვიიჩის (1893 და 1895 წწ.), ფრ. კრაუსის (1894 წ.), ედუარდ მარტელის (1894, 1896, 1900, 1905, 1908—1910 წწ.), ა. გრუნდის (1903, 1910 და 1914 წწ.), ალბრეხტ პენკის (1904 წ.), ფ. კატცერის (1905 და 1909 წწ.), ვ. კნებელის (1906 წ.), ნ. კრებსის (1908 და 1910 წწ.), ლეო სავიციის (1909 წ.) და სხვ. შრომები ([1408 — 1409, 1435 — 1438, 1451 — 1452, 1468 — 1471, 1484 — 1489, 1496. 1510] და სხვ.). ამ მხრივ რუსეთშიც მნიშვნელოვან ძვრებს ჰქონდა ადგილი — ცხოველდება ინტერესი კარსტული მოვლენების შესწავლისადმი. ამას მოჰყვა მონოგრაფიებისა და სტატიების გამოქვეყნება როგორც ზოგად თეორიულ, ისე რეგიონულ საკითხებზე. ასეთ შრომათა შორის შეიძლება დასახელებულ იქნას ივანე მუშკეტოვის (1888 წ.), ალექსანდრე

¹⁰ ეს იდგილი რუსულად ასეა თარგმნილი: «Около Гагров, у берега бѣдт обильный подводный ключ» ([1150], 1883 — 1892 წლების გამოცემის გვ. 61, ხოლო 1898 წლის გვ. 79).



ვოეიკოვის (1892, 1894 წწ.), დიმიტრი ანუჩინის (1895 წ.), ალექსანდრე კრუბერის (1900—1915 წწ.), ვერა ვარსანოფიევასა (1915—1916 წწ.) და სხვ. მონოგრაფიები და სტატიები ([545, 610—611, 648—649, 925—931, 1090] და სხვ.).

აღნიშნულ ხელსაყრელ გარემოებათა გამო საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლაც გაძლიერდა და თავისი დონით არ ჩამოუვარდებოდა სხვა ქვეყნების კარსტის შესწავლილობას.

## ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი შ რ ო მ ე ბ ი კ ა რ ს ტ ზ ე

XX ს. პირველი მეოთხედი, როგორც აღნიშნეთ, ხასიათდება საქართველოს კარსტის გენეტიკური მიდგომის გაძლიერებით მორფოგრაფიულ-მორფომეტრიულთან ერთად, აგრეთვე სპეციალურად ამ საკითხებისადმი მიძღვნილი შრომების შექმნით. გამოქვეყნებული ნაშრომები ეხება არა მარტო მიწისქვეშა ფორმებს, განსაკუთრებით გამოქვაბულებს, როგორც ეს წინა პერიოდისათვის. იყო დამახასიათებელი, არამედ ზედაპირულსაც. ასეთი ნაშრომები შექმნეს ვ. ლეონოვმა, მ. სერგეევმა, ფრანგმა გამოჩენილმა კარსტოლოგმა ე. მარტელმა, განსაკუთრებით რუსეთის კარსტის ცნობილმა მკვლევარმა ალ. კრუბერმა და სხვებმა. ჩვენ ამ ნაშრომებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განვიხილავთ.

1901 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ვ. ვინდა აღწერს ნიადაგის დაწვევის მოვლენებს და მათ შედეგებს 1900 წლის 8—9 მაისის დამეს ყოფილ სენაკის მაზრის სოფ. ხუნწში [624]. ნიადაგის დაწვევას სოფ. ხუნწში ვ. ვინდა მართებულად ნიადაგის ქვეშ კარბონატული სუბსტრატის გამორეცხვითა და, ამასთან დაკავშირებით, გაჩენილ მიწისქვეშა სიცარიელეების თაღების ჩაქცევით ხსნის (იქვე, გვ. 22).

1901 წლის აგვისტოში ვ. ლეონოვი გამოკვლევას აწარმოებდა ქვემო რაჭის, განსაკუთრებით შაორის ქვაბულის ტბების შესასწავლად. ამ გამოკვლევებს შედეგები გამოქვეყნდა 1902 წელს [955] და მოხსენდა რუს ბუნებისმეტყველთა და ეტიმთა XII ყრილობას მოსკოვში 1910 წლის 4 იანვარს ([956], № 1, გვ. 43 და № 6, გვ. 237). მოხსენების მოკლე შინაარსი მოყვანილია ყრილობის დღიურში ([956], № 10, გვ. 560). ვ. ლეონოვის ეს ნაშრომი შაორის ქვაბულის შესახებ საფუძვლიან გამოკვლევას წარმოადგენს საერთოდ, განსაკუთრებით კი საქართველოს კარსტის კვლევის საქმეში.

ნაშრომის შესავალ ნაწილში ვ. ლეონოვი აღწერს შაორის ქვაბულის მდებარეობას და ბუნებრივ პირობებს—კლიმატს, მცენარეულ საფარს და სუბსტრატის აგებულებას; ამასთან ხაზს უსვამს შაორის ქვაბულში კარსტული მოვლენების განვითარების მეტად ხელსაყრელ პირობებს როგორც ზედაპირზე, ისე მიწისქვეშე; დაწვრილებით ჩერდება მიწისქვეშა წყლების საუკუნოებრივ მოქმედებაზე ([955], გვ. 273—276). შემდეგ იგი აშუქებს მიწისქვეშა წყლების როლს შაორის ქვაბულის ზედაპირის მორფოლოგიაში; ამასთან დაკავშირებით ვ. ლეონოვი აღნიშნავს მრავალრიცხოვანი შებენი ქვაბულების არსებობას, განსაკუთრებით წმინდა გიორგის მონასტერის ნანგრევების მიდამოებში; მოპყავს ამ ქვაბულებზე მორფოგრაფიულ-მორფომეტრიული საკუთარი დამკვირვების შედეგები და იძლევა მათი წარმოშობის ახსნასაც; აღნიშნავს, რომ

წმინდა გიორგის მონასტრის მიდამოების ვარდნობების გავრცელებაში გარკვეული კანონზომიერება შეიმჩნევა და რომ ისინი უმეტესად მერიდიანული და სიგანედური ხაზების გასწვრივ ვრცელდებიან; მიუთითებს, რომ დოლინები და ვარდნობები ვრცელდება ნაქერალის გადასასვლელის აღმოსავლეთითაც, მაგრამ აქ ისინი ნაკლები ზომისანი არიან და მათი ჩრდობრივად გავრცელება მკაცრად გამოხატული არ არის; შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით შორის ქვაბულის ძირის ახლომდებარე დოლინებში წყალი მუდმივად ან დროებით დგას. ვ. ლეონოვის აღწერიდან გამომდინარეობს, რომ შორის ქვაბულის ფერდობების ზედა ნაწილში, რომლებიც არსებითად რაჭის ქედის ზედაპირს წარმოადგენს, დოლინებთან ერთად უვალებიც ვრცელდება (შავალითად, წმინდა გიორგის მონასტრის მიდამოებში).

აღნიშნულ ნაშრომში დეტალურად არის აღწერილი შორის ქვაბულის ძირზე გავრცელებული კარსტული ფორმები, კერძოდ ნიკორწმინდის საყინულე, თელის რა მას ორმოს, გამოქვაბულისა და დოლინის შეერთებით გაჩენილ ფორმად; მოჰყავს მისი მორფოგრაფიული და მეტეოროლოგიური დაკვირვების მონაცემები ([955]; გვ. 276—278); აღნიშნავს ჩოლოვის გამოქვაბულს სოფ. ხოტევის მიდამოებში და ადგილ სხარტალის ქალის გამოქვაბულს, ამასთან იძლევა ამ უკანასკნელის ანახსიათებას (იქვე, გვ. 278). აღწერილი აქვს აგრეთვე მდ. შარაულის სათავისა და ციფწყალას გამოქვაბულები; გამოთქვამს თავის მოსაზრებას მდ. შორის განაეონი წყლის გამოსვლის ადგილის შესახებ და მას, მართებულად სწყვეტს არა ციფწყალას, არამედ შარაულას სასარგებლოდ (იქვე, გვ. 278—282). შემდეგ ვ. ლეონოვი აღწერს მდ. შორის შენაკადებსაც (ხერელიეთს, ხარს, ქვაგახეთქილს, პერევისას, თეთრწყალას, ფრიოლს, ღორწყალს და თვით შორას). ამ აღწერისას იგი განსაკუთრებით ჩერდება ამ მდინარის ვაკიან ხასიათზე და ადგილ ხერგის მიდამოებში გავრცელებულ კარსტულ მოვლენებზე (გვ. 282—285); აღწერას ურთავს ხერგის მიდამოების გეგმას, რომელზედაც სხვათა შორის დატანილია ის დოლინები, რომელთა საშუალებით შორა იყონება მიწისქვეშ; ახასიათებს ძროხისთვალისა და ხარისთვალის პატარა ტბებს და მათ ქვაბულებს (გვ. 285—288), აგრეთვე საწურბლიას ანუ ქელიადელისა და თლულის ტბების ქვაბურებს (გვ. 289—292) და მოჰყავს ამ უკანასკნელის წარმოშობის შესახებ არსებული ლეგენდა (გვ. 292—293); მიუთითებს, რომ ამ ლეგენდაში არეკლილია ტბის ქვაბულის კარსტულ წარმოშობაზე დაკვირვების შედეგები, რომელმაც თავის საიდუმლოების მეოხებით გავლენა მოახდინა ხალხის ფანტაზიაზე და მათაც ეს დაკვირვების შედეგები შემოგვინახა ლეგენდის პოეტურ ფორმაში (გვ. 293).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რაჭაში გავრცელებულ კარსტულ მოვლენების შესახებ ვ. ლეონოვი მოხსენებით წარსდგა რუს ბუნებისმეტყველთა და ექიმთა XII ყრილობის წინაშე ქ. მოსკოვს. ამ მოხსენებაში იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქვემო რაჭა წარმოადგენს მკაცრად გამოხატულ კარსტულ ლანდშაფტის მხარეს და რომ აქ კარსტის ყველა ტიპური მოვლენა არის წარმოდგენილი: გამოქვაბულები, დოლინები (რომლებშიც გროვდება ატმოსფერული წყლები, ან მათში ამოედინება მიწისქვეშა წყლები, ანდა შთანთქავენ მდინარეებს); უვალები, ჩაქცევი წარმოშობილი ტბები, მდინარეები, რომლებიც იყონებინ მიწისქვეშ და შემდეგ ხელახლად გამოდიან ზედაპირზე, პერიოდული წყაროები და სხვა. ([956], გვ. 560). სხვათა შორის, ამ მოხსენების გან-

ხილვაში მონაწილეობა მიიღეს ისეთმა გამოჩენილმა სპეციალისტებმა, როგორც იყვნენ ალ. კრუბერი, ბ. ჟიტკოვი და დ. ანუჩინი.

საქართველოს კარსტის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეტანილი მ. სერგეევის მიერ. ამ მკვლევარმა 1902—1903 წწ. დაკვირვებები აწარმოვა ვაგრის კლიმატურ სადგურის მიდამოების მტკნარი წყლების გავრცელების პირობების გამოსარკვევად; ამის საფუძველზე მან ნაშრომიც გამოაქვეყნა [1179]. ამ საკითხის შესწავლა პრაქტიკული მნიშვნელობისა იყო, რაც გამომდინარეობდა ვაგრის კლიმატური სადგურის წყლით მომარაგების უზრუნველყოფაში. ამისათვის, რა თქმა უნდა, მ. სერგეევმა აღრიცხა აქ არსებული წყაროები, გაარკვია მათი დებიტი და სხვ., აგრეთვე თუ რამდენად დასაშვანია წყარო გამოსადეგი იყო ამ სადგურისა და თვით ვაგრის მოსახლეობის წყლით უზრუნველსაყოფად. საკითხის ასე დაყენების 'გამო, ცხადია ამ სამუშაოს კუსტარული წესით ჩატარება არ შეიძლებოდა, არამედ, იგი უნდა დამუშავებოდა მეცნიერულ საფუძველზე. მ. სერგეევიც, როგორც ამ მხრივ განიხილილი სპეციალისტი, სწორედ ასე მოიქცა. ამიტომ არის, რომ ამ მკვლევარის აღნიშნულ ნაშრომში მხარის სუბსტრატის შესწავლასაც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. ამ მხარის სუბსტრატის აგებულებაში კი დიდ როლს თამაშობს იურული და ცარცული კარბონატული, ძირითადად სამხრეთ-დასავლეთით მეტ-ნაკლები კუთხით დაქანებული, შრეები. ამ კარბონატულ წყებაში, უმთავრესად კირქვების შრეებში, სხვა ზელსაყრელ პირობებთან ერთად გავრცელებას პოვებს კარსტული მოვლენები. ცხადია, რომ მ. სერგეევმაც ამ მოვლენის შესწავლას დიდი ადგილი დაუთმო.

მ. სერგეევი აღნიშნულ შრომაში არკვევს ამ მხარის სუბსტრატის ამგებელი კირქვების შრეების წოლის პირობებს, მათ ლითოლოგიურ შედგენილობას და ამ ქანების ქიმიურ და ფიზიკურ თვისებებს, კარსტული მოვლენების განვითარების თვალსაზრისით; ამასთან მიუთითებს, რომ აქ მეტად ხელსაყრელი პირობებია კირქვის დაკარსტვისათვის და სათანადო ფორმების გამოშვებისათვის როგორც ზედაპირზე, ისე მიწისქვეშ. აღნიშნულ პირობების განხილვისას მ. სერგეევი არკვევს მის მნიშვნელობას ვაგრის მიდამოების წყაროების რეჟიმზე ([1179], გვ. 116—121). ამასთან ნაშრომში მოცემულია ცალკეული წყაროებისა და გამოქვაბულებიდან გამომდინარე წყლის ნაკადების დახასიათება. ამ დახასიათებისას მ. სერგეევი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მათ გენეზისს და ამ წყლებით ვაგრის უზრუნველყოფის შესაძლებლობას (იქვე, გვ. 121—153).

მ. სერგეევი აგრეთვე იძლევა კარსტული ზედაპირული და მიწისქვეშა ფორმების აღწერა-დახასიათებას; მაგალითად: 1) მ. არბიკის მიდამოებში ფართო განვითარებულ დოლინებსა და ჭებებს, რომელთა გავრცელებაში გარკვეულ კანონზომიერებას ამჩნევს, აგრეთვე კარებს და აღნიშნავს, რომ ამ თელი ეს მხარე დიდი უწყლობით ხასიათდება, ამასთან მიუთითებს, რომ მთ მხარის დაკარსტვაში მნიშვნელოვან როლს დოლინებისა და ჭებში დაგროვილი თოვლის მასის თანდათანობით დნობა თამაშობსო ([1179], გვ. 126—127 და 130—132); 2) მდ. ციხერვის ხევის ერთ-ერთ განშტოებაში აღნიშნავს საკმაოდ დიდ გამოქვაბულს (გვ. 140); 3) დეტალურად აღწერს მდ. ახაი-აბალკვარას ხევი არსებულ ოლღას სტალაქტიტებით მორთულ გამოქვაბულს („Ольгинская пещера“) და აღგებს მის გეგმას (გვ. 147—152). შრომის დასკვნით ნაწილში

მ. სერგეევი განსაკუთრებით მიუთითებს გაგრის წყლით მომარაგების სიძნელეს და ამის მიზეზს (გვ. 152—153).

გაგრის კლიმატური სადგურის წყლის მომარაგების საკითხის გადაწყვეტისადმი მიძღვნილი 1905 წელს გამოქვეყნებული ა. მარგოლიუსის ნაშრომაც [1012]. ამ ნაშრომის შესადგენად 1903 წელს ავტორს ადგილზე ჩატარებია გაგრის მიდამოებში არსებული მთავარი ნაკადების აუზების გეოლოგიური შესწავლა, რათა გამოველინა არსებული სასმელი წყლის მარაგა, განესაზღვრა მათი სასმელათ გამოსადგეობის ხარისხი და გაერკვია თითოეული წყაროს გამოყენების შესაძლებლობა გაგრის მოსახლეობისათვის. ამ საკითხის გადაწყვეტისას ა. მარგოლიუსი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს კარსტული მოვლენებისა და ფენომენების შესწავლას. ამ შრომაში, კერძოდ აღწერილია კლიმატური სადგურის ახლომდებარე ორი გამოქვაბული ([1012], გვ. 129—130).

აღსანიშნავია, რომ ა. მარგოლიუსის მუშაობა გაგრის მიდამოებში მიმდინარეობდა მ. სერგეევის გამოკვლევათა პარალელურად და დამოუკიდებლად, ამიტომ მას არ შეეძლო გაეთვალისწინებინა მ. სერგეევის მიერ მიღებული შედეგები. ა. მარგოლიუსის ეს შრომა თავისი მეცნიერული ღონით რამდენადმე ჩამოუვარდება მ. სერგეევის ზემოთ დასახელებულ შრომას.

ამავე პერიოდში, კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე, მათ შორის გაგრის მიდამოებში გამოკვლევას აწარმოებდა კარსტის ცნობილი მკვლევარი ედუარდ ალფერდ მარტელი. ამ გამოკვლევების შედეგები ე. ა. მარტელმა გამოაქვეყნა ვრცელი მონოგრაფიისა [1489] და ა. ერმოლოვთან ერთად სტატიის სახით [1450]. მონოგრაფიაში გაშუქებულია აქ გავრცელებული კარსტული მოვლენები და დახასიათებულია მიწისქვეშა მდინარეები; ამასთან დაკავშირებით აღწერილია რამდენიმე გამოქვაბული, ბუნებრივი ჭა, პონორი და სხვა, ე. ა. მარტელი ცოცხალი საღებავებით აგვიწერს არბიკის კირქვებით დაკარსტვის ინტენსივობას ([1489], გვ. 180); ამასთან, ე. მარტელი აღნიშნავს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში, კარსტული ფენომენების განვითარების დიდ შესაძლებლობას.

ამ პერიოდში კარსტულ ცალკეულ ფორმებსაც სწავლობდნენ; მაგალითად, ა. დიაჩკოვ-ტარასოვი, კ. სატუნინი, ვ. ბაბე და სხვ. ა. დიაჩკოვ-ტარასოვი იძლევა სოხუმის (შრომის) სტალაქტიტიან გამოქვაბულის აღწერას [795]; კ. სატუნინი ყოფილ სოხუმის ოკრუგის გამოქვაბულების ფაუნის შესწავლასთან დაკავშირებით იძლევა აბრსკილის, აძაბისა და სხვ. მორფოგრაფიულ-მორფომეტრიულ დახასიათებასაც [1170]; ვ. ბაბე წყალტუბოს თბილი წყაროების შესწავლისას იკვლევს მის მიდამოებში გავრცელებულ კარსტულ წარმონაშებებსაც [555] და სხვ.

ლ. კონიუშევსკი 1913 წელს სპეციალურ სტატიას უძღვნის ყოფ. სოხუმის ოკრუგის კარსტული მხარის დახასიათებას, ძირითადად სოხუმსა და გაგრას შორის [912]; იგი მიუთითებს, რომ მთელი ეს მხარე უმთავრესად აგებულია ცარცული და ზედათურული კირქვებით და კირქვიან ქედებზე მკვეთრადაა გამოსახული კარსტული მოვლენები — ძაბრისებრი და ჭოსებრი ჩაღრმავებებით, გამოქვაბულებით, ზედაპირზე წყლის გაფონვით და შემდეგ დაბალ ნაწილებში მძლავრი წყაროების ან მდინარეების გამოსვლით (მაგ., მძლავრი ჩანჩქერი გევის ხეობაში, მდ. მკოშთას სათავე და სხვ.). ამასთან მიუთითებს, რომ კირქვების გამოფიტვის შემთხვევაში აღვილი აქვს მთების ჩამოქცევას

და ამასთან დაკავშირებით მდინარეების აგუბებას (დიდი და მცირე რიწის ტბები, ტბ. ამტყელი). შემდეგ ჩერდება ტყის მნიშვნელობაზე კირქვიან მასივების უწყლობის შემცირების საქმეში და სხვ.

ცალკე გვინდა შევჩერდეთ ცნობილ კარსტოლოგის ალ. კრუბერის გამოკვლევებზე, რომლებიც გაგრის ქედის აღმოსავლეთ ნაწილს შეეხება [927—929, 931]. ალ. კრუბერი 1911 წელს ავეისტოში სწავლობდა გაგრის კარსტულ წყაროებსა და არბიკის კირქვეულ მასივზე განვითარებულ კარსტულ მოვლენებს. სტატიაში დახასიათებულია გაგრის მიდამოების თავისებური ჰიდროგრაფიული პირობები, რასაც იგი უკავშირებს ამ მხარის პეტროგრაფიულ შედგენილობასა და ტექტონიკურ აგებულებას ([929], გვ. 4); ახასიათებს არბიკის მიდამოებში მოსულ ატმოსფერული ნალექების გაფონისათვის და კარსტული მოვლენების განვითარებისათვის აქ არსებულ მეტად ხელსაყრელ პირობებს (იქვე, გვ. 5). შემდეგ იგი ჩერდება გაგრის მიდამოების ცალკეულ მდინარეებისა და წყაროების წყლების დახასიათებაზე (გვ. 6—8); ამასთან აღწერს ორ გამოქვაბულს. ამ განხილვის შედეგად იგი მიღის იმ დასკვნამდე, რომ ეს წყლები ყალიბდება მაღალ მთებში, გაგრის ქედზე და მიწისქვეშ განვლილი აქვს გრძელი გზაო (გვ. 8). სტატიის შემდეგი ნაწილი ეთმობა არბიკის მისადგომებისა და თვით არბიკის მასივის აღწერას (გვ. 9—19). ამასთან არბიკის მასივზე აღნიშნავს ძაბრისებრ რომოების—დოლონიების რიგებად გავრცელებას, რომლებშიც თოვლის გროვებიო; მიუთითებს რომ ამ მასივზე ტიპიურ კარსტულ ლანდშაფტთან გვაქვს საქმეო, მაგრამ ყირიმის იაილებთან (ჩატირდაღისა და კარაბის იაილები) შედარებით ნაკლები სიმკაცრით ხასიათდებაო (გვ. 13). მ. სერჯევთან შედარებით ([1179], გვ. 126—127 და 130—132) ალ. კრუბერი არბიკის მასივისათვის უფრო დაწვრილებით და დამაჩერებლად არკვევს ძაბრებში დაგროვილი თოვლის მასების როლს კარსტული მოვლენების განვითარებაში, კერძოდ ჭა-საყინულების წარმოშობაში ([929], გვ. 14—17); ამასთან აღწერს არბიკის რამდენიმე ღრმა ჭა-საყინულეს; ამავე სტატიაში აწერილი აქვს კარსტული რელიეფის მიკროფორმები—კარები, პონორები და სხვ.

1911 წელს ჩატარებულ გამოკვლევების შედეგებს ა. კრუბერი წინასწარი ანგარიშის სახითაც აქვეყნებს და კითხულობს მოხსენებას ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების გეოგრაფიულ განყოფილების სხდომაზე ამავე წელს და ახდენს კარაბიიილისა და არბიკის კარსტულ რელიეფის შედარებას [927—928].

არბიკაზე დაკვირვების შედეგები ა. კრუბერმა გამოიყენა თავის მონოგრაფიაში მთიანი ყირიმის კარსტული მხარის დახასიათებისას, რომელიც 1915 წელს გამოქვეყნდა და ავტორის სადისერტაციო შრომა გახდა [931], ამასთან მოჰყავს ბევრი ახალი მასალაც, ახდენს საინტერესო შედარებას ყირიმის კარსტულ ფორმებთან და ამ შედარებიდან გამოაქვს ორიგინალური ზოგადი დასკვნები საერთოდ კარსტული მოვლენებისა და კერძოდ ამა თუ იმ ფორმის განვითარებაზე. მაგალითად, კარებისა და კარული ველების წარმოშობის ახსნისას მიუთითებს, რომ ყველაზე კარგად კართა წარმოშობისკავშირი დილოკაციურ ნაპრალებთან გამოხატულია არბიკის მასივზეო, ამასთან აღნიშნავს, რომ არბიკაზე დიდ გავლენას ახდენს ქანის ქიმიური შემადგენლობა და მოჰყავს ამის კონკრეტული მასალა ([929], გვ. 20—22); დოლონიებისა

და ქების დახასიათებისას ა. კრუბერი მიუთითებს თოვლის როლზე და ამის საილუსტრაციოდ შესაფერისი მონაცემები არბიკის მასივიდან მოჰყავს (გვ. 68—73); ახასიათებს რა კარსტული მხარეების მდინარეული ხეობების მორფოგრაფიულ თავისებურებას, შენიშნავს რომ ბრმა ან ნახევრად ბრმა, ანდა შშრალი ხეობების აგრეთვე მიწისქვეშა მძლავრნაკადიანი მდინარეების მაგალითები ქვემო რაჭაში (შაორა-შარალა) და გავრის მიდამოებში გვაქვს; აბრკილის გამოქვაბულიდან გამომდინარე მდინარეც ამავე ტიპს მიეკუთვნებაო (იქვე, გვ. 165—166).

მიმდინარე საუკუნის პირველ მეოთხედში ყურადღება მიექცა საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ კარსტულ მოვლენებთან დაკავშირებულ წარმოშობილ ტბებსა და მათი ქვაბურების შესწავლასაც. 1903 წელს გამოქვეყნებულ სტატიამი ა. დიაჩკოვ-ტარასოვი იძლევა პირველ ცნობას ტბა რიწის შესახებ და თვლის რომ ტბის ქვაბური მდ. ლაშიფსის ხეობის გაგანიერებულ ნაწილს წარმოადგენს ([797], გვ. 60). ამავე სტატიამი ა. დიაჩკოვ-ტარასოვი აღნიშნავს დიდ გამოქვაბულს ბზიფის მარცხენა ნაპირთან (იქვე, გვ. 58). 1913 წელს კ. სატუნინმა რიწის ტბა მოინახულა და თავის დაკვირვების შედეგები რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების სხდომას მოახსენა ([1172], გვ. 318—320). მისი აზრით გეოლოგიურად მეტად არაშორეულ წარსულში ადგილი ჰქონდა მთის ჩამოქცევას, რამაც გზა გადაუღობა მდ. ლაშიფსს და ამგვარად წარმოიშვა ტბა რიწა. მაშასადამე, კ. სატუნინი რიწის ტბას აგუბებულ ტბათა კატეგორიას მიაკუთვნებს (იქვე, გვ. 318).

რიწის ტბის ქვაბურს 1913 წელს ივლისში სწავლობდა ყირიმ-კავკასიის სამთო კლუბის მიერ მოწყობილი ექსპედიცია ევგ. მოროზოვას ხელმძღვანელობით. ამ გამოკვლევის შედეგები სტატიების სახით 1914—1915 წწ. გამოქვეყნდა [1086—1089]. ევგ. მოროზოვას ერთ-ერთ სტატიას ფოტოსურათების გარდა ერთეს ტბა რიწის გეგმა (დოქში 100 საკუნთან მასშტაბში) [1087]. ევგ. მოროზოვას მიაჩნია, რომ მდ. ლაშიფსის ხეობა ტიპური ეროზიული წარმოშობისაა (იქვე, გვ. 124), ხოლო რიწის ტბის ქვაბურის გაჩენა დაკავშირებულია მთის ფერდობებზე კირქვის მასის ჩამოქცევასთან; ამ ჩამოქცევის შედეგად გადაიღობა მდ. ლაშიფსის ხეობა და ტბაც წარმოიშვაო. ამასთან ევგ. მოროზოვა უშვებს, რომ კირქველი ქედის ფერდობებზე მომხდარ ჩამოქცევასთან ერთად ადგილი ჰქონდა მდ. ლაშიფსის ხეობის ძირის ნაწილის დაწვევაც (გვ. 126). სხვა სტატიამი დახასიათებულია კარსტული მცირე რიწის ტბის ქვაბური [1088].

ლ. კონიუშევსკი 1913 და 1915 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში მიუთითებს, რომ ტბა რიწა წარმოადგენს ტიპურ დაგუბებულ ტბას და მისი ქვაბულის წარმოშობა დაკავშირებულია ფშეგიშხას კირქვიანი მთის ფერდობების ჩამოქცევასთან ([912], გვ. 16; [913], გვ. 22—23).

ა. რეინჰარდი ევგ. მოროზოვას სტატიასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ნაშრომში წინააღმდეგ ევგ. მოროზოვასა და ლ. კონიუშევსკის ([912], გვ. 16 და სხვ.) მოსაზრებისა რიწის ტბის ქვაბურის წარმოშობას ყინვარის მოქმედებას უკავშირებს ([1146], გვ. 387—388 და 390).

ამტყელის ტბის ქვაბური ვ. მავესკის მიხედვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთის ფერდობზე კირქვის შრეების დაცურებით არის წარმოშობილი

([974], გვ. 49—50). კ. მაჭავარიანიც ამ ტბის გაჩენას მთის ჩამოქცევას უკავშირებს ([1057], გვ. 9; [1058—1059]).

გამოკვლევები კირქვიანი ქედების მცენარეულობის თავისებურებაზე.

კირქვიანი ქედების ფლორა რამდენიმე მკვლევარმა სპეციალურად ან სხვა საკითხებთან ერთად შეისწავლა; მაგალითად, ა. კრასნოვი ხაზს უსვამს აფხაზეთის დასავლეთი ნაწილის კირქვიანი სივრცეების ნიადაგის და მცენარეულობის თავისებურებას, რასაც ამ ადგილებში გავრცელებულ კარსტულ მოვლენებს უკავშირებს ([923], გვ. 109 და 116); იგი აგრეთვე მიუთითებს, რომ კირქვის შრეების ზღვისაქენ დაქანების გამო მის ნაპრალებში, ქედების თხემურ ნაწილში იჟონება წყალი, რომლებიც შემდეგ სანაპირო ზოლში მრავალრიცხოვანი წყაროების სახით გამოდიან. ამ მოვლენას იგი უკავშირებს ქედების ამ ნაწილების უწყლობას წლის გვალვიან სეზონში (იქვე, გვ. 104).

ი. ვორონოვი გაგრის კირქვიანი ქედის მცენარეულობის დახასიათებისას მიუთითებს მ. არბიკისა და სხვ. კირქვიანი მთების მიდამოების კარსტულ მოვლენების განვითარებაზე ([654], გვ. 211—212); ამასთან ი. ვორონოვი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ გაგრისა და ბზიფის ქედების ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს მათი მცირე წყლიანობა ან სრული უწყლობა შეადგენს, რასაც უკავშირებს კირქვის ნაპრალებში ატმოსფერული წყლების გაქონვას; იგი აგრეთვე მიუთითებს იმაზე, რომ მიწისქვეშა წყლების მოქმედება ამ მხარეში გამოიხატება ზედაპირზე დამახასიათებელი ჩაღრმავებების, დოლინების გამოქმუშავებაში და მათ როლზე ამ მხარის უწყლობაში, ხოლო სანაპიროზე უხვდებიტიანი მდინარეების წარმოშობაში; მაგალითად, ცისფერი ტბის, შკიშთის და სხვ. სახით (იქვე, გვ. 212—214). გარდა ამისა ი. ვორონოვი აღწერს კარსტული წარმოშობის ტბებსაც (იქვე); ი. ვორონოვის სტატიის შემდეგი გვერდები დათმობილი აქვს კირქვიანი ქედების მცენარეულობის დახასიათებას (გვ. 216—226), ი. ვორონოვი მეორე სტატიაში ახასიათებს წებელდღს აშოქვაბულს და აქ განვითარებულ კარსტულ მოვლენებს ([655], გვ. 39—40).

საინტერესო მონაცემებია მოყვანილი ა. გროსჰეიმის მოკლე ანგარიშში გაგრის ქედის სამხრეთ ნაწილის — გაგრიფშისა და ქოვეკვარის ხეობების კირქვიანი მცენარეულობის შესახებ ([748], გვ. 7).

ვ. დოკტუროვსკი იძლევა ბზიფის ქედის კირქვიან ფლორის თავისებურების დახასიათებას, ამასთან მიუთითებს ბზიფის ქედზე დოლინების ფართო გავრცელებაზე ([783], გვ. 76—80 და სხვ.).

ა. შელკოვნიკოვმა 1911 წელს იმოგზაურა სვანეთში ამ მხარის ბოტანიკური და ზოოლოგიური კოლექციების შესაგროვებლად. ამ მოგზაურობის შესახებ მან სტატიაც გამოაქვეყნა [1344]. ამ სტატიაში იგი აღნიშნავს ცაგერის მიდამოების კირქვებით აგებულ ადგილების მცენარეულობის თავისებურებაზე, აგრეთვე გამოქვაბულების არსებობას (იქვე, გვ. 357), მოჰყავს საინტერესო ცნობები ასხის მასივის, ადგილ მაიდნის მიდამოებში გავრცელებულ კარსტულ ფორმებზე (გვ. 361—362).

XX საუკუნის პირველ მეოთხედში, XIX საუკუნის მეორე ნახევრისაგან განსხვავებით გაცხოველდა მუშაობა კარსტულ გამოქვაბულთა ფაუნის შესწავლაზე, ამ მხრივ მნიშვნელოვანი წვლილი იქნა შეტანილი ანდ. სემიონოვის, ა. შუგუროვის, კ. სატუნინის, ბ. უეაროვის, ნ. სმირნოვისა და სხვათა მიერ.

ანდ. სემიონოვი ახდენს ნ. შჩუკინის მიერ 1897 წელს წებელდისა და ახალი ათონის მონასტრის ახლომდებარე გამოქვაბულებში მოპოვებულ კალიის ხმელთაშუა ზღვის პლუტონურ<sup>11</sup> გვარის *Dolichopoda Boliv*-ის ახალი სახის განსაზღვრას ([1176], გვ. 5—7). ამასთან იგი მიუთითებდა, რომ ზოოგეოგრაფიულად კავკასიაში ახალი *Dolichopoda* ბუნა მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენდა, რადგან აქამდე მისი მხოლოდ ხუთი სახე იყო ცნობილი: 1) კუნძულ კორსიკაზე, 2) აღმოსავლეთ პირინეის, 3) დალმაციის და 4-5) მცირე აზიის გამოქვაბულებში (იქვე, გვ. 7-8). დასასრულ აღნიშნავს, რომ *D. euxina* მიეკუთვნება ხმელთაშუა ზღვის ელემენტთა რიცხვს კავკასიაში (იქვე), ამასთან გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ეს მწერი არა მარტო გამოქვაბულებში, არამედ დიდი ქვების ქვეშაც და კლდის ღრმა ნაპრალებშიაც უნდა ცხოვრობდესო, რადგან კარგად აქვს განვითარებული თვალბოლო.

ამავე კალიის (*Dolichopoda euxina* Sem.), სპელეოფაუნის ამ ტიპური წარმომადგენლის არსებობას იმერეთის გამოქვაბულებში აღნიშნავს ა. შუგუროვი [1346]. ა. შუგუროვს 1908 წლის მაისის მიწურულში ეს მწერები იაზონის გამოქვაბულში ვერ უპოვია, მაგრამ იქვე წყალწითელას ხეობის მეორე გამოქვაბულში, აღნიშნული მწერი საკმაო რაოდენობით შეუგროვებია (იქვე, გვ. 271). ა. შუგუროვი მიუთითებს, რომ ეს კავკასიური დოლიქოპოდები გვხვდებიან მხოლოდ ბნელ როგორც მშრალ, ისე ნესტიან გამოქვაბულებში (იქვე, გვ. 272).

მეორე სტატიაში ა. შუგუროვი მიუთითებს კავკასიის გამოქვაბულთა ნაკლებად შესწავლილობაზე, ამიტომ ბუნებისმეტყველებისა და ექიმთა უახლოეს ყრილობის გადაუდებელ ამოცანად შიაჩნია, რომ გამოიყოს სპეციალური კომისია გამოქვაბულის ფაუნის შესასწავლად; ამის საჭიროებას იმით ახაბუთებს, რომ ამ უკანასკნელ ხანებში გამოქვაბულის მნიშვნელოვანი გარდაქმნა ხდება, რის გამოც მისი ფაუნაც იცვლება ([1347], გვ. 86). მართლაც გამოქვაბულები ხომ ბუნებრივი გრანდიოზული ბიოლოგიურ ლაბორატორიას წარმოადგენს ([1349], გვ. 36—49) და, ცხადია, ამ ლაბორატორიაში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ბუნებრივი პირობების შეცვლა გავლენას იქონიებს მის ფაუნაზე. ამ მხრივ ა. შუგუროვის მოთხოვნა სწორი და დროული იყო; მას არ დაუეკარგავს თავისი მნიშვნელობა დღეისათვისაც.

კ. სატუნინი 1909 წელს, საიმპერატორო რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების დახმარებით, აწარმოებს სოხუმის მიდამოების გამოქვაბულთა ზოოგეოგრაფიულ შესწავლას [1171]. ამ მუშაობის შედეგად, მან გამოქვაბულებში შეაგროვა ღამურები, რომლებიც სამ სახეობას მიეკუთვნება, აქედან ორი ახალი სახე აღმოჩნდა. კ. სატუნინის მიერ შეგროვილ იქნა ღამურების შემდეგი სახეები: 1) *Miniopterus schreibersi* Natt., რომელიც მხოლოდ

<sup>11</sup> პლუტონურ მწერებს ანდ. სემიონოვი ისეთებს უწოდებს, რომლებიც მუდმივად, განუთარებების ყველა სტადიაზე, ცხოვრობს მიწისქვეშ—გამოქვაბულებში ან სხვა სიღრუეებში.



აძაბის გამოქვაბულში იქნა ნაპოვნი: 2) *Rhinolophus ferrum-equinum colchicus* subsp. nova (Satun). ეს ლამურა ყველა გამოქვაბულში გვხვდება, გარდა აძაბისა; 3) *Rhinolophus euryale nordmanini* subsp. nova (Satun). ლამურის ეს სახე კ. სატუნის უპოვნია სოფ. პავლოვოს გამოქვაბულში, ხოლო ი. ვორონოვს წებელდის გამოქვაბულში და ა. შუგუროვს ქუთაისის მიდამოების გამოქვაბულებში ([1171], გვ. 47—48; იხ. აგრეთვე: [1770], გვ. 18). კ. სატუნის ლ. ბერვისა და ა. კირიჩენკოს თანავეტორობით გამოქვეყნებულ შრომაში აგრეთვე მოჰყავს ზემოაღნიშნული მონაცემები ლამურების შესახებ ([1173], გვ. 13—21).

ბ. უეაროვი 1912 წელს აქვეყნებს შრომას კავკასიის გ. შილოფრთან ფაუნის შესახებ, ამასთან მიუთითებს *Dolichopoda euixina* Semenova-ის არსებობაზე წმ. იპატის გამოქვაბულში გაერის ახლო, 1910 წლის იენის-იელისში [1283].

ნ. სმირნოვი სოფ. რგანის ახლომდებარე გეარჯილასკედის გამოქვაბულის კულტურულ ფენაში ნაპოვნ ძეგლების დამუშავების საფუძველზე ასკენის, რომ ჩვენ აქ საქმე უნდა გვქონდეს გამოქვაბულის სამურაუტანო (*Guio guio*, როგორც ჩანს *speleus*) ([1190], გვ. 226—227).

## ც ნ ო ბ ე ბ ი კ ა რ ს ტ უ ე გ ე ო ლ ო გ ი უ რ შ რ ო მ ე ბ შ ი

საქართველოში გაერცელებული კარსტული მოვლენების შესახებ ზოგიერთი საინტერესო ცნობები მოიპოვება გეოლოგიურ შრომებშიც; მაგალითად, ა. მარგოლიუსის გეოლოგიურ გამოკვლევაში მდ. შორის გაყოვნაზე ძაბრისებრი ჩაღრმავებებში და შემდეგ მისი გამოსვლის შესახებ შარაულის სახით გამოქვაბულიდან ([1011], გვ. 4).

ვ. ვებერი ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს მიდამოების გეოლოგიურ დახასიათებისას ხაზს უსვამს იმ გარემობას, რომ ამ რაიონში კაპროტინიანი კირქვები ძლიერაა დაკარსტული იმდენად, რომ ძნელდება მისი შრეთა წოლის განსაზღვრა ([614], გვ. 301). იგივე მკვლევარი სხვა სტატიაში მიუთითებს, რომ კირქვებით აგებული ხეობები გამოირჩევიან ბზის ქვეტყის ფართო გავრცელებით ([615], გვ. 50).

გ. სმირნოვი ყოფ. რაჭის მხარის გეოლოგიურ აღწერისას მიუთითებს, რომ შორის ქვაბულზე ძველად ტბა არსებობდა და ამ ტბიდან წყლის გადენა ახლანდელი მიწისქვეშა ხვრელებიდან ხდებოდა ([1189], გვ. 106).

ლ. კონიუშევსკი აფხაზეთის ტერიტორიის ჯეოლოგიურ ნაშრომში მიუთითებს კარსტულ მოვლენებზეც, სახელდობრ მდ. გეგას ხეობაში კირქვის შრეებიდან გამომაჯალ წყლის დიდ ნაკადზე, რომელიც ქვემოთ 7—8 საუენის სიმაღლეზე ჩანჩქერის სახით ეშვება ([913], გვ. 21); მდ. მჭიშთის არსებობას უკავშირებს ბზიფის ქედზე ატმოსფერული წყლების გაყოვნვას კირქვის ნაპრალებში მნიშვნელოვან სიღრმეზე, რომელიც იკრიბება დიდ ნაკადად და შემდეგ გამოდის აღნიშნული მძლავრი მდინარის სახით (იქვე, გვ. 27); ლ. კონიუშევსკი მიუთითებს, რომ ბზიფის ქედი მდ. მდ. ბზიფსა და თეთრწყალას შორის აგებულია დოლომიტიანი მკვრივი კირქვებით და მათი გავრცელების ფარგლებში ფართოდაა წარმოდგენილი ძაბრისებრი ორმოები და ღრმა კეები, რომლებშიც გაედინება ამ მხარეში მოსული ატმოსფერული ნალექები, რის გამოც მთელი ეს მხარე უწყლობით ხასიათდება და აქვს კლდოვანი, მონოტონური, ნამდვილი უდაბნოს სახეო (გვ. 27—28); მრავალრიცხოვანი ძაბრისებრი ჩაღრ-

მავებებსა და ამოქვაბულების არსებობას აღნიშნავს ლ. კონიუშეცკი გაგრის ქედის დასავლეთ ნაწილში, აგრეთვე ადგ. შაბაშხოს მიდამოებში (გვ. 71). ამავე ქედის მ. ხოგოშის მიდამოებში კონიუშეცკის აღნიშნული აქვს მრავალი ორბო და, რომ ზოგ მათგანს ჭისებრივი ფორმა აქვს (გვ. 74); კარულ ზედაპირებს აღნიშნავს იგი კაცირხვის ქედზე (გვ. 77); მიუთითებს გაგრის მიდამოებში — მდ. ფსეფის ხეობაში გამოქვაბულს (გვ. 82), აგრეთვე მდ. ციხერვის ახლო კირქვებში გამოტუტვის შედეგად წარმოშობილ წმ. იპატის გამოქვაბულს სტალაქტიტებით (გვ. 83).

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ვ. ღუბინსკი [794]. იგი აღნიშნავს, რომ გაგრასთან მდინარეები გამოქვაბულებიდან იწყებიაო და მათ წყალს დაბალი ტემპერატურები ახასიათებთ ზაფხულის განმავლობაში ([794], გვ. 149—150); ვ. ღუბინსკი არბიკოს მიდამოების დაბალ ადგილებში მიუთითებს თოვლის ფროვების არსებობაზე (გვ. 150); იგი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ გაგრის მიდამოებში რელიეფის გამოშეშევაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მიწისქვეშა წყლებმა, რის გამოც აქ განსაკუთრებით ფართო გაფრცელებით ხასიათდება გამოქვაბულები და ეხები (გვ. 153—154); და რომ მაღალ ადგილებში მოსული ატმოსფერული ნალექებს დიდი ნაწილი იფონება ცარცულ კირქვებში განვითარებულ ნაპარალებში და შემდეგ დაბალ დონეზე გამოდიან გამოქვაბულებიდან მნიშვნელოვანი ნაკადების სახით (გვ. 154—155).

### კარსტის შესწავლა ტოპოგრაფიულ აგეგმვებთან დაკავშირებით

როგორც ცნობილია XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე კავკასიაში ტოპოგრაფიული დიდი მასშტაბის მუშაობანი ჩატარდა. ამ მუშაობასთან დაკავშირებით ქვეყნდება ცალკეული სტატიები და ანგარიშები, რომლებშიც ჩვენ ვნახულობთ საინტერესო ცნობებს საქართველოს კარსტული მხარეების შესახებ. მაგალითად, კ. პოდოზერსკი 1902 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში მიუთითებს, რომ დასავლეთ საქართველოს ტიპიური კირქვიანი ქედები, რომლებიც სამეგრელოს, სამურძაყანოს და აფხაზეთის სამხრეთ, დაბალ ნაწილის ჩრდილოეთით არიან აღმართულნი, ხასიათდებიან წყლის დიდი სიღარიბით ([1122], გვ. 181—182).

კ. პოდოზერსკი მეორე სტატიაში [1121] ხაზს უსვამს ოხაჩქუეს, ყვირისა და ოსირეს ქედებზე კარსტული ზედაპირული ფორმების დიდ გავრცელებას — დიდი და პატარა ქვაბულებს, ჩანაქვევების და ძაბრისებრი ორმოების სახით; მიუთითებს, რომ ცალკეული ქვაბული მნიშვნელოვანი სიღიღისა არის; მათი სიგანე 1—2 ვერსსა და სიგრძე 3—4 ვერსს აღწევს. კ. პოდოზერსკი აღნიშნავს, რომ დიდი ქვაბულების ფერდობებზე და ძირზე შეინიშნება შედარებით მცირე სიღიღის ორმოები, რომელთა დიამეტრი 1—დან 50 საყენამდე მერყობს, ხოლო სიღრმე — 1—დან 25 საყენამდე (იქვე, გვ. 243). კ. პოდოზერსკი ხაზს უსვამს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ მოსული ატმოსფერული ნალექების მნიშვნელოვანი რაოდენობის და წიწვიანი ტყის არსებობის მიუხედავად, ამ ქედების სამხრეთ ფერდობები წყლით მეტად დარიბია, მხოლოდ ორი-სამი მცირელებითიანი წყაროები ვგვხვდება დიდ სივრცეზე (გვ. 244).

კავკასიის სამხედრო ოკრუგის ტოპოგრაფიული განყოფილების მიერ ჩატარებულ ტოპოგრაფიულ სამუშაოთა ერთ-ერთ ანგარიშში მითითებულია, რომ ჩემპარის (ზნითის) კირქვიანი ქედის თხემური ნაწილი, რომლის სიგანე ზოგან 2 ვერსს აღწევს, დაფარულია ძაბრისებრი ორმოებით; ეს ორმოები კი თოვლით არის ამოვსილი. მიუხედავად ამისა, აღნიშნულია ანგარიშში, ქედზე 20 ვერსის მანძილზე წყალი არ გვხვდება, რადგან ორმოებში თოვლის დნობისაგან მიღებული წყალი იქვე ქვემოთ იყონება, წარმოშობს მიწისქვეშა მდინარეებს და შემდეგ გამოდინან გამოქვაბულებიდან. ერთ-ერთ ასეთ მდინარეთა მკიშთა არის დასახელებული ([1278], გვ. 7).

დასასრულ აღენიშნავთ, რომ პირველ მსოფლიო ომამდე გამოქვეყნებული საქართველოს კარსტოლოგიური ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი შეუსულია დ. პაგირევის მიერ შედგენილ ბიბლიოგრაფიაში კავკასიის შესახებ [1103].

### კარსტული გამოქვაბულების კვლევა არქეოლოგიურ სამუშაოებთან დაკავშირებით

XX საუკუნის პირველ მეოთხედში გამოქვეყნებულ არქეოლოგიურ შრომათა შორის, რომელშიც მოიპოვება კარსტულ გამოქვაბულებზე გეოგრაფიული ცნობები, განსაკუთრებით აღსანიშნავია სტ. კრუკოვსკის სტატია გვარჯილისკლდის (რგანის) გამოქვაბულის შესახებ [933]. ეს მუშაობა სტ. კრუკოვსკიმ 1916 წლის ზაფხულში შეასრულა კავკასიის მუზეუმის დავალებით. ამ შრომაში არქეოლოგიურ საინტერესო ცნობებს გარდა, დახასიათებულია გამოქვაბულის მორფოგრაფია და ნაფენები, აგრეთვე ნაწილობრივ მისი გენეზისიც არის გაშუქებული; სტატიას ერთვის გამოქვაბულის გეგმაც 1:200 მასშტაბში (იქვე, გვ. 253—259).

როგორც ცნობილია, 1914 წელს რ. შმიდტმა და ლ. კოზლოვსკიმ არქეოლოგიური გათხრები აწარმოეს მდ. წყალწითელის მარცხენა მხარეზე, მოწამეთასთან მდებარე საკაიის გამოქვაბულში. ამ სამუშაოს შესახებ ქართულ გაზეთებში გამოქვეყნდა სტატიები, რომლებშიც მოიპოვება ამ გამოქვაბულის მორფოგრაფიული და მორფომეტრიული ხასიათის ცნობები [186, 461, 502—503]. ამავე სტატიებში მითითებულია აგრეთვე საკაიის გამოქვაბულის ახლო, სოფ. გოდრგანის მიდამოებში სხვა გამოქვაბულების არსებობაზე [186, 502]. რ. შმიდტმა და ლ. კოზლოვსკიმ ამ გათხრებისა და თვით გამოქვაბულის მორფოგრაფიის შესახებ გამოაქვეყნეს მოკლე ანგარიში 1919 წელს [1513]. ამ მკვლევართა მიერ მოპოვებული მასალა გამოყენებულ იქნა მ. ებერტის მიერ თავის მონოგრაფიაში ([1421], გვ. 170); სათანადო ცნობა მოიპოვება აგრეთვე გ. ოსბორნისა ([1101], გვ. 469—470) და სხვ. ნაშრომებშიც.

### ცნობები კარსტზე ბუნებისა და მოგზაურობათა ზოგად აღწერებში

კარსტისა და კარსტულ ფენომენებზე სათანადო მასალები მოიპოვება საქართველოს ბუნების ზოგად აღწერებში, მათ შორის რამდენიმეს აღნიშნავთ. გ. ტანფილიევი კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს მთავარი რაიონების

დახასიათებისას ჩერდება კირქვიანი მცენარეული საფარის თავისებურებაზეც აფხაზეთის სანაპიროზე. ამასთან აღნიშნავს, რომ ვაგრის მიდამოებში განვითარებულია რენიონის ტიპის ნიადაგები ([1247], გვ. 159—161). ნ. პროტასოვი ვაგრის ისტორიულ გეოგრაფიულ დახასიათებისას ჩერდება ვაგრის ქედის კარსტულ მოვლენებზეც ([1133], გვ. 4638—4653). ა. ზელენინი ვაგრის ისტორიულ-გეოგრაფიულ დახასიათებასთან დაკავშირებით აღნიშნავს აქ ვაგრეულ გემოქვაბულებს ([819], გვ. 33—34). მ. შოსტაკს რაჭასა და სვანეთში ჩატარებული მოგზაურობის ანგარიშში აღნიშნული აქვს საირმის სვეტები. ამასთან მიუთითებს მათ წარმოშობაზეც ([1345], გვ. 27). ა. დიაჩკოვ-ტარასოვი, ვაგრისა და მისი მიდამოების ისტორიულ-გეოგრაფიულ დახასიათებასთან დაკავშირებით, მოიხსენიებს კარსტულ მოვლენების მაგალითებსაც, სახელდობრ: სუბმარინულ შადრევანის გამოსასვლელს ვაგრასთან ბეგერიფსთასა და სანდრიფის შესართავებს შორის; რომ ვაგრის მიდამოების მდინარეები გამოდინან გამოქვაბულებიდან (ბეგერიფსთა, ანახომსთა და რეპრუა); მოჰყავს ცნობები ამ მდინარეთა წყლის ტემპერატურაზე და სხვ. ([798], გვ. 5—11). ა. დიაჩკოვ-ტარასოვს, მეორე სტატიაში ბზიფის აფხაზეთის შესახებ, მოჰყავს პირადი დაკვირვებების საინტერესო შედეგები მდ. მკიშთას სათავეებში ვაგრეულ კარსტულ მოვლენებზე, აგრეთვე მდ. მდ. ბეგერიფსთას, ანახომსთას და რეპრუას შესახებ ([799], გვ. 52—53). ა. პერედელსკი ვაგრის კლიმატური სადგურის და მისი მიდამოების ბუნების პოპულარულ აღწერისას აღნიშნავს აქ განვითარებულ კარსტულ მოვლენებს ([1119], გვ. 156 და 180 — 181).

კ. სატუნინი კავკასიის ბუნების დახასიათებისადმი მიძღვნილ ნარკვევში აღნიშნავს აფხაზეთში ვაგრეულ კარსტულ ფენომენებსაც, მაგალითად აბრსკილის გამოქვაბულს და მოჰყავს მის შესახებ საინტერესო მორფოგრაფიული და სხვ. ცნობები ([1169], № 2, გვ. 16—20); ჩერდება სოხუმის მიდამოებში არსებულ გამოქვაბულებზე აბაბაზე, შრომის (სტალაქტიტიან), კელასურის რამდენიმე გამოქვაბულზე და სხვ.; ამასთან მოჰყავს თავისი დაკვირვების შედეგები მათ მორფოგრაფიაზე და სხვ. (იქვე, № 9, გვ. 4—9).

ა. სტარკი თავის დღიურებში იხსენიებს კარსტული მოვლენების ვაგრეულებას აფხაზეთის დასავლეთ ნაწილში ([1232], გვ. 22—23): კ. მაჭავარიანი ქ. სოხუმისა და ყოფილ სოხუმის ოკრუგის აღწერით მეგზურში მოიხსენიებს შრომის (სტალაქტიტიან) და აბრსკილის გამოქვაბულებს და მოჰყავს მათ შესახებ საინტერესო ზოგიერთი ახალი ცნობაც ([1059], გვ. 78—79 და 132—135); ამასთან აღნიშნავს, რომ სოფ. ქლოუსი, გუფისი, ჭყვარლის, ტყვარჩილის და სხვ. ჩრდილოეთით მდებარე მთიანი ზოლი და ხეობები გამოირჩევიან ორიგინალური ფლორითა და ფაუნით და ისეთი წარმონაშობებით, როგორც აბრსკილის გამოქვაბულით (იქვე, გვ. 136); მითითებული აქვს სოფ. ოქტომბერთან მდ. ბარიალის ხეობაში (გვ. 154) და მ. ძიშრის ფერდობზე გამოქვაბულების არსებობა (გვ. 185). ამავე სტატიაში აღნიშნავს სუბმარინულ შადრევანს ვაგრასთან (გვ. 203). კ. მაჭავარიანს სხვა შრომაში აგრეთვე აღნიშნული აქვს ზოგიერთი კარსტული მოვლენა, მაგალითად მკიშთის შესახებ ([1060], № 1, გვ. 53), შრომის (სტალაქტიტიანი) (იქვე № 2, გვ. 39—40) და აბრსკილის გამოქვაბულებზე (№ 3, გვ. 63—65), ამასთან მოყვანილია ზოგიერთი ახალი ცნობა. მითითებული არის აგრეთვე მ. ძიშრის გამოქვაბულის არსებობაზე (№ 4,

გვ. 46), ახასიათებს მანიკვარის ვოკლუზებს (იქვე, გვ. 48), წყალქვეშა შადრევანს, მდ. რებრუასა და სხვა მდინარეებს გაგრის მიდამოებში (გვ. 53).

## კარსტის საკითხები რუს ბუნებისმეტყველთა და ექიმთა XIII ყრილობაზე

როგორც ცნობილია, 1913 წელს თბილისში ჩატარდა რუს ბუნებისმეტყველთა და ექიმთა XIII ყრილობა. ამ ყრილობაზე სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება დაეთმო საქართველოს კარსტის შესწავლისა და რეგისტრაციის საკითხებს.

ყრილობაზე. ამ საკითხების გატანის აუცილებლობა კარგა ხანია უკვე მომწიფებული იყო. ეს ჩანს ჟურნალ-გაზეთებში სათანადო სტატიებისა და წერილების გამოქვეყნებით და სხვ. მაგალითად, ჯერ კიდევ 1911 წელს კ. სატუნინი მიუთითებს სოხუმის მიდამოებში კირქვიან მხარეში ტყის გაჩეხვის ზიანზე და შემდეგ მისი აღდგენის შეუძლებლობაზე [1168]; ლ. კონიუშევსკიც ყრილობის დაწყებამდე გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნავს ტყის განადგურების ზიანზე სოხუმის მხარისათვის და მისი აღდგენის შეუძლებლობაზე ([912], გვ. 17); ამავე საკითხზე ყურადღებას ამახვილებს უცნობი ავტორი სილვიკოლას ფსევდონიმით [1181].

როგორც ამ ყრილობის მასალებიდან ჩანს, მის დაწყებამდე სექციათა ბიუროებს გამოუმუშავებიათ საპროგრამო საკითხები და გამოუთქვამთ მოსაზრება ამ საკითხებზე მოხსენებათა წაკითხვის სასურველობის შესახებ. ასეთ პროგრამულ საკითხთა შორის გეოგრაფიის სექციის ხაზით დასახელებულია კარსტული მოვლენები კავკასიაში და მისი რეგისტრაციის სასურველობა («№13. Карстовые явления на Кавказе и желательность регистрации их») ([777], გვ. 54; [1131], გვ. 650), ხოლო მინერალოგიისა და გეოლოგიის სექციის ხაზით „კარსტული მოვლენები კავკასიაში ტყის განადგურებასთან დაკავშირებით“ («7. Карстовые явления на Кавказе в связи с лесонстреблением») ([1131], გვ. 647).

მინერალოგიისა და გეოლოგიის სექციის 19 ივნისის სხდომის დღიურში აღნიშნულ საკითხთა შორის კავკასიაში კარსტული მოვლენების საკითხიც განუხილავთ ტყის განადგურებასთან დაკავშირებით ([777], გვ. 335), ამასთან სექცია ტყის დამცველ ორგანიზაციათა ყურადღებას მიაქცევს კავკასიაში კარსტულ მოვლენების კავშირზე ტყის მოსპობასთან. სექციის ამავე სხდომის დღიურში აღნიშნულია, რომ კავკასიის მთელი რიგი ადგილები, მათ შორის ყოფილი სოხუმის ოკრუგის ტერიტორიის ნაწილი აგებულია ისეთი ქანებით, რომლებშიც კარსტული მოვლენები კარგად ვითარდება, ატმოსფერული წყლები სწრაფად იჟონება ნაპრალებს საშუალებით ქანის სიღრმეში და შემდეგ ზედაპირზე გამოდის ყველაზე დაბალ ადგილებში, ზღვის ახლო ან წყაროების სახით მთავარი მდინარეების კალაპოტში. თუ ზედაპირი დაფარულია ტყითა და ბუჩქნარით, აგრეთვე ბალახეული მცენარეულობით, მაშინ მნიშვნელოვნად წარმოებს წყლის ღვარების ზემოქმედების რეგულირება და ანელებს ძირითად ქანების — კირქვების შემდგომ გამოტუტვასა და მათში ნაპრალების გაფართოებას, ან სიცარიელების წარმოშობას. ტყის გაჩეხვა და ბალახეული მცენარეულობის მოსპობა კი იწვევს ნიადაგის გადაარეცხვასა და ფართო გზას უსხნის წყლების დამანგრეველ ინტენსიურ მოქმედებას; ამის გამო ხდება ვრცე-

ლი ტერიტორიების გარდაქმნა ქვიან ნახევარ უდაბნოებად ან უდაბნოებად. ამ პროცესის შებრუნებითი განვითარება და ძველი მდგომარეობის აღდგენა თითქმის შეუძლებელ საქმეს წარმოადგენს. ამიტომ მინერალოგიისა და გეოლოგიის სექციამ გამოთქვა თავისი ღრმა სურვილი, რათა კავკასიაში ტყეების გაჩეხვა ჩდბოდეს გეოლოგიური პირობებისა და კარსტული მოვლენების შესწავლის შემდეგ, რათა სათანადოდ იქნას გათვალისწინებული იგი. ამავე სექციამ აღნიშნა, რომ კავკასიაში ტყის დაცვის ღონისძიებანი ამჟამად გეოლოგიური თვალსაზრისით სრულიად საკმაო არ არის.

როგორც ჩანს, ეს საკითხი მინერალოგიისა და გეოლოგიის სექციას განუხილავს 21 და 23 ივნისს სხდომებზეც და ყრილობის წინაშე აღუძრავთ სათანადო შუამდგომლობა ([777], გვ. 337 და 340). ყრილობის მესამე, დამაგვირგვინებელ სხდომაზე ყრილობის საქმეთა მმართველ ალ. ლაისტერის მიერ წაკითხულ მოხსენების გამო, — ყრილობის ჩატარებული მუშაობის შესახებ, — ერთხელ მიღებულ რეზოლუციაში მინერალოგიისა და გეოლოგიის სექციის ხაზით წამოყენებულ ხუთ საკითხთა შორის ზემოაღნიშნულიც არის დასმული. დადგენილებაში ნათქვამია: «3. Секция считает необходимым обратить внимание лесоохранительных учреждений на недостаточность мер по охранению лесов и для предотвращения развития опасных карстовых явлений в некоторых местах Кавказа, связанных с лесоистреблением (напр. в Сухумском округе и др.)» ([777], გვ. 227; [1145], გვ. 6).

როგორც ვხედავთ ყრილობის მიერ აღნიშნული დადგენილების მიღება დროული და მიზანშეწონილი იყო, მაგრამ მისი განხორციელება მომდევნო 1914—1921 წლებში მსოფლიო ომით შექმნილი პირობების გამო, რა თქმა უნდა, ვერ მოხერხდებოდა.

### კარსტული ოლქი კავკასიის გომორფოლოგიაში რუკაზე

კარსტული მოვლენების გავრცელებისა და კარსტული ფორმების შესწავლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინა პერიოდში იმდენად წინ წავიდა, რომ ა. რეინჰარდს შესაძლებლობა მიეცა კავკასიის მორფოლოგიურ მხარეთა ჭარბი დენუდაციის ოლქთა შორის პირველად გამოეყო „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის კირქვიან-კარსტული მხარე“ («Известняково-карстовая область юго-западного Кавказа») ([1147], გვ. 181—182 და რუკა).

ამგვარად, ამ ეტაპზეც გრძელდებოდა ფაქტობრივი მასალის დაგროვება საქართველოში კარსტული მოვლენების გავრცელებისა და კარსტული ფორმების მორფოგრაფია-მორფომეტრიაზე. ამასთან ძლიერდება მათი გენეზისის საკითხების შესწავლაც, რაც გასული საუკუნის მიწურულში ჩაისახა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში გაძლიერდა. ამ ეტაპზე იზრდება ისეთი შრომათა რიცხვი, რომლებიც სპეციალურად კარსტის შესწავლისადმია გამიზნული. მუშაობაში ებმება ადგილობრივი ძალები. კარსტის შესწავლა წარმოებს არა მარტო მხოლოდ სხვა საკითხებთან ერთად, რასაც განსაკუთრებით გასულ საუკუნეში ჰქონდა ადგილი, არამედ სპეციალურადაც. კარსტის შესწავლა ზოგ-

ჯერ წარმოებს პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად. საზოგადოების ყურადღება ექცევა კარსტულ მხარეთა მცენარეულ საფარის დაცვის ღონისძიებათა გატარების აუცილებლობას, რათა შეჩერებულ იქნას ამ მხარეთა ნახევრად უდაბნოებად ან უდაბნოებად გადაქცევის პროცესი.

ამ პერიოდში მიუხედავად კარსტული მოვლენების შესწავლისა და ნაწილობრივ ამ მუშაობაში ორგანიზებულობის შეტანისა, რასაც საზოგადოებრივი ორგანიზაციები ცდილობდნენ მოეხდინათ, იგი მაინც არ წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანს და საამისო მუშაობის შემსრულებელი ორგანიზაციული კერები არ არსებობდა. მთელი მუშაობა უმეტესად პირადი ინიციატივით ან საზოგადოებრივი ორგანიზაციათა დავალებით სრულდებოდა, რასაც, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა მუშაობის გამწვანების მასშტაბზე, მის ხარისხზე და მოცულობაზე.

## II. საბჭოური პერიოდი

მიმდინარე საუკუნის ოციანი წლებიდან შეიმჩნევა კარსტის შესწავლის განსაკუთრებული დაინტერესება როგორც საზღვარგარეთის ქვეყნებში, ისე საბჭოთა კავშირში.

საზღვარგარეთის ქვეყნებს შორის კარსტის შესწავლამ განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა იუგოსლავიაში, რუმინეთში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, საფრანგეთში, იტალიაში, ბელგიაში, შვეიცარიაში, ავსტრიაში, შვედიაში, კუბაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში და სხვ. ამასთან დაკავშირებით დასახელებულ ქვეყნების სწავლულებში აქვეყნებენ მრავალ რეგიონულ და თეორიულ ხასიათის გამოკვლევებს, რომელთა შორის აღსანიშნავია: ე. ვან დე აბელის, კ. აბსოლონის, ზ. ბეშიჩის, პ. ბიროს, ა. ბოგლის, ე. ბრეტცის, ვ. დევისის, ა. დროპპას, ლ. იაუჩის, დ. ილიის, ნ. კასტერეს, გ. კირლეს, მ. კლიმაშევიცის, კ. კოვალსკის, ე. კორბელის, პ. კოსაკის, ე. კუნსკის, თ. ლემანის, პ. ლემანის შრომები [143, 868—870, 1365, 1368—1369, 1372, 1381—1382, 1384—1388, 1392, 1399—1401, 1403—1407, 1411—1413, 1448, 1465—1467, 1472—1474, 1476, 1479—1480], აგრეთვე ე. მარტელის, ე. ნიკოს, ანტ. ნუნციუს ჰიმენესის, ა. ნუნციუს ჰიმენესის, ვ. პანოშისა და თ. მარტელის, ბ. ენზის, ი. როგლიჩის, ე. რუბინისა და ფ. შკრივანეკის, მ. სვეტიცის, რ. სირის, მ. სიფრის, ლ. ტელლას, პ. ტრიმელის, ფ. ტრომბეს, პ. ფენელანის, ი. ფორდის, მ. შელის, ი. ცვიჩის, უ. პოლიდის და სხვების მონოგრაფიები [1096, 1300, 1402, 1408—1410, 1423—1426, 1429—1430, 1490, 1492—1494, 1506—1509, 1511—1512, 1514, 1518, 1520—1521, 1526—1528]. მნიშვნელოვანია დიდი ბრიტანეთის გამოქვაბულებისადმი მიძღვნილი მონოგრაფია [1393] და სხვ.

ზემოაღნიშნულ ქვეყნებში არსდება კარსტოლოგიური დაწესებულებები; ტარდება ნაციონალური კარსტოლოგიური ან სპელოლოგიური ყრილობები და კონფერენციები (იხ. მაგალითად: [1517]); გამოდის სპეციალური ჟურნალები და სხვ. ([994], გვ. 14—30 და სხვ.).

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა კავშირში განსაკუთრებით

ხელსაყრელი პირობები შეიქმნა მეცნიერების განვითარებისათვის, მათ შორის გეოგრაფიისათვისაც. ფართოდ გაიშალა ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული შესწავლა სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების შესაბამისად. საბჭოთა კავშირის ტერიტორიის კარსტის შესწავლაშიც მნიშვნელოვნად წინსვლას ჰქონდა ადგილი, რასაც განაპირობებდა სახალხო მეურნეობის მშარდი მოთხოვნილება და მის მიერ დასმული ამოცანები. ამასთან დაკავშირებით ქვეყნდება მრავალი ფუნდამენტური შრომა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის კარსტის შესახებ, აგრეთვე თეორიული გამოკვლევები. ასეთი გამოკვლევები ეკუთვნის, მაგალითად ვ. აპროდოვს, ალ. ბარკოვს, ნ. გვოზდევცის, კ. გორბუნოვას, ი. ზაიცევს, მ. ზუბაშჩენკოს, ა. კოლოლიჩნაიას, გ. კოროტკევიჩს, გ. მაქსიმოვიჩს, ლ. მარტუშვილს, ა. ოგიღვის, ი. პოპოვს, დ. რიჟიკოვს, ნ. როდიონოვს, დ. სოკოლოვს, ნ. სოკოლოვს, ა. სტუპიშინს, ი. შჩუკინს, ა. ძენს-ლიტოვსკის, ს. კაჩურინს და სხვებს [548, 561, 667—710, 775, 803, 821—823, 871, 911, 919, 975—1007, 1017—1050, 1152—1157, 1159, 1193—1195, 1238—1239, 1350—1352].

საბჭოურ პერიოდში არსდება კარსტოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი, სპორტული და საკორდინაციო ორგანიზაცია-დაწესებულებები (მაგალითად, პერმის სახ. უნივერსიტეტთან კარსტოლოგიისა და სპელეოლოგიის ინსტიტუტი, კარსტის გეოლოგიისა და გეოგრაფიის შემსწავლელი საუწყებათაშორისო საკორდინაციო კომისია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა სექციის შემადგენლობაში და სხვ.); ტარდება კარსტოლოგიური სამეცნიერო ყრილობები, სესიები და კონფერენციები; მაგალითად, საბჭოთა კავშირში პირველი კარსტოლოგიური კონფერენცია, რომელსაც ყრილობის ხასიათი ჰქონდა, ჩატარდა ქ. კიზელში ურალზე 1933 წელს [1052], მეორე — მოლოტოვში (პერმში) 1947 წელს [867, 976, 1144, 1249], მესამე — მოსკოვში 1956 წელს [1097, 1143, 1229, 1250], მეოთხე — პერმში 1964 წელს [1069] და სხვ.; მთელი რიგი სამეცნიერო სწდომა და პლენუმი ჩატარა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფია-გეოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებასთან, ამჟამად დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა სექციის საინჟინრო-გეოლოგიისა და გრუნტმცოდნეობის სამეცნიერო საბჭოსთან არსებულმა კარსტის გეოლოგიისა და გეოგრაფიის შემსწავლელმა საუწყებათაშორისო საკორდინაციო კომისიამ 1958—1966 წლებში [650, 834, 1095], აგრეთვე მოსკოვის ბუნებისმეტყველთა საზოგადოებამ ([650, 1142] და სხვ.).

ამ პერიოდში ასეთი სამეცნიერო კონფერენციები და სესიები ჩატარდა სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ მოკავშირე რესპუბლიკებშიც, მაგალითად, საქართველოში [277—286, 653]; გამოვიდა მრავალი სამეცნიერო კრებული, შრომა და ჟურნალი, რომლებშიც კარსტის რეგიონალური და პრაქტიკული საკითხებია გაშუქებული, ან ცალკეული რეგიონებია აღწერილი ([259, 559, 650—653, 674, 678, 708, 738—739, 742—743, 863—866, 871, 882, 910, 1016, 1052—1053, 1095, 1097, 1099, 1120, 1142—1143, 1154, 1192—1193, 1227—1228, 1239, 1276, 1279—1281, 1364]. -იხ. აგრეთვე: [994], გვ. 12—30).

კარსტის საკითხებზე სადოქტორო დისერტაციები დაიცვეს, მაგალითად ნ. გვოზდევციმ დ. სოკოლოვმა, ა. სტუპიშინმა, ვ. ბალკოვმა, ვ. დუბლიანსკიმ,



ა. კოლოდიუჩნიამ, ზ. ტინტილოზოვმა [559, 669, 789, 911, 1193, 1239, 1272] და სხვ., ხოლო საკანდიდატო: ელ. აბაშიძემ, ლ. აკსიონოვმა, ბ. გერგელავამ, გ. გიგინეიშვილმა, კ. გორბუნოვამ, ზ. ზუბაშჩენკომ, თ. კიკნაძემ, პ. კოსტინმა, ს. ლიოვეუშკინმა, ა. ლიკოშინმა, ლ. მარუაშვილმა, ნ. ტორსუევმა, ა. ქუთათელაძემ, შ. ყიფიანმა, ი. შუტოვმა, ე. ფრიდენბერგმა, რ. ჭანაშვილმა და სხვებმა [49, 365, 384, 524, 534, 608, 720, 725, 743, 766, 881, 920, 939, 951, 963, 1021, 1279, 1290, 1348].

ცალკეულ ქვეყნებში კარსტოლოგიური, მათ შორის სპელეოლოგიური გამოკვლევების გაცხოველებამ გამოიწვია საერთაშორისო კონგრესების და, აგრეთვე კონფერენციების მოწვევის საქმიანობაც. პირველი ასეთი მსოფლიო სპელეოლოგიური კონგრესი საფრანგეთში ჩატარდა 1953 წელს [1497], მეროე იტალიაში — 1958 წელს [1478], მესამე — ავსტრიაში 1961 წელს [1375—1376], მეოთხე — იუგოსლავიაში 1965 წელს [1374, 1428], მეხუთე — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1969 წელს [1377, 1498], ხოლო მეექვსე — ჩეხოსლოვაკიაში — 1973 წელს [1373]. 1964 წელს ჩეხოსლოვაკიის ქ. ბრნოში ჩატარდა სპელეოლოგიური მსოფლიო კონფერენცია [1449, 1499]; 1970 წელს იენისში ჩეხოსლოვაკიაში შედგა დობჩინის ყინულიანი გამოქვაბულის აღმოჩენიდან 100-წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ამავე წელსვე ოქტომბერში პოლონეთში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი სამხრეთ პოლონეთის კარსტული რელიეფის განვითარების პრობლემაზე [704—705].

მიმდინარე საუკუნის ოციანი წლებიდან დაწყებული, საზღვარგარეთის ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირში კარსტის შესწავლის მნიშვნელოვანი აღმავლობის ფონზე, საქართველოშიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ფართოდ გაიშალა ამგვარი სამეცნიერო კვლევა-ძიებითი სამუშაოები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაცხოველდა ბუნების შესწავლა და ამასთან კარსტული მოვლენების გეოგრაფიული კვლევა: გაფართოვდა კარსტული მოვლენების შესწავლის სფერო; კარსტული მოვლენების აღწერისა და მისი გავრცელების გარკვევასთან ერთად, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო მის გენეტურ მხარესაც; მუშავდება კარსტის თეორიული საკითხებიც, ხშირად კარსტული მოვლენების კვლევა უკავშირდება პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას და მომსახურებობას უწევს სახალხო მეურნეობას, ან ექვემდებარება ჩვენი ქვეყნის თავდაცვის მიზნებს; კარსტის შესწავლა ხდება სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგნად; ამ მუშაობაში ებმებიან რიგი სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური, საინჟინრო და საზოგადოებრივი დაწესებულება-ორგანიზაცია; ყალიბდება საკოორდინაციო ცენტრები; ამ მუშაობაში მონაწილეობენ ადგილობრივი ნაციონალური კადრებიც. უკანასკნელ წლებში კარსტოლოგიურ გამოკვლევებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა და ფართო ხასიათს ღებულობს.

საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის საბჭოურ პერიოდში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთელი ეს მუშაობა ერთნაირი მიმართულებით და ტემპით არ წარმოებდა, ამიტომ შეიძლება ამ პერიოდში ერთდმეორისაგან მკაცრად განსხვავებული რამდენიმე ეტაპი გამოვყოთ, რომლის დახასიათების ცდასაც ქვემოთ ვიძლევი.

4. კარსტული მოვლენების გენეტური კვლევის დასაწყისისა და მისი პრაქტიკული ათვისების პირველი ცდების ეტაპი სოციალისტური მშენებლობის მოთხოვნილებათა შესაბამისად (1921—1940 წწ.)

ამ ეტაპზე საქართველოს კარსტის გეოგრაფიულ შესწავლას ჯერ კიდევ მტკიცე ორგანიზებული სახე არ ჰქონდა მიღებული და იგი უმთავრესად ამა თუ იმ არაგეოგრაფიული დაწესებულების, ან უწყების ინიციატივით წარმოებდა. ამ დროს საქართველოს კარსტის გეოგრაფიის საკითხებზე გამოქვეყნდა როგორც სამეცნიერო-კვლევითი, ისე სამეცნიერო-პოპულარული სტატიები და ნაშრომები. აღსანიშნავია, რომ ეს ნაშრომები უმთავრესად შესრულებულია არაგეოგრაფების მიერ, მაგრამ ისინი კარსტის გეოგრაფიის საკითხებსაც აშუქებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ გეოგრაფების მონაწილეობა საქართველოს კარსტის შესწავლაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ამ ეტაპის ბოლო, 1936 — 1940 წლებში.

1) გეომორფოლოგიური შესწავლილობა

საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის საბჭოური პერიოდის პირველ ეტაპზე კარსტის გეომორფოლოგიურ კვლევას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა და, შეიძლება ითქვას, წამყვანი ადგილი ეჭირა. 1921—1940 წლებში საქართველოს კარსტის გეომორფოლოგიურ შესწავლისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომთა გარდა, ამავე საკითხზე სათანადო მონაცემები მოიპოვება გეოლოგიურ, აგრეთვე, კარსტის კლიმატისა და ჰიდროლოგიის, ნიადაგების გეოგრაფიისა და ბიოგეოგრაფიის, ზოგად გეოგრაფიულ და არქეოლოგიურ გამოკვლევებშიაც.

სპეციალური შრომები

საქართველოს კარსტის გეომორფოლოგიურ შესწავლას მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ აღმავლობასთან დაკავშირებით მეცნიერების წინაშე დასმული პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტის საჭიროებამ. ასეთი იყო შაორის, ტყიბულისა და რიონის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხები. ამ საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით ჩატარებულ გამოკვლევათა შორის, განსაკუთრებით ჩვენთვის საინტერესოა ალ. ჭანელიძის 1926 და 1928 წლებში გამოქვეყნებული ნაშრომები [496—497]. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისინი პირველი ნაშრომებია, რომელიც ქართველ მკვლევარს ეკუთვნის. ამ ნაშრომებს რეგიონული და უშუალო პრაქტიკული ამოცანის გარდა (მაგალითად, მდ. ტყიბულის ჰიდროელექტრულად გამოყენების საკითხი), ზოგად თეორიული მნიშვნელობაც აქვს—კარსტული დრენაჟის გაერეკლების მანძილის დადგენა და სხვ. ა. ჭანელიძემ ამ საკითხებს წყვეტს ტყიბულისა და შაორის ქვაბულების მაგალითზე, ამასთან იძლევა აღნიშნულ ქვაბულებისა და მათ მიდამოების კარსტული ფორმების მორფოლოგიურ დახასიათებას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ „კარსტული დრენაჟი ექვს კილომეტრზე და მეტზეც კიდევ შესაძლებელია“ ([496], ვვ. 238).

საინტერესო გამოკვლევას წარმოადგენს 1927 წელს გამოქვეყნებული პ. პანიუტინის ნაშრომი გავრის კირქვიანი მასივის შესახებ [1107]. ამ ნაშრომში იგი ჯერ ზოგადად ახასიათებს შესწავლილი რაიონის კარსტულ ლანდშაფტებს, შემდეგ კი—მოჰყავს კონკრეტული მაგალითები, კერძოდ, რიწის ტბის ქვაბულის კარსტულ წარმოშობაზე; ამასთან თვლის, რომ ტბის წარმოშობის ასაკი ათეული წლებით უნდა იზომებოდეს (იქვე; იხ. აგრეთვე: [1106]); პ. პანიუტინი ერთ-ერთი პირველი მიუთითებს, რომ კარსტული ზედაპირული ფორმები ფართოდ ვრცელდება რიხვის მასივზე (იუფშარა-ბზიფის წყალგამყოფი) და სხვ. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1914 წელს ევგ. მოროზოვა ამ მასიუს მოიხსენიებდა როგორც უწყლო ქედს ([1087], გვ. 117).

1930 წელს ქვეყნდება ე. მარკოვისა და ეს. სლაიენის სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის სტატიები აბრსკილის გამოქვაბულის შესახებ, რომლებშიც საინტერესო ცნობებია მოყვანილი ამ გამოქვაბულისა და მის მიდამოებში გავრცელებულ კარსტულ მოვლენებზე [1013, 1186].

1933 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ზაკობარნი რიონჰესის დერივაციული გვირაბის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დახასიათებისას დეტალურად ჩერდება ამ რაიონში გავრცელებულ კარსტულ მოვლენებზედაც, კერძოდ აწერს რიონჰესის (საფიჩხის) გამოქვაბულს და სხვ. [808].

საყურადღებოა ა. პატალის მიერ ჩატარებული კვლევა მდ. ძეგრულას სათავეების წყლიან გამოქვაბულებზე [1112].

1937 წელს ნ. კანდელაკი და გ. ძოწენიძე იძლევიან წყალტუბოსა და სათაფლიას კარსტული გამოქვაბულების პირველ დახასიათებას, რომელსაც ურთავენ აღნიშნულ გამოქვაბულთა გეგმებსა და ფოტოსურათებს; სათაფლიას გამოქვაბულის აღწერისას მიუთითებენ, რომ მის ძირზე ოთხი ტერასაა განვითარებული [360].

საყურადღებოა ლ. მარუაშვილის 1938 და 1941 წლებში გამოქვეყნებული სტატიები აბრსკილისა და ნაგარევისგვირაბის გამოქვაბულთა შესახებ; ამასთან ნაგარევის გვირაბი ლ. მარუაშვილის მიერ პირველად არის აღწერილი, ხოლო აბრსკილის დეტალური აღწერა ამ ნაშრომამდე არ არსებობდა [1018, 1020].

1937—1940 წლებში შ. ყიფიანი აწარმოებს შაორის ქვაბულის გეომორფოლოგიურ შესწავლას, რის საფუძველზე იგი ადგენს ნაშრომს [384—385]. შაორის ქვაბულის გეომორფოლოგიურ დახასიათებისას შ. ყიფიანი გამოყოფს გეომორფოლოგიურ ოლქებს და რაიონებს, არკვევს ამ ქვაბულის გეომორფოლოგიურ განვითარების ისტორიას, ადგენს კარსტის ასაკს, ტიპსა და სხვა. ამასთან, შამინდელი დროისათვის პირველად საბჭოთა ლიტერატურაში ვოკლუზური წყლების მოქმედებით წარმოშობილ დოლინებს გამოყოფს.

1940—1941 წლებში ქვეყნდება ნ. გვოზდევცის ნაშრომები აძაბის, შრომის, მთისკალთის და გუმის გამოქვაბულების შესახებ; ეს ნაშრომები წარმოადგენენ აღნიშნულ გამოქვაბულთა საკმაოდ დეტალურ აღწერას, და მათ შესახებ მოყვანილია მანამდე უცნობი ბევრი ახალი და საინტერესო მონაცემები [667—668].

1941 წელს ქვეყნდება ლ. მარუაშვილის ნაშრომი ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონების დოლინების შესახებ [187]. ეს ნაშრომი ყურადღებას იქცევს მით, რომ მასში პირველად არის ჩატარებული ამ რაიონის დოლინების გენეტიური კლასიფიკაცია, დადგენილია მათი შეფარდებითი ასაკი, ამასთან გამო-

თქმულია მოსაზრება, რომ წყალტუბოსა და ქუთაისის მიდამოებში კარსტული ზედაპირული ფორმების განვითარება მესამეულის მიწურულში დაიწყო. სხვა სტატიაში ლ. მარუაშვილი იძლევა მოკლე დახასიათებას კარსტულ მხარეში გავრცელებულ ქვედრულას ტბის გენეზისის შესახებ [1019].

## არასპეციალური შრომები

საქართველოს ტერიტორიის ამა თუ იმ მხარის გეოლოგიურ დახასიათებაში ხშირად გაშუქებულია კარსტის გეომორფოლოგიის ესა თუ ის საკითხი; ასე, მაგალითად: ტ. მორდვილკოს 1937 წლის ნაშრომში გავრის მიდამოების შესახებ ([1085], გვ. 15—16); ა. კოზლოვის (1932 წ.)—სოხუმის მიდამოების კარსტზე ([896], გვ. 23—26); ი. კაქარაეას (1939 წ.) სამეგრელოს სამხრეთ კირქვიან ზოლში გავრცელებულ კარსტზე, კერძოდ ეკისა და საწულეისკიროს გამოქვაბულებზე და სხვ. ([144], გვ. 87—88); ბ. მეფერტის ნაშრომი (1931 წ.) ასხის მალლობის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილების კარსტზე, კერძოდ თურჩუს ქვაბულის შესახებ; იგი აგრეთვე მიუთითებს კარსტული მოვლენების გავრცელებაზე ეკისა და ურთის სერებზე ([1075], გვ. 13—14, 25—26, 32, 37). კარსტული მოვლენების განვითარებას აღნიშნავს ბ. მეფერტი (1941 წ.) განსაკუთრებით ბარემულ კირქვებით აგებულ ასხის, ხვამლისა და ნაქერალას მასივებზე ([1077], გვ. 166); ასხის მალლობის გეოლოგიურ დახასიათებისას ალ. ჭანელიძე (1941 წ.) მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ამ მასივზე განვითარებულ კარსტულ მოვლენებსაც, გამოყოფს გეომორფოლოგიურ ნაწილებს. ამასთან მიუთითებს, რომ კარსტული დეპრესიის აღმნიშვნელ უცხო ტერმინს „პოლიეს“ მაგიერ, შეიძლება ქართული „რაბო“ შემოვიღოთ ([498], გვ. 88—90, 92).

საინტერესო მორფოლოგიური ცნობები მოჰყავს ბ. მეფერტი (1924 და 1930 წწ.) ქუთაისის მიდამოებში ურგონულ კირქვებში (სოფლები ხომულის, ბანოჯის, გუმბრის და წყალტუბოს მიდამოები) და ზედაკარსტულ კირქვებში (ჭოგნარის და ბროლიკეთის მიდამოები) განვითარებულ კარსტზე ([1070], გვ. 824 და 832; [1071], გვ. 860; [1074], გვ. 48—49). ტყიბულის ჰიდროელექტროსადგურის დაპროექტების, შაორის ქვაბულის წყალსაცავად გამოყენების და ტყიბულ-ქუთაისის-საჩხერე-ძირულის რაიონში ქვანახშირის ძიებასთან დაკავშირებით ლ. კონიუშევსკი 1925—1926 წლების ნაშრომებში ჩერდება ამავე რაიონში გავრცელებულ კარსტის მორფოლოგიის საკითხებზეც ([914, გვ. 2, 4, 7—8; [915; 916], გვ. 14—16, 136—137, 145, 154—155). ლეჩხუმისა და რაჭის გეოლოგიური პირობების დახასიათებისას ბ. მეფერტი მოჰყავს საინტერესო მონაცემები ასხის და ხვამლის კარსტულ მასივების შესახებ, აგრეთვე სოფ. ცაგერის რაიონზე (მდ. რიონის მარჯვენა მხარეზე), საირმის სვეტებზე, შაორის ქვაბულზე და სხვ. ([1072, გვ. 5, 20; [1073], გვ. 80—81; [1076], გვ. 7, 14—15, 20). რიონქესის გამოქვაბულის მორფოლოგია-მორფომეტრიის შესახებ ცნობები მოიპოვება ფ. საგარეშკის (1939 წ.) მონოგრაფიაში ([1162], გვ. 147—148).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ალ. ჭანელიძის მონოგრაფია ოკრიბისა და მეზობელ რაჭა-ლეჩხუმის გეოლოგიაზე, რომელშიც ცუცხვათის, ახალსოფლის და შაორის ქვაბულების, აგრეთვე ზეგვერდის კარსტული პოლიეს და საფიჩხის (რიონქესის) გამოქვაბულის საყურადღებო მორფოლოგიურ დახასიათე-

ბას იძლევა ([767], გვ. 6—7, 187, 236—260, 295, 297, 307—308, 314, 317, 319, 333, 362—364). ამავე მონოგრაფიაში ალ. ჭანელიძეს დაუსაბუთებლად მიაჩნია ბ. მეფფერტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საირმის მიდამოებში არსებული ზედაცარცული და ეოცენური კირქვების სვეტები თითქოს კარსტული მოვლენების შედეგი იყოს და თვლის, რომ მათი წარმოშობა დაკავშირებულია კირქვის შრეების დაცურებასთან რიონის ხეობისაყენ და სუბაერალურ გამოფიტვასთან (იქვე, გვ. 222—223 და 356). ალ. ჭანელიძე პირველი მიუთითებს, რომ კარსტული მოვლენები, გარდა ქვედა და ზედაცარცული და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული ეოცენური კირქვებისა, ვრცელდება აგრეთვე სუსტად, მაგრამ მაინც ჩოკრაკულ კირქვებშიც, მაგალითად სოფ. პატარა ოწში — იორდანეს სიფონური წყარო (იქვე, გვ. 245—246).

6. როზემ და მ. ნოდიაშვილმა წედისის კარსტული ტიპის რკინის მადნის საბადოს მაგნიტური მიკროაგეგმვა ჩაატარეს, რის საფუძველზეც ხერხდება ამ კარსტული პალეოწარმონაშობის მოყვანილობისა და სიდიდის განსაზღვრა [1158].

ზემო იმერეთისადმი მიძღვნილ გეოლოგიურ გამოკვლევებში პ. გამყრელიძე და ს. ჩხელიძე 1933 წელს მიუთითებენ, რომ შუალიასურ წითელ კირქვებში, სალიეთის მიდამოებში კარსტული მოვლენებია განვითარებული ([32], გვ. 90). პ. გამყრელიძე ამავე წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში კარსტული მოვლენების განვითარებას აღნიშნავს სოფ. ღორეშის მიდამოებში ([664], გვ. 108). კ. მარკოვი 1931 წელს ჰიათურის მარგანეცის რაიონში კარსტული მოვლენების არსებობას მიუთითებს ს. რგანის მიდამოებში ([1014], გვ. 9 და 37); ი. კუზნეცოვი (1937 წ.) კარსტს აღნიშნავს რაჭის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში, მ. ხიხათას სამხრეთით, აგრეთვე მოიხსენიებს საირმის ზედაცარცულ და ეოცენურ კირქვებით აგებულ სვეტებს ([934], გვ. 71 და 79); ბ. მეფფერტი ყვირილის ხეობისათვის ჰიათურის მიდამოებში აღნიშნავს ზედაცარცულ (სენონურ) კირქვების დაკარსტებას ([1078], გვ. 253).

კარსტული მოვლენების გავრცელებაზე სამხრეთ ოსეთში მიუთითებს ო. კარაბეტიანი (1925 წ.), კერძოდ გამოქვეყნებულზე სოფ. წონის ჩრდილოეთით 1,5 კმ-ზე და კარსტული მოვლენების არსებობას სოფ. ჩასავალის მიდამოებში ([862], გვ. 18—19), ხოლო 1930 წელს ს. დანილოვი, ნ. ბარისშვილი და ა. იაკოვლევი ([751], გვ. 476, 480 და 482); ამ მხარეში კარსტული მოვლენების გავრცელებას აგრეთვე აღნიშნავენ: 1933 წელს ე. უსტიევი და ვ. მოლავა ([1287], გვ. 9 და 20), 1936 წელს ა. ფლორენსკი და გ. ბარსანოვი ([1289], გვ. 7—8), 1937 წელს გ. ბარსანოვი ([563], გვ. 5) და სხვ.

ვ. ბატურიანისა და ა. ულიანოვის მიერ 1934 წელს წითელწყაროს (ახეთი) კირქვიან მასივის დახასიათებასთან დაკავშირებით მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ კარსტული მოვლენები აქაც უნდა იყოს გავრცელებული ([565], გვ. 32).

საქართველოს კარსტის მორფოლოგიის საკითხებზე სათანადო ცნობებს ეპოულობთ კლიმატურ და ჰიდროლოგიურ ნაშრომებშიც; მაგალითად, ა. ბალაბუევის 1939 წლის ნაშრომში — აძაბის, კელასურისა და შრომის გამოქვაბულთა მორფოლოგია-მორფომეტრიაზე; აღსანიშნავია, რომ სტატისის გამოქვაბულთა გეგმებიც ერთვის [558]; ს. ბასარიას — 1925 წლის ნაშრომი

მთა ძიხვის სამხრეთით მდებარე დიდი გამოქვაბულის შესახებ ([564], გვ. 121); ნ. იგნატოვიჩის გავრის რაიონის პილროგეოლოგიური თავისებურებათა დახასიათებისას (1930 წ.) მოჰყავს ამ რაიონში გავრცელებული კარსტული ფორმების შესახებ საინტერესო მორფოლოგიური ცნობები [831]; ი. ქვათარაძე სამხრეთ ოსეთის მინერალური წყლების დახასიათებასთან დაკავშირებით (1930 წ.) აღნიშნავს მდ. სხის ხეობაში კარსტული წარმონაქმნების არსებობას ([852], გვ. 236); ნ. თვლივი წყალტუბოს მინერალური წყლების დახასიათებასთან ერთად ჩერდება კარსტული რაიონის მორფოლოგიის ზოგიერთ საკითხზეც [1100]; დასავლეთ საქართველოში გავრცელებული კარსტული ფორმების მორფოლოგიის შესახებ მდიდარი მასალა მოჰყავს ბ. ყვარცივილი 1939 წლის ნაშრომებში ([835]; იხ. აგრეთვე: [836], გვ. 65—73).

საქართველოს კარსტის ზოგიერთი რაიონის შესახებ მოიხილება მორფოლოგიური ცნობები ნიადაგური საფარის დახასიათებისადაში მიძღვნილ ნაშრომებში; მაგალითად, აფხაზეთის ნიადაგური საფარის დახასიათებისას ს. ზახაროვი (1930 წ.) აღნიშნავს კარსტულ მოვლენებს არბიკის მასივზე, ადგ. შაბაშოსა და შ. აფიანჩის მიდამოებში, აგრეთვე ღურაფშის პლატოზე და სხვ. ([817], გვ. 9, 36—38, 62 და 77); ლ. პრასოლოვი და ნ. სოკოლოვი სამხრეთ ოსეთის ნიადაგურ-გეოგრაფიულ დახასიათებისას მიუთითებენ ერწოსა და წონის ტბების მიდამოების რელიეფის წარმოშობაში კარსტულ მოვლენების მნიშვნელოვან როლზე; ამასთან კარულ ველებს აღნიშნავენ მდ. ფაწის აუზში, ს. სალიდონის ჩრდილოეთით, ხოლო კარებსა და დოლინებს მდ. ჟეჯორის ორივე მხარეზე, სოფელ ლესორთან (ყუდარო) და ჩასაველთან ([1129], გვ. 354, 396, 400 და 404); ო. მიხაილოვსკაია 1936 წელს, სამხრეთ ოსეთის მთიანი რაიონის ნიადაგური საფარის დახასიათებისას, აღნიშნავს შთენილ კარსტის არსებობას და საერთოდ აქ გავრცელებულ კარსტულ ფორმებს ([1084], გვ. 159—160, 164—167).

ბზიფის კირქვიანი ქედის მცენარეული საფარის დახასიათებისას ა. კოლაკოვსკი 1937 წელს იძლევა ამ ქედის კარსტული რელიეფის გეომორფოლოგიურ დაყოფას და გამოყოფილ ოლქებისა და რაიონების მოკლე დახასიათებას ([898], გვ. 7—8), ამასთან ერთად მოჰყავს საინტერესო ცნობები ამ ქედის კარსტული ზედაპირული ფორმების შესახებ (იქვე, გვ. 11, 20, 24—25, 42—45, 49—50 და სხვ.). ნ. ზაკლინსკი აფხაზეთის ტყის საფარის დახასიათებისას ხაზს უსვამს კარსტულ მოვლენებსაც [807].

სპელეოფაუნის შესწავლასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ნაშრომებში გამოქვაბულების საქმოდ დეტალური მორფოგრაფიულ-მორფომეტრიული აღწერაცაა მოცემული; მაგალითად, ე. ბორუცკი (1930—1939 წწ.) რიონქსის დერივაციული გვირაბის გაყვანის დროს აღმოჩენილ საფიჩხიის კარსტულ გამოქვაბულის დეტალურ დახასიათებას იძლევა [1389—1391]; ამავე გამოქვაბულის შესახებ შედარებით მოკლე მორფოგრაფიულ-მორფომეტრიული მონაცემები მოჰყავს ა.სადოვსკის და ი. ბირშტეინს 1930—1933 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში ([1164], გვ. 93; [1383]); აღსანიშნავია ი. ბირშტეინის 1939 წლის სტატია აფხაზეთის გამოქვაბულებზე, სახელდობრ მთისკალთის (ანდრეევკის), ახალ ათონის, აბრსკილის და სხვ. შესახებ ([575], გვ. 960); ი. ბირშტეინი ე. ლოპაშოვთან ერთად 1940 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში შედარებით დაწვრილებით აღწერას იძლევა ს. გოგოლეთთან ახლომდებ-

ბარე კარსტული გამოქვაბულისას, აგრეთვე ოტაბისათვის, შაქურანის, წებელდის, ნთოსკალთის, ბესლეთის, ახალი ათონის, ტარკილას გამოქვაბულისას; ამასთან აღნიშნულმა მკვლევარებმა პირველად აღნიშნეს, რომ ტარკილის გამოქვაბული კლასტოკარსტულ წარმონაშობს წარმოადგენს ([581], გვ. 30—35); ფ. ზაიცევის აფხაზეთის გამოქვაბულთა ფაუნის დახასიათებისას 1940 წელს მოჰყავს ცნობები ამაზის, კელასურისა და შრომის გამოქვაბულების მორფოგრაფია-მორფომეტრიაზე ([804], გვ. 64—67), აგრეთვე ს. იუზბაშიანს შაქურანის გამოქვაბულზე [1358] და სხვ.

ამიერკავკასიის ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათებისას ა. რეინჰარდი ტბების ტიპთა შორის კარსტულსაც გამოყოფს. კარსტულ ტბებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად ოჯი შაორის ქვაბულის ტბებს ასახელებს ([1149], გვ. 36). აქვე აღნიშნავთ, რომ კარსტის ცნობილი მკვლევარი ა. კრუბერი ზოგად მიწათმცოდნეობის კურსში ტიპურ კარსტულ ლანდშაფტის მაგალითად ასახელებს საქართველოს, ამასთან მოჰყავს კონკრეტული მაგალითები ზედაპირულ და მიწისქვეშა ფორმებზე და პიღროგრაფიაზე [174, 932].

ბევრი ახალი და საინტერესო ცნობა მოიპოვება საქართველოს კარსტულ ამა თუ იმ რაიონის ზოგად გეოგრაფიულ აღწერაში, ან ტურისტულ-ალპინისტურ ნარკვევებში; მაგალითად, ა. ლაისტერისა და გ. ჩურსინის, გ. ბარაჩის, ვ. სტრაჟევის, ი. სტელეცის, გ. ტყეშელაშვილის, ა. ჯაფარიძის და ვ. მიტროფანოვის და სხვ. ნაშრომებში. ა. ლაისტერისა და გ. ჩურსინის ამიერკავკასიისა და კავკასიის გეოგრაფიულ დახასიათებებში მითითებულია, რომ დასავლეთ საქართველოს ფარგლებში კავკასიის სამხრეთ ფერდობზე — გაგრის, ბზიფის, კოდორის, ლეჩხუმის, რაჭის და სხვ. კირქვიან ქედებზე კარსტული მოვლენები ვრცელდება, ამასთან ტბების გენეტურ ტიპებს შორის კარსტული ტბებიც არის მოხსენებული ([972], გვ. 21—33, 159—162; [973], გვ. 21, 23—24, 42, 180—181). გ. ბარაჩი (1925 წ.) მარუხის გადასასვლელისაკენ მიმავალ ბილიკს აღწერისას ლიხნის ქედის სამხრეთ ნაწილში (მდ. მდ. ამტყელისა და ჯამფალას შორის), მთა ფშოუს ჩრდილო-აღმოსავლეთით 1,3 კმ-ზე, აღნიშნავს წესიერ კონუსისებრ მოყვანილობის რამდენიმე დოლინას, რომელიც ბილიკის გასწვრივ ერთიმეორის მიყოლებით ვრცელდება, ამასთან მოჰყავს მათი მორფომეტრიული ცნობები; გარდა ამისა, გ. ბარაჩი მთა ფშოუს ჩრდილოეთით დაახლოებით მე-4 კმ-ზე აღწერს ადგ. აყუაქუს ანუ აჩიზლაგარტას<sup>12</sup> ([560], გვ. 87—88), რომელიც კარვალს ანუ შრატებს უნდა წარმოადგენდეს. ვ. სტრაჟევი 1925 წელს მთითებებს გაგრის ტიხესიმაგრის ქვეშ უზარმაზარ მიწისქვეშა სიღრუის არსებობაზე, ამასთან მოიხსენიებს მჭიშთის და სოხუმის მიდამოების გამოქვაბულებს ([1237], გვ. 135, 137, 169). ი. სტელეცის ტურისტებისათვის განკუთვნილ ბროშურაში 1931 წელს მოჰყავს საინტერესო ცნობები საქართველოს კარსტულ გამოქვაბულებზეც, სახელდობრ: იპატის, შრომის, აბრსკილის, საკაჟიას და სხვ. შესახებ ([1235], გვ. 8—36). გ. ტყეშელაშვილი 1938 წელს მოიხსენიებს გაგრის მიწისქვეშეთს და სხვ. [1277]. საინტერესო ცნო-

<sup>12</sup> გ. ბარაჩის ცნობით ადგ. „აყუაქუა“-ს სახელწოდება შედგება ბევრების იმ თავისებურებებისაგან, რომელსაც ამ ადგილზე შიშვალნი დაქედოლი ცხენების ფეხები გამოსცემენ; მისივე ცნობით ამ ადგილს აგრეთვე უწოდებენ „აჩიზლაგარტა“-საც, რაც ცხენის სასიყვდილო ადგილს ნიშნავს აფხაზურად ([560], გვ. 87—88).

ბები მოჰყავს ა. ჭაფარიძეს და ვ. მიტროფანოვს 1940 წელს ზეამლის, ორხვისა და ტევისის გამოქვაბულების მორფოგრაფიაზე [769]. აღსანიშნავია მ. ზინგერის მონაცემები ახალი ათონის მიდამოების კარსტის შესახებ [820].

საქართველოს კარსტული გამოქვაბულების მორფოგრაფია-მორფომეტრიკაზე საინტერესო მონაცემები მოიპოვება არქეოლოგიურ ნაშრომებში, როგორცაა გ. ნიორაძის, მ. ივაშჩენკოს, ს. ზამიატინის და სხვ. მაგალითად, გ. ნიორაძე (1933—1934 და 1938 წწ.) იძლევა ფართოდ ცნობილ პალეოლითელი ადამიანის სადგომების — დევისხვრელისა და საკაიას გამოქვაბულების აღწერას, ამასთან აღნიშნულ ნაშრომებს უერთავს გამოქვაბულთა მისადგომებისა და შესასვლელის ფოტოსურათებს და გამოქვაბულების გეგმებს, გასწვრივი და გარდიგარდმო ჭრილებით [229—231, 1094]; მ. ივაშჩენკოს 1935 წლის ნაშრომში მოყვანილი აქვს მორფოგრაფიული ცნობები აფხაზეთის გამოქვაბულების შესახებ, კერძოდ შრომის, აბაბის და გუმბიხის (კომანის ვოკლუზის მიდამოებში) გამოქვაბულებზე [830]<sup>12</sup>; ს. ზამიატინი 1937 წელს აქვეყნებს ნაშრომს მღვიმევისა და აფხაზეთის პალეოლითის შესახებ, რომლებშიც გამოქვაბულთა მორფოგრაფიაზეც არის მოყვანილი სათანადო ცნობები [812—813].

### კარსტის ასაკის საკითხი

საქართველოს კარსტის შესწავლილობის საბჭოური პერიოდის პირველ ეტაპზე გამოქვეყნებულ ნაშრომებში ეპოულობთ მონაცემებს კარსტის ასაკზე და, ნაწილობრივ, მის განვითარებაზეც, საიდანაც ჩანს, რომ საქართველოში, თანამედროვე მოქმედ კარსტთან ერთად, გვაქვს ძველიც — პალეოგენური ასაკისა.

ჩერ კიდევ 1929 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ვ. ბოგაჩოვი მიუთითებდა, რომ ჭიათურის რაიონში — სოფ. ქვედა და ზედა რგანის, მღვიმევის, თაბაგრების, დარკვეთის, პერევისის, შუქრუთისა და ითხვისის მიდამოებში მანგანუმის (მარგანეის— $MnO_2$ ) საბადოს შემცველ შრეების ქვეშ უშუალოდ მდებარე ზედაკარსტული კირქვების ზედაპირი ძლიერ არის ამოკმული და რომ ბევრ მათგანს ნამდვილი კოროზიული ხასიათი აქვს, თანაც ამოკმული ზედაპირის კვლების ორიენტაციის დადგენა ზოგჯერ შეუძლებელიც არისო. ამიტომ ვ. ბოგაჩოვს უფრო შესაძლებლად მიაჩნდა, რომ ამ ზედაპირის განვითარება ზღვის ძირზე მოხდა წყლის ქიმიური ზემოქმედებით ([582], გვ. 19). მოყვანი-

<sup>12</sup> მ. ივაშჩენკოს მიერ არის აგრეთვე შედგენილი საქართველოს სსრ კარსტული ობიექტების სია, რომელიც 149 დასახელებას შეიცავს (იხ. М. М. Иващенко, Перечень карстовых объектов Грузинской ССР. 1938, 16 стр.). ამ სიაში თითოეული ობიექტის სახელწოდებისა და ადგილსამყოფელის გარდა მოცემულია მათი მოკლე დახასიათებაც. სხვათა შორის, ამ ნაშრომში მ. ივაშჩენკოს მიერ პირველად დასახელებულია სოფ. ქალაქი კოქჩეხუ (№ 77), რომელიც კლასტურ ქანებშია განვითარებული. აღნიშნული ნაშრომი 1967 წელს დასაწყისში პრაფ. ა. ბალაბუევმა ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორიას გადასცა, რისთვისაც მას მადლობა ა მოვახსენებ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მოიპოვება ცნობა მ. ივაშჩენკოს მეორე ხელნაწერი ნაშრომის არსებობაზე; რომელიც აფხაზეთის გამოქვაბულებს ეხება (М. М. Иващенко. Описание пещер Абхазии). ([804], გვ. 63 და 70). ამ ნაშრომის მიკვლევა დღევანდლამდე ვერ მოხერხდა ([408], გვ. 12). ვარაუდით აღვნიშნავთ, რომ ზემოაღნიშნულ ხელნაწერ ნაშრომებში შესაძლებელია ერთი და იგივე ცნობები მოყვანილი, ან სრულად ერთი და იგივე ხელნაწერი ნაშრომებია.



ლი ცნობიდან, ჩემი აზრით, აშკარად ჩანს, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს კარულ (შრატულ) ზედაპირთან, რომლის წარმოშობა მოხდა კონტინენტურ პირობებში ზედა ცარცის შემდეგ, პიროლუზიტის მადნის დალექვის წინ, ე. ი. პალეოგენში. ჰიათურის საბადოს დახასიათებისადმი მიძღვნილ კ. მარკოვის 1931 წლის ნაშრომში მოყვანილი ჰრილიდან ჩანს, რომ ზედაცარცულ კირქვების თითქმის ჰორიზონტული შრეების ამოქმულ ზედაპირს, რომელიც კარსტული დოლინების მოყვანილობისაა, ოლიგოცენური ასაკის მარგანეცის მადნის შემცველი ქანები ადევს ([1014], გვ. 9, სურ. 2); კ. მარკოვი მიუთითებს რჯანის პლატოს სამხრეთ დაბოლოებაზე კირქვის შრეების (ზედაცარცული — შ. ყ.) ამოქმულ ზედაპირზე მარგანეცის მადნის არსებობას; იგი ამასთან რჯანის მიდამოების კირქვიან შრეებში კარსტული ორმოების (ჭებნის) არსებობას აღნიშნავს (იქვე, გვ. 37, სურ. 24). ამ მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ ჰიათურის რაიონში დაკარსტვა ჯერ კიდევ პალეოგენში დაიწყო.

გ. ბოგაჩოვის აზრით, რაც სიტყვიერად უცნობია ა. სადოვსკისათვის, ჰიათურის მიდამოების კარსტი უფრო ძველია, ვიდრე ოკრიბის კარსტი და რომ პირველში კარსტული მოვლენების განვითარება დაიწყო ეოცენის ეპოქაში, ხოლო მეორეში — ეოცენის შემდეგ ([1164], გვ. 103).

ამავე მოსაზრებას ადასტურებს ბ. მეფფერტის 1941 წლის ნაშრომში მოყვანილი ცნობა, რომ ჰიათურის მიდამოებში ზედაცარცული (სენონური) კირქვების თითქმის ჰორიზონტულ და ბევრგან დაკარსტულ ზედაპირზე წვანან ცვალებადი სისქის კვარციანი ქვიშაქვები და მარგანეცის მადნის შემცველი შრეები ([1078], გვ. 253—254). ცხადია, რომ ამ კარსტული ზედაპირის წარმოშობა ზედა ცარცის შემდგომ დროში და მარგანეცის მადნის შემცველ ოლიგოცენურ შრეების დალექვის წინ უნდა მომხდარიყო საერთოთ პალეოგენში. როგორც ბ. მეფფერტის მოყვანილ ცნობების საფუძველზე დ. სოკოლოვიც გულისხმობს ([1193], გვ. 148).

საქართველოს კარსტის ძველ ასაკს ადასტურებს აგრეთვე სპელეოფაუნის შესწავლაც. ჯერ კიდევ 1930 წელს ა. სადოვსკი რიონჰესის დერივაციული გვირაბის გაყვანის დროს აღმოჩენილი კარსტული გამოქვაბულის ფაუნის შესწავლის საფუძველზე მივიდა დასკვნამდე, რომ აქ საქმე გვაქვს ცარცული ეპოქის რელიექტურ სახეობასთან ([1164], გვ. 99); აქედან გამომდინარე, ა. სადოვსკი თვლის, რომ თვით გამოქვაბულიც ძველი ასაკისაა, ყოველ შემთხვევაში, გ. ბოგაჩოვის სიტყვიერი ცნობის დამოწმებით, ეოცენურის შემდგომი დროის მანძილზე (იქვე, გვ. 103).

1930 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ე. ბორუცკიც მიუთითებს, რომ ქუთაისის მიდამოებში კარსტი, გეოლოგების აზრით, ოლიგოცენის შემდგომი დროის ასაკისაა ([1389], გვ. 2).

საქართველოს კარსტის სიძველეს ადასტურებს აგრეთვე სხვა ზოოლოგების მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგებიც, მაგალითად ი. ბირშტინის 1940 წლისა [576] და სხვ. ამ გამოკვლევებიდან ჩანს, რომ უკვე ნეოგენში საქართველოს კარსტული ოლქის დასავლეთ ნაწილში, აფხაზეთის ტერიტორიაზე, არსებობდა მიწისქვეშა დიდი ზომის კარსტული სიღრუეები, რასაც დ. სოკოლოვიც ეთანხმება ([1193], გვ. 149).

ამ დასკვნიდან რამდენიმედ განსხვავდება ლ. მარუაშვილის მონაცემები. ქუთაისისა და წყალტუბოს მიდამოების დოლინების (ან „წყვარამების“, ანდა ძაბრების, როგორც ანას იგი უწოდებს — შ. ყ.) შესწავლასთან დაკავშირებით

გამოთქმულ მოსაზრებიდან გამომდინარეობს, რომ ამ მხარის დაკარგვა დაიწყო არა უადრეს მესამეულის მიწურულსა, ე. ი. პლიოცენის მიწურულში და გრძელდებოდა მეოთხეულში. იგი წერს: „კავკასიონის ტექტონიკური ამოწევის პროცესში, რაც მესამეულის მიწურულსა და მეოთხეულის პერიოდის განმავლობაში ხდებოდა, კარსტული მოვლენების განვითარების სფეროში ხვდებოდა კირქვების სულ ახალ-ახალი მასები. კავკასიონის ქვერანაქთა შედარებით მაღალი მასივები, რომელსაც წარმოადგენს, მაგალითად, სათაფლიის მალღობი, უფრო ადრე მოხვდნენ კარსტისათვის ხელშემწყობ პირობებში, ვიდრე უფრო დაბალ ჰიფსომეტრიულ დონეზე მდებარე კირქვის მასივები“ ([187], გვ. 14). ლ. მარუაშვილის მიერ ქუთაისის და წყალტუბოს რაიონების დოლინებს შორის გამოყოფილ სამ გენეტურ ტიპიდან, სახელდობრ: 1) მარტივი ანუ პირველადი, 2) ამოვსებული ანუ უმოქმედო და 3) რთული ანუ განახლებული დოლინების ტიპებიდან, — პირველი ტიპი ყველაზე ძველია და ცხადია მისი განვითარება, ლ. მარუაშვილის ზემომოყვანილ მოსაზრების შესაბამისად, პლიოცენის მიწურულში ან მეოთხეულის დასაწყისში უნდა დაწყებულიყო; რაც შეეხება დოლინების შემდგომ ორ ტიპს, მათი განვითარება მეოთხეულში უნდა მომხდარიყო. დოლინების მეორე ტიპის განვითარება უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე მესამესი. სათანადო მონაცემები მათი აბსოლუტური ასაკის შესახებ ლ. მარუაშვილის ამ ნაშრომში არ არის მოყვანილი. ლ. მარუაშვილის აზრით დოლინების აღნიშნული გენეტური ტიპების განვითარების სქემის შემოწმება უნდა მოხდეს საქართველოს კარსტის სხვა რაიონებში — სამეგრელოში, აფხაზეთში და სხვ. ამასთან იგი მიუთითებს, რომ დასავლეთ საქართველოში დაკარგვა ყველაგან ერთდროულად არ უნდა დაწყებულიყო (იქვე, გვ. 141 და 143).

ბ. მეფფერტის აზრით (1930 წ.), მდ. რიონის მარჯვენა მხარეზე, უდაბნოს მონასტრის ნანგრევების ახლო, ცნობილი საირმის სვეტები, რომელიც აგებულია სენანური და ეოცენური კირქვებით, წარმოადგენს კარსტული დანაწილების უკანასკნელი სტადიის მაგალითს ([1072], გვ. 5); ო. მიხაილოვსკაიაც სამხრეთ ოსეთის მთიან რაიონის ნიადაგების შესწავლასთან დაკავშირებით 1936 წელს მიუთითებდა, რომ სუბალპური ტყის ლანდშაფტის გავრცელების ტერიტორიაზე ერწოსა და წონის ქვაბულების მიდამოებში, არსებობს რაიონი შთენილი კარსტის ნიშნებითა და მისი წარმოშობის დასაწყისად მიიჩნევს არა უგვიანეს გაყინვარების პერიოდს ([1084], გვ. 159—160, 164—167).

დ. ხარიტონოვი აძაბის, კელასურის და შრომის კარსტული გამოქვაბულების სპელეოფაუნის — ობობების წარმომადგენლების შესწავლის საფუძველზე 1939 წელს მიღის იმ დასკვნამდე, რომ ისინი წარმოადგენენ სრულიად ახალგაზრდა გამოქვაბულებსო [1294]. მ. ზუბაშჩენკო ამავე წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, რომელშიც საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილისა და კავკასიის კარსტის დარაიონებში ცდაა ჩატარებული, არბიკის მასივის კარსტის თელის ყველაზე ახალგაზრდა და მოქმედ კარსტად საბჭოთა კავშირის დანარჩენ კარსტულ რაიონებთან შედარებით ([821], გვ. 39).

შ. ყიფიანი 1939—1940 წლებში შაორის ამოქვაბულის გეომორფოლოგიურ დახასიათებასთან დაკავშირებით იმ დასკვნამდე მიღის, რომ ამ ქვაბულის კარსტი პოსტპლიოცენურად უნდა ვიგულისხმოთ [384—385].

დასასრულ აღსანიშნავია, რომ საქართველოს კარსტის ასაკის განსაზღვრი-

სას, განსაკუთრებით კარსტული გამოქვაბულის წარმოშობის ზედა ასაკის დასადგენად სხვა მონაცემებთან ერთად ძვირფას მასალას არქეოლოგიური კვლევის შედეგები იძლევა, მათ შორის კარსტულ გამოქვაბულებში მოპოვებული ძუძუმწოვართა ძვლების განსაზღვრა. ასეთი სამუშაოები, როგორც ცნობილია, საქართველოში ფართოდ გაიშალა 1921—1940 წლებში. მათ შორის აღსანიშნავია ნ. სმირნოვის 1923 — 1924 წლის გამოკვლევა ამიერკავკასიის ზოგიერთ ძუძუმწოვართა შესახებ ქვის ხანისათვის, კერძოდ ს. რვანის მიდამოებში გვარჯილასკლდის გამოქვაბულზე [1191]; ვ. გრომეცის 1929 წლის ნაშრომი ამიერკავკასიის ქვის ხანის ძუძუმწოვართა შესახებ — დევისხერელზე და სხვ. [747]; ე. ბელიაევას 1940 წლის ნაშრომი საკაჟის პალეოლითურ გამოქვაბულის ძუძუმწოვართა ფაუნაზე [568]. არქეოლოგიური ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ნიორაძის მიერ 1933—1934 და 1938 წლებში გამოქვეყნებული ნაშრომები საკაჟისა და დევისხერელის გამოქვაბულების შესახებ [229—230, 1094], მ. ივაშჩენკოს 1935 წლის ნაშრომი აფხაზეთის არქეოლოგიაზე [830]; ს. ზამიატინის 1935—1937 წელს გამოქვეყნებული ნაშრომები მღვიმევის, აგრეთვე აფხაზეთის პალეოლითის შესახებ [811—812]; საინტერესო ცნობები მოიპოვება აგრეთვე პ. ეფიმენკოს მონოგრაფიაში, კავკასიის კარსტულ გამოქვაბულებში არსებული პირველყოფილი ადამიანის სადგომზე [800] და სხვ.

როგორც ზემოთ დავინახეთ, საქართველოს კარსტის შესწავლილობის საბჭოური პერიოდის ეტაპზე, 1921—1940 წლების განმავლობაში, გამოქვეყნებული ნაშრომები შეიცავს მნიშვნელოვან მონაცემებს კარსტის ასაკზე, და ამ მონაცემების საფუძველზე საქართველოს კარსტის განვითარება აშკარად ქვედამესამეულიდან (პალეოგენიდან) მაინც გვესახება და გრძელდება დღესაც.

### კარსტული რელიეფი საერთო გეომორფოლოგიურ და საკუთრივ კარსტის დარაიონების რუკებზე

საქართველოს კარსტული რელიეფის გეომორფოლოგიური შესწავლა 1921—1940 წლებში იმდენად წინ წავიდა, რომ ამ რელიეფის თავისებურებამ საქართველოს, ამიერკავკასიისა და კავკასიის გეომორფოლოგიურ დარაიონებაში ან დახასიათებისადმი მიძღვნილ თითქმის ყველა ნაშრომში ჰპოვა გამოხატულება. მაგალითად, ი. შჩუკინი 1926 წელს გამოცემულ კავკასიის გეომორფოლოგიურ ნარკვევებში ჰარბი დენუდაციის ოლქთა შორის ცალკე გამოყოფს და ახასიათებს დასავლეთ ამიერკავკასიის კარსტულ-კირქვიან ან კირქვიან-კარსტულ ოლქს («Карстово-известняковая область Западного Кавказа» ან «Известняково-карстовая область Западного Кавказа») ([1350], გვ. 165—170 და რუკა). ამავე წელს გამოსულ მონოგრაფიაში (საქართველოს გეოგრაფია, ტ. I, გეომორფოლოგია) — ალ. ჭავჭავაძის მიუთითებს აქ გავრცელებულ კარსტულ მოკვანებზე, და კერძოდ კარსტულ ფორმებზე და სხვ. ([475], გვ. 53—54, 58, 222, 224).

ბ. ყავრიშვილი 1935 წელს კავკასიონის გეომორფოლოგიურ ოლქთა შორის ცალკე გამოყოფს დასავლეთ საქართველოს კირქვიან-კარსტულ ზონას («Известняково-карстовая зона Западной Грузии») და ამასთან აღნიშნავს მის ზოგიერთ მორფოლოგიურ თავისებურებას ([838], გვ. 7—8 და რუკა). ლ. მარუაშვილი

1936 წელს კავკასიის რელიეფის ზონალობის დახასიათებასთან დაკავშირებით მდინარეულ ვიწრობთა (ხეუბის) ზონას ეხება («Зона речных теснин [ушеллий]») და მიუთითებს კარსტული მოვლენების გავრცელებაზე ამ ზონაში და მის როლს ზონის რელიეფის მორფოლოგიაში ([1017], გვ. 68). ამავე წელს ბ. ლობრინინი აფხაზეთის ტერასების დახასიათებისადმი მიძღვნილ სტატიასთან დაერთულ გეომორფოლოგიური ოლქებისა და რაიონების რუკაზე გამოყოფს კირქვიან ქედების ზონას, ხოლო ტექსტში მიუთითებს ამ ზონისათვის დამახასიათებელ კარსტული ციკლის ფორმებზე ([779], გვ. 131—132 და რუკა); იგივე მკვლევარი 1937 წელს მსოფლიოს დიდ საბჭოთა ატლასში მოთავსებულ კავკასიის გეომორფოლოგიურ რუკაზე [780] რელიეფის ფორმათა კომპლექსებს (გეომორფოლოგიურ ლანდშაფტებს) შორის გამოყოფს მსხვილნაოკა კირქვიან ქედებს რღვევებს, ჩარღვევების, შეცოცებების არსებობით, ზოგან კარსტული მოვლენებისა და მდინარეული კანიონისებური ხეობების განვითარებით («Крупноскладчатые известняковые хребты с наличием разломов, сбросов, надвигов, местами с развитием карстовых явлений и каньонобразных долин рек»), ხოლო რელიეფის ცალკეულ ფორმებსა და ერთგვაროვან ფორმებს შორის — ადგილებს კარსტული ფორმების (დოლინები, ვამოქვაბულები) მნიშვნელოვანი განვითარებით («Местности со значительным развитием карстовых форм [воронки, пещеры]»).

ამავე რუკას ბ. ლობრინინი უცვლელად ურთავს 1941 წელს გამოცემული საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილისა და კავკასიის ფიზიკური გეოგრაფიის სახელმძღვანელოს და აღნიშნული გეომორფოლოგიური ლანდშაფტის მოკლე დახასიათებას იძლევა ([782], გვ. 251—252 და რუკა). ბ. ლობრინინი 1940 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში, რომელიც ამიერკავკასიის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათების ცდას წარმოადგენს, საკმაოდ დაწვრილებით ჩერდება ამ მხარის გეომორფოლოგიური პირობების გაშუქებაზე, რასაც მონოგრაფიის თითქმის 2/3 ნაწილი უჭირავს; იგი ანცლთან კავკასიონის სანჯრეთ ფერდობის ოლქის დასავლეთ ნაწილის გეომორფოლოგიურ რაიონებს შორის გამოყოფს და ახასიათებს კირქვიან ქედების რაიონს კარსტის განვითარებით («Район известняковых хребтов с развитием карста») ([781], გვ. 9—10 და რუკა).

ს. კუზნეცოვი 1938 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელიც წარმოადგენს ამიერკავკასიის გეომორფოლოგიური დანაწილების ცდას, კავკასიონის სამხრეთ ფერდობის ზონის ქარბი დენუდაციის ქვეზონაში, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოყოფს და ახასიათებს კარსტული ლანდშაფტის ოლქს («Область карстового ландшафта») ([935], გვ. 355, 367—368 და რუკა); კუზნეცოვის აღნიშნული სტატია და რუკა თითქმის უცვლელად მოთავსებულია 1941 წელს გამოქვეყნებულ საბჭოთა კავშირის გეოლოგიის X ტომში ([936], გვ. 541—542 და რუკა). ამავე მონოგრაფიაში მოთავსებულ ა. რეინჰარდის ამიერკავკასიის გეომორფოლოგიური დანაწილებისადმი მიძღვნილ სტატიაში გამოყოფილია აფხაზეთ-სამეგრელოს კარსტული ზონა («Абхазско-Мингрельская карстовая зона») და აღნიშნულია ამ ზონის ზოგადი თავისებურებანი ([1148], გვ. 517—518 და რუკა).

ალ. ჭავჭავაძე 1940 წელს საქართველოს გეომორფოლოგიურ დაყოფასთან დაკავშირებით გამოყოფს საშუალომთიან კირქვიან-კარსტულ რელიეფის ტიპსაც [476].

1939 წელს მ. ზუბაშჩენკო აქვეყნებს სტატიას საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილისა და კავკასიის კარსტის დარაიონების შესახებ [821]. კავკასიის კარსტულ ოლქთა შორის მ. ზუბაშჩენკო მოიხსენიებს კავკასიონის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობის ოლქს («ОБЛАСТЬ ЮГО-ЗАПАДНЫХ СКОЛОНОВ Кавказского хребта») (იქვე, გვ. 31). ამ ოლქის ზოგად დახასიათებისას (გვ. 38—39) აღნიშნული მკვლევარი მიუთითებს აგრეთვე იმაზე, რომ არბიჯის მასივის დიდი სიმაღლის გამო აქ კარსტული მოვლენები ყველაზე აქტიურად ვლინდება და ყველაზე ახალგაზრდაა საბჭოთა კავშირის კარსტულ რაიონებს შორის (გვ. 39).

## 2) კლიმატური და ჰიდროლოგიური შესწავლილობა

საქართველოს კარსტული ოლქის კლიმატური და ჰიდროლოგიური თავისებურებანი ნაკლებადაა შესწავლილი, ამიტომ მრავალი საკითხი კვლავ გარკვევასა და გადაწყვეტას მოითხოვს.

პირველი და ამ ეტაპისათვის ერთადერთი მეცნიერული ნაშრომი, რომელიც საქართველოს კარსტის გამოქვაბულების კლიმატური ელემენტების დახასიათებას ეხება, 1939 წელს გამოქვეყნდა. იგი ა. ბალაბუევს ეუთვნის [553]. დიდა ამ ნაშრომის მნიშვნელობა, რადგან მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოს სპელოკლიმატის, ამ ორიგინალურ მიკროკლიმატის კვლევას. ნაშრომში მოცემულია აფხაზეთის — აძაბის, კელასურის და შრომის გამოქვაბულებში 1935 წელს ჩატარებული მეტეოროლოგიური დაკვირვებების შედეგები, კერძოდ ჰაერის მასების დინების, ტემპერატურის და სინოტივის შესახებ და ამ დაკვირვებათა ანალიზი.

ცალკეული გამოქვაბულების ტემპერატურული რეჟიმის შესახებ სხვა ხასიათის მეცნიერულ ნაშრომებშიც მოიპოვება სათანადო დაკვირვების მონაცემები; მაგალითად, ოტაპისთავის და ტარკილის გამოქვაბულების ჰაერის და წყლის ტემპერატურაზე ი. ბარშტეინისა და ვ. ლოპაშოვის 1940 წლის ნაშრომში ([581], გვ. 32 და 35); აძაბის, კელასურისა და შრომის გამოქვაბულების ჰაერის ტემპერატურაზე, შეფარდებითი სინოტივისა და ჰაერის მასების მოძრაობაზე ფ. ზაიცევის 1940 წლის ნაშრომში ([804], გვ. 65—67) და სხვ.

გაცილებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს საქართველოს კარსტული ოლქის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების შესწავლის მხრივ. ამ მიმართულებით რამდენიმე ნაშრომი გამოქვეყნდა, რომელშიაც დახასიათებულია საქართველოს კარსტული ოლქის ან მისი რომელიმე ნაწილის ჰიდროლოგიური პირობები. ასეთ ნაშრომთა შორის საჭიროა მოვიხსენიოთ რამდენიმე. პ. პანიუტინი 1925 წლის ნაშრომში ახასიათებს კავკასიის დასავლეთი ნაწილის სამხრეთ ფერდობის ტბებს, მათ შორის კარსტული რაიონის ტბებსაც — ამტყელის, რიწისა და სხვ., ამასთან მიუთითებს, რომ ტბა რიწა კარსტული (ჩაქცევით) წარმოშობის არისო, ხოლო ამტყელის ტბა დაგუბებულ, ჩამოქცევით წარმოშობილ ტბათა ტიპისააო [1106]. ნ. იგნატოვიჩი 1930 წლის ნაშრომში არკვევს გაგრის რაიონის ჰიდროლოგიურ თავისებურებებს [831]<sup>14</sup>; 1930 წელს გამოქვე-

<sup>14</sup> აღსანიშნავია აგრეთვე პ. აელტოვის მიერ 1929—1930 წწ. ჩატარებული ჰიდროგეოლოგიური გამოკვლევები გაგრის მიდამოებში (იხ. И. И. Желтов, Гидрогеологическое исследование в окрестностях Гягры в 1929—1930 гг., 140 стр. Геологическое управление при Сов. Министров ГССР). რომელშიაც დაწვრილებითაა დახასიათებული ამ რაიონის კარსტული წლები; სამწუხაროდ ეს ნაშრომი ვერჯერობით ხელნაწერის სახითაა წარმოდგენილი.

ყნებულ ნაშრომში ი. ქავთარაძე სამხრეთ ოსეთის მინერალური წყლების კვლევისას მოკლედ ეხება კარსტულ წყლებსაც ([852], გვ. 236 და სხვ.); 1933 წელს ე. უსტივეი და ვ. მოლვეა სამხრეთ ოსეთის მინერალური წყლების დახასიათებისას კარსტულ წყლებსაც ეხებიან [1287]; 1938 წელს ნ. ოგილვი იკვლევს წყალტუბოს მიწისქვეშა წყლებს და ამასთან დაკავშირებით ჩერდება კარსტული წყლების რეჟიმზე და გენეზისზე ([1100], გვ. 9—21 და 90—100).

ტალკეული მცირე რეგიონების კარსტული წყლების დახასიათებასთან ერთად გვაქვს განმარტოვებული ნაშრომებიც. ამ ნაშრომებში საქართველოს ჰიდროლოგიური პირობების, ან საკუთრივ მიწისქვეშა წყლების დახასიათებასთან დაკავშირებით გარკვეულია კარსტული ოლქის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების თავისებურებაც. ასეთ ნაშრომთა შორის აღსანიშნავია 1935 წელს გამოქვეყნებული ამიერკავკასიის წყლის რესურსების ცნობარი. ცნობარში მოთავსებულია ი. ხელაძის სტატია ამიერკავკასიის მიწისქვეშა წყლების შესახებ [1298]; ამ სტატიაში დახასიათებულია შავი ზღვის აუზის მიწისქვეშა წყლები, კერძოდ დასავლეთ საქართველოს ცარტული კირქვების კარსტული ზონის წყლები (იქვე, გვ. 505—508). განსაკუთრებით აღსანიშნავია ბ. ყაფრიშვილის სადოქტორო დისერტაცია, რომელშიაც მოცემულია საქართველოს ლანდშაფტურ-ჰიდროლოგიური ზონების დახასიათება; მკვლევარი საქართველოს ლანდშაფტურ-ჰიდროლოგიურ ზონებს შორის გამოყოფს და დახასიათებს კარსტული წყლების სიქარბის ზონას („Зона преобладания карстовых вод“), ამასთან აღნიშნავს კარსტული ოლქის რიგ ჰიდროლოგიურ თავისებურებებს ([368; 836], გვ. 65—79; [835], გვ. 40).

ბ. ყაფრიშვილი ამიერკავკასიაში გავრცელებულ ქვაბურის ტიპის ტბებს შორის («Озера котловинного типа») გამოყოფს კარსტულ ტბებსაც (ხარისთვალი, ძროხისთვალი, საწურბლია, პატარა რიწა და ნაწილობრივ ერწოს) [837].

საქართველოს კარსტული ოლქის ჰიდროლოგიური, განსაკუთრებით ჰიდროგრაფიული თავისებურებების შესახებ სათანადო ცნობები მოიპოვება არა ჰიდროლოგიურ ნაშრომებშიც. 1926 წელს ალ. ჯავახიშვილი საქართველოს გეომორფოლოგიის კურსში ბზიფისა და რაქის ქედების და ოკრიბის ფერდობის გეომორფოლოგიურ დახასიათებისას მათ ჰიდროგრაფიულ თავისებურებაზეც ჩერდება ([475], გვ. 27, 58 და 222). ამავე წელს გამოსულ მონოგრაფიაში ი. შჩუკინი არკვევს კარსტული რელიეფის ოლქის ჰიდროგრაფიულ თავისებურებებს ([1350], გვ. 165—170); ამავე საკითხებს, მაგალითად, მდინარეების შაორა-შარაულის, ჭიშურის, ტყიბულა-ძეგრულის, თურჩუ-ტობის და ლაშიფსე-იფფარის შესახებ, ი. შჩუკინი ეხება 1933 წლის ნაშრომშიც ([1351], გვ. 349 და სხვ.).

ახალი ათონის მონაპოვების კარსტული წყლებისა და ამ კურორტის წყლით მომარაგების საკითხზე საჭირო ცნობები მოჰყავს ს. ვედენიაძისაც [616].

საინტერესო ცნობებს ვპოულობთ გეოლოგიურ ნაშრომებშიც; მაგალითად, ლ. კონიუშევსკი 1925—1926 წწ. გამოქვეყნებულ ნაშრომებში ტყიბულა-ძეგრულისა და შაორის ქვაბულის ჰიდროგრაფიულ თავისებურებებზეც ჩერდება [915—916]; 1925 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ო. კარაპეტიაჩი ეხება სამხრეთ ოსეთის კირქვიან ადგილების ჰიდროგრაფიულ თავისებურებებსაც [862]. ალ. ჯანელიძე კარსტული დრენაჟის მანძილის გარკვევისას, 1926 და 1928 წლების ნაშრომებში, მოიხსენიებს ოკრიბისა და შაორის ჰიდროგრა-

ფიულ თავისებურებებს [496—497]; იგივე მკვლევარი 1940 წლის ნაშრომში ჩერდება ცუცხვათის, ახალსოფლისა და შორის ქვაბულების ჰიდროგრაფიის საკითხებზე ([767], გვ. 7, 240—251 და სხვ.), ხოლო 1941 წლის ნაშრომში ასხის მასივის, განსაკუთრებით მისი სამხრეთ ნაწილის ჰიდროგრაფიაზე [498]; ვ. ბოგაჩოვი 1929 წელს მიუთითებს რგანის პლატოს ერთ-ერთ გამოქვაბულიდან წყლის მძლავრი ნაკადის გამოდინებაზე ([582], გვ. 23); ბ. მეფთერტი დასავლეთ საქართველოში ჩატარებული გეოლოგიური გამოკვლევების შედეგებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ჩერდება ამ მხარის კარსტული ოლქის ჰიდროგრაფიულ თავისებურებებზეც, მაგალითად 1931 და 1934 წლებში ასხის სამხრეთ ნაწილის — თურჩუსა ([1075], გვ. 25) და შორის ქვაბულებზე ([1076], გვ. 16). ა. კობლოვი 1932 წლის ნაშრომში აღნიშნავს კელასურ-ბესლეთისა და აღმოსავლეთ გუმისთა-კომანის წყალგამყოფის ჰიდროგრაფიულ თავისებურებებს და არკვევს ამის მიზეზებს ([896], გვ. 26 და სხვ.). 1937 წელს გ. ბარსანოვი სამხრეთ ოსეთის მინერალურ დახასიათებასთან დაკავშირებით მიუთითებს კარსტულ ტბებზეც ([563], გვ. 5). ამავე წელსვე ტ. მორდვილიკო ვაგარის მიდამოების გეოლოგიის დახასიათებისას ჩერდება კარსტული ოლქის ჰიდროგრაფიულ და ჰიდროგეოლოგიურ პირობებზე ([1085], გვ. 15—16). ი. კაჭარავა 1939 წელს სამეგრელოს გორაკ-ბორცვიანი ზოლის გეოლოგიური დახასიათებისას ყურადღებას ამახვილებს ამ ტერიტორიის მინერალურ წყლებზე. მათ შორის კარსტულზე ([144], გვ. 87—91).

კარსტული ტერიტორიების ან ცალკეული გამოქვაბულების დახასიათებისას, ესა თუ ის მკვლევარი ჩერდება მათი ჰიდროლოგიურ, კერძოდ ჰიდროგრაფიულ თავისებურებებზე; ასეთ ნაშრომთა შორის აღსანიშნავია რამდენიმე: ს. ბასარიას 1925 წლის ნაშრომში აღნიშნულია მ. ძიხვის სამხრეთით მდებარე გამოქვაბულის უხედვებტიანი მდინარე [564]; პ. პანიუტინის 1927 წლის ნაშრომში გავრის კირქვიანი მასივის შესახებ დახასიათებულია მისი ჰიდროლოგიური, მათ შორის ჰიდროგრაფიული თავისებურებანი [1107]; ნ. კანდელაკისა და გ. ძოწენიძის 1937 წლის ნაშრომში მოცემულია ცნობები წყალტუბოსა და სათაფლიას გამოქვაბულთა ჰიდროგრაფიაზე ([860], გვ. 126—132); ლ. მარტუაშვილის 1938 და 1941 წლების ნაშრომები აბრსკილისა და ნავარევისგვირაბის გამოქვაბულთა ჰიდროგრაფიას ეხება [1018, 1020]; შ. ყიფიანის 1939 წლის ნაშრომი ეხება შორის ქვაბულის ჰიდროგრაფიასაც [384]; ნ. გვოზდევკის 1940 და 1941 წლების ნაშრომებში აძაბის, შრომის, ახალშენის და სხვ. გამოქვაბულთა შესახებ [667—668]; ა. ჯაფარიძის და ვ. მიტროფანოვის 1940 წლის ნაშრომში ხვამლის გამოქვაბულთა ჰიდროგრაფიის საკითხიც არის განხილული [769] და სხვ.

ბიოსპელეოლოგიურ ნაშრომებში მოიპოვება საინტერესო ცნობები გამოქვაბულთა ჰიდროგრაფიაზეც; მაგალითად, ა. სადოვსკის და ე. ბორუცკის ნაშრომები რიონჰესის დერივაციული გვირაბის გაქრასთან დაკავშირებით აღმოჩენილ კარსტულ გამოქვაბულის შესახებ ([1164], გვ. 93; [1389—1391]; ი. ბირშტეინისა და ვ. ლოპაშოვის 1940 წლის კოლექტიურ ნაშრომში ფსირცხის (ახალი ათონის სტალაქტიტიანი), ზედა და ქვედა მაქურანის, ბესლეთის, მთისკალთის, წებელდის, ოტაპისთავისა და გოგოლეთის გამოქვაბულებზე ([581], გვ. 31—33).

საქართველოს კირქვიანების მცენარეულობის დახასიათებისას, ესა თუ

ის მკვლევარი მიუთითებს კარსტული ოლქის წყლის რეჟიმის თავისებურებაზეც; მაგალითად, ა. კოლაკოვსკი 1937 წლის სტატია ბზიფის ქედის მიმართ ([898], გვ. 44) და სხვ.

1921—1940 წლებში შესრულებული გამოკვლევები საქართველოს კარსტის წყლების შესახებ იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მან გამოხატულება პპოვა ა. ოვჩინიკოვის 1947 წლის მონოგრაფიაშიც მინერალური წყლების შესახებ ([1098], გვ. 140—143).

### 3) ნიადაგების გეოგრაფიისა და ბიოგეოგრაფიის კვლევა

საქართველოს კარსტის შესწავლილობის საბჭოური პერიოდის პირველ ეტაპზე ყურადღება ექცევა როგორც ზედაპირული, ისე მიწისქვეშა ფენონების კარსტულ მხარეთა ნიადაგების გეოგრაფიისა და ბიოგეოგრაფიის საკითხებს.

საქართველოს კარსტული ოლქის ნიადაგების გეოგრაფიის კვლევა საბჭოური პერიოდის პირველ ეტაპზე მართალია სპეციალურად არავის ჩაუტარებია, მაგრამ უფრო მსხვილი რეგიონების კვლევისას სწავლობდნენ ამ ოლქის ნიადაგების თავისებურებასაც და მისი გავრცელების კანონზომიერებას. ასეთ ნაშრომთა შორის უნდა მოვიხსენიოთ ს. ზახაროვის და გ. ტარასაშვილის გამოკვლევები აფხაზეთში [816—817, 1248], ლ. პრასოლოვისა და ნ. სოკოლოვის სამხრეთ ოსეთში [1129], ო. მიხაილოვსკაიას სამხრეთ ოსეთის მთიან რაიონებში [1084] და სხვ.

ნ. კეცხოველი 1935 წლის ნაშრომში საქართველოს მცენარეული საფარას ძირითადი ტიპების დახასიათებისას ცალკე ჩერდება კარსტული ოლქის მცენარეთა ტიპების თავისებურებისა და გეოგრაფიის საკითხებზე — განსაკუთრებით აფხაზეთის კირქვიანთა მცენარეულობაზე ([145], გვ. 208—212). 1939 წელს ხსენებული მკვლევარი ამავე საკითხებზე ჩერდება კოლხეთის მცენარეულობის და განსაკუთრებით, სამეგრელოს გორაკ-ბორცვიან ნაწილის მიმოხილვისას ([146], გვ. 129, 155—156). აფხაზეთის ფლორისა და მცენარეულობის დახასიათებისას ვ. მალეევი გეობოტანიკურ რაიონებად გამოყოფს სუბსტრატის — კირქვებისა და კარსტული მოვლენების გათვალისწინებით [1009]. ვ. მალეევს აფხაზეთის კირქვიანების ფლორის შესახებ თავის მეორე შრომაშიც საინტერესო მონაცემები აქვს მოყვანილი [181]; აფხაზეთის ტყეების თავისებურებაზე კირქვიან სუბსტრატზე ჩერდება ნ. ზაკონსკიც [807]; პ. პანიუტინი დასავლეთ კავკასიონის სუბალპებში მაღალბალახეულობის განუვითარებლობას კირქვიან სუბსტრატზე კარსტულ მოვლენებს უკავშირებს ([1108], გვ. 1339); სამხრეთ ოსეთის მცენარეულობის დახასიათებასთან დაკავშირებით ნ. და ე. ბუშები, 1931 და 1938 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში, ჩერდებიან აგრეთვე ამ ოლქის კირქვიანების მცენარეულობაზე [606—607]. განსაკუთრებით მოხსენიების ღირსია ა. კოლაკოვსკის მიერ ჩატარებული გამოკვლევები აფხაზეთის კირქვიანი ქედების მცენარეულობის საფარის შესახებ; ამ მკვლევარის მიერ 1935 და 1937 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში დახასიათებულია ბზიფისა და კოდორის ქედების კარსტულ ოლქებში განვითარებული მცენარეული საფარის თავისებურება, მათი ტიპები და გავრცელების კანონზომიერებანი [897—898]. აღსანიშნავია ა. კოლაკოვსკის მონოგრაფიები



აფხაზეთის ფლორის შესახებ, რომლის I და II ტომი 1938—1939 წლებში გამოვიდა [899]; ეს მკვლევარი აგრეთვე აღგენს ახალ ენდემურ მცენარეებს დასავლეთ საქართველოს კირქვიან მცენარეთა შორის [900], კირქვიანი მცენარის ერთ-ერთი ახალი სახე დაადგინა აგრეთვე ლ. კემულარია-ნათაძემ [872], აგრეთვე ლ. კემულარია-ნათაძემ და ლ. ხინთიბიძემ [873].

სათანადო ცნობები კარსტული ოლქის მცენარეული საფარის თავისებურების შესახებ ზოგჯერ სხვა ხასიათის ნაშრომებშიაც მოიპოვება; მაგალითად, ი. შჩუკინის 1926 წლის ნაშრომში [1350] და სხვ. სხვათა შორის ნ. ივანტოვიჩი გაგრის რაიონის ჰიდროგეოლოგიური თავისებურების დახასიათებისას ყურადღებას ამახვილებს მცენარეული საფარის როლზე კარსტული ზედაპირული ფორმების წარმოშობაში, მისი აზრით გაგრის რაიონში ტყის საფარი ხელს უშლის ზედაპირული კარსტული ფორმების წარმოშობას ([831], გვ. 85); მაგალითად, ამ მკვლევარის მითითებით გაგრის ქედის ერთ-ერთ სამხრეთ ტოტის მამძიშის თხემურ ნაწილში, რომელიც ტყის საფარსაა მოკლებული. ყველაზე ინტენსიურად ვლინდება კარსტული მოვლენები (იქვე, გვ. 83).

საქართველოს კარსტის შესწავლილობის ამ ეტაპზე განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა კარსტულ გამოქვაბულთა თანამედროვე ფაუნის შესწავლას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ა. საღოვსკის 1930 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი; ამ ნაშრომში დახასიათებულია რიონ-წყალწითელას წყალგამყოფის გარდიგარდმოდ რიონჰესის დერივაციულ გვირაბში აღმოჩენილი არქაული ფაუნა, განსაკუთრებით ამ ფაუნის Athyidae-ს ოჯახის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი წარმომადგენელი. ეს კრევეტა ა. საღოვსკიმ განსაზღვრა როგორც *Xiphocarinea kutaissiana* nov. gen. et sp. და ცარტულ ეპოქის რელიქტად მიიჩნია ([1164], გვ. 99 და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ა. საღოვსკის ამ ნაშრომმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სპელეოფაუნის შესწავლას. ა. საღოვსკის მიერ აღწერილი აღნიშნული კრევეტი უფრო ზუსტად განსაზღვრა ი. ბირშტეინმა 1933 წელს და ჩათვალა იგი *Troglocaris Schmidtii kutaissiana*-დ [1383], ე. ი. ბალკანურ *Tr. Schmidtii*-ს ქვესახედ. ს. იუზუმაიანის აზრით კრევეტის ამ სახეობას „უფრო მეტი სისტემატური დამოუკიდებლობა უნდა ეკუთვნოდეს“, ვიდრე ამას ი. ბირშტეინი თვლის ([136], გვ. 184). აქვე მივუთითებთ, რომ ამ კრევეტის სახეობის განსაზღვრას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქუთაისის მიდამოების კარსტის ასაკის დადგენისას. ამ ახლად აღმოჩენილი გამოქვაბულის ფაუნის შესახებ საინტერესო ცნობები მოიპოვება ე. ბორუცკის 1930 და 1939 წწ. ნაშრომებშიც [1389—1391].

ი. ბირშტეინი 1939 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ახასიათებს აფხაზეთის გამოქვაბულების — მთისკალთის (ანდრეევკის), ფსირცხის (ახალი ათონის სტალაქტიტიანი), ოტაპისათვის, ბესლეთის და სხვ. ფაუნას, განსაკუთრებით კრევეტებს და ზოგიერთ სხვა წარმომადგენლებს [575]. 1940 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ი. ბირშტეინი არკვევს გამოქვაბულებში ცხოვრების პირობებს, ფაუნის შედგენილობას და მის გეოგრაფიულ გავრცელებას, აგრეთვე მოჰყავს სათანადო ცნობები ოტაპისათვისა და აბრსკილის გამოქვაბულებზე [576]. ი. ბირშტეინი და ვ. ლოპაშოვი 1940 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში აჯამებენ საბჭოთა კავშირის 1935—1939 წლებში ჩატარებულ გამოკვლევებს გამოქვაბულთა ფაუნის შესახებ და საგანგებოდ ჩერდებიან საქართველოს გამოქვაბულებში გავრცელებულ ფაუნაზე, კერძოდ ფსირცხის

(ახალათონის სტალაქტიტიან), ტარკილის, აძაბის, შრომის (მიხაილოვის), მთის-კალთის, ბესლეთის, წებელდის, ქვედა, შუა და ზედა შაქურანის, ოტაპისთავის, აბრსკილის, წყალწითელისა და გოგოლეთის გამოქვაბულებზე [581]. 1940 წელს ს. იუზბაშიანმა შეისწავლა შაქურანის გამოქვაბულის კრევეტი ([1357]; იხ. აგრეთვე: [1356]). 1940—1941 წლებში ფ. ზაიცევი სწავლობს აფხაზეთის გამოქვაბულთა ფაუნას, კერძოდ აძაბის, კელასურის, შრომისა და სხვ. [804—805], 1949 წელს კი აჯამებს საქართველოს სპელეოფაუნის შესწავლილობას და სახავს მომავალი კვლევის პერსპექტივებს [806].

დ. ხარტიონოვის 1939 და 1941 წლების ნაშრომებში საინტერესო ცნობებია მოყვანილი ობობების იმ სახეთა გავრცელებაზე, რომლებიც სპელეოფაუნას მიეკუთვნებიან წყალტუბოსა და აფხაზეთის გამოქვაბულებისათვის [1294—1296].

ამ ეტაპზე ჩატარებული გამოკვლევები შეეხო აგრეთვე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოქვაბულებში ნაპოვნი ცხოველთა ძვლების მიხედვით ქვის ხანის (პალეოლითის) ფაუნის შესწავლას; ასეთი გამოკვლევები ეკუთვნის ნ. სმირნოვს, ვ. გრომოვას, ე. ბელიაევას და სხვ. ზემო იმერეთის (რგანის, დევისხერელის და სხვ.) გამოქვაბულების შესახებ [568, 747, 1191]. ამ გამოკვლევებით ხერხდება აგრეთვე მაშინდელი კლიმატური პირობების დადგენა, რაც საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ ამ დროის კარსტული მოვლენების განვითარების ინტენსივობაზეც.

#### 4) ფსევდოკარსტული მოვლენების შესწავლა

ამ უკანასკნელ დროს საქართველოს ტერიტორიაზე ფსევდოკარსტული მოვლენების ფართო გავრცელებაც აღინიშნა, მაგრამ 1921—1940 წწ. გამოქვეყნებულ ნაშრომებში ამ მოვლენის არსებობის შესახებ მხოლოდ ზოგადი მითითება არსებობს; მაგალითად, 1938 წელს თუშეთის ნიადაგების დახასიათებისას გ. ტარასაშვილი მიუთითებს, რომ ხეობების ძირზე, სახელდობრ მდ. დაროვანისა და ადგ. ქვეხიდის მიდამოებში, გორაკ-ბორცვიან ფართობებზე პატარ-პატარა „ძაბრებს“ (დოლინებს) ვხვდებით, რომლებიც კარსტულსა ჰგვანანო ([306], გვ. 255). ფ. სავარენსკი 1939 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში აღნიშნავს, რომ მინგეჩაურის წყალსაცავის მიდამოებში ბოზდაღის ქედზე ფსევდოკარსტული მოვლენები ვრცელდება, რომელსაც „თიხის“ ანუ „მცირე“ კარსტსაც უწოდებენო ([1162], გვ. 148—149).

ამგვარად, საბჭოური პერიოდის რეკონსტრუქციისა და სოციალისტური მშენებლობის ეტაპზე საქართველოს კარსტის გეოგრაფიულ კვლევას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა, რაც ჩვენი ქვეყნის ბუნების შესწავლის საერთო აღმავლობასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული.

ამ ეტაპზე გამოქვეყნებულ ნაშრომებში კარსტის გეომორფოლოგიის, მიკროკლიმატის (განსაკუთრებით სპელეოკლიმატის), ჰიდროლოგიის, ნიადაგების გეოგრაფიისა და ბიოგეოგრაფიის უმთავრესად რეგიონალური საკითხებია გაშუქებული.

1921—1940 წლებში გამოქვეყნებულ გეოგრაფიულ ნაშრომთა შორის საქართველოს კარსტის გეომორფოლოგიის საკითხების გაშუქებას მნიშვნელო-

ვანი ადგილი უკავია. იგი ეხება კარსტის როგორც ზედაპირულ, ისე განსაკუთრებით, მიწისქვეშა ფენომენების მორფოგრაფია-მორფომეტრიას. მნიშვნელოვანი წვლილი შეტანილი კარსტის ასაკის დადგენაშიც; ამასთან გამოკვეთილია, რომ კარსტული მოვლენების განვითარება საქართველოში დაიწყო არა უგვიანეს პალეოგენისა, სხვადასხვა დროს და დღესაც აქტიურად მიმდინარეობს. ამ ეტაპზე საქართველოს კარსტის გეომორფოლოგიური კვლევა იმდენად შორს წავიდა, რომ 1921—1940 წლებში გამოქვეყნებული კავკასიის, ამიერკავკასიისა თუ საქართველოს გეომორფოლოგიურ რუკებზე კარსტული რელიეფის რაიონი, ოლქი თუ ტიპი ცალკეა გამოყოფილი.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე საქართველოს ტერიტორიაზე საკმაოდ კარგად გავრცელებულ ფსევდოკარსტული მოვლენების შესწავლას თითქმის სრულებით არ ექცეოდა ყურადღება.

### ნ. კარსტული და კლასტოკარსტული გამოქვაბულების, უმთავრესად გეომორფოლოგიური კვლევისა და მათი გამოყენების შესაძლებლობის დადგენის ეტაპი (1941—1945 წწ.)

საქართველოს კარსტის შესწავლილობის საბჭოური პერიოდის დიდი სამამულო ომის ეტაპზე, როცა საბჭოთა ხალხის ძირითად და მთავარ საზრუნავს საგანს შემოსეულ მტერზე გამარჯვება შეადგენდა, საქართველოს კარსტის შესწავლაც კვეყნის თავდაცვით მიზნებს დაექვემდებარა. ამ ეტაპზე, თუმცა მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა საქართველოს კარსტული ფენომენების, განსაკუთრებით გამოქვაბულების შესასწავლად, მაგრამ მათი შედეგები უმთავრესად ამა თუ იმ დაწესებულება-უწყებათა საარქივო ფონდებშია დაცული; მცირე ნაწილი კი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ დაიბეჭდა. ამავე ეტაპზე რამდენიმე სტატია გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალებში, რომლებიც პირველ ეტაპზე იყო შესრულებული.

დიდი სამამულო ომის ეტაპზე საქართველოს კარსტული ფორმებიდან განსაკუთრებული ყურადღება სამეგრელოს, იმერეთისა და რაჭის გამოქვაბულების შესწავლას ექცეოდა, მაგრამ პარალელურად სხვა კარსტულ ფენომენებსაც სწავლობდნენ. მაგალითად, სწორედ ამ წლებში იქნა შესწავლილი სამეგრელოს კლასტოკარსტი. ამ მუშაობაში მონაწილეობდნენ გრ. დევდარიანი, ლ. მარუაშვილი, გ. კოკოჩაშვილი, ა. სადოვსკი და სხვ. მიღებული შედეგების გამოქვეყნება შესაძლებელი გახდა მხოლოდ სამამულო ომის შემდგომ წლებში.

ამ წლებში საქართველოს კარსტის გეოგრაფიული დახასიათებისადმი მიძღვნილი ნაშრომები თითქმის არ გამოქვეყნებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებოთ რამდენიმე ნაშრომს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ეხებიან ჩვენთვის საინტერესო საკითხს. მათ შორის აღსანიშნავია ს. იუზბაშინის 1941—1942 წწ. გამოქვეყნებული სტატიები, რომლებშიც აღნიშნული ავტორი ახასიათებს ფსირცხის, შაქურანის, სათაფლიის, წყალწითლის და სხვ. გამოქვაბულებში ნაპოვნი ღორბრძვებს (გვერდზე მცურაბებს) — ნიფარგუსებს, ათფეხიანებს (დეკაპოდებს) — ტროგლოკარებს და სხვ. [1358—1361]. ამასთან ს. იუზბაშინი ზოოლოგიური მონაცემების საფუძველზე ასკვნის, რომ დასაყრდენ საქართველოს კარსტის წარმოშობა იწყება ეოცენურ ეპოქიდანო ([1361], გვ. 165). გ. ჩიტაია 1944 წელს გ.

მოქვეყნებულ ანგარიშში მოიხსენიებს ლეჩხუმში გავრცელებულ გამოქვაბულებსაც, მაგალითად ხეაშის და სხვ. ზოგი მათგანი ადრე ლიტერატურაში აღნიშნულიც არ იყო ([437], გვ. 259—261). განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. კილაძის (ნ. ბერძენიშვილის) 1944 წლის ნაშრომი მღვიმეის გამოქვაბულების შესახებ, რომელშიც პალეოლითური ნაშთების დახასიათებასთან ერთად მოცემულია მათი მორფოგრაფია-მორფონეტრიც, სათანადო ჰიფსონეტრიული ქრილებით ([160], გვ. 280—282) და სხვ. მოსახსენებელია გ. ლომთათიძის და ა. ჭაფარიძის წერილებიც, რომლებშიც მოთხრობილია 1945 წელს საქართველოს ალპური კლუბის ექსპედიციის მიერ ხეაშის გამოქვაბულების შესწავლის შედეგები, მათ შორის მოყვანილია ამ გამოქვაბულთა ზოგიერთი მორფოგრაფიულ-მორფომეტრიული მონაცემები [1619, 1729]. ალ. ჭაფახიშვილის 1945 წლის ნაშრომში, საქართველოს კავკასიონის გეომორფოლოგიური რელიეფის ტიპებისა და მათი გავრცელების რაიონების შესახებ — ცალკე აქვს გამოყოფილი კირქვიან-კარსტული რელიეფის ან საშუალო მთიან კირქვიან-კარსტული რელიეფის ტიპი («Рельеф известняково-карстовый» ან «Рельеф средневысотных гор известняково-карстовый»). აღნიშნულ ნაშრომში მოცემულია დასახელებული რელიეფის ტიპის ზოგადი დახასიათება (1758), გვ. 87—89 და 98).

ამგვარად დიდი სამამულო ომის ეტაპზე საქართველოს კარსტის გეოგრაფიული კვლევა მრისხანე ომის პირობებში ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეს ემსახურებოდა. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული კარსტული გამოქვაბულის შესწავლის ხაზით, უმთავრესად იმერეთში, რაჭასა და სამეგრელოში. ამ დროს გამოვლინებულ იქნა სამეგრელოში კირქვის კონგლომერატებში ასე ფართოდ გავრცელებული კლასტოკარსტული მოვლენები. ამ ეტაპზე მიღებული შედეგების გამოქვეყნება წარმოებდა მომდევნო ეტაპზე.

## 6. კარსტის უმთავრესად გეომორფოლოგიური გაღრმავებული კვლევის ეტაპი (1946—1957 წწ.)

სამამულო ომის შემდგომი ხანა მოიცავს 1946—1957 წლებს. ამ ეტაპზე საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლა რამდენაღმე გაცხოველდა; მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე ამ საქმეში გეოგრაფების მონაწილეობაც. მაგრამ მაინც მთელი ეს მუშაობა ამა თუ იმ სამეცნიერო ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია-დაწესებულებების, ანდა ცალკეული მკვლევართა დინტერესებზე იყო დამყარებული. ამ ეტაპის მიწურულისათვის საქართველოს კარსტის გეოგრაფიული კვლევა იმდენად გაიზარდა და გართულდა, რომ საჭირო შეიქნა სათანადო ორგანიზაციული ცენტრის დაარსება, როგორც სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებებში (სამეცნიერო ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში და სხვ.), ისე საზოგადოებრივ ორგანიზაციებში (გეოგრაფიულ საზოგადოებასთან, სპორტსაზოგადოებათა ორგანიზაციათა კავშირში და სხვ.). ასეთი ღონისძიებების გატარების სამზადისი დაიწყო 1957 წელს და შემდგომ წლებში განხორციელდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე საქართველოს კარსტოლოგიურ სამუშაოთა გაშლასა და მის მეცნიერულ დონეზე დაყენებას დიდად შეუწყო ხელი, სხვა ღონისძიებებთან ერთად, კარსტის რიგი საკითხის მონოგრაფიულმა დამუშავებამ. მათ შორის აღსანიშნავია გამოჩენილი კარსტოლოგის ნ. გვოზ-

დეკის მონოგრაფიები, რომლებშიც დასმულია და მეცნიერების თანამედროვე დონის შესაბამისადაა გადაწყვეტილი ზოგადი და რეგიონული კარსტოლოგიის კარდინალური პრობლემები [674, 678]. ვ. აბრდოვიც არკვევს კარსტის თეორიის ზოგიერთ საკითხს [548]. აღსანიშნავია აგრეთვე დ. რიუკოვის მონოგრაფია კარსტის ბუნებისა და მისი განვითარების ძირითად კანონზომიერებათა შესახებ, უმთავრესად ურალის მაგალითზე [1159]. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ ეტაპზე სპელეოლოგიისადმი ინტერესის ფართო გავლიძებისა და მის პოპულარიზაციას ქართველ ახალგაზრდობაში, დიდად შეუწყო ხელი ცნობილი ფრანგი სპელეოლოგის ნ. კასტერეს სათავეგადასავლო ნაშრომის გამოქვეყნებამ რუსულ ენაზე 1956 წელს [868]; იგი ქართულ ენაზე გამოიცა 1957 წელს [143]. აღსანიშნავია აგრეთვე ვ. ობრუჩევის ბროშურაც [238]. ქართველ ახალგაზრდობის კარსტული ფენომენების ვაცნობით ინტერესის მაჩვენებელია სხვათაშორის ის შეკითხვები, რომლებიც ეურნალ-გაზეთებს მოსდით (იხ. მაგალითად: [386] და სხვ.); ამას ადასტურებს აგრეთვე ისიც, რომ ამ ეტაპის ბოლო წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატიკას კარსტის გეოგრაფიული დახასიათების ესა თუ ის საკითხიც შეადგენდა, მაგალითად: ბ. გერგუდავა სწავლობდა ოხაჩქუეს კარსტული მასივის ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს [35], გ. დათეშიძე — სოფ. ზოდის მიდამოების გამოქვაბულებს [82], ც. მაისურაძე ზემო იმერეთის პლატოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის თანამედროვე გეომორფოლოგიურ პროცესებს [180], ო. ჩხეიძე — ცუცხვათის ტაფობის გეომორფოლოგიას [441] და სხვ.

საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის ამ ეტაპის შესახებ ზოგიერთი მონაცემები მოიპოვება მოლოტოვის კარსტული კონფერენციის რეზოლუციებში ([1144], გვ. 26) და ნ. გვოზდეკის, განსაკუთრებით 1954 და 1958 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში საბჭოთა კავშირის ტერიტორიის კარსტის შესწავლილობის დახასიათების ფონზე ([678], გვ. 36—42; [674], გვ. 5 და სხვ.), აგრეთვე ამავე წელს გამოცემულ დ. რიუკოვის წიგნში ([1159], გვ. 18—34); 1956 წელს ი. პობოვი საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის კარსტის შესწავლილობის მდგომარეობის ზოგად დახასიათებას იძლევა, მაგრამ საკუთრივ საქართველოს კარსტის შესახებ კონკრეტული მასალები არ მოუცია [1127]. დ. სოკოლოვი, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გავრცელებული კარსტის შესწავლილობის მთავარ მიმართულებათა მოკლე დახასიათებისას საბჭოთა პერიოდისათვის ჩერდება კავკასიის, კერძოდ საქართველოს კარსტის შესწავლილობაზეც ([1193], გვ. 9—11 და 146—150); 1954 წელს ლ. მარუაშვილი საქართველოს მთის გამოქვაბულების დახასიათებისას არკვევს კარსტული გამოქვაბულების შესწავლილობასაც 1948—1950 წლებში, კერძოდ ეხება ქართველი ალპინისტების მონაწილეობას ამ საქმეში ([1024, გვ. 371—379]; იგივე მკვლევარი 1963 წელს გამოქვეყნებულ სამეცნიერო-პოპულარულ ნაშრომში იძლევა საქართველოს სპელეოლოგიური შესწავლილობის მიმოხილვას, კერძოდ 1945—1960 წლებისათვის ([197], გვ. 7—8). საქართველოს სპელეოფაუნის შესწავლილობის მდგომარეობის დახასიათება მოცემულია ფ. ზაიცევის 1949 წლის, ი. ბირშტეინის 1950 და დ. კობახიძის 1963 წლის ნაშრომებში [166, 168, 577, 806]. კავკასიის, კერძოდ საქართველოს კარსტულ ფენომენებთან დაკავშირებული პალეოლითის შესწავლილობა 1936—

1948 წლებსათვის გამრელებილი აქვს ა. ზამიატინის ([814], გვ. 130—136). საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის მდგომარეობის დახასიათებისადმი მიძღვნილი შ. ყიფიანის რამდენიმე ნაშრომიც, რომლებშიც მოკლედ და მოკემული ამ ეტაპის ზოგადი სურათი [392, 394, 405, 408, 411, 413, 1462, 1464].

ზემომოყვანილი ფაქტობრივი მასალიდან ჩანს, რომ საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის საბჭოური პერიოდის მესამე ეტაპის დახასიათება შესრულებულია საბჭოთა კავშირის შესწავლილობის ფონზე, ან მოკემულია მხოლოდ გამოქვებულების შესწავლილობის მოკლე დახასიათება, ანდა მათი ზოგადი სურათი, რაც სრულიად საკმაო არ არის. უკვე დიდი ხანია იგრძნობა საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის გამოვლენის საჭიროება საერთოდ და, კერძოდ 1945—1957 წლებსათვის.

### 1) გ ე ო მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი შ ე ს წ ა ვ ლ ი ლ ო ბ ა

სამამულო ომის შემდგომ ეტაპზე, ისე როგორც საბჭოური პერიოდის წინა ეტაპზე, უბირატესი ყურადღება საქართველოს კარსტის გეომორფოლოგიურ შესწავლას ექცეოდა. 1946—1957 წლებში გამოქვეყნებულ საქართველოს კარსტის დახასიათებისადმი მიძღვნილ სპეციალურ გეომორფოლოგიურ ნაშრომთა გარდა, ამავე საკითხზე სათანადო ცნობები მოიპოვება სხვა დარგების ხაზით ჩატარებულ გამოკვლევებში. ამავე ეტაპზე მნიშვნელოვანი რაოდენობის ნაშრომები გამოქვეყნდა საქართველოს კარსტის ასაკის და გეომორფოლოგიური დარაიონების ხაზითაც.

### ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი შ რ ო მ ე ბ ი

საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის საბჭოური პერიოდის ამ ეტაპის დასაწყისში გამოქვეყნებულ ნაშრომთა შორის, პირველ რიგში, განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. გვოზდეცკის, გრ. დევდარიანისა და ლ. მარტუაშვილის გამოკვლევები, რომლებშიც საქართველოსათვის პირველად არის საბოლოოდ დადგენილი კონგლომერატებში განვითარებული კარსტული მოვლენები.

ნ. გვოზდეცკი 1947, 1950, 1952, 1954 და სხვა წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში იძლევა დურიფშის პლატოზე კონგლომერატებში განვითარებულ კარსტული მოვლენების დახასიათებას [670, 674, 676, 678, 685]. იგი მიუთითებს, რომ მდ. ხიფსთის მარცხენა მხარის ტერასულ პლატოზე, მეოთხეული კირკვის კონგლომერატებში, თავისებური კარსტული მოვლენებია წარმოდგენილი, რომელიც ხასიათდება მიწისქვეშა ფორმების (გამოქვებულების) ფართო, ხოლო ზედაპირულის (დოლინების) — შედარებით სუსტი განვითარებით; ამ მკვლევარის მიხედვით, აქ ჩვენ გვაქვს შესანიშნავად გამოხატული დაფარული კარსტის ტიპი ([670], გვ. 4). ამიტომ აქაურ კარსტს ნ. გვოზდეცკი ცალკე რაიონად გამოყოფს ([676], გვ. 65 და 67, აგრეთვე რუკა; [685], გვ. 254 და რუკა 253 გვერდზე). ნ. გვოზდეცკის ზოგადი კარსტოლოგიისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში, კარსტულ სუფოზიური ფორმების ზოგადად დახასიათებისას, საილუსტრაციოდ დურიფშის პლატოს კარსტის მაგალითი მოჰყავს ([674], გვ. 58—59; [678], გვ. 99).

ლ. მარუაშვილი 1947 წლის ნაშრომში აღწერს მის მიერ გრ. დევდარიანთან ერთად 1943 წელს შესწავლალ კარსტულ მოვლენებს ნეოგენური კირქვის კონგლომერატებსა და ქვიშაქვებში ცენტრალური სამეგრელოს ტერიტორიაზე, დაახლოებით 550 კვ. კმ ფართობზე [1022]. სამეგრელოს ტერიტორიაზე ამ ქანებში გავრცელებულ გამოქვაბულების თავისებურებების აღწერისას, ლ. მარუაშვილი აღნიშნავს, რომ მათ ახასიათებს უმთავრესად ჰორიზონტული გავრცელება, ნაღვენთი ფორმებით ძლიერ სიღარიბე და ზედაპირული ფორმების სუსტი განვითარება; ამასთან მიუთითებს, რომ ეს გამოქვაბულები ხასიათდებიან სუსტი კლაკნილობით, წყალსადინარებით, დატოტვიანებით, ძირის კარგად გამოუმუშავებული პროფილით და მექანიკური ეროზიის კარგად გამოხატული ფორმებით; ლ. მარუაშვილის აზრით, კონგლომერატებში, განსხვავებით კირქვებისაგან, გამოქვაბულთა წარმოშობისას კოროზიას ერთვის შედარებით უფრო ინტენსიური ეროზია. იმასთან დაკავშირებით, რომ ცენტრალურ სამეგრელოს კონგლომერატებში კარსტული მოვლენები ზედაპირზე სუსტადაა განვითარებული, ხოლო მიწისქვეშა კარგად, ლ. მარუაშვილი წინადადებას იძლევა კარსტის ამ ტიპის ფარული კარსტი ანუ კრიპტოკარსტი („Скрытый карст, или криптокарст“) ვუწოდოთ (იქვე, გვ. 3). უფრო დეტალური დახასიათება ლ. მარუაშვილის მოცემული აქვს გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებულ ნაშრომში [1021]. სამეგრელოს ნეოგენურ კონგლომერატებში განვითარებულ კლასტოკარსტულ მოვლენების მოკლე დახასიათებას, ლ. მარუაშვილი იძლევა აგრეთვე 1949 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში [1023]. ლ. მარუაშვილი არკვევს აგრეთვე კონგლომერატებში განვითარებულ გამოქვაბულების ასაკის საკითხს ([1021; 1022], გვ. 2; [1023], გვ. 44).

სამეგრელოს ბორცვიან ნაწილის გეომორფოლოგიურ კვლევასთან დაკავშირებით 1938—1945 წლებში გრ. დევდარიანმა ყურადღება მიაქცია კარსტულ მოვლენებსაც. ჩატარებული კვლევის შედეგები ავტორმა სადისერტაციო ნაშრომის სახით გააფორმა 1947 წელს [86]. ამ ნაშრომის შედარებით მოკლე შინაარსი გამოქვეყნდა 1951 წელს [88]. გრ. დევდარიანის მიხედვით, სამეგრელოს (ოდიშის) ბორცვიან ტერიტორიაზე დაბალი ანტიკლინური მთების რელიეფისა და ეროზიით დანაწევრებულ ბორცვიან ვაკის (ან პლატოს) რელიეფის ტიპებში კარსტული მოვლენები სხვადასხვანაირად ვლინდება, სუბსტრატის განსხვავებული აგებულების გამო; სახელდობრ, კირქვებში ქიმიური ეროზიის მეოხებით ვითარდება როგორც ზედაპირული, ისე მიწისქვეშა კარსტული ფორმები და სხვ. (დოლინები, გამოქვაბულები, ვოკლუზური ტიპის წყაროები და სხვ.), ხოლო კონგლომერატებში, ქარბი მიქანიკური და შედარებით სუსტი ქიმიური ეროზიის გამო, განსაკუთრებით მიწისქვეშა კარსტული ფორმები (გამოქვაბულები), ზედაპირული ეო-სუსტად ან სრულეებით არ არის წარმოდგენილი [86, 88]. დაბალი ანტიკლინური მთების რელიეფის ტიპს შორის, რომლებიც ცარცული და ეოცენური კირქვებითაა აგებული, გრ. დევდარიანი ასახვლებს ურთის და ეკა-ნაქალაქევის (ამ უკანასკნელს შორის დადიანის ტაბტსაც) მთებზე გავრცელებულ კარსტულ ფენომენებსაც — დოლინები, დოლინების შეერთების შედეგად წარმოშობილი დეპრესიები, გამოქვაბულები და სხვ. ([86], გვ. 35—36 და 42—26; [88], გვ. 117—119). ამასთან აღწერას დართული აქვს სათანადო ილუსტრაციები (ვეგმები, კრილები და სხვ.), გამო-

ქვაბულთა შორის გამოყოფს ზედა და ქვედა, ან მშრალ და წყლიან, ანდა ძველ და შედარებით ახალგაზრდა გამოქვაბულებს. სამეგრელოს ეროზიით დანაწევრებული ბორცვიანი ვაკის (პლატოს) რელიეფის ტიპის გავრცელების რაიონის ჩრდილო ნაწილში, რომელიც აგებულია პლიოცენური კირქვის კონგლომერატებით, გრ. დედდარიანის მიხედვით, ფართოდაა განვითარებული კარსტული მოვლენები, უმთავრესად მიწისქვეშა ფორმები (გამოქვაბულები). ზემოთ დასახელებულ ნაშრომებში გრ. დედდარიანი დაწვრილებით იძლევა კონგლომერატებში განვითარებულ კარსტული მოვლენების დახასიათებას და ამასთან პირველად აღწერს ნაზოდელაოს, სავეკუოს, გარახას, კორცხელის და სხვ. გამოქვაბულებს ([86], გვ. 81—105; [88], გვ. 125—129); ამასთან იგი საკვლევი მხარის რელიეფის განვითარების ისტორიასთან ერთად არკვევს ამ გამოქვაბულთა ასაკსაც ([86], გვ. 124—127; [88], გვ. 131—136).

ზემოაღნიშნულმა გამოკვლევებმა გ. მაქსიმოვიჩს უკვე 1952 წლისათვის საშუალება მისცა ნგრეულ ან ნაშალ ქანებში განვითარებული კარსტის გეოგრაფიის დადგენისას დასავლეთ საქართველოს — აფხაზეთისა და სამეგრელოს კლასტოკარსტიც მოეხსენებია და ამ მოვლენის გავრცელება მსოფლიო სქემატურ რუკაზეც დაეტანა ([978], გვ. 50 და 53—54).

გრ. დედდარიანი 1946 წელს აქვეყნებს ნაშრომს სოხუმის მიდამოებში ჩატარებული გეომორფოლოგიური დაკვირვებების შედეგებზე; შრომაში დახასიათებულია ამ მხარის კარსტული რელიეფიც. დაბალი კირქვიანი ანტიკლინური მთების რელიეფის ტიპის დახასიათებისას — ბირცის, იაშთხვის, ახაბიუკის, აბაჩადარის და ჩაამის მთებზე, აგრეთვე აღმოსავლეთ გუმისთის პალეოგეობაში გრ. დედდარიანი აღნიშნავს კარსტულ ფენომენების არსებობას და არკვევს მათ როლს რელიეფის ძირითადი ფორმების მორფოლოგიაში ([85], გვ. 251—252 და 259—261).

1948 წელს გრ. დედდარიანი იძლევა თურჩუს კარსტული ქვაბულის გეომორფოლოგიურ დახასიათებას [87]. იგივე მკვლევარი ი. სალინაძესთან ერთად 1957 წელს აქვეყნებს ნაშრომს მდ. წყალწითელის ხეობის ფერდობებზე განვითარებულ მთავარ კარსტულ გამოქვაბულებზე; ამ ნაშრომში დახასიათებულია საფიჩხიის (რიონქისის), იაზონის, საკაიისა და ე. წ. დამარხული გამოქვაბულები [268]. ავტორები გვაძლევენ ამ გამოქვაბულთა სავარაუდო ასაკს (იქვე, გვ. 580—583). გრ. დედდარიანი 1957 წელს არკვევს კარსტული გამოქვაბულების განვითარების პირობებს იმერეთში [90]; იგივე მკვლევარი ქუთაისის მიდამოების [91] აღწერისას კარსტულ მოვლენებზე ამახვილებს ყურადღებას.

ელ. აბაშიძე 1946 წლის სტატიაში ლეჩხუმის შესახებ მორფოგრაფიულ-მორფომეტრიულად ახასიათებს შემდეგ კარსტულ გამოქვაბულებს: ხვამლის ციხე-ქვაბულს, პირლიას და ჭაფარიძის ნაბინავარს ([1], გვ. 149—151), აგრეთვე ზოგიერთ ცნობებს იძლევა ხვამლის კირქვიან მასივის ზედაპირული კარსტული ლანდშაფტის შესახებ (იქვე, გვ. 151—153).

ალ. ჭაფარიძის რჩეულ ნაწერებში, რომლებიც გამოქვეყნდა მისი ავტორის ტრადიკულად დაღუპვის შემდეგ, 1949 წელს, მოცემულია საქართველოს შიუვალი გამოქვაბულების (მათ შორის კარსტულისაც) — ხვამლის, ორხვის პირველი და მეორის, ტვიშის პირველი და მეორის მორფოგრაფია-მორფომეტრია [501].

ხვამლის კირქველ-კარსტულ მასივზე განვითარებულ გამოქვაბულების



დაწერილებით აღწერას, მორფოგრაფიულ-მორფომეტრიული მიდგომით 1954 წელს იძლევა ნ. ბურჩაქ-აბრამოვიჩი, კერძოდ ხეამლის სამხრეთ ფლატის ძირთან არსებულ გამოქვაბულებისას: I — ჭაფარიძის ნაბინავარის, II—პირლია და III გამოქვაბულებს, აგრეთვე ხეამლის ზედა და ვერძისთავის გამოქვაბულებს ([598], გვ. 29—48 და 50—53). ამ აღწერას იგი ურთავს მდიდარ ილუსტრაციებს — გეგმებს, ქრილებს და ფოტოსურათებს.

საქართველოს მთის გამოქვაბულთა დახასიათებისადმი მიძღვნილ 1954 წლის ნაშრომში ლ. მარუაშვილი ჩერდება საქართველოს სპელეოლოგიურ თავისებურებებზეც ([1024], გვ. 364—368); ამასთან აღნიშნავს, რომ მასიურ კირქვებში განვითარებულ ფართოდ გავრცელებულ ჩვეულებრივ გამოქვაბულებთან ერთად გვხვდება შედარებით იშვიათად კლასტოკარსტული გამოქვაბულებიც. ამ ნაშრომში ლ. მარუაშვილი იძლევა აგრეთვე საქართველოს ტერიტორიის სპელეოლოგიურ დაყოფას და გამოქვაბულთა შესწავლილობას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციამდე და მის შემდეგ (იქვე, გვ. 366—379).

ლ. მარუაშვილი 1956 წლის ნაშრომში ახასიათებს ზემო იმერეთის მაღლობზე განვითარებულ კარსტს და არკვევს მის ადგილს ამ მხარის თანამედროვე რელიეფის განვითარების ციკლში [1025]. გ. დათეშიძეს მოჰყავს მოკლე ცნობები ს. ზოდის გამოქვაბულების შესახებ [82], ხოლო დ. დვალს ზემო იმერეთის მაღლობის ზოგიერთ კარსტულ გამოქვაბულზე [95].

ა. ლომაევი 1947 წელს გამოქვეყნებულ მოხსენების თეზისებში მოცემული აქვს განმარტება დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ ფერდობის, კერძოდ აფხაზეთის ტერიტორიის ამგებელი სუბსტრატის ტექტონიკური პირობების როლზე კარსტულ პროცესების განვითარებაში; ამასთან იგი გამოყოფს გამოქვაბულთა ორ ტიპს: პლიკატურ და დიზუნქტიურ დისლოკაციებთან დაკავშირებით [959]. თეზისებში მითითებულია აგრეთვე, რომ კარსტვადი მასივების სუბსტრატის ტექტონიკური პირობები განსაზღვრავს კარსტული პროცესის მიმართულებას და ნაწილობრივ მის მასშტაბსაც. ამავე პეკლევარმა 1953 წელს მოგვცა დახასიათება კარსტის განვითარების გეოლოგიური პირობების თავისებურებათა შესახებ კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე, ქ. სოხუმის დასავლეთით [960].

1947 წელს ი. სისოევმა მოხსენება წაიკითხა მოლოტოვის კარსტულ კონფერენციაზე სამხრეთ ოსეთის ყინვარისპირა ოლქის (ტბა ერწო) რაიონის კარსტის შესახებ [1242]. ი. სისოევი ხაზს უსვამს, რომ ერწოს ტბის მიდამოებში ფართოდაა გავრცელებული კარსტული ქვაბულები, რომლებიც შემოსაზღვრულია ცალკეული ბორცვებით, ეს უკანასკნელი კი ერთმანეთთან დაკავშირებულია დაკარსტვის ძველ ციკლს გადარჩენილ კირქვებით აგებულ სერებით; ი. სისოევი ამასთან ერთად იძლევა ერწოს მიდამოების ძველი და თანამედროვე კარსტის განვითარების სურათს, არკვევს კარსტული ზედაპირებისა და სხვა ფორმების განვითარების პირობებს და სხვ.

ი. სალინაძე 1957 წელს მოკლე დახასიათებას იძლევა შუა იმერეთის (მდ. წყალწითელის, ტყიბულა-ძვერულის ხეობებისა და მომიჯნავე ტერიტორიაზე — ტყიბულის, მუხურის და ცუცხვათის რაიონები) გამოქვაბულებისას — წყალწითელის დამარხული, იაზონის, საკაიის, ტყიბულა-ძვერულს, მუხურის და მალარის გამოქვაბულები [264—265].

ს. ნემანიშვილმა 1957 წელს აღწერა ზემო იმერეთის მაღლობზე მდ. ახაშ-

მულას ღელეს კანონისებურ ხეობის ფერდობებზე განვითარებული ე. წ. პირადიკლდის გამოქვაბული და მოგვცა მისი გეგმა და ფოტოსურათი [225]. ზემო იმერეთის მაღლობზე, მდ. ძირულას ხეობაში მდებარე კოზმანის გამოქვაბულის მოკლე დახასიათება 1955 წელს მოგვცა თ. პაპიაშვილმა [244]. ზემო იმერეთის კარსტული გამოქვაბულების ზოგადი დახასიათება მოცემული აქვს დ. დვალსაყ 1957 წელს [95].

საქართველოს კარსტის რიგი გეომორფოლოგიური პრობლემური საკითხები დასმული და გაშუქებულია ნ. გვოზდევცის ზოგად და რეგიონული ხასიათის კარსტოლოგიურ ნაშრომებში, რომლებიც 1946—1957 წლებში გამოქვეყნდა [669—682]. 1936, 1939 და 1940 წლებში ნ. გვოზდევცი სპეციალურად სწავლობდა კავკასიონის კარსტულ რაიონებს, მათ შორის აფხაზეთისა; ამ კვლევის დროს მის მიზანს შეადგენდა კარსტოლოგიის რეგიონული და ზოგადი საკითხების გარკვევა. საკვლევ მუშაობას იგი აწარმოებდა არა მარტო ზაფხულის, არამედ ზამთრის თვეებშიც, რათა გამოველინებინა თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესებიც ([675], გვ. 164; [676], გვ. 77). ამ საკითხთა შორის ნ. გვოზდევცი 1950 წელს არკვევდა კარსტის მორფოლოგიის პრობლემებს [675]; მაგალითად დარაიონება, კარსტული წყლების ცირკულაციის თავისებურებანი და მათი როლი დაკარსტის პროცესში, კარსტული მასივების ლითოლოგიური შედგენილობის და გეოლოგიური აგებულების მნიშვნელობა, აგრეთვე კლმატური პირობებისა და მცენარეული საფარის გავლენა, ადამიანის როლი და სხვ., იგი სწავლობდა აგრეთვე კარსტული ციკლის საკითხებს; ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კარსტული მასივების ევოლუციას მხოლოდ იმ შემთხვევაში გავიგებთ სწორად, თუ მხედველობაში მივიღებთ ტექტონიკურ განვითარების მიმართულუბასა და ფიზიკურ-გეოგრაფიულ ცვლილებებს წარსულში (იქვე, გვ. 168—169); გეომორფოლოგიური თვალთახედვით დამოყოფს რა წყლის ცირკულაციის სამ ძირითად სიმაღლით ზონას, ანუ სართულს (აერაციის, წყლით პერიოდულად სრული გაჭერების ანუ გრუნტის წყლისა და მუღმივი გაჭერების ზონებს), მიუთითებს, რომ ეს ზონები სტატიკურ მდგომარეობაში კი არ არიან, არამედ მუღმივ ცვალებადობაში უნდა განვიხილოთ, რადგან მათზე დიდ გავლენას ახდენს მდინარეული ხეობების ძირისა და ზღვის დონის ცვალებადობა, რაც თავის მხრივ დედამიწის ქერქის ტექტონიკურ მოძრაობაზე არის დამოკიდებული; იგი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ამ ზონებთან დაკავშირებით წარმოიშობა კარსტული სათანადო ფორმები, სახავს კარსტის ჰიდროგრაფიის ევოლუციის სქემას და ამასთან დაკავშირებით მიწისქვეშა ფორმების სართულებრივ განლაგებას (იქვე, გვ. 167—168). ნ. გვოზდევცი იმაზეც მიუთითებდა, რომ აუცილებელია კარსტის გეოგრაფიული ლანდშაფტის თეორიის დამუშავება, კარსტული მიწისქვეშა ლანდშაფტის ტიპების დადგენა და რომ ამასთან დაკავშირებულ საკითხებს აქვთ დიდი მნიშვნელობა ზოგად ლანდშაფტოლოგიისათვის (გვ. 169). ნ. გვოზდევციმ კარსტის გეომორფოლოგიურ შესწავლის საკითხებს ყურადღება მიაქცია უფრო ადრეც, ასე მაგალითად, 1948 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში [671], აგრეთვე 1949 წლის ნაშრომში კირქვიან ოლქთა ლანდშაფტების თავისებურებათა გარკვევისას [673]. მას საჭირო მაგალითები მოჰყავს საქართველოდან.

იმავე წელს გამოქვეყნებულ სხვა სტატიაში [672] ნ. გვოზდევცი შეეხო კარსტულ გამოქვაბულთა განვითარების პირობებს, გააშუქა მათი მორფოლო-

გიაზე შრეებრიობისა და ტექტონიკური ნაპარალების გავლენის როლი, ნაღვენთი და აუტმულაციური ფორმების მნიშვნელობა და სხვ. (იქვე, გვ. 26—27). ნ. გვოზდევცის მიხედვით წყლის მიწისქვეშა ცირკულაციას მკიდრო კავშირი აქვს ზედაპირულ მდინარეულ ქსელთან და მისი ეროზიული ბაზისის ცვლილებებთან, მაგრამ დასძენს, რომ ამ პარალელიზაციას დიდი სიფრთხილით უნდა მოეპყრო, რადგან მიწისქვეშა ნაკადების დონეების დაწვევა კარსტულ მასივებში ჩვეულებრივ კვალდაკვალ ვერ მიყვება ზედაპირულ მდინარეთა მიერ ხეობის ჩაპრასო (გვ. 29); ამავე სტატიაში მითითებულია მეტად დამახასიათებელ ობიექტებზეც, მდინარეებზე და ტბებზე. აღნიშნულ საკითხთა გარკვევისას ნ. გვოზდევცის შესაფერისი კონკრეტული მაგალითები საქართველოს კარსტულ ოლქებიდანაც მოჰყავს, სათანადო საილუსტრაციო გეგმებით, კრილებით და ფოტოსურათებით.

საქართველოს კარსტის გეომორფოლოგიურ საქმოდ დეტალურ დახასიათებას ნ. გვოზდევცი აწარმოებს კავკასიის ან საბჭოთა კავშირის კარსტის დარაიონებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში [669—670, 676—681].

აღნიშვნის ღირსია ნ. გვოზდევცის მიერ 1950 წელს გამოქვეყნებული წიგნი [674]. ამ მონოგრაფიის დიდ მნიშვნელობაზე ისიც კი ლაპარაკობს, რომ ის 1954 წელს მეორედ გამოვიდა შევსებული და დამატებული სახით [678]. ამ მონოგრაფიაში აღძრულია და თანამედროვე დონის შესაბამისად არის გადაწყვეტილი ზოგადი და რეგიონული კარსტოლოგიის მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტისას სათანადო მაგალითები საქართველოს კარსტიდანაც არის მოყვანილი.

საქართველოს კარსტის შესწავლის ამ ეტაპზე, ისე, როგორც წარსულში, ზოგჯერ სახალხო მეურნეობის მშენებელ-პრაქტიკოსთა წინაშე იდგა კარსტული წარმონაშობების გამოყენების საკითხი; ასეთი ხასიათისაა ლ. ჯიოვის სტატია, რომელშიც სათანადო რეკომენდაციებია მოცემული კარსტული დოლინების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ ერთ-ერთ ელექტროსადგურის დღელამური სარეგულაციო აუზის მოწყობისათვის; ამასთან დაკავშირებით აღნიშნული მკვლევარი იძლევა ამ მიზნით გათვალისწინებულ დოლინის მორფომეტრიულ და მორფოგრაფიულ მონაცემებს ([770], გვ. 187—189). აღსანიშნავია აგრეთვე ლ. დიასამიძისა და კ. ქუთათელაძის ნაშრომი, რომელშიც გაშუქებულია კარსტული წყლების გამოყენების საკითხი საქართველოს მოსახლეობის წყალმომარაგების საქმეში [776].

1946—1957 წლებში ქვეყნდება სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომებიც, რომლებშიაც მოცემულია ცალკეული კარსტული გამოქვაბულების მორფოგრაფიულ-მორფომეტრიული აღწერა; მაგალითად, ბ. მათითაშვილმა 1949 წელს აღწერა აფხაზეთის კარსტული გამოქვაბულები — შორმის, აბრსკილის და სხვ., გამსაკუთრებით კელასურის დიდი გამოქვაბული [177], გრ. დევდარიანმა 1952 წელს სათაფლიის გამოქვაბული [754], ნ. ნადირაძემ 1953 წელს სათაფლიის გამოქვაბული და მისი მიდამოები [221], გ. მაჭავარიანმა 1952 წელს — აბრსკილის გამოქვაბული [1055], ე. მილიანოვსკიმ 1955 წელს აფხაზეთის სტალაქტიტიანი გამოქვაბულები, მათ შორის კელასურის (ალექსანდროვკის), ოტაპისთავის [1081], შ. გოგატიშვილმა — ხვედელიძეების გამოქვაბული [68] და მ. იაკობაშვილმა 1956 წელს — სათაფლიის გამოქვაბული [133] და სხვ.

საქართველოს კარსტისა და კლასტოკარსტის შესახებ ზოგიერთი ცნობა,

ლიტერატურული წყაროების საფუძველზე, მოყვანილი აქვს გ. მაქსიმოვიჩის ([1977], გვ. 2—3, 6; [1979, 980], გვ. 6—7).

დასასრულ გვინდა აღენიშნოთ, რომ საქართველოს კარსტის, კერძოდ გამოქვაბულების დახასიათებას ლიტერატურულ წყაროების საფუძველზე საბჭოთა კავშირის ფონზე იძლევა მ. შელი თავის 1954 წლის სტატიაში [1511]-იგივე ავტორი 1956 წელს აქვეყნებს მონოგრაფიას ინგლისურ ენაზე, სპეციალურად კავკასიის კარსტისა და გამოქვაბულთა შესახებ, რომელიც ლიტერატურული წყაროების საფუძველზეა შედგენილი [1512]; ეს მონოგრაფია ორი ნაწილისაგან შედგება; პირველ ნაწილში (კარსტი კავკასიაში) დახასიათებულია შესწავლის ისტორია, აღწერილია კირქვის მთავარი სიღრეეები და მათი გავრცელება; შრომის მეორე ნაწილში (გამოქვაბულები კავკასიაში) აღწერილია დასავლეთ საქართველოს კარსტული მთავარი გამოქვაბულები, მათ შორის აბრსკილი და სხვ. (იქვე, გვ. 43—47).

### ა რ ა ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი შ რ ო მ ე ბ ი

საქართველოს კარსტის ამა თუ იმ გეომორფოლოგიური თავისებურების შესახებ სათანადო მონაცემები მოიპოვება აგრეთვე გეომორფოლოგიურ და სხვა ნაშრომებშიც; სახელობრ, საქართველოს ცალკეული ტერიტორიების გეომორფოლოგიურ, გეოლოგიურ, პალეოზოოლოგიურ, პილროლოგიურ, ლანდშაფტურ, არქეოლოგიურ, ალპინისტურ თუ მეზობელ ტერიტორიების კარსტის აღწერებში, რომლებიც 1946—1957 წლებში გამოქვეყნდა. მათ შორის რამდენიმეზე შეეჩერდებით.

გრ. დედარიანი 1955 წელს, ეპიროგენეტური მოძრაობისა და მისი როლის გარკვევისას, დასავლეთ საქართველოს რელიეფში ხაზს უსვამს ამ მოძრაობათა მნიშვნელობას კარსტის განვითარებაზეც; რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც მაღალი მასივების (სამეგრელოს ქედი, ასხი, ხეამლი და სხვ.), ასევე ზემო იმერეთის მაღლობზე და კოლხეთის გორაკ-ბორცვიან ზონაში კარსტმა, მიუხედავად თითოეული მათგანის განსხვავებული გეომორფოლოგიური განვითარების ისტორიისა, ხმელეთის ვერტიკალური მოძრაობის მეტ-ნაკლები გავლენა განიცადა. ამ გარემოებამ განაპირობა, გრ. დედარიანის აზრით, აღნიშნულ მხარეთა კარსტული მოვლენების განვითარების განსხვავებული ისტორია და მათი თანამედროვე სხვადასხვა სახე ([89], გვ. 326).

ზ. ტინტილოზოვი 1957 წელს აღნიშნავს, რომ ყვირილის აუზის ხეობათა ჩამოყალიბებაში, სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კარსტულმა პროცესებმაც, რომლებიც მდინარეულ ეროზიული პროცესების პარალელურად მიმდინარეობდნენ და მიმდინარეობენო ([308], გვ. 258). იგივე მკვლევარი, უფრო ადრე, 1954 წელს, სადისერტაციო ნაშრომში [307] იძლევა ყვირილას აუზის კარსტის დახასიათებას საერთო გეომორფოლოგიურ დახასიათებასთან დაკავშირებით; ამასთან გეომორფოლოგიურ რუკაზე რელიეფის ტიპთა შორის გამოყოფს მდ. ყვირილისა და მის შემდინარეთა ხეობებს კარსტული მიწისქვეშა ფორმების განვითარებით, გამოუმუშავებულს ტურონ-სენონურ კირქვებზე; ამ დახასიათებისას იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კარსტულ გამოქვაბულებს და მიუთითებს მათ ორსართულიან გავრცელებაზე.

შ. ცხოვრებაშიელი 1953 წელს, მდ. ალაზნის ზემო ნაწილის გეომორფოლოგიურ დახასიათებისას, საშუალომთიან ტექტონიკურ-ეროზიული რელიეფის ტიპის გავრცელების რაიონში, რომლის სუბსტრატსაც ზედაიურული და ცარცული მერგელიანი კირქვები და კირქვიანი ქვიშაქვები წარმოადგენს, სახელდობრ ბახტრიონის ციხის მიდამოებში, ს. ზემო ალვანთან, აღნიშნავს კარსტული ფორმების, კერძოდ დოლინების არსებობას და იძლევა ამ ფორმების მოკლე დახასიათებას; ამასთან იგი ბახტრიონის ციხის ჩრდილო-დასავლეთ, ალაზნის ჰალის ტერიტორიაზე მიუთითებს ვოკლუზური ტიპის პატარა წყაროების არსებობაზეც. შ. ცხოვრებაშიელის აზრით, აქ გავრცელებული კარსტი დაფარულ ანუ შუაეკროპულ ტიპის კარსტს მიეკუთვნება ([448], გვ. 23).

აღ. ჭანელიძე 1957 წელს ტექტონიკურ გამოკვლევათა მიმართულების დახასიათებისას საქართველოში, შეჩერდა ლაილაშის კარსტული პლატოს მორფოლოგიაზე და მიუთითა, რომ ამ პლატოს წარმოშობაში მნიშვნელოვანი როლი მეწყრულ მოვლენებს მიეკუთვნება, რომლებიც დანაოქების თანამგზავრიაო ([768], გვ. 54); იგი აგრეთვე არკვევს კიდური დანაოქების როლს ტყიბულის (ახალსოფლისა) და ცუცხვათის ქვაბულთა წარმოშობაში (იქვე, გვ. 58—59).

დ. წერეთელმა 1956 წელს ნაჭერალის გადასასვლელის მიდამოებში (რაპის ქედზე) მდებარე ცხარაჯვარის კარსტული გამოქვაბულის დათვათა სამარის დახასიათებისას მოგვცა მისი მორფოლოგიურ-მორფომეტრიული პირველი აღწერა ([1303], გვ. 59—60).

ბ. ყაფრიშვილი, საქართველოს ლანდშაფტურ-პიდროლოგიურ ზონათა დახასიათებისას ცალკე გამოყოფს კარსტული წყლების სიქარბის ზონას და იძლევა მის დახასიათებას ([836], გვ. 65—73).

კ. მგელაძემ 1956 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ამტყულის მიწისქვეშა მდინარის დახასიათებისას მოგვცა საინტერესო მორფოლოგიური მონაცემებიც ამ მდინარისა და მეზობელ მხარეთა კარსტის შესახებ ([1062], გვ. 15—16; [1063], გვ. 421—427). ლ. მარუაშვილი მეწყერებისა და კლდეზვავების დახასიათებისას საქართველოში მოიხსენიებს კარსტულ რაიონში გავრცელებულ ქვედრულას ტბასაც [188].

1946—1957 წლებში გამოქვეყნებულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ ნაშრომებში ვხედებით სათანადო მორფოლოგიურ მონაცემებს საქართველოს კარსტის შესახებ. მათ შორის რამდენიმეზე შევჩერდებით. კავკასიის ფიზიკური გეოგრაფიის კურსში ნ. გვოზდევკის მოჰყავს გეომორფოლოგიური მონაცემები დასავლეთ ამიერკავკასიის კირქვიან-კარსტულ რაიონებზე, გუდაუთის მიდამოებში და ცენტრალურ სამეგრელოს კონგლომერატებში განვითარებულ კარსტზე, აგრეთვე სამეგრელოს კირქვებით აგებულ ბრაქიანტიკლინური სერების კარსტზე ([679], გვ. 138, 167, 172—182). თ. სიხარულიძე (1948 წ.) აფხაზეთის კარსტული ლანდშაფტის ზონის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებასთან ერთად იძლევა კარსტის ზოგად მორფოლოგიურ მიმოხილვასაც ([271], გვ. 21, 190—191). ქ. ყაფრიშვილი, გაგრის რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათებისას (1956 წ.) შეჩერდა აგრეთვე ამ ტერიტორიის კარსტული რელიეფის თავისებურებებზეც ([839], გვ. 139—145, 159—161). მისივე 1952—1953 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში ლანდშაფტური დახასიათების ფო-

წზე მოყვანილია საინტერესო მორფოლოგიური მონაცემები ბზიფისა და სხვა კარსტული ქედების შესახებ ([371], გვ. 25; [372], გვ. 33; [373], გვ. 111—118).

კ. მგელაძე, ცენტრალური აფხაზეთის მთიანი ნაწილის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებისას შეჩერდა ბზიფის, ზაშირბარ-აჟამგვის, აბიანდა-ჩაამის და გერგემიშ-წებელდა-ბაჯათის კარსტულ მასივების ([208], გვ. 36—42), აგრეთვე მდ. ზიმისა და ჩამაკვარის რაიონებსა და ტბა ამტყელის ქვაბულის კარსტზე ([208], გვ. 36—41, 51—53, 108—109, 149—153; [1061], გვ. 5, 12); ამავე ნაშრომში მოცემულია ცენტრალურ აფხაზეთის მთიანი ნაწილის გეომორფოლოგიური დაყოფაც (იქვე, გვ. 54—55). კ. მგელაძე 1955 წელს ტბა ამტყელისა და მისი მიდამოების ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებისას გააძღვეს საინტერესო მონაცემებს რელიეფის შესახებაც ([209], გვ. 249—258). ტბა ამტყელის ზოგად გეოგრაფიულ დახასიათებისას, ქრ. ჭაყელი შეეხო აგრეთვე მისი მიდამოების კარსტულ მოვლენების მორფოლოგიასაც [504]. ნ. მათურელმა 1954 წელს სოხუმის მიდამოების (მდ. მდ. გუმისთისა და კელასურის აუზების) ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათების ფონზე მოგვცა მასალები ამ მხარის კარსტის მორფოლოგიაზეც ([178], გვ. 37, 223—225 და რუკა). აღსანიშნავია აგრეთვე ი. ძიმიგურის შრომა სამეგრელოს ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) დახასიათების შესახებ (1950 წ.), რომელშიც უმთავრესად ლიტერატურული წყაროების მიხედვით მოთხრობილია სამეგრელოში გავრცელებულ კარსტულ მოვლენებზე, როგორც კირქვებში, ისე კონგლომერატებში [449].

საქართველოს კარსტის მორფოლოგიის შესახებ საინტერესო მონაცემები მოიპოვება არქეოლოგიურ ნაშრომებშიც; მაგალითად, ლ. ჰოლოგოივის 1956 წლის ნაშრომში დახასიათებულია წებელდის მიდამოების (მდ. მდ. კელასურისა და კოდორის შორის მდებარე სივრცის) კარსტული მოვლენები [1198]. გ. ნიორაძეს აქვს (1953 წ.) მონაცემები საკაეის გამოქვაბულის მორფოლოგიაზე ([231], გვ. 24—27); ნ. კილაძე (ბერძენიშვილი) კარსტული მოვლენების გავრცელებას აღნიშნავს ქუთაისის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე თეთრაგორის (ან გქელიშვილების გორის, ანდა სამტეხელოს) მიდამოებში ([161], გვ. 237). მანვე სათანადო მორფოლოგიური მონაცემები მოგვცა მდ. ძეგრულის შემდინარე შავი წყლის შესართავთან მდებარე საგვარჯილეს კარსტულ გამოქვაბულზე და მისი მიდამოების კარსტზე ([162], გვ. 561—563; [163], გვ. 5—6 და 21—23); ამავე ძეგრის კარსტის შესახებ ზოგიერთი მონაცემები მოიპოვება ი. გქელიშვილის ნაშრომში ([79], გვ. 569—570, 574; [80], გვ. 7, 23). საინტერესო მორფოლოგიური მონაცემებია ს. ზამიატინის 1950 და 1957 წლების ნაშრომებშიც — შავი ზღვის სანაპიროსა და ზემო იმერეთის კარსტულ გამოქვაბულებზე ([814], გვ. 130—136; [815], გვ. 433, 448—449, 454—455, 463, 466—467 და სხვ.). 1955 წ. ნაშრომში აღ. კალანდაძემ და დ. თუშაბრამიშვილმა ზოგიერთი მასალა მოგვცა ჭიათურის რაიონის ს. რგანთან მდებარე გვარჯილასკლდის გამოქვაბულის მორფოგრაფიაზე ([854], გვ. 155—156). ვ. ლიუბინი, სამხრეთ ოსეთის პალეოლითურ მონაპოვართა დახასიათებისას (1954 წელს), შეჩერდა კულაროს (სოფ. ჩასავლის) მიდამოებში გავრცელებულ კარსტულ ფორმების მორფოგრაფიაზე ([965], გვ. 61).

ზემო იმერეთის მალღობის კარსტულ გამოქვაბულთა მორფოგრაფია-მორფომეტრიაზე სათანადო მონაცემები მოპყავს დ. მშვენიერაძეს 1955 წლის ნაშრომში — „გამოქვაბული ნაგებობები საქართველოში“ ([220]; იხ. აგრეთვე: [219]; მას აღწერილი და დახასიათებული აქვს პასიეთის, ჭვარის, აკვანის, კარიანკლდის, წილთოს I, II და III და ზოგიერთი სხვა გამოქვაბული (იქვე, გვ. 13—31); დ. მშვენიერაძემ ამ აღწერილობას დაურთო გამოქვაბულთა შესასვლელების ფოტოსურათები, გეგმები და ჭრილები. იგი ზემო იმერეთის გამოქვაბულთა შორის გამოყოფს ბუნებრივ-კარსტული წარმოშობისა (პასიეთი, კარიანკლდე, დარკვეთი, გვარჯილასკლდე რვანში და სხვ.) და ადამიანის მიერ გაფართოებულ ბუნებრივ (კარსტულ) გამოქვაბულებს (წილთო, ჭიბიანი-კლდე და სხვ.) (იქვე, გვ. 37).

კაცხის სვეტის, ჩვენი აზრით ამ კარსტული წარმონაშობის ფორმის შესახებ მორფოგრაფიულ-მორფომეტრიული მონაცემები მოპყავს ვ. ცინცაძეს ([444], გვ. 557—559); ამავე სვეტის მორფოგრაფია-მორფომეტრიაზე ზოგიერთი მასალა მოიპოვება ალ. ჭაფარიძის რჩეულ ნაწერებში (იხ. დ. დონდუა რედაქტორის შენიშვნები: [104], გვ. 485).

საქართველოს მიუვალ კარსტულ გამოქვაბულთა შესწავლაში მნიშვნელოვანი ფურცლები ჩაწერეს საქართველოს ალპინისტებმა. ამ გამოკვლევების შედეგების მხოლოდ მცირე ნაწილია გამოქვეყნებული ჟურნალ-გაზეთებში. მათ შორის რამდენიმეა აღსანიშნავი; მაგალითად, ალ. ჭაფარიძის გამოკვლევები ხეაშლის გამოქვაბულებზე და კაცხის სვეტზე ([501], გვ. 293—313; [104], გვ. 482—484). ა. ნეშინწვერიძის — შქმერის გამოქვაბულზე [1646], გ. გაფრინდაშვილისა და ა. ნეშინწვერიძის — ჭიათურის მიუვალ გამოქვაბულებზე (ჭიპიანი-კლდისა და სატოპაენის გამოქვაბულთა კომპლექსები) [1563] და სხვ.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ სოხუმისა და მისი მიდამოების ისტორიულ მხარეთმცოდნეობით ნარკვევშიც სასარგებლო ცნობები მოიპოვება აბრსკილის, კელასურის და გუმისთის გამოქვაბულების, აგრეთვე მანიკვარის ვოკლუზისა და რიწის ტბის შესახებ ([1241], გვ. 95—99, 102—112).

საქართველოს ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, განსაკუთრებით იორ-ალაზნის წყალგამყოფზე განვითარებულია ფსევდო ანუ თიხის კარსტის ტიპი, რომელიც სრულიად შეუსწავლელია. საქართველოს ამ ნაწილის თიხის კარსტზე ჩვენი წარმოდგენა რამდენადმე შეიძლება შევსილ იქნას ნ. ქერემოვის და მ. მუსეიბოვის, დ. სულეიმანოვის, აგრეთვე დ. ლილიენბერგის გამოკვლევებით, რომლებმაც მოგვეცეს მომიჯნავე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ფართოდ გავრცელებულ ამ ტიპის კარსტის დარაიონება და დახასიათება [874, 957, 1240].

## კ ა რ ს ტ ი ს ა ს ა კ ი

1946—1957 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებიდან შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ ორიოდე, რომლებშიც განხილულია სპეციალურად საქართველოს ამა თუ იმ ნაწილის კარსტის ასაკი. ამ შრომებში კარსტის ასაკის დადგენის ცდა დაკავშირებულია მხარის გეომორფოლოგიურ განვითარებასთან. საქართველოს კარსტის ასაკის განსაზღვრაში გარკვეულ დახმარებას გვიწევს აგრეთვე გეოლოგიური და ჰიდროლოგიური, არქეოლოგიური და თა-

ნამედროვე სპელეოფუნისტური ნაშრომები. ასეთ ნაშრომთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ წარმოდგენა საქართველოს კარსტის ასაკზე დიდი დიაპაზონით ხასიათდება, ქვედა ალბიდან თანამედროვემდე. ისიც არის აღსანიშნავი, რომ საქართველოს კარსტულ ფენომენებიდან შედარებით უფრო ზუსტად არის განსაზღვრული მიწისქვეშა ფორმების ასაკი, ვიდრე ზედაპირულის.

ნ. გვოზდეცი, კავკასიის კარსტული რაიონების დახასიათებისას, მიუთითებს, რომ სოჭის ჰიდროგეოლოგიური აუზისა და აფხაზეთის კირქვიანი ქედების, მასივებისა და სერების ოლქის დასავლეთ ნაწილში გვხვდება ძველი ეოცენამდელი დამარხული კარსტული ფორმებიც ([676], გვ. 73) და რომ სოხუმის რაიონში კარსტის განვითარება რელიეფის ეროზიული გარდაქმნის ფონზე მოხდა (იქვე, გვ. 74); ნ. გვოზდეცი მიუთითებს აგრეთვე, რომ ბზიფის, გაგრის და კაციხვის ქედების თხემურ ნაწილებში, ტყის საზღვრის ზემოთ კარსტის განვითარება მოხდა ძველი გაყინვარების გავლენით და რომ აქაური კარსტული ფორმები გავრცელებულია ყინვარული ცირკების ძირზეც (იქვე, [678], გვ. 176—177). ასეთივე სურათია სამხრეთ ოსეთის მაღალმთიან ნაწილში — ტბა ერწოს მიდამოებში, სადაც კარსტული ფორმები, მაგალითად კარები, განვითარებულია მეოთხეული ასაკის გლაციულ ფორმებზე ([676], გვ. 76). ეს მკვლევარი იმაზეც მიუთითებს, რომ ძველ კარსტულ წარმონაშობებში ხშირად გვხვდება ახალგაზრდა წარმონაქმნები — ცალკეულ ზედაპირულ და მიწისქვეშა დიდ ფორმებში მეორე რიგის მცირე ზომის ფორმებია განვითარებული; მაგალითად, ოხაჩქუეს და ოისირეს ქედებზე დიდ დოლინათა ძირზე, ან ფერდობებზე, მცირე ზომის დოლინებია წარმონაშობილი; სათაფლიასა და ნაგარევისგვირაბის გამოქვაბულების ძირზე პატარა მდინარეებს ახალი კალაპოტები ჩაუჭრიათ და სხვ. აღნიშნულ წარმონაქმნების წარმოშობას ნ. გვოზდეცი უყავშირებს ამ მხარეთა უახლოეს აზიელებს. ნ. გვოზდეცი გუდაუთის მიდამოებში კარსტული ფორმები მეოთხეული კირქვიანების კონგლომერატებშია განვითარებული ([676], გვ. 77; [670], გვ. 3—4; [678], გვ. 254), რითაც მისი ასაკი უმთავრესად ზედა მეოთხეულად და ნაწილობრივ თანამედროვედ ისაზღვრება.

ნ. გვოზდეცის აზრით, დასავლეთ საქართველოს (სამეგრელოს, იმერეთის, ლეჩხუმისა და რაჭის) კირქვიანი კარსტული ოლქის აღმოსავლეთ ნაწილში გვაქვს ძველი კარსტის ფორმები, შთენილი სვეტების სახით (შთენილები საირმისა და ერწოს მიდამოებში) ([676], გვ. 76; [678], გვ. 252). ამავე მკვლევარის მიხედვით კავკასიონის წყალგამყოფ ქედზე და მის ტოტებზე, თერგის სათავეების სამხრეთით კარსტის გამოვლენის კირქვიან-მერგლოვან ოლქში, კარსტული მოვლენები განვითარებულია ზედა მეოთხეული (გაყინვარების შემდგომ) ასაკის ტრავერტინებშიც ([676], გვ. 76; [678], გვ. 252).

ლ. სოლოვიოვის აზრით, დასავლეთ კავკასიონის, სახელდობრ ადლერისა და წებელდის მიდამოების კარსტის ასაკი ინდენტურია. იგი აღნიშნავს, რომ ადლერის რაიონში მოიპოვება სართულბრივად განლაგებული გამოქვაბულები, რომელთა დაკავშირება ზღვიურ ტერასებთან ხერხდება; სახელდობრ, ზედა საფეხურის, 75—110 მ-ის სიმაღლეზე განლაგებულ გამოქვაბულებისა კარანგატულ ტერასთან; აღნიშნულთან დაკავშირებით ლ. სოლოვიოვი



ამ გამოქვაბულებს ძველი მეოთხეული ასაკით საზღვრავს<sup>15</sup>; უფრო დაბალ დონეზე ვრცელდება შუა ყუფის გამოქვაბულები, რომელთა განვითარება ხაზარულ დროში დაიწყო ([1199], გვ. 17—18), ლ. სოლოვიოვის მითითებით წებელისა და აღდგომის რაიონებში გამოქვაბულების წარმოშობა უკანასკნელი გაყინვებიდან დაიწყო, ამასთან აფხაზეთის ტერიტორიაზე გვაქვს ახალგაზრდა გამოქვაბულების დამარბული სართულებიც, რომელთა განვითარება ძველშავზღვიურ ტრანსგრესიის დროიდან წარმოებს (იქვე, გვ. 19).

გრ. დევდარიანის აზრით დასავლეთ საქართველოს კარსტის განვითარების ისტორია ზედა მესამეულიდან იწყება, როცა ზღვისაგან განთავისუფლებული ხმელეთის კონტინენტურ პირობებში გარდაქმნა დაიწყო და რომ უძველესი კარსტული ფორმები გვაქვს კირქვიანი მთების მაღალ ნაწილებში, ხოლო დაბალზე — უფრო ახალგაზრდა ([89], გვ. 325); ამასთან, კარსტის ასაკობრივი კლასიფიკაციისას, უმთავრესად მის ჰიქსომეტრიულ დაჯგუფებას უნდა დავყვარდნოთ, რომელიც, გრ. დევდარიანის მითითებით 250—350, 660—800, 1200—1600, 2000—2400 მეტრის სიმაღლეზე ვრცელდებიან (იქვე, გვ. 323, 326, 328). სამწუხაროდ, აღნიშნულ დოლინების ასაკობრივ განსაზღვრის ცდას გრ. დევდარიანი ამ შრომაში არ იძლევა.

გრ. დევდარიანი მეორე ნაშრომში აღმოსავლეთ გუმიისთის პალეოხეობის ძირს 40—45-მეტრიან ტერასის წარმოშობის სინქრონიულად თვლის, ამასთან იგი მესამე, 33—40-მეტრიან ტერასას მუსტიერულად (რისული გაყინვარება), უზუნლარულ პერიოდში წარმონაშობად გულისხმობს ([85], გვ. 261); ამით იგი ამ ხეობის ძირზე განვითარებულ კარსტულ დოლინების ასაკსაც საზღვრავს. ამასთანავე შენიშნავს, რომ სოხუმის რაიონის 33—40-მეტრიან ტერასულ ნალექებში იპოვნეს კარანგატული ფაუნის წარმომადგენლები, რაც გვაიძულებს 60—70-მეტრიანი ტერასი მიეკუთვნოთ უზუნლარულს; ამასთან დაკავშირებით მას საჭიროდ მიიჩნდა დამატებითი კვლევის ჩატარება.

ლ. მარუაშვილის აზრით, ცენტრალურ სამეგრელოს ნეოგენურ კონგლომერატებში წარმოდგენილი კარსტული ფენომენების, კერძოდ, გამოქვაბულების ხნოვანება შუამეოთხეულით თარიღდება და შეესაბამება მდინარეულ მესამე (რისულ) ტერასას ([1022], გვ. 3; [1023], გვ. 44). გრ. დევდარიანი სამეგრელოს (ოდიშის) რაიონში ნეოგენური კირქვის კონგლომერატებში განვითარებულ გამოქვაბულების ორ სართულად განლაგების საფუძველზე კარსტის განვითარებაში ორ სტადიას, ან ორ ციკლს გამოყოფს; ამასთან იგი ბრაქიანტიკლინურ სერებზე არსებულ კარსტულ დოლინებსა და ზედა სართულის მშრალ გამოქვაბულის ასაკს მესამე, 30—40-მეტრიან მდინარეულ ტერასის სინქრონიულად გულისხმობს და რისულ გაყინვარებას უკავშირებს, ხოლო ქვედა სართულს, ნაკადულიან გამოქვაბულებს მდინარეულ მეორე, 14—18-მეტრიან ტერასას და ვიურმულად ათარილებს ([86], გვ. 124—126; [88], გვ. 135—136).

გრ. დევდარიანი იძლევა ასხის კარსტული მასივის, კერძოდ თურჩუს პო-

<sup>15</sup> როგორც ჩანს, ამ მკვლევარის აზრით მსგავსად ლ. ვარდანაიანისა [190] კარანგატული საუკუნე თავსდება შინდლ-რისულ გაყინვარებათა ეპოქაში და არა ზედა მეოთხეულში, — რის-ვიურმში, როგორც ამას ნ. ანდრუსოვიდან დაწყებული ბევრი მკვლევარი გულისხმობს; მაგალითად: ა. პალეოვი, ა. არხანგელსკი და ნ. სტრახოვი, გ. შირჩინკი, ა. რეინბარდი, გ. პოპოვი, დ. წერეთელი და სხვ. ([542—544, 549—550, 1102, 1126; 1304], გვ. 512—514).

ლიეს ასაკის მიახლოებით განსაზღვრასაც; მისი აზრით, ასხის მასივზე გვაქვს უძველესი კარსტის ნაშთები, რომელთა რიცხვს თურჩრუს პოლიესაც აკუთვნებს, მაგრამ ამავე დროს აქ არის ახალგაზრდა ზედაპირული კარსტული ფორმებიც და რომ ამ მასივზე დაკარსტვის პროცესი დღესაც გრძელდება. ამ შეკვლევარის აზრით, თურჩრუს პოლიეს „წარმოშობა დაიწყო, ალბად მესამეულის ბოლოს, ან მეოთხეულის დასაწყისში“ ([87], გვ. 295—296). გრ. დევდარიანის აზრით, სათაფლიის გამოქვაბული და აქაური კარსტული სხვა ფორმები საკმაოდ ძველ წარმონაქმნებს წარმოადგენენ და მათ წარმოშობას წინ უსწრებდა მდ. რიონის ხეობის გაღრმავების დასაწყისი ([754], გვ. 117).

o. სალინაძესთან ერთად გრ. დევდარიანი იძლევა მდ. წყალწითელის კანიონისებური ხეობის ფერდობებზე განვითარებულ კარსტულ გამოქვაბულთა სავარაუდო დათარიღებას; წყალწითელას ხეობის ყველაზე ძველ გამოქვაბულად მათ მიიჩნიათ საკაია, განვითარებული 65 მ-ის სიმაღლეზე მდინარის დონიდან, რომელიც უკავშირდება ამავე მდინარის 65—75-მეტრიან ტერასას და რომლის ასაკი ძველ ევქსინურია (მინდელურია); უფრო ახალგაზრდაა 30 მ-ის სიმაღლეზე მდებარე საფიჩხიის გამოქვაბული, რომელიც შეესაბამება 35—45-მეტრიან ტერასას და ისაზღვრება კარანგატულად (რისული); დამარხული გამოქვაბული ვრცელდება 11 მ-ის სიმაღლეზე მდინარის დონიდან და შეესაბამება 10—12-მეტრიან ტერასას, ამიტომ იგი ძველშავზღვიურია (ვიურმული ყინვარის უკანდახვეის სტადია); ყველაზე ახალგაზრდაა 7 მ-ის სიმაღლეზე მდებარე იაზონის გამოქვაბული, რომელიც მათ მიიჩნიეს წყალწითელის 4—6-მეტრიანი ტერასის სინქრონიულად, ამიტომ მას თანამედროვედ (პოლოცენურად) თვლიან ([268], გვ. 580—583). o. სალინაძის აზრით წყალწითელის დამარხული გამოქვაბული უფრო ახალგაზრდაა 70-მეტრიან ტერასაზე, რომელსაც რისულად თვლიან (იქვე, გვ. 77).

ლ. მარუაშვილის აზრით, ზემო იმერეთის მაღლობზე განვითარებული კარსტის ასაკი მესამეულის მიწურულად ან მის შემდგომად უნდა ეიგულისხმოდ ([1025], გვ. 13). ზ. ტინტილოზოვი ამავე მაღლობის კარსტულ გამოქვაბულთა ასაკის ქვედა საზღვრად პოლოცენს გულისხმობს, ხოლო ზედად—პალეოლითს ([307], გვ. 235—244); მეორე ნაშრომში ზ. ტინტილოზოვი აზუსტებს მდ. ყვირილის აუზის გამოქვაბულების ასაკს და მათ საზღვრავს მეოთხეულად ([308], გვ. 259). დ. დვალის მონაცემებით ზემო იმერეთის გამოქვაბულების წარმოშობა დამოკიდებული იყო ყვირილის ხეობის განვითარებაზე, ხოლო ამ უკანასკნელის გაფორმება იმ ტექტონიკურ მოვლენებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა პლიოცენსა და მეოთხეულში [95].

o. სისოევის აზრით, ტბა ერწოს მიდამოების კარსტის წარმოშობა მიეკუთვნება უძველეს გაყინვარებათაშორისო ეპოქას და გრძელდება დღესაც ([1242], გვ. 9).

შ. ცხოვრებაშვილის მიხედვით, შიგნით კახეთში, სოფ. ზემო ალვანის ახლოს, ბახტრიონის ციხის მიდამოებში კარსტი უკავშირდება ვიურმის შემდგომ დროინდელ მდინარეულ III და II ტერასებს, რომლებიც შესაბამისად 30—50 და 10—15 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობენ ალაზნის დონიდან ([448], გვ. 23—26).

საქართველოს კარსტის ასაკის განსაზღვრა შესაძლებელია გეოლოგიური და ჰიდროლოგიური ხერხებითაც. მაგალითად, ალ. ჯანელიძე გულისხმობს, რომ ტყიბულის (ახალსოფლის) და ცუცხვათის ქვაბულთა წარმოშობა კიდურ

დანაოქებასთან არის დაკავშირებული, ეს უკანასკნელი კი თანამედროვე ჰიდროგრაფიული ქსელის ჩამოყალიბების პირობებში მოხდა ([767], გვ. 58—59 და სხვ.). ა. ოვჩინიკოვის აზრით, აფხაზეთის ფაიციის კირჩქვის კონგლომერატებში, გაგრასა და სოქს შორის, გარდა თანამედროვე კარსტული მოვლენებისა, ვნახულობთ რიგ მაგალითებს, რომელიც ადასტურებენ აქ კარსტის განვითარებას წარსულ ეპოქებშიც; მაგალითად, ქვედა ალბში, ტურონში, ოლიგოცენში და ა. შ. ([1098], გვ. 142—143).

საქართველოს კარსტის ასაკის ზედა საზღვრის დადგენა ზუსტად ხერხდება არქეოლოგიური მონაცემებით. ასეთი ხასიათის ნაშრომებით დასტურდება, რომ საქართველოში — შავი ზღვის სანაპიროზე, აფხაზეთში, ქუთაისის მიდამოებსა და ზემო იმერეთში გავრცელებულ კარსტულ გამოქვაბულთა, რომლებიც პირველყოფილი ადამიანების მიერ იყო გამოყენებული საცხოვრებლად, ასაკის ზედა საზღვრად უმთავრესად პალეოლითური ეპოქა უნდა ვიგულისხმოთ ([79, 162, 232, 447, 814—815, 853—854, 964—970, 1198] და სხვ.). ამასვე ადასტურებს დასახელებულ რაიონის კარსტულ გამოქვაბულებში აღმოჩენილი ცხოველთა ძვლების პალეონტოლოგიური შესწავლა ([31], გვ. 193—194; [619], გვ. 1347—1349; [746], გვ. 263 და სხვ.; [1303], გვ. 63 და სხვ.).

საქართველოს ტერიტორიის კარსტის ასაკის უტყუარი განსაზღვრის საშუალებას იძლევა თანამედროვე სპელეოფაუნის შესწავლაც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. ბირშტეინისა და ე. ბორუციის, აგრეთვე ა. დერჟავინის ნაშრომები ([577—581, 755] და სხვ.). ამ მკვლევართა მონაცემებით საქართველოს გამოქვაბულთა ფაუნაში გამოირჩევა უცილებლად ზღვიური წარმოშობის გვარები — კრევეტა — Troglacariss-ები და გვერდზე მცურავი — Niphargus-ები, რომლებიც გამოქვაბულში შესახლდნენ მეოთხეულამდე დროში, ეგეოსისა და პონტის ერთიანი ხმელეთის არსებობისას, არაუგვიანეს შუა მესამეულისა ([577], გვ. 355—364; [578], გვ. 700—705). ამის დაშვება კი იმას გულისხმობს, რომ ნეოგენისათვის, როგორც ამას დ. სოკოლოვიც მიუთითებს [1193], გვ. 149), დასავლეთ საქართველოში უკვე არსებობდა მნიშვნელოვანი სიდიდის კარსტული მიწისქვეშა სიცარიელებები, რომელთა შემდგომი განვითარების მეოხებით წარმოიშვა თანამედროვე გამოქვაბულები.

ა. დერჟავინის მონაცემებით ნიფარგუსების მტკნარ წყალში გადასახლება მიოცენურ ეპოქაში უნდა მომხდარიყო, უფრო ზუსტად სარმატულ საუკუნეში არსებული ზღვიდან ([755], გვ. 35 და 39—40), წინააღმდეგ ი. ბირშტეინის მოსაზრებისა, რომ მათი გადასახლება მოხდა შედარებით არა შორეულ წარსულში ([577—578; 755], გვ. 35). აღნიშნულ გვერდზე მცურავების მტკნარ წყალში გადასვლა ამ მკვლევარის აზრით გამოწვეულია ოროგენეტულ პროცესების შედეგად, ლითორალის აზევებით. ამასთან ა. დერჟავინი შენიშნავს, რომ ნიფარგუსები შეიძლება უფრო ძველი იყვნენ, ვიდრე თვით გამოქვაბულები, რადგან მათი შესახლება გამოქვაბულებში მოხდა მდინარეული წყლების ფაუნასთან ერთად ([755], გვ. 39—40). ა. დერჟავინის აღნიშნულ მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ აფხაზეთის გამოქვაბულების წარმოშობა სარმატული საუკუნის მიწურულს ან მომდევნო ხანას მიეკუთვნება.

ამგვარად საქართველოს კარსტი ხასიათდება, 1946—1947 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ ნაშრომების საფუძველზე, ხანგრძლივი განვითარების ისტორიით, რაც მიმდინარეობდა მისი სუბსტრატის რთულ ნაოქა სტრუქტურის პირობებში წყვეტილ ტექტონიკურ მოძრაობათა ფონზე. აღნიშნულმა გამოიწვია საქართველოს კარსტის ფენომენების და თვით კარსტული გეომორფოლოგიური ლანდშაფტის ტიპის მრავალფეროვნება.

## დ ა რ ა ი ო ნ ე ბ ა

საქართველოს კარსტის გეომორფოლოგიური შესწავლა საბჭოთა პერიოდში მნიშვნელოვნად წინ წავიდა. ამასთან დაკავშირებით, უკვე 1946—1957 წწ. საქართველოს ტერიტორიის გეომორფოლოგიურ ოლქებს შორის შესაძლებელი გახდა კარსტული ოლქების გამოყოფასთან ერთად მისი შემდგომი დანაწილებაც. ასეთ ნაშრომთა შორის აღსანიშნავია ალ. ჭავჭავიძის, ბ. დობრინინის, ნ. გვოზდუცის და ლ. მარუაშვილის გამოკვლევები.

ალ. ჭავჭავიძელი 1947 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში საქართველოს ტერიტორიისათვის დადგენილ რელიეფის ტიპთა და მათი შესაბამის რაიონებს შორის გამოყოფს და ახსიათებს საშუალომთიან, კირქვიან-კარსტულ რელიეფის ტიპს («Рельеф средние-высотных гор, известняков-карстовый»), რომელიც შედის მთახეობათა, ნაოქა სტრუქტურიან რელიეფის ტიპთა ჯგუფში («Рельеф горно-долинный, складчатой структуры») (1760, გვ. 15—17 და სქემატური რუკა). 1948 წელს ბ. დობრინინი სსრკ ევროპული ნაწილისა და კავკასიის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებასთან დაკავშირებით შედგენილ კავკასიის გეომორფოლოგიურ რუკაზე გამოყოფილ გეომორფოლოგიურ ლანდშაფტთა შორის აღნიშნავს: «4. Крупноскладчатые известняковые хребты с наличием разломов, сбросов, надвигов, местами с развитием карстовых явлений и каньонообразными долинами рек», ხოლო შრომის ტექსტში იძლევა მის მოკლე დახასიათებას (1782, გვ. 251 და რუკა; [98], გვ. 223 და რუკა). 1954 წელს ნ. გვოზდუცკაც კავკასიის ტერიტორიის 14 გეომორფოლოგიურ რაიონს შორის მოიხსენიებს დასავლეთ ამიერკავკასიის კირქვიან-კარსტულ რაიონს («Известняково-карстовый район Западного Кавказа») (1679, გვ. 131).

კარსტული დარაიონების თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. გვოზდუცის ნაშრომები, რომლებშიც განხილულია საბჭოთა კავშირის და კერძოდ კავკასიის კარსტის დარაიონების საკითხები [669—670, 675—676, 678]. ნ. გვოზდუცის აზრით, კარსტული გეომორფოლოგიური ოლქების გამოყოფას საფუძვლად უნდა დაედოს საკვლევი მხარის გეოლოგიური აგებულების საერთო გეგმა, ე. ი. ტექტონიკის, გეოლოგიურ წყებათა ლითოლოგიისა და სხვა ზოგადი ნიშნები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ მიწისქვეშა წყლების ცირკულაციაზე და ადგილის ტოპოგრაფიაზე; მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების ზოგადი თავისებურებანი, რომლის საფუძველზედაც გამოყოფენ ამა თუ იმ ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიულ ოლქებს წერილმასშტაბიან დარაიონებისას და რომელიც განისაზღვრება კლიმატის საერთო ხასიათით ოროგრაფიასთან კავშირში ([676], გვ. 64). ნ. გვოზდუცის აზრით, გეოლოგიური აგებულების ადგილობრივი თავისებურებანი (გეოლოგიური პირობების ერთგვაროვნება ერთი და იმავე გეოლოგიურ წყების გავრცელების ფარ-

თომზე ერთგვაროვან ტექტონიკურ გეგმისას) და ფიზიკური გეოგრაფიული პირობები ადგილის აბსოლუტურ სიმაღლესთან დაკავშირებით უნდა იქნას მიღებული მხედველობაში უფრო დეტალური დარაიონებისას, ე. ი. კარსტული რაიონების გამოყოფისას ოლქების ფარგლებში (იქვე, 64—65). აღნიშნულ მოსაზრებათა გათვალისწინების საფუძველზე, ნ. გვოზდეცი კავკასიის ტერიტორიაზე გამოყოფს 11 ოლქს და 4 განცალკევებულ რაიონს ([676], გვ. 65; [678], გვ. 251—254); მათგან საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება სამი ოლქი («VII. Известняковые хребты, массивы и гряды сочинского гидрогеологического бассейна и Абхазии; VIII. Известняково-карстовая область Западной Грузии (Мегрелии, Имеретии, Лечхуми и Рачи); IX. Известняково-мергельная область проявления карста на водораздельном хребте и его отрогах, к югу от верховья Терека») და ორი რაიონი («3. Конгломератовый район левобережного плато террасы р. Белой [Хипсты]; 4. Конгломератовый район центральной Мегрелии»).

აღნიშნულ ოლქისა და რაიონების დახასიათება ნ. გვოზდეცის მოცემული აქვს 1952 წლის ნაშრომში ([676], გვ. 72, 77; იხ. აგრეთვე: [678], გვ. 251—254). კავკასიონის კარსტული ოლქების გამოყოფის საკითხებს ნ. გვოზდეცი არკვევს თავის აღრიხედელ (1946—1950 წწ.), გამოქვეყნებულ ნაშრომებშიც [669—670, 675]. ერთ-ერთ ნაშრომში იგი მიუთითებს, რომ კარსტულ ოლქებს შიგნით გამოეყოფა საშუალო და მაღალმთიანი კარსტული რაიონები, კარსტის ვერტიკალური ზონებითო ([675], გვ. 165). ამავე საკითხზე ნ. გვოზდეცი ჩერდება კარსტული მოვლენების გეოგრაფიული გავრცელებისა და საბჭოთა კავშირის გეოგრაფიულ დარაიონებისადმი მიძღვნილ 1955—1956 წწ. ნაშრომებშიც [680—682].

საქართველოს ზონის გამოქვამულებების დახასიათებისას ლ. მარუაშვილი იძლევა საქართველოს ტერიტორიის დაყოფას სპელეოლოგიურ ოლქებად ან ზონებად (ე. ი. განსაზღვრულ სივრცეებად, რომლებიც ხასიათდებიან სპელეოლოგიურ ნიშანთა გარკვეული მუდმივობით); საქართველოს სპელეოლოგიურ ოლქთა შორის ლ. მარუაშვილი ანსხეაებს დასავლეთ საქართველოს კარსტულ ოლქს, რომელიც თავის მხრივ იყოფა კირქვის კარსტისა და კლასტოკარსტულ რაიონებად («Районы известнякового карста, прорезанные ущельями и делящиеся на ряд обособленных массивов» და «[Лесточно-карстовые районы]). კარსტულ მასივთა შორის, ლ. მარუაშვილის მითითებით, ყველაზე დიდია ვაგრის, ბზიფის, ოზაჩქუეს, მინგარიის, ასხისა და შორის, ხოლო კლასტოკარსტულ რაიონებში ყველაზე ვრცელია ცენტრალურ სამეგრელოს რაიონი, ამასთან მსგავსი კარსტი განვითარებულია გუდაუთის მდამოებშიც ([1024], გვ. 366).

ლ. მარუაშვილის 1957 წლის ნაშრომში, რომელშიაც სპელეოლოგიური კვლევის პერსპექტივებია დასახული საქართველოსათვის [189], გამოყოფილია შემდეგი უდიდესი „კარსტული მასივები“: 1) ვაგრის, 2) ბზიფის (ბზიფის ქედის დასავლეთ ნაწილი), 3) გუმისთა-კელასურის (ამავე სახელწოდების მდინარეულ ხეობებს შორის), 4) წებელდის (მდ. მდ. კელასურსა და კოდორს შორის), 5) თანავის (კოდორ-მოქეს შორის), 6) და 7) აისრისა და ლაშკანდერის (ღალიძგის ხეობის დასავლეთითა და აღმოსავლეთით), 8) ოზაჩქუეს (ოქუშმ-ენგურს შორის), 9) ყვირის (ენგურის აღმოსავლეთით—მაგანასა და ჭანისწყალს შორის), 10) მინგარიის (ხობი-ტეხურს შორის), 11) ასხის, 12)

ცენტრალური სამეგრელოს კონგლომერატული მასივის (ყვირის, მინგარიის და ასხის მასივების საზღვრით), 13) ურთის (ჭუმი-ხობს შორის), 14) უნაგირის, 15) ხვამლის (ცხენისწყალ-რიონს შორის), 16) წყალტუბომ (ცხენისწყალ-რიონს შორის), 17) რაჭის ქედის (რიონიდან მდ. ფოცხრევის მიდამოებამდე), 18) ოკრიბა-არგვეთის (რიონსა და ძუსას შორის), 19) ზემო იმერეთის (მდ. ყვირილის აუზი) და 20) კუდაროს (ჭეჯორის აუზის ნაწილი, ერწოს ტბის მიდამოები) მასივებს და იძლევა ამ მასივის მოკლე სპელეოლოგიურ დახასიათებას, ამასთანავე დასახა კვლევის შემდგომი პერსპექტივები (იქვე, გვ. 6—14).

ამგვარად, საქართველოს კარსტის შესწავლილობის საბჭოური პერიოდის მესამე ეტაპზე, წინა ეტაპებისაგან განსხვავებით, კარსტულ ოლქებს არა მარტო გეომორფოლოგიურ რუკაზე გამოყოფენ, არამედ ამა თუ იმ მიდგომით იძლევიან თვით ამ ოლქების შემდგომ დეტალურ დარაიონებას, კვლევის მასშტაბის შესაბამისად.

## 2) კლიმატური და ჰიდროლოგიური შესწავლილობა

კარსტული მხარეების კლიმატი გამოირჩევა ზოგიერთი თავისებურებით. ეს განსაკუთრებით ითქმის მიწისქვეშა სიღრუეთა კლიმატის შესახებ. ამიტომეა, რომ ზოგადი კლიმატოლოგიის კურსში მიკრო ან სპელეოკლიმატს ცალკე განიხილვენ; მაგალითად, გამოჩენილი გერმანელი კლიმატოლოგი რ. გეიგერი ([715], გვ. 286—289). ამის გამო კარსტულ მხარეთა განსაკუთრებით სპელეოკლიმატის შესწავლა დიდ ინტერესს იწვევს. ამ მხრივ ჩვენში მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული; მე მხედველობაში მაქვს ა. ბალაბუევის 1935 წლისა [558] და ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორიის ამ ბოლო წლების გამოკვლევები ([423] და სხვ.). აღსანიშნავია აგრეთვე ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრის თანამშრომლის დ. დვალის მუშაობა [94].

1946—1957 წლების განმავლობაში ამ მიმართულებით შეიძლება ითქვას მნიშვნელოვანი არაფერი გამოქვეყნებულა. სამაგიეროდ საქართველოს კარსტულ მხარეთა კლიმატის შესახებ საჭირო ცნობებს ჩვენ ვპოულობთ კომპლექსურ ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებებში. ასეთი ნაშრომი რამდენიმეა. მაგალითად, ბ. დობრინინი, კავკასიის დახასიათებისას ჩერდება კარსტულ რაიონების კლიმატზეც ([782]. იხ. აგრეთვე: [98] და სხვ.); ნ. გვოზდევცი, დასავლეთ ამიერკავკასიის კირქვიან კარსტულ და კავკასიის წინამთების პონტის (კოლხეთის) ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონების დახასიათებისას შეჩერდა მათ კლიმატზე და მის როლზე დაკარსტის პროცესში ([679], გვ. 174—175 და სხვ., იხ. აგრეთვე: [675], გვ. 168); ბ. ყავრიშვილმა, კარსტული წყლების სიჭარბის ზონის დახასიათებისას, მოგვცა ამ ზონის კლიმატური პირობების ანალიზიც ([836], გვ. 72); აფხაზეთის ცალკეული ნაწილების ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) დახასიათებისას მკვლევარები ჩერდებიან მათ კლიმატზეც; ასე მაგალითად: თ. სიხარულიძე აფხაზეთის ლანდშაფტურ ზონის [271], ქ. ყავრიშვილი ვაგრის რაიონის ([839], გვ. 149—150 და სხვ.), კ. მგელაძე ცენტრალური აფხაზეთის მთიან ნაწილის [210, 1061], აგრეთვე ტბა ამტყელის მიდამოების [209], ნ. მათურელი სოხუმის მიდამოებისა (მდ. მდ.

გუმისთისა და კელაქურის აუზები) [178], გარდა ამისა ი. ძიძოგურმა საჰე-გრელოს ფიზიკურ-გეოგრაფიულ (ლანდშაფტური) დახასიათებისას მოგვცა კარსტული ოქის კლიმატური მიმოხილვაც [449].

აფხაზეთის ზოგიერთი გამოქვაბულის კლიმატის რამდენიმე ელემენტის შესახებ მცირე ცნობები მოიპოვება ბ. მათითაშვილისა და სხვების ნაშრომებში ([177] და სხვ.).

საქართველოს კარსტული რელიეფის ჰიდროლოგიური შესწავლილობა შედარებით უფრო მაღალ დონეზე დგას; გამოქვეყნდა რამდენიმე სტატია კარსტული წყლების რეჟიმზე; საქართველოს ჰიდროლოგიური დარაიონების სქემებზე ბ. ყაფრიშვილის მონოგრაფიული გამოკვლევის შემდეგ ყველა ავტორი გამოყოფს კარსტული წყლების სიქარბის ზონას ამა თუ იმ სახელწოდებით.

1955—1957 წლებში გამოქვეყნდა ლ. ვლადიმეროვის რამდენიმე სტატია კარსტული წყლების რეჟიმის [626, 628], აგრეთვე კარსტული წყლების გაელენაზე კავკასიონის სამხრეთ ფერდობის მდინარეთა ჩამონადენის რეჟიმზე დასავლეთ საქართველოს ფარგლებში [627]; იგივე საკითხები ლ. ვლადიმეროვმა გააშუქა მანამალური ჩამონადენის შესწავლისას მიიანი ოქისათვის საქართველოს მაგალითზე [625]. ლ. ვლადიმეროვი კარსტული რაიონის წყლებს ორ ჯგუფად ყოფს: წყაროებად და მიწისქვეშა მდინარეებად. ამასთან წყაროებს შორის არჩევს მყარ და არამყარ რეჟიმიანებს, ხოლო მიწისქვეშა მდინარეთა შორის გამოყოფს სამ ტიპს: 1) მიწისქვეშა მდინარეებს, რომლებიც საზრდოობენ კარსტული აუზებიდან, 2) მიწისქვეშა მდინარეებს, რომლებიც წარმოიშობიან მდინარის წყლის მოტაცებით უშუალოდ კალაპოტიდან და 3) მიწისქვეშა მდინარეებს, რომლებიც წარმოიშობიან ზედაპირული მდინარეების სრული დაქარგვის შედეგად; ლ. ვლადიმეროვი გვაძლევს დასახელებულ წყაროებისა და მდინარეების ტიპების დასახლოებას კავკასიონის სამხრეთ ფერდობის კარსტულ რაიონებისათვის, დასავლეთ საქართველოს ფარგლებში ([625], გვ. 136—137; [626], გვ. 151—154; (627), გვ. 14—15; [628], გვ. 65—67); ამ ნაშრომებში ლ. ვლადიმეროვი შეეხო აგრეთვე კარსტულ მხარეთა ჰიდროლოგიურ სხვა თავისებურებებსაც.

თ. კიკილაშვილი 1948 წელს საქართველოს მდინარეთა ჰიდროგრაფიულ დახასიათებისას გამოყოფს კარსტულ ზონაში მდებარე სათავეებიან მდინარეებსაც [151]. ამავე წელს თ. ნუტუბიძე საქართველოს ტბების დახასიათებისას გამოყოფს კარსტულ ტბათა ჯგუფსაც და მიუთითებს მათ გავრცელებაზე; ასეთ ტბათა შორის მოხსენებული აქვს ხარისთვალი, ძროხისთვალი, საწურბლინის, ბაბუშეარი და სხვ. ([236], გვ. 138, 150); თ. ნუტუბიძე ხეობების დაგუბებულ ტბებს შორის მოიხსენიებს დიდ რიწას, პატარა რიწას და ამტყელის ტბებს (იქვე, გვ. 151). იგივე მკვლევარი 1949 წელს სამხრეთ ოსეთის ჰიდროგრაფიულ დახასიათებისას იძლევა ერწოს ტბის აღწერას, რომლის ქვაბულის გაჩენას ტექტონიკურ და კარსტულ პროცესებს აწერს ([237], გვ. 91—93). კარსტულ მხარეში კლდეზეალებით წარმოშობილ ტბების ნიმუშად ლ. მარუაშვილი ქვედრულას ასახელებს [188].

აფხაზეთის ზოგიერთი მიწისქვეშა მდინარის, განსაკუთრებით ამტყელის, შესახებ ცნობები მოყვანილი ქ. მგელაძის ნაშრომებში [1062—1063]; გავრის რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებისას, ქ. ყაფრიშვილი ჩერდება ამავე რაიონის ზედაპირულ და მიწისქვეშა კარსტულ წყლებზეც ([839], გვ. 150—162 და სხვ.). სპელეოლოგიური კვლევის პერსპექტივების დასახვისას,

ლ. მარუაშვილი აღნიშნავს კარსტული რაიონის ჰიდროლოგიურ რეჟიმის დამახასიათებელ თავისებურებებს ([189], გვ. 17—19). ვ. მურვანიძე 1954 წელს სწავლობს აფხაზეთის კარსტულ მდინარეების თავისებურებებს [218].

კავკასიონის სამხრეთ ფერდობის საქართველოს ფარგლებში და კოლხეთის ბარის კარსტული და კლასტოკარსტული რაიონების ჰიდროლოგიურ და ჰიდროგრაფიულ თავისებურებათა შესახებ სათანადო ცნობები მოიპოვება როგორც გეოლოგიურ, ისე ფიზიკურ-გეოგრაფიულ და სხვა ნაშრომებშიც ([86—88, 178—179, 208—209, 226—227, 672, 676, 678, 754, 1081, 1098, 1198] და სხვ.).

საქართველოს კარსტულ რაიონთა ჰიდროლოგიური შესწავლილობა იმდენად წინ არის წასული, რომ საქართველოს ჰიდროლოგიური დარაიონებისას შესაძლებელი გახდა მისი ცალკე გამოყოფა და ზოგჯერ ამ უკანასკნელის რამდენიმე ნაწილად დაყოფაც კი, ასეთი სამუშაო პირველად ბ. ყაჯრბეგიშვილმა შეასრულა 1939 წელს, რომლის შედეგები 1946 და 1955 წლებში გამოქვეყნდა [369, 836]. მან საქართველოს ლანდშაფტურ ჰიდროლოგიურ ზონათა შორის გამოყო კარსტული წყლების სიჭარბის ზონა („Зона преобладания карстовых вод“) და მოგვცა მისი დახასიათება ([369], გვ. 123—125; [836], გვ. 65—73).

ლ. ვლადიმეროვი და ი. შაქარაშვილი 1946 წელს საქართველოს ჰიდროლოგიურ რაიონებს შორის გამოყოფენ დიდი ჩამონადენის (40—70 ლ/წ) და საშუალოზე მეტი ჩამონადენის (30—50 ლ/წ) ზონებს და მოგვცეს მათი მოკლე დახასიათებაც ([121], გვ. 591—592); ისინი 1948 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში საქართველოს დარაიონებას ახდენენ ძირითადი ჰიდროლოგიური ნიშნის მიხედვით, ამასთან აღნიშნავენ კარსტული რაიონების ჰიდროლოგიურ თავისებურებებს და გამოყოფენ: 1) დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ კალთების მთის მდინარეთა და კარსტის წყლების რაიონს, დიდი ჩამონადენით (40—70 ლ/წ), თოვლითა და წვიმებით გამოწვეულ წყალდიდობით გაზაფხულზე, ზამთრის წყალმცირობით; 2) დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ კალთების საშუალომთიან მდინარეთა რაიონს, საშუალოზე მეტი ჩამონადენით (30—50 ლ/წ), რაც უმთავრესად წვიმებითაა გამოწვეული და შედარებით თანაბრადაა განაწილებული წლის მანძილზე; მდინარეებს ახასიათებთ ზშირი წყალმოვარდნა; ზშირია კარსტული წყაროები, რომელიც მცირე მდინარეების მასაზრდოებელს წარმოადგენენ ([122], გვ. 167—170).

ი. ბუაჩიძე საქართველოს ტერიტორიისათვის გამოყოფილ ჰიდროგეოლოგიურ პროვინციათა შორის მოიხსენიებს საკუთრივ გეოსინკლინურ ოლქსაც, რომელიც ხასიათდება ნაბრალოვან-კარსტულ მიწისქვეშა წყლებით [594—595]. იგივე მკვლევარი აღგენს არტეზიულ აუზების განლაგებას საქართველოს ტერიტორიაზე, ამასთან დაკავშირებით იძლევა მოკლე ცნობებს კირქვეულ-კარსტულ ოლქის ჰიდროლოგიის შესახებ [25]; საქართველოს კირქვეულ-კარსტულ ტერიტორიის მინერალურ წყლებზე საყურადღებო ცნობები აქვს მოყვანილი ს. ჩიხელიძეს თავის სტატიაში [1332].

გ. მაქსიმოვიჩის 1956—1957 წლებში გამოქვეყნებულ სტატიებში მოხსენებული აქვს ზღვების ძირზე ამომავალ მტკნარი წყლების წყაროებს შორის გაგარის სუბმარინული წყაროებიც [981—982].



3) ნიადაგური და მცენარეული საფარის  
გეოგრაფიული, აგრეთვე ზოოგეოგრაფიული  
შესწავლილობა

კარსტულ მხარეთა ნიადაგის საფარი ზოგიერთი თავისებურებით ხასიათდება, ამასთან იგი გარკვეულ დარს ასვამს თვით კარსტის განვითარებას, მისი განსხვავებული ტიპების შექმნას. ამიტომ გასაგებია, რომ ნიადაგების გეოგრაფიის შესწავლას გარკვეული მნიშვნელობა აქვს როგორც თვით ნიადაგის ტიპის, ისე კარსტულ ლანდშაფტში ამ ფაქტორის როლის შეცნობისათვის. ამ აუცილებლობითაა გაპირობებული ფიზიკურ-გეოგრაფიული, კერძოდ კარსტოლოგიურ გამოკვლევებისას ნიადაგურ საფარსაც რომ გარკვეულ ყურადღებას უთმობენ.

საბჭოური პერიოდის წინა ეტაპებზე ნიადაგის საფარის გეოგრაფიის ხაზით ჩატარებულ გამოკვლევათა განზოგადობას წარმოადგენს სამამულო ომის შემდგომ ეტაპის დასაწყისში მ. საბაშვილის შონოგრაფია საქართველოს ნიადაგების შესახებ [1160]. მ. საბაშვილი საქართველოს ტერიტორიის სამი ნიადაგური ოლქიდან დასავლეთ საქართველოს ნიადაგურ ოლქთან აკავშირებს მთა-ტყის ნიადაგების ზონას კირქვიან-კარსტული რაიონით; ამასთან იგი გამოყოფს: აფხაზეთ-სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმისა და ზემო იმერეთის ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგების ქვერაიონებს და აღნიშნავს, რომ ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები წარმოდგენილია ყველგან, სადაც კარბონატული ქანებია (კირქვები, მერგელები და კირიანი კონგლომერატები) გავრცელებული (იქვე, გვ. 10, 33, 48, 138—144, 218—219, 225, 231, 236—239 და სხვ.); იგი მიუთითებს აგრეთვე ამ ნიადაგების ბაზაზე ე. წ. „რენძინები“-ს განვითარებაზე (გვ. 138), რომლებიც ტყის შთენილ კარბონატულ ნიადაგებს წარმოადგენენ.

ნ. გვოზდევკი აღნიშნავს, რომ კირქვიანი ლანდშაფტის ოლქში ნიადაგის საფარის განვითარებაზე გავლენას ახდენს არა მარტო სუბსტრატის კარბონატული შედგენილობა, არამედ თვით კარსტული ფორმებიც; ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ მას მოჰყავს ივ. გერასიმოვის საინტერესო დაკვირვებანი ოხაჩქუეს ქედის ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების სახესხვაობათა გავრცელებაზე, კერძოდ ტყის შთენილ-კარბონატულ ნიადაგების ე. წ. რენძინების შესახებ ([673], გვ. 170—171; იხ. აგრეთვე: [674], გვ. 170—171; [678], გვ. 324—325; [679], გვ. 176—177).

გ. ტალახაძე 1948 წელს აქვეყნებს ნაშრომს რაჭა-ლეჩხუმის ნიადაგების შესახებ, რომელშიც საკმაოდ დეტალურად არის დახასიათებული ამ მხარის კარსტული რაიონების ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების სახესხვაობანი [305]. საჩხერის რაიონის მიკრორაიონების, მათ შორის კარსტულისაც, ნიადაგების დახასიათება მევენახეობის თვალსაზრისით მოცემული აქვს ა. გოგატაშვილის 1956 წელს [67]. 1954 წელს მ. ბრეგვაძე ზესტაფონის რაიონში, ხოლო 1948 წელს მ. დარასელია და პ. თადეოსიანი დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული რაიონებში ნიადაგების ეროზიის პრობლემის განხილვისას იძლევიან კარსტულ რაიონების ნიადაგური საფარის თავისებურებათა დახასიათებასაც [24, 83]. ნ. კუფტირიოვა 1956 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ახასიათებს აფხაზეთის კარსტულ რაიონების ნიადაგობრივ საფარს ([940], გვ. 122—135).

საქართველოს ცალკეულ ტერიტორიების ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებისადმი მიძღვნილ შრომებში ბუნებრივ ლანდშაფტების დანარჩენ კომპონენტებთან ერთად კარსტული ოლქების ან რაიონების ნიადაგური საფარიც არის დახასიათებული; მაგალითად, გაგარის რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებისას, ქ. ყაერიშვილი კირქვებით აგებულ ტერიტორიის ნიადაგური საფარის თავისებურებებზეც ჩერდება ([839], გვ. 153—155). ასეთივე მონაცემებს ვპოულობთ სხვა მკვლევართა გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად გამიზნულ ნაშრომებშიც, რომლებშიც აფხაზეთისა და სამეგრელოს ცალკეულ ნაწილების ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) დახასიათებანი არის მოცემული ([იხ. მაგალითად: [178, 208, 271, 449]).

საქართველოს კარბონატული ნალექებით აგებულ ტერიტორიაზე მცენარეული საფარი განსხვავებული თვისებებით ხასიათდება, რამაც საშუალება მისცა აფხაზეთის ფლორის გამოჩენილ მკვლევარს ნ. ალბოვს იგი კირქვიანების მცენარეების ტიპად გამოეყო. მეორე მხრივ, მცენარეული საფარი მნიშვნელოვან როლს თამაშობს კარსტული ფორმების და მთელი ლანდშაფტის ჩამოყალიბებაში. ამიტომ ამა თუ იმ ტერიტორიის გეოგრაფიული, კერძოდ კარსტოლოგიური დახასიათებისათვის მცენარეული საფარის საკითხს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. ეს მოტივები გვიკარნახებენ საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის გამოვლენისას მცენარეული საფარის გეოგრაფიულ შესწავლილობასაც შევხვით.

საქართველოს კირქვიანების მცენარეული საფარის ზოგადი დახასიათება კავკასიის მცენარეული საფარის დახასიათების ფონზე მოცემული აქვს ა. გროსპეიმს [749]. ამავე საკითხზე განსაკუთრებით შეჩერდა ნ. გეოზდეცი საქართველოს კარსტული რაიონების, თუ ზოგარი კარსტოლოგიური პრობლემების გაშუქებისას; ამასთან იგი არკვევს არსებული ლიტერატურული წყაროების საფუძველზე საქართველოს კარსტულ მხარეთა მცენარეული საფარის როგორც თავისებურებას, აგრეთვე მის როლს კარსტულ პროცესებში და კარსტული რელიეფის ტიპების წარმოქმნაში ([671], გვ. 126—128; [673], გვ. 171—175; [674], გვ. 172—174; [675], გვ. 168 და სხვ.; [678] გვ. 153—154. 325—327; [679], გვ. 177—182).

აფხაზეთის კარსტული რელიეფის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებისას ქ. ყაერიშვილი მცენარეთა საფარის თავისებურებებზეც ჩერდება ([373], გვ. 111—112; [839], გვ. 155—158); სამეგრელოს ზოგიერთი კირქვიანი მთების მცენარეული საფარის მოკლე დახასიათება მოცემული აქვს მ. დოლიძეს ([99], გვ. 65—66), ხოლო ხეაშლის კარსტული მასივის სამხრეთ ფლატის მცენარეულობის აღწერა მოახდინა ნ. ბურჩაყ-აბრამოვიჩმა 1954 წელს ([272], გვ. 32—44).

აფხაზეთის კირქვიანების ფლორის, კერძოდ, ენდემურის შესახებ საინტერესო მონაცემები მოიპოვება ა. კოლაკოვსკის შრომებში [899—904], აგრეთვე ვ. იაბროვა-კოლაკოვსკაიას ნარკვევში [1362—1363]. ნ კუფტირიოვას სტატიამი დახასიათებულია აფხაზეთის კირქვიანების მცენარეული საფარიც ([940], გვ. 135—165). საინტერესო გამოკვლევა აქვს ჩატარებული ი. მიქელაძეს სამეგრელოს კირქვიანი მთების გვირგვინის შესწავლის მიმართულებით [215]. 1953—1955 წწ. ა. ქუთათელაძე მცენარეთა ახალ სახეებს აღგვის იმერეთის კირქვიანებისათვის [359—361] და ამასთან იძლევა ოკრიბის კირქვიან-

ნების დამახასიათებელ ხეებისა და ბუჩქნარების სიას [361]; აღსანიშნავია ო. კაპლერისა და ა. ქუთათელაძის შრომა [861].

საქართველოს კირქველი რაიონების მცენარეული საფარის შესახებ საინტერესო მონაცემები მოიპოვება კაპიტალურ რეკომიან „საქართველოს ფლორაშიც“ [262].

თანამედროვე და გადაშენებულ ცხოველთა სამყაროს გეოგრაფიული გავრცელების კანონზომიერებათა შესწავლა კარსტის გეოგრაფიული კვლევის ერთ-ერთი საკითხია. იგი ამასთანავე ზოგჯერ კარსტის ასაკის საკითხის, განსაკუთრებით მისი ზედა საზღვრის გადაწყვეტის საშუალებასაც გვაძლევს.

კარსტულ გამოქვაბულებში მოპოვებული გადაშენებულ ცხოველთა ნაშთების შესწავლას და სათანადო მონაცემების განზოგადობას 1946—1957 წწ. აწარმოებდნენ ლ. გაბუნია, ნ. ვერეშჩაგინი, ვ. გრომოვი, დ. წერეთელი და სხვები [31, 619, 746, 1304]. ამავე საკითხზე საინტერესო მონაცემები მოიპოვება სხვა მკვლევართა შრომებშიც ([231, 814—815, 965, 1198] და სხვ.).

საქართველოს თანამედროვე ცხოველთა სამყაროდან განსაკუთრებულ ყურადღებას სპელეოფაუნა იმსახურებს. ამიტომ მის ზოოლოგიურ და გეოგრაფიულ შესწავლას სათანადო ყურადღება ექცეოდა 1946—1957 წლებშიც. ასეთი ხასიათის გამოკვლევათა შორის საჭიროა მოხსენებულ იქნას ო. ბირშტეინის, ე. ბორუცკის, ა. დერჟაფინისა, ი. მალეიჩის, დ. ხარიტონოვის, ე. რეიმოზერის და სხვ. ნაშრომები ([466, 577,—578, 585—588, 755, 1008, 1297, 1505] და სხვ.).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. ბირშტეინისა და ე. ბორუცკის გამოკვლევები დასავლეთ საქართველოს სპელეოფაუნის შესახებ [577—578]. აღნიშნული მკვლევარები დასავლეთ საქართველოსა და მეზობელი ტერიტორიის კარსტულ გამოქვაბულებში ნახულ ცხოველებს ([577], გვ. 355—357; [578], გვ. 687—700) აღარებენ სხვა ქვეყნების მსგავს ფაუნას და არკვევენ სპელეოფაუნის გეოგრაფიულ გავრცელებასა და წარმოშობას ([577], გვ. 357—365; [578], გვ. 700—705). დასავლეთ საქართველოს სპელეოფაუნის ასეთი დახასიათების შემდეგ ი. ბირშტეინისა და ე. ბორუცკის გამოაქვეთ ზოგადი ზოოგეოგრაფიული მნიშვნელობის დასკვნები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ამ მხარის კარსტის ასაკი გადავწყვიტოთ.

ხეამლის გამოქვაბულთა შესწავლასთან დაკავშირებით ნ. ბურჩაჟ-აბრამოვიჩი ახასიათებს მის ახლო მიდამოებში მცხოვრებ ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლებს ([598], გვ. 48—49).

საქართველოს სპელეოფაუნის შემაჯამებელი მიმოხილვა შედგენილი აქვთ ფ. ზაიცევის და ლ. მარუაშვილს 1948, 1954 და 1957 წლებში ([189], გვ. 19—20; [806; 1024], გვ. 368—370 და სხვ.).

#### 4) ლ ა ნ დ შ ა ფ ტ უ რ ი შ ე ს წ ა ვ ლ ი ლ ო ბ ა

გეოგრაფიული, კერძოდ ლანდშაფტური და ფიზიკურ-გეოგრაფიული კომპონენტების მიხედვით, კარსტის ტიპების გამოყოფა და მისი შემდგომი დანაწილების დასაბუთება და საჭიროება საკმაო სისრულით აქვს მოცემული ნ. გვოზდუცკის თავის ნაშრომებში საქართველოს კარსტის მავალითებზეც, რომლებიც 1946—1957 წწ. იქნა გამოქვეყნებული ([673; 674], გვ. 168—186; [675; 678], გვ. 319—345; [679] გვ. 131—134). ამასთან დაკავშირებით ნ. გვოზდუცკი საქარ-

თველოს კარსტის გეოგრაფიულ ლანდშაფტის საკმაოდ დეტალურ დახასიათებას იძლევა თავის 1954 წლის ნაშრომში; ნ. გვოზდუკი კავკასიის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებასთან დაკავშირებით სხვა ფიზიკურ-გეოგრაფიულ რაიონებთან ერთად გამოყოფს კავკასიონის წინამთების პონტის (კოლხეთის) რაიონს (სადაც კარსტული მოვლენები როგორც კირქვებით, ისე კონგლომერატებში წყვეტილად არის წარმოდგენილი) და დასავლეთ ამიერკავკასიის კირქვიან-კარსტულ რაიონს («6. Понтийский [Колхидский] район предгорий Б. Кавказа»; 7. «Известияково-карстовый район Западного Закавказья») ([679], გვ. 131—134, 167—182).

ა. ფედინა 1953 წელს კავკასიონის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დარაიონებისას გამოყოფს დასავლეთ ამიერკავკასიის კირქვიან-კარსტულ რაიონსაც (24. Известияково-карстовый район Западного Закавказья») ([1288], გვ. 10). 1956 წელს ნ. გვოზდუკი ა. ფედინასთან ერთად გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელშიც იძლევა კავკასიის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დარაიონებას, კავკასიონის სამხრეთ ფერდობის ქვეოლქის ფიზიკურ-გეოგრაფიულ რაიონთა შორის გამოყოფენ: პონტის (კოლხეთის) წინამთების სამხრეთ და კირქვიან-კარსტულ რაიონებს («26. Южный район понтийских предгорий (Колхидский)... 27. Известияково-карстовый район») ([711], გვ. 145—146 და რუკა 141 გვერდზე).

ბ. ყავრიშვილს საქართველოს ლანდშაფტურ ჰიდროლოგიურ ზონათა შორის გამოყოფილი და დახასიათებული აქვს კარსტული წყლების სიჭარბის ზონა ([369; 836], გვ. 65—73). ბ. დობრინინმა საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილისა და კავკასიის ფიზიკურ-გეოგრაფიული ლანდშაფტების დახასიათებისას მოგვცა საქართველოს კარსტული ტერიტორიის მეტად სქემატური დარაიონება ([98], გვ. 280 და სხვ.; [782], გვ. 307 და სხვ.; აგრეთვე ლანდშაფტური რუკა).

აფხაზეთისა და სამეგრელოს ცალკეული ნაწილის ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტურ) დახასიათებისას, ნ. მათურელი, კ. მგელაძე, თ. სიხარულიძე, ბ. ყავრიშვილი, ქ. ყავრიშვილი, ი. ძიძიგური და სხვები ამ ტერიტორიის კარსტული ლანდშაფტის დახასიათებასაც იძლევიან ([178], გვ. 223—235; [209—210, 271], გვ. 189—234; [371]. გვ. 25; [372], გვ. 33; [373], გვ. 111—118; [449; 835], გვ. 158—161; [1061]).

საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის საბჭოთა პერიოდის დახასიათება გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდის პირველ ეტაპზე (1921—1940 წწ.) დაწყებული კარსტის შესწავლის მზარდი წინსვლა, რომელსაც შეემჩნა სამამულო ომის ეტაპზე (1941—1945 წწ.) რამდენადმე შესუსტება (განსაკუთრებით სათანადო ნაშრომების გამოქვეყნების მხრივ), მესამე ეტაპზე (1946—1957 წწ.) კვლავ აღმავალი მრუდით წარიმართა; ამასთან იგი უფრო გულმკერდული და გაფართოებული შესწავლით შეიცვალა.

1946—1957 წწ. განმავლობაში საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლის წინსვლა შეიმჩნევა როგორც ცალკეული ფიზიკურ-გეოგრაფიული კომპონენტების (გეომორფოლოგიური, კლიმატური, ნიადაგური და მცენარეული საფარის გეოგრაფიული, ზოოგეოგრაფიული) მიხედვით, ისე ლანდშაფტურ გამოკვლევებში.

განსაკუთრებული წარმატებები არის მოპოვებული კარსტის გეომორფოლოგიური შესწავლის მხრივ. საქართველოს კარსტის საერთო გეომორფოლოგიურ დახასიათებასთან ერთად, რაც მოცემულია როგორც კარსტისადმი სპეციალურად მიძღვნილ, ისე არასპეციალურ ნაშრომებში, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა კარსტის ასაკისა და დარაიონების საკითხებს. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ ეტაპზე გამოვლინდა, ლიტერატურაში აქამდე უცნობი ან სუსტად ცნობილი კირქვის კონგლომერატებისათვის დამახასიათებელი კლასტოკარსტული მოვლენები (დურიფშის პლატო, ცენტრალური სამეგრელო).

ამავე წლებში დიდი მუშაობა ჩატარდა საქართველოს კარსტის კლიმატური, ჰიდროლოგიური, ნიადაგური და მცენარეული საფარის გავრცელებისა და ზოოგეოგრაფიული, აგრეთვე სინთეზური (ლანდშაფტური) შესწავლის მიმართულებით. მათ შორის აღსანიშნავია საქართველოს კარსტის ზედაპირული წყლებისა და სპელეოფაუნის შესწავლის ხაზით მიღებული შედეგები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ეტაპზე გამოქვეყნდა კარსტის შესწავლილობისადმი მიძღვნილი მცირე მოცულობის მასალებიც.

საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის 1946—1957 წწ. ეტაპზე კარსტოლოგიური მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას, აგრეთვე ამ სამუშაოთა პოპულარიზაციას ფართო მასებში, ჩვენს ქვეყანაში, დიდად შეუწყო ხელი ზოგადი და რეგიონული კარსტმცოდნეობის პრობლემებისადმი მიძღვნილ განმარტოვებული მონოგრაფიებისა და სამეცნიერო-პოპულარული, სათავგადასავლო თხზულებების გამოქვეყნებამ როგორც რუსულ, ისე ქართულ ენებზე.

საქართველოს კარსტის შესწავლის გაღრმავებამ და გაფართოებამ, გამოიწვია საქართველოს კარსტოლოგიური კვლევითი უჭრედებისა და მუშაობის მაკორდინებელ დაწესებულებათა შექმნის აუცილებელი საჭიროება, რის განხორციელებაც ეტაპის დასასრულს დაიწყო და მომდევნო ეტაპის დასაწყისში გახდა შესაძლებელი.

**7. კარსტის ფიზიკურ-გეოგრაფიული დარგობრივი და კომპლექსური (ლანდშაფტური) გაღრმავებული კვლევისა და მისი პრაქტიკული რაციონალური გამოყენების ეტაპი (1958 წლიდან დღევანდლამდე)**

საქართველოს კარსტის შესწავლილობის თანამედროვე ეტაპზე, რომელიც 1958 წლის შემდგომ ხანას მოიცავს, კარსტოლოგიური გამოკვლევები საქართველოში ფართოდ გიშალა როგორც მოცულობით, ისე შინაარსით; დაარსდა სათანადო ორგანიზაციული ცენტრებიც (ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან სპელეოლოგიური კომისია, რომელიც შემდგომი საბჭოდ გადაკეთდა და სხვ.); ამასთან მუშაობა მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევით და საინჟინრო-ტექნიკურ დაწესებულებებში, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში გეოგრაფიულ-კარსტოლოგიური გამოკვლევათა გაშლასა და მის მაღალ მეცნიერულ დონეზე დაყენებას, ორგანიზაციულ ღონისძიებებთან ერთად, ხელს უწყობდა მთელ საბჭოთა კავშირში ასეთი ხასიათის მუშაობის საერთო აღმავლობა, რაც რეგიონალური ნა-

შრომების გამოქვეყნებასთან ერთად განმაზოგადოებელი, ზოგად თეორიული ნაშრომების გამოცემით გამოიხატა. აქ პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს გამოჩენილი საბჭოთა კარსტოლოგების ნ. გვოზდეცის, გ. მაქსიმოვიჩისა და დ. სოკოლოვის ფუნდამენტალური მონოგრაფიების გამოქვეყნება, რომლებშიც მეცნიერების განვითარების საერთო დონის შესაბამისად თანამედროვე ეტაპისათვის ახლებურად არის დასმული და გადაწყვეტილი კარსტოლოგიის თეორიული პრობლემატური ბევრი საკითხი [708, 994, 1004, 1193]. ამ მხრივ აღსანიშნავია გამოჩენილი გეომორფოლოგის ი. შჩუკინის ნაშრომიც [1352], აგრეთვე კარსტის შესწავლის მეთოდისადმი მიძღვნილი ნაშრომები ნ. როდიონოვის [1153], ნ. გვოზდეცის [687], ავტორთა კოლექტივის ([1069], ვილიუხინისა და ვ. დუბლიანსკის [832] და სხვ. კარსტოლოგიის თეორიული საკითხების დამუშავებისადმი მიძღვნილი ნ. გვოზდეცის, ლ. მარუაშვილის, გ. მაქსიმოვიჩის, ნ. როდიონოვის და ალ. ჭანელიძის სტატიები; მაგალითად, ნ. გვოზდეცი არკვევს კარსტის განვითარების თავისებურებებს მთიან მხარეებისათვის [701], გ. მაქსიმოვიჩი — კარბონატული და სულფატური კარსტის განვითარების პირობებს, კარსტულ პორიზონტულ გამოქვაბულების განვითარების სტადიებს კარბონატულ ნალექებში, აგრეთვე კარსტის მიმდინარეობის სისწრაფეს [1001—1003], ნ. როდიონოვი — კარსტის განვითარების სისწრაფეს კარბონატულ ქანებში [1152], ლ. მარუაშვილი გამოყოფს კარსტოფეროს, არკვევს მის სიდიდესა და დამოკიდებულებას სხვა გეოსფეროებთან, ადგენს მცირე სპელეომორფოგენეტური ციკლის სტადიებს და სხვ. [201, 203, 1033, 1036—1038, 1040—1041, 1043—1044, 1046—1047, 1050, 1491], ალ. ჭანელიძე — კარსტული გამოქვაბულების წარმოშობა-განვითარებას [500]. აღსანიშნავია აგრეთვე ნ. გვოზდეცის, ვ. ვილენკინის, ბ. ივანოვის, გ. მაქსიმოვიჩისა და სხვ. სტატიები, რომლებშიც ზოგად ხაზგაშთი გამოუქვეყნებული მთიანი ქვეყნების საერთოდ ან კავკასიონის კარსტის გეოგრაფიული, განსაკუთრებით გეომორფოლოგიური თავისებურებანი და პირობები [623, 697, 699—701, 998]. ამ ნაშრომებს გარკვეული მნიშვნელობა აქვთ საქართველოს კარსტის შესწავლისათვისაც.

თანამედროვე ეტაპზე კარსტოლოგიისადმი, განსაკუთრებით კი სპელეოლოგიისადმი ინტერესის გაღვიძებასა და მისი პოპულარიზაციას ქართველ ახალგაზრდობაში დიდად შეუწყო ხელი ცნობილი ფრანგი სპელეოლოგის ნორბერ კასტერეს ნაშრომების რუსულ ენაზე გამოქვეყნებამ 1959 და 1962 წლებში [869—870], ამერიკელი სპელეოლოგის უილიამ ჰოლიდისა და უნგრელ სპელეოლოგის ლასლო იაკუჩის, აგრეთვე ბელგიელ სპელეოლოგის მიშელ სიფრის მეცნიერულ-პოპულარულმა და სათავგადასავლო ნაშრომებმა [1184, 1300, 1365]; ნ. კასტერის წიგნი „ათი წელი მიწის ქვეშ“ საკითხავ წიგნდაც კი არის გამოცემული ფრანგული ენის შემსწავლელ სტუდენტებისათვის [1401], რაც ცხადია, თავის ძირითად მიზანთან ერთად ინტერესს აღვივებს სპელეოლოგიისადმი. საქართველოს ფანტასტიკურ, საიდუმლოებით მოსილ კარსტულ სიღრუეთა დაპყრობისა და შესწავლის სურვილს აღვივებს აგრეთვე ლ. მარუაშვილის, ზ. ტინტილოზოვისა და თ. კიკნაძის წიგნები, რომლებშიც მოთხრობილია საქართველოს კარსტულ გამოქვაბულთა დაპყრობისა და ათვისების მეთედი რიგი საინტერესო ეპიზოდები [197, 328, 333, 335, 879]. ამ მისწრაფებას აძლიერებდა აგრეთვე სხვა სამეცნიერო-პოპულარული სტატიები, რომლებიც ასევე უხვად ქვეყნდებოდა და ქვეყნდება ჟურნალ-გაზეთებში ჩვენი და საზღ-

ვარგარეთის ქვეყნების კარსტზე საერთოდ და განსაკუთრებით მიწისქვეშა სამყაროზე; მათი არასრული სია ბიბლიოგრაფიაში არის მოყვანილი [1530—1908]. ნაწილობრივ ამავე მიზანს ემსახურება საქართველოს მიწისქვეშა სიღრმეთა კადასტრიც [423].

საქართველოში კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის ცალკეული საკითხები ამა თუ იმ ნაშრომშია გაშუქებული; მაგალითად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ სპელეოლოგიურ კომისიის [287—295, 875], ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილებების და ლაბორატორიის [118, 192, 202, 394], აგრეთვე ამა თუ იმ ექსპედიციის მუშაობისა [833, 885, 1252—1255] და სხვა ანგარიშებში. არსებობს შემაჯამებელი ნაშრომებიც გეოგრაფიულ შესწავლილობაზე ცალკეულ კომპონენტების მიხედვით; მაგალითად, სპელეოფაუნაზე დ. კობახიძისა და რ. ჯანაშვილის სტატიები [166, 168, 763, 1416], აგრეთვე ამ ეტაპის ზოგადი დახასიათებაც [392, 394, 405, 411, 413, 889, 1462, 1464], მაგრამ ეს ნაშრომები საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის თანამედროვე ეტაპის შესახებ მთლიან სურათს მხოლოდ ნაწილობრივ იძლევიან.

უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული ნაშრომები სრულიად ვერ ავსებენ არსებულ ხარვეზს ამ მიმართულებით, ამის გადაუდებელი საჭიროება კი არსებობს, რაც კარსტოლოგიური გამოკვლევების ასე ფართო გაშლისა და მისი თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობით არის გააირობებული. ეს თავი სწორედ ამ ნაკლის ნაწილობრივ შევსებას ემსახურება.

ამ თავში ჩვენ ვიძლევიტ საქართველოს კარსტის შესწავლილობის დახასიათებას ფიზიკურ-გეოგრაფიული კომპონენტების მიხედვით — გეომორფოლოგიურის, კლიმატისა და ჰიდროლოგიურის, ნიადაგური და მეცნარეული საფარის, აგრეთვე ბიოსფეროს შესწავლას. ბოლო ნაწილში ვიძლევიტ საქართველოს კარსტის შესწავლილობის აღნიშნულ კომპონენტების სინთეზის (ფიზიკურ-გეოგრაფიულ ლანდშაფტის) მიხედვით და სხვ.

## 1) გ ე ო მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი შ ე ს წ ა ვ ლ ო ლ ო ბ ა

როგორც აღვნიშნეთ 1958—1973 წლებში საქართველოს კარსტის გეოგრაფიულ შესწავლაში მნიშვნელოვანი აღმავლობა შეიმჩნევა, მაგრამ მათ შორის მინც უპირატესი როლი გეომორფოლოგიურ კვლევას ეკუთვნის. ამ წლებში გამოქვეყნებულ კარსტის შესახებ სპეციალურ გეომორფოლოგიურ ნაშრომთა გარდა, ამავე საკითხზე სათანადო შრომები მოიპოვება მეცნიერების სხვა დარგების ხაზით ჩატარებულ გამოკვლევებშიც. ისიც არის აღსანიშნავი, რომ გეომორფოლოგიური გამოკვლევები შეეხო აგრეთვე ზედაპირულ ფორმებსაც, რასაც წინა წლებში შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამ ეტაპზე საქართველოს კარსტის რეგიონული კვლევის დროს გარკვეული ყურადღება ეთმობოდა კარსტოლოგიის თეორიულ საკითხებსაც, აგრეთვე საქართველოს კარსტის ტიპიზაცია-დარაიონებას და სხვ.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში საქართველოს კარსტის გაღრმავებული შესწავლის შედეგად ბევრი ახალი, მეტად საინტერესო ფაქტი გამოვლინდა, რამაც სათანადო ადგილი ჰპოვა კარსტოლოგიის თეორიულ და რეგიონულ ნაშრომებში საბჭოთა კავშირის მასშტაბით

[688—689, 695, 702—703, 985—989, 993—998; 1006], გვ. 94—99; [1320, 1323; 1352], გვ. 30—31, 37 და სხვ.).

## კარსტოლოგიური შრომები კირქვის ანუ ქვიშაქვის კარსტის შესახებ

საქართველოს კარსტული ლანდშაფტის ზედაპირული ფორმებისა და ტიპების შესწავლას უკანასკნელ წლებში მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე ამას წინა წლებში ჰქონდა ადგილი. იგი ზოგიერთი მკვლევარის სამეცნიერო ინტერესების ძირითადი ობიექტი გახდა.

შესრულებულ ნაშრომებს შორის მხოლოდ რამდენიმეს მოვიხსენიებთ.

ვ. ქვიშაქვიძემ 1963 წელს გამოაქვეყნა სტატია ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ნაგებობათა რაიონში განვითარებულ კარსტულ მოვლენების თავისებურებათა შესახებ [462]; სტატიაში მოცემულია ოხანქუეს მასივის ჭულბატრატის ამგებელი ქვედა და ზედაცარტულ კარბონატულ ქანებში განვითარებული კარსტული მოვლენების დახასიათება, აგრეთვე გამოთქმულია მოსაზრება კარსტის ასაკზე. აღსანიშნავია აგრეთვე ზ. ტინტილოზოვის, ვ. ალფაიძისა და შ. ყიფიანის სტატია კარსტის განვითარების პირობებზე ენგურპეისის მშენებლობის რაიონში [1274].

ნ. გვოზდევციმ 1964 წელს გამოაქვეყნა სტატია რაჭის ქედის კარსტის შესახებ (694); იხ. აგრეთვე [697, 699]. ეს მკვლევარი ნაქერალის გადასასვლელის შიდაპირში აღწერს კარსტულ ზედაპირულ ფორმებს—კარებს, დოლინებს და გამოქვაბულებს; ამასთან იგი მიუთითებს, რომ ნაქერალის პლატოზე კარსტული მოვლენები განსაკუთრებით ინტენსიურადაა განვითარებული და იგი ამ მხრივ უახლოვდება ნესტიან ტროპიკების კარსტულ რაიონებსო. აღსანიშნავია კ. რაქვიანაშვილის გამოკვლევა რაჭის ქედის კარსტზე [1503].

ლ. მარუაშვილი იძლევა ზემო იმერეთის კარსტის დახასიათებას და არკვევს მის ადგილს თანამედროვე რელიეფის განვითარებაში [1026, 1030].

ლ. მარუაშვილი, ზ. ტინტილოზოვი და გ. ჩანგაშვილი აქვეყნებენ ნაშრომს არბიკის მასივის კარსტისა და ძველი გაყინვარების შესახებ [205—206]; ზ. ტინტილოზოვი, გ. ჩანგაშვილი და არს. ოქროჯანაშვილი 1965 წელს იძლევიან ამავე კარსტული მასივის კარსტოლოგიურ, განსაკუთრებით კი სპელეოლოგიურ დახასიათებას [340]. ლ. აკსიონოვმა შეისწავლა კოდორის ქედის კარსტი [532].

შ. ყიფიანი რამდენიმე ნაშრომს აქვეყნებს საქართველოს კარსტულ მასივების გეომორფოლოგიურ ლანდშაფტების დახასიათებაზე. ამ ნაშრომებში მოცემულია გაგრის, ბზიფის, წებელდის, კოდორის, ასხის, ლეჩხუმისა და ზემო იმერეთის, უმთავრესად საშუალო და მაღალმთიანი კარსტული ტერიტორიების გეომორფოლოგიური ლანდშაფტების დახასიათებანი ([387—391, 396, 398—402] და სხვ.). ამ ნაშრომებში ნაჩვენებია თითოეული კარსტული რაიონის რელიეფის საერთო ხასიათი, მათი გეომორფოლოგიური შესწავლილობა, კარსტის განვითარების პირობები, კარსტული ფორმები და ტიპები, მათი გავრცელების რაიონები, კარსტული რელიეფის განვითარება მხარის გეომორფოლოგიური ისტორიის ფონზე, ნაწილობრივ ამ რაიონების ათვისების პერსპექტივები და სხვ.



რიხვის კარსტული რაიონის შრატული ველები, დოლინები, უვალეზი, პოლოე და სხვ. მოკლედ დახასიათებული აქვს დ. ტაბიძეს [1246].

ვ. ჯიშკარიანიმა ფრანგი კარსტოლოგის ე. კორბელის ფორმულის მიხედვით გამოიანგარიშა კარსტული დენუდაციის სიჩქარე მდ. წაჩხურის აუზისათვის [772].

აფხაზეთის კარსტის გეომორფოლოგიის შესახებ ზოგიერთი მცირე, მაგრამ საინტერესო მონაცემები მოპყავს ყირიმელ კარსტოლოგს ბ. ივანოვს; იგი აგრეთვე სახავეს კარსტის შესწავლის მორიგ ამოცანებს [826—828]. ვ. ვილენკინი კარსტული მოვლენების გავრცელებას აღნიშნავს სამხრეთ ოსეთსა და თრუსოს ხეობაში [623].

საქართველოს კარსტის ზედაპირულ ფორმებზე საინტერესო მონაცემები მოიპოვება სხვა მკვლევართა ნაშრომებშიც; მაგალითად, ქ. ყუბრიშვილის შრომაში რიწის ტბის ქვაბულის კარსტზე და თვით ქვაბულის წარმოშობაზე [1455], გ. ჩანგაშვილის სტატიაში ჰელიაღელის ტბის ქვაბულის (ქვემო რაქა) გენეზისზე [431], თ. ჩხეიძის სტატიაში — თანამედროვე კარსტულ პროცესებზე რიონ-ცხენისწყლის მდინარეთაშუეთში [442], რ. ვობეჯიშვილის და ლ. ჟღენტის სტატიაში ქვედრულას (ქვედის) ტბის ქვაბულზე [66, 246, 802]. აღსანიშნავია აგრეთვე ი. აფხაზავას ნარკვევი კავკასიონის სამხრეთ ფერდობის ტბების, მათ შორის კარსტული ტბების და მათი გენეტური ტიპების შესახებ [11—12, 1379].

კარსტული ფორმების კვლევაში ყოველთვის უპირატესი ადგილი მიწისქვეშა ფორმებს ეკუთვნოდა. ამ მხრივ უკანასკნელი წლებიც გამონაკლის არ წარმოადგენს. ამასთან, კარსტოლოგიური კვლევის გაღრმავების გამო საქართველოს მიწისქვეშა სიღრუეებზე მრავალი მნიშვნელოვანი გამოკვლევა გამოქვეყნდა. ეს გამოკვლევები უმეტესად ქართველ სპელეოლოგებს ეკუთვნის.

დიდი და ნაყოფიერი მუშაობა ჩატარდა გაგრის მაღალმთის კარსტული რაიონის სპელეოლოგიის შესწავლისათვის. გამოქვეყნებულ ნაშრომებიდან ყურადღებას იპყრობს თ. კიკნაძის გამოკვლევები, რომელშიც გაშუქებულია არბიკის მასივის თავისებურებანი, კარსტული სიღრუეების განვითარების კანონზომიერებანი კირქვებში ამ მასივის მაგალითზე, კარსტის განვითარების ჰიდროგეოლოგიური თავისებურებანი და სხვ. [153—158, 876—882, 1456—1460]. თ. კიკნაძემ პოლონელ სპელეოლოგ მ. პულინასთან ერთად შეისწავლა გიუზულეს კარსტული უფსკრულის განვითარების კანონზომიერებანიც [883]. ლ. მარუაშვილი, ზ. ტინტილოზოვი და გ. ჩანგაშვილი 1961 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ახასიათებენ არბიკის კირქვეული მასივის სპელეოლოგიას [205]. იგივე მკვლევარები 1962 წელს არკვევენ ამავე მასივის კარსტისა და ძველი გაყინვარების საკითხებს [206]. ზ. ტინტილოზოვს, გ. ჩანგაშვილსა და არს. ოქროჯანაშვილს ეკუთვნით ნაშრომი არბიკის მასივის კარსტულ-სპელეოლოგიურ თავისებურებებზე [340]. ზ. ტინტილოზოვი 1969 წელს აქვეყნებს სტატიას არბიკის კარსტული მასივის პერიფერიულ ნაწილზე სპელეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ პირობებზე [338].

რამდენიმე გამოკვლევა გამოქვეყნდა გუმისხის მასივისა და მიმდებარე დაბალმთიანი კარსტის შესახებ. მაგალითად, ზ. ტინტილოზოვის ნაშრომები გუ-

მიშხის და ახალ ათონის მიდამოებში განვითარებულ გამოქვაბულებზე, განსაკუთრებით ივერიის ცნობილ უფსკრულზე [325, 330—332, 335—337, 1258, 1261—1263, 1523]. შ. ყიფიანის სტატიაში გაშუქებულია ახალი ათონის მიდამოების კარსტული მიწისქვეშა ფორმების გენეზისი [404]. ამ სტატიაში მოცემულია ცდა პორიზონტალური გამოქვაბულების კორელაციისა მდინარეულ და ზღვიერ ტერასებთან; აღსანიშნავია აგრეთვე ზ. აძინბას სტატია აფხაზ სპელეოლოგთა უფსკრულზე [530], არს. ოქროჯანაშვილს — მანიკეარის აუზის გამოქვაბულებზე [242] და სხვ.

გუმისთის, კელასურისა და კოდორის აუზებში მიმდინარეობდა სპელეოლოგიური გამოკვლევები. მათ შორის აღსანიშნავია ნ. გეოზდევცის სტატია აძინბასის გამოქვაბულის შესახებ [686], დ. ტაბიძის სპელეოლოგიური გამოკვლევები წებელდის მიდამოებში [299—304, 1243—1245]; ზ. ტინტილოზოვის სტატიები დასავლეთ და აღმოსავლეთ გუმისთის აუზების გამოქვაბულებზე [318, 320, 323]; შ. ყიფიანის—გუმისთა-კელასურის წყალგამყოფის გამოქვაბულების წარმოშობის პირობებზე, აგრეთვე წებელდის მიდამოების გამოქვაბულებზე [395—399]; შ. ყიფიანისა და ზ. ტინტილოზოვის წებელდის მიდამოებისა და კელასურის მდინარისქვეშა კარსტულ გამოქვაბულებზე [420, 890]; ამ უკანასკნელის შესახებ ზოგიერთი ცნობები მოიპოვება ბ. გერგედავას ნარკვევშიც [37]; აღსანიშნავია აგრეთვე ბ. სოლოვიოვის გამოკვლევები მიწისქვეშა ამტყელის გამოქვაბულისა და გამჭოლ გამოქვაბულზე მდ. ამტყელის ხეობაში [1196—1197].

ე. მილიანოვსკის ზოგიერთი ახალი მასალა მოჰყავს აბრსკილისა და ოტაპისთავის გამოქვაბულებზე [1081—1082]. საინტერესოა აგრეთვე კ. მგელაძისა და ვ. ზუხბაიას სტატია აბრსკილის გამოქვაბულზე [213]; შ. ყიფიანისა და ზ. ტინტილოზოვის ოხაჩქუეს მასივის კარსტულ კებზე [419]. შ. ყიფიანს ზოგიერთი გეომორფოლოგიური ცნობები მოყვანილი აქვს კოდორის ქედის და მათ შორის ოხაჩქუეს მასივის კებზე და აბრსკილის გამოქვაბულზე [400]; საინტერესოა მ. ჯორინას მონაცემებიც აბრსკილის გამოქვაბულზე ([892], გვ. 72). ამ გამოქვაბულის შესახებ არსებული ლეგენდა მოყვანილი აქვს შ. გოგატაშვილს თავის სტატიაში [70].

1964 წელს ლ. მარუაშვილმა გამოაქვეყნა სტატია სპელეოლოგიურად მანამდე უცნობ მინგარიის კირქვიან მასივზე გავრცელებულ უფსკრულების შესახებ [198].

რამდენიმე სტატია გამოქვეყნდა სამეგრელოს (ოდისის) ბარის ნაწილის კირქვებით აგებულ გამოქვაბულებზე; მაგალითად, ბ. გერგედავას მიერ — ურთის გამოქვაბულზე [40], გ. დევედარიანსა და დ. დვლის — კორწყუეს გამოქვაბულზე [54], ლ. მარუაშვილის ოდიშის სპელეოლოგიაზე [194] და სხვ. ასხის მასივის სამხრეთ ნაწილის გამოქვაბულების დახასიათებისადმი მიძღვნილი ტრაგიკულად დაღუპულ სპელეოლოგის არს. ოქროჯანაშვილის ([424]; იხ. აგრეთვე: [423] გვ. 253) სტატიები [240—241, 243]; აღწერილ გამოქვაბულთა დიდი უმეტესობა თვით არს. ოქროჯანაშვილის მიერ არის აღმოჩენილი და პირადად შესწავლილი. აღსანიშნავია აგრეთვე ქ. სალინაძის და ვ. გაბელაშვილის სტატიები ასხის მასივის ფლატეზე განვითარებულ ბელელას გამოქვაბულის შესახებ [269] და სოფ. ძეძელეთისა და გელავერის მიდამოების გამოქვაბულებზე [29].

ამ ბოლო დროს ასხის კირქვული პლატოს სპელეოლოგიური შესწავლით

დაინტერესდა ახალგაზრდა სპელეოლოგი ვ. ჯიშკარიანი, რომელმაც რამდენიმე სტატიაც გამოაქვეყნა [512—513, 772—774].

ზეამლის მასივის გამოქვაბულების შესახებ სათანადო მონაცემები მოიპოვება ლ. მარუაშვილის [190, 195, 197] და შ. ყიფიანის [401—402] ნაშრომებშიც.

შ. ყიფიანისა და ვ. ჯიშკარიანის მიერ შესწავლილ იქნა ცხრაჯვარის გამოქვაბულები, რომლებიც მდებარეობს რაჭის ქედზე ნაქერალის გადასასვლელის დასავლეთით [426].

ზემო იმერეთის პლატო ძველთაგანვე ცნობილია კარსტული გამოქვაბულების ფართო ვავრცელებით, ამიტომ ბუნებრივია ამ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა ამ მხარისადმი მიძღვნილი ნაშრომებიც; მაგალითად, ზ. ტინტილოზოვის სტატიები [310, 322, 324]; ამ სტატიებში დახასიათებულია ზემო იმერეთის კარსტული პლატოს გამოქვაბულების შესწავლის ისტორია, მათი განვითარების პირობები, გამოქვაბულთა ზოგადი თავისებურებანი და განვითარება ზემო იმერეთის რელიეფის ისტორიის ფონზე, ამასთან გარკვეულია მათი ასაკიც. ზემო იმერეთის მალლობის გამოქვაბულთა შესახებ ზოგიერთი მონაცემები მოჰყავს შ. ყიფიანსაც [39C]. 1957 და 1961 წლებში დ. დვალმა იმერეთის კარსტული გამოქვაბულების გეოგრაფიული განლაგების კანონზომიერება დასახა და მათი მოკლე დახასიათება მოგვცა [95—96]; დახასიათებულია კოზმანის გამოქვაბულიც შ. ყიფიანისა და ვ. ჯიშკარიანის მიერ [425].

ამ ბოლო წლებში ოკრიბის (ქვემო იმერეთის) ტერიტორიაზე ვავრცელებული კარსტული გამოქვაბულებიც იქნა შესწავლილი. ამ საკითხზე გამოქვეყნებულ ზრომათა შორის აღსანიშნავია შემდეგი: ს. ნუშანიშვილის—მათხოჯის კარსტული გამოქვაბულის შესახებ [228], ი. სალინაძის — ქუთაისის მიდამოების გამოქვაბულებზე [266—267, 1163]. შ. ყიფიანისა და ზ. ტინტილოზოვის ქუთაისი-ნავენახევისა და სათაფლია-წყალტუბოს მიდამოების კარსტულ გამოქვაბულთა დახასიათებაზე [421—422], აგრეთვე ლ. მარუაშვილის სტატიები ცუცხვითს (მალარა! — შ. ყ.) მრავალსართულიან გამოქვაბულთა კომპლექსზე [200, 1034, 1035, 1037, 1039, 1042, 1045, 1048]. ამ სტატიებში ვარკვეულია აღნიშნულ გამოქვაბულების შესწავლილობა, მათი განვითარების ხელშემწყობი პირობები, გამოქვაბულების მორფოგრაფია-მორფომეტრია და მათი გენეზისი საკვლევი მხარის რელიეფის განვითარების ფონზე; ამასთან შ. ყიფიანის მიერ მოხდენილია ამ გამოქვაბულთა კორელაცია მდინარეულ ტერაქებთან [421—422]. ქუთაისის მიდამოების კარსტულ მიწისქვეშა ფორმების (სათაფლია, მალარა) შესახებ საინტერესო ცნობებია მოყვანილი დ. წერეთელის მიერ შედგენილ მეგზურში [1305].

უკანასკნელ წლებში ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორიის თანამშრომლები სწავლობდნენ სამხრეთ ოსეთის კარსტსაც, რომლის შედეგები გამოქვეყნდა ზ. ტინტილოზოვის, ვ. ჯიშკარიანის, დ. სიმონიშვილისა და შ. ყიფიანის მიერ [339, 891].

აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ დროს ქცია-ხრამის აუზის ვულკანურ ქანებში განვითარებულ გამოქვაბულების შესწავლასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სტატიებში მითითებულია კარსტული მოვლენების განვითარება ამ ქანების კირიან სახესხვაობებშიც; ეს საკითხები გაშუქებულია კ. ჭავჭავაძის, თ. ავალიანის [3, 489—490, 1418—1420] და სხვათა ნაშრომებში.

საქართველოს კარსტული გამოქვაბულების შესახებ ზოგიერთი მონაცემები მოიპოვება განმარტებულ ნაშრომებში (იხ. მაგალითად: [417—418, 689, 691, 1255, 1259, 1320, 1519] და სხვ.). ზოგიერთ ახალ მასალას იძლევა ზ. ტინტილოზოვი დასავლეთ საქართველოს გამოქვაბულების შესახებ [313] და სხვ. საბჭოთა კავშირის უგრძეს გამოქვაბულთა სტრატეგრაფიულ გავრცელებასა და მიძღვნილ სტატიაში გ. მაქსიმოვიჩი მოიხსენიებს საქართველოს რამდენიმე გამოქვაბულს ([996], გვ. 35—36). აღსანიშნავია შ. ყიფიანის, ზ. ტინტილოზოვის, არს. ოქროჯანაშვილისა და გ. ჯიშკარიანის მიერ შედგენილი საქართველოს კარსტულ მღვიმეთა კატასტრი, რომელშიც შეჯამებულია ძირითადი მონაცემები მათ შესახებ ([423]; იხ. აგრეთვე: [887]).

სხვა გამოქვაბულებთან ერთად ამ ბოლო წლებში სწავლობდნენ ყინულიან გამოქვაბულებსაც ანუ საყინულეებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია არბიკის კირქვიან მასივზე ჩატარებული გამოკვლევები. თ. კიენაძემ გამოქვაბულის ყინულის წარმოშობის საკითხს ვახუშტი ბაგრატიონის უფსკრულსათვის სპეციალური სტატია უძღვნა [876]. ამავე მასივის ყინულიან გამოქვაბულს შესახებ საინტერესო მონაცემები მოიპოვება ლ. მარუაშვილის, ზ. ტინტილოზოვისა და გ. ჩანგაშვილის, აგრეთვე ზ. ტინტილოზოვის, გ. ჩანგაშვილისა და ა. ოქროჯანაშვილის სტატიებში [205—206, 340].

ობაჩქუეს მასივზე ამავე სახელწოდების კა-საყინულის შესახებ პირველი ცნობა მოპყვას შ. ყიფიანსა და ზ. ტინტილოზოს ([419], გვ. 74—75).

ხვამლის მასივზე ბოგის კა-საყინულე აღწერა ლ. მარუაშვილმა [190].

გ. ჩანგაშვილი ქვემო რაჭის გეომორფოლოგიურ დახასიათებისას მოიხსენიებს ნიკორწმინდისა და სხვაგვარის საყინულეებსაც ([432], გვ. 47—48). სხვაგვარის საყინულის დეტალურ დახასიათებას იძლევა პ. ფირფილაშვილი [349]: ამასთან აშუქებს ყინულის წარმოშობის ხელშეწყობა პირობებსაც.

კ. რაჭვიაშვილი საქართველოს ყინულიანი გამოქვაბულების შესწავლის საკურობისა და ამასთან დაკავშირებით დასმულ საკითხებს სპეციალურ სტატიას უძღვნის [1141, 1502]; კ. რაჭვიაშვილი ყინულიანი გამოქვაბულებს შორის გამოყოფს რამდენიმე ტიპს.

საქართველოში გავრცელებულ კარსტულ ყინულიან გამოქვაბულებზე ზოგიერთი ცნობები მოიპოვება გამოქვაბულთა კატასტრში [423], ნ. გვოზდეცის შრომებში [702, 1446], აგრეთვე შ. ყიფიანის მოხსენებათა თეზისებში [414].

საქართველოს კარსტული გამოქვაბულების გაღრმავებული შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ისინი შემკულნი არიან შესანიშნავი სანახაობის, ზოგჯერ მეტად ორიგინალური ნაღებებით. ცხადია, რომ მათი ყურადღების გარეშე დატოვება არ შეიძლება. სუბტერალური ნაღებების შესწავლით დაინტერესდა სპელეოლოგი ზ. ტინტილოზოვი, რომელმაც ამ საკითხს რამდენიმე სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა, ამავე საკითხზე იგი ჩერდება ამა თუ იმ გამოქვაბულის სპელეოლოგიური დახასიათების დროსაც ([316—317, 319, 321, 327, 331—332, 1257, 1522] და სხვ.) საქართველოს კარსტულ გამოქვაბულთა სუბტერალურ ნაღებებს შორის აღნიშნული მკვლევარი გამოყოფს შემდეგ გენეტიურ ტიპებს: 1) ჭეშოვანურ (სტალაქტიტები, სტალაგმიტები, ჰელექტიტები და ანტილიტები და ა. შ.), 2) აქვალურ მექანიკურ (ალუვიალური ნიჟინები, ტბიური ნაღებები, კოლმატაციური ნაღებები), 3) ჭერის, ნაწილობრივ კი კედლების ჩამოქცევის, 4) ორგანოგენული და ანთროპოგენული, 5) კალციტური

ფკელიისა და ნ) თოვლ-ყინულიან (მაღალმთიან მხარეთა გამოქვაბულებში) ნალექებს; ამასთან იგი აღნიშნავს მათ გავრცელების ადგილებსა და წარმოშობის პირობებს ([1257] და სხვ.).

სუბტერალური ნალექების შესწავლას აწარმოებს აგრეთვე ქართველი სპელეოლოგი თ. კიკნაძე ([881; 882], გვ. 171—189). სუბტერალური ნალექების შესახებ სათანადო ცნობები მოიპოვება სხვა მკვლევართა ნაშრომებშიც, მათ შორის საქართველოს კარსტულ გამოქვაბულთა კადასტრში [423] და სხვ.

საქართველოს კარსტული რაიონების სპელეოლოგიურ თუ საერთო კარსტოლოგიურ დახასიათებასთან დაკავშირებით შედგენილ იქნა ამ რაიონების გამოქვაბულთა გავრცელების რუკებიც (იხ. მაგალითად: [241, 243, 310, 320, 329, 390, 402, 419—420] და სხვ.); ასეთი რუკები შედგენილ იქნა მთლიანად საქართველოს ტერიტორიისათვისაც [409, 418].

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს მიწისქვეშა კარსტული ფორმების გარღვევებულმა შესწავლამ, რასაც ძირითადად ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორია აწარმოებს, შესაძლებლობა მისცა ზ. ტინტილოზოვს მოეხდინა მთიანი მხარეების კარსტულ გამოქვაბულთა ახალი კლასიფიკაცია ჰიდროდინამიკური ზონების მიხედვით, აგრეთვე გამოერყვია ჰიფსომეტრიული და ტოპოგრაფიული ფაქტორების როლი ამავე მხარეების გამოქვაბულთა წარმოშობაში საქართველოს კარსტულ მასივების მაგალითზე [1264—1268] და შეესწავლა კარსტულ გამოქვაბულთა ფორმირების საკითხი [1264—1273, 1524—1525]. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს კარსტულ მიწისქვეშა სიღრუების ზაზით უკანასკნელ წლებში ჩატარებული კვლევა-ძიება ზ. ტინტილოზოვმა მონოგრაფიულად შეაჯამა [1272]. ზ. ტინტილოზოვმა და თ. ჯიშკარიანმა შეადგინეს ლეგენდა მიწისქვეშა-სიღრუეთა მსხვილმასშტაბიან გეგმებისა და კრილებისათვის [1275].

კარსტის ზოგად თეორიულ საკითხებს საქართველოს მაგალითზე მთელი რიგი გამოკვლევა უძღვნა ლ. მარუაშვილმა; ამ მკვლევარმა მოახდინა კარსტულ გამოქვაბულთა თავისებურებების მორფოლოგიური ანალიზი უმთავრესად დასავლეთ საქართველოს მაგალითზე [204, 1033, 1036—1037, 1040, 1043, 1046—1047, 1491], გამოყო კარსტული სფერო და გაარკვია მისი დამოკიდებულება სხვა გეოსფეროებთან და სხვ. [203, 1038, 1041, 1050].

აღსანიშნავია აგრეთვე ბ. გერგელაძის გამოკვლევა კონდენსაციური და ინფილტრაციული წყლების როლის შესახებ კარსტულ გამოქვაბულების წარმოშობაში საქართველოს მაგალითზე [721].

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ საქართველოს კარსტული გამოქვაბულების შესწავლა იმდენად წინ წავიდა, რომ მათ შესახებ სათანადო მონაცემები შეტანილ იქნა მსოფლიოს უდიდეს გამოქვაბულთა სიაშიც ([315, 380, 695, 993, 996, 1483] და სხვ.).

საქართველოს კარსტულ გამოქვაბულებზე საინტერესო და ნაწილობრივ ახალი ცნობები აქვს მოყვანილი გ. მაქსიმოვიჩს, ვ. ღუბლიანსკისა და ვ. ილიუხინს, აგრეთვე ა. ჩიკიშევს [791, 999—1000, 1331].

კლასტოკარსტული (სუფოზურ-კარსტული) და  
სუფოზური მოვლენების კვლევა

კოლხეთის ბარის ტერიტორიაზე — აფხაზეთისა და სამეგრელოს ფარგლებში, ამ ოცდაათიოდე წლის წინათ აღმოჩენილ და ნაწილობრივ შესწავლილ იქნა კარსტული მოვლენები კირჩქვის კონგლომერატებში. ეს მოვლენები, როგორც ცნობილია, სამეცნიერო ლიტერატურაში მისი რამდენიმე განსხვავებული გამოვლინების გამო კლასტოკარსტულად არის წოდებული. ცხადია, რომ საქართველოში ახლად აღმოჩენილ კლასტოკარსტის შესწავლა შემდგომ წლებშიც გაგრძელდებოდა, და მართლაც 1958 წლის შემდეგ ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ნ. გვოზდევცის, ნ. მათურელის, ლ. მარუაშვილის, ზ. ტინტილოზოვის, კ. მგელაძის, ბ. გერგედავას და სხვ. ნაშრომები.

ნ. მათურელი 1958 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში არკვევს კლასტოკარსტის ზოგიერთ თავისებურებებს აფხაზეთსა და სამეგრელოს მაგალითზე [179]. ნ. გვოზდევცი 1959 წელს აფხაზეთის ორ გამოქვაბულს შორის ქვედა მეოთხეულ კირჩქვის კონგლომერატებში განვითარებულ ავიმჩილრის სტალაქტიტებით შემკულ გამოქვაბულის დახასიათებაზეც ჩერდება; ამ დახასიათებას იგი ურთავს გამოქვაბულის გეგმასაც. ამასთან ერთად იგი იძლევა თვით დურიფშის პლატოს კლასტოკარსტულ ზედაპირულ ფორმების მოკლე დახასიათებასაც. ([686], გვ. 121—127).

ბ. გერგედავა აქვეყნებს ნაშრომებს სამეგრელოს (გარახის, კორცხელის, ლეწურწუმეს, მახანდარის, მაჩხაპეს, ნაზოდელავოს, ნოღას, საგუნოს, სავეკუოს, საწულთსკიროს, ტარშიის, ჩეკის, წაქვინჯისა და ჯიხაშკარის) და დურიფშის პლატოს კლასტოკარსტულ (ზემო ლიხნის, ქვემო ლიხნის გამჭოლ, კურკურის გამჭოლ, დურიფშის დაბრილ, ტარგელის დაბულ და ზიფსთის დაბულ) გამოქვაბულების შესახებ [40—41, 43, 46—47, 49, 719]. აღსანიშნავია, რომ დასახლებულ გამოქვაბულთა შორის რამდენიმე ბ. გერგედავამ აღმოაჩინა და აღწერა, ხოლო დანარჩენების მიმართ არსებული წარმოდგენები იქნა დაზუსტებული და შეესებულო; ასე, მაგალითად, ნაზოდელავოს გამოქვაბულს საქართველოსა და თვით კავკასიის უგრძეს გამოქვაბულთა შორის თვლიდნენ 2 კმ-მდე ჭაბური სიგრძით ([189], გვ. 15; [197], გვ. 12; იხ. აგრეთვე: [43], გვ. 76 და სხვ.); ამასთან ამ გამოქვაბულს დასავლეთ ევროპისა და თვით მსოფლიოს უდიდეს კლასტოკარსტულ გამოქვაბულადაც კი მიიჩნევდნენ ([195], გვ. 13; [674], გვ. 58; [678], გვ. 99 და სხვ.). მაგრამ აღმოჩნდა ჭერ ერთი, რომ მისი ჭაბური სიგრძე 600 მ არ სჭარბობს (ბ. გერგედავა, ნაზოდელავოს გამოქვაბული. ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები: იხ. აგრეთვე: [423], გვ. 228) და, მეორე ისიც, რომ მისი ჭაბური სიგრძე სწორი რომ აღმოჩენილიყო, მაინც იგი არ იქნებოდა მსოფლიოს კი არა, საბჭოთა კავშირის კლასტოკარსტული უგრძესი გამოქვაბული; საბჭოთა კავშირის უგრძეს კლასტოკარსტულ გამოქვაბულს მ. დობროვოლსკისა და გ. მაქსიმოვიჩის მონაცემებით ქვედა კამბრიულ კონგლომერატებში განვითარებული ბაჭეთის გამოქვაბული წარმოადგენს, რომლის შესწავლილი ნაწილის სიგრძე 3 კმ შეადგენს ([778], გვ. 41—42; [996], გვ. 35—36). ბ. გერგედავას მუშაობა ოდიშის კარსტულ და კლასტოკარსტულ გამოქვაბულთა შესწავლის ხაზით დაგვირგვინდა, ამ გამოქვაბულთა ბუნებრივი პირობების კომპლექსური დახასიათების ცდით [49, 719].

ზ. ტინტილოზოვი 1964—1965 წლებში აქვეყნებს სტატიებს დურიფშის პლატოს სპელეოლოგიის შესახებ [327, 329]; ამ ნაშრომებში მოცემულია ტარკილის, დურიფშის, ზემო და ქვემო ლიხნის, აჯიმილარის, ტვანაარხუს, ხიფს-თისა და აგუმეის გამოქვაბულების დახასიათება; ამასთან აღსანიშნავია, რომ ამ შრომებში საკმაოდ დაწვრილებით პირველად არის მოცემული ამ გამოქვაბულების სუბტერალური ნალექების დახასიათება. ზ. ტინტილოზოვის აზრით დურიფშის პლატოს კარსტი არ შეიძლება ჩაითვალოს კლასტოკარსტად, არამედ იგი წარმოადგენს კირქვის (ანუ ქვშმარიტი) კარსტის განსაკუთრებულ ქვეტიპს. აღსანიშნავია აგრეთვე ა. კნორინას მონაცემები აჯიმილარას კლასტოკარსტულ გამოქვაბულზე ([892], გვ. 72—74).

ლ. მარუაშვილი 1961 და 1963 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში იძლევა ოდიშის ზედამესამეულ ნგრეულ ქანებში გამოუმუშავებულ გამოქვაბულისა და თვით კლასტოკარსტული ზონის დახასიათებას [194—197]. იგივე მკვლევარს საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში მოჰყავს სათანადო ცნობები კლასტოკარსტის გავრცელების შესახებ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში [199].

კ. მგელაძეს ეკუთვნის მოქვა-ლალიძგის წყალგამყოფზე, სოფ. ჭალის მდამოებში პლიოცენურ კონგლომერატებს შორის განვითარებული კლასტოკარსტული მოვლენების მიკვლევა და შესწავლა, კერძოდ ამ მოვლენების დამახასიათებელი გამოქვაბულებისა. ამის შესახებ მან 1964 და 1966 წლებში გამოაქვეყნა სათანადო ნაშრომები [211, 1066]<sup>16</sup>. კ. მგელაძეს მიხედვით „ჭალის კლასტოკარსტი რელიეფის ზედაპირულ და მიწისქვეშა კარსტული ფორმების თავისებური შეფარდებით, არსებითად განსხვავდება როგორც დურიფშის პლატოსაგან, ასევე ცენტრალური ოდიშისაგან (სამეგრელო) და წარმოადგენს კარსტულ-სუფოზიურ მოვლენათა თავისებურ კარგ მაგალითს, რომლებიც ქვიშაქვა-თიხოვან ნალექებს და კირქველ კონგლომერატებში მიმდინარეობენ“ [211]. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მკვლევარის მიერ მოცემული დახასიათების მიხედვით ჭალის, აგრეთვე ჩვენი დაკვირვებით, კლასტოკარსტი არსებით მსგავსებას იჩენს, დურიფშის პლატოსთან და, მაშასადამე არ არსებობს საფუძველი ზემოაღნიშნულ მტკიცებინათვის. აქვე აღვნიშნავთ, რომ ნ. ასტახოვს ჭერ კოდევ 1961 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში აღნიშნული აქვს, რომ მდ. ოტაპის მარცხენა მხარეზე მდ. გაგვიკვარის ხეობის ფლატეს ამგებელ კიმერულ კირქვიან კონგლომერატებში განვითარებულია კარსტული მოვლენები, მაგალითად ქვაჯიხაბაუს გამოქვაბულის სახით ([552], გვ. 21).

შ. ყიფიანსა და ზ. ტინტილოზოვს 1961 წელს გამოქვეყნებულ სტატიამი აღწერილი აქვთ წებელდის მდამოებში არსებული ოქტომბრის გამოქვაბული, რომელიც კირქვის დელუვიონშია გამოუმუშავებული ([420], გვ. 91—92). შ. ყიფიანსაც მოჰყავს ზოგიერთი ცნობა ასეთ გამოქვაბულებზე, ამასთან ცალკე გამოყოფს წინამთების, ბარის, ნაკლებად აზეცებად, კირქვიან კონგლომერატებში განვითარებულ კლასტოკარსტს, რომელიც თხელი და უმთავრესად დაფარულ ტიპს მიეკუთვნება და გავრცელებას პოულობს დურიფშის პლატო-

<sup>16</sup> სამართლიანობა მოითხოვს აქვე აღვნიშნოთ, რომ პირველი ცნობა ჭალის კლასტოკარსტული გამოქვაბულის შესახებ მოიპოვება შ. ივამჩენკოს ხელნაწერ ნაშრომში (იხ. გვ. 74), რაც, რა თქმა უნდა, კ. მგელაძისათვის ცნობილი არ იქნებოდა.

ზე. ოთხარას, ქალის და წებელდის მიდამოებში და სამეგრელოში [393, 396, 407, 409, 886—888, 1461, 1463].

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1925 წელს ალ. ჯანელიძემ გამოთქვა აზრი, რომ თბილისის მიდამოებში გავრცელებულ მლაშე ტბების ქვაბურები წარმოშობილია ზედა ეოცენიდან ოლიგოცენურში გარდამავალ ნალექებიდან თაბაშირის გამოტუტვის შედეგად [495]. ამავე აზრისაა ივ. კახაძე და ვ. რევიანა (იხ.: ივ. კახაძე და ვ. რევიანა. თბილისის მიდამოების ტბები და დახშული დეპრესიები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1949). ამავე მიმართულებით გამოკვლევები ჩაატარა ვ. ალფაიძემ, რომელმაც 1965 წელს გამოაქვეყნა სტატია სუფოზიის როლის შესახებ თბილისის მიდამოების ტბურ ქვაბულთა გენეზისში [4]. ეს მკვლევარი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მათი დეპრესიები სუფოზიის გზით არიან წარმოშობილნი. მისი აზრით ეს დასტურდება შემდეგით: 1) ტბათა ქვაბურების გავრცელება უდავოდ დაკავშირებულია თაბაშირით მდიდარ მიკოპურ ფაციესის ნალექებთან, 2) ტბათა ქვაბულები გაჩენილა ძველ ნამდინარეებში, სადაც წყლის დაგროვებისა და ინფილტრაციის პირობები არსებობს; 3) ტბების ახლოს გამოსული წყაროები გაზრდილი მინერალიზაციით ხასიათდებიან..., რაც ქანებში არსებულ თაბაშირისა და სხვა მარილების გახსნით უნდა იყოს გამოწვეული და 4) ტბების გავრცელების ადგილებში, ტექტონიკური აშლილობა ან სხვა რაიმე მიზეზები, რომელსაც შეეძლოს დეპრესიის გაჩენა, შემჩნეული არ არის (იქვე, გვ. 223—224). აღსანიშნავია აგრეთვე შ. გოგატიშვილის მითითება იმის შესახებ, რომ ამ უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში თბილისის ბოტანიკურ ბაღთან დამაკავშირებელ ხელოვნურ გვირაბში სტალაქტიტები წარმოიშვაო [71].

შირაქის პლატოზე გავრცელებულ სუფოზიური პროცესების შესწავლას მკენარეულ საფართან დაკავშირებით აწარმოებდა მ. ხაჩიძე [467].

## გ ე მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი მ ო ნ ა ც ე მ ე ბ ი ა რ ა კ ა რ ს ტ ო ლ ო გ ი უ რ შ რ ო მ ე ბ შ ი

საქართველოს კარსტის გეომორფოლოგიის შესახებ საინტერესო მონაცემები მოიპოვება არაკარსტოლოგიურ გამოკვლევებშიც. მათ შორის რამდენიმეზე შევჩერდებით.

საქართველოს ტერიტორიის ამა თუ იმ რეგიონის გეომორფოლოგიურ დახასიათებაში მეტ-ნაკლები ხისრულით გაშუქებულია აქ გავრცელებული კარსტული მოვლენებიც; მაგალითად, ნ. დუმიტრაშკო კავკასიის რელიეფშემქმნელ პროცესების დახასიათებისას ჩერდება კარსტულ მოვლენებზეც საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში, სამეგრელოში, ლეჩხუმსა და იმერეთში [795], ნ. ასტახოვი ჩრდილო-დასავლეთ იმერეთისა და ლეჩხუმის ნაწილში გავრცელებული კარსტული რელიეფის [551], აგრეთვე კოდორის ქედის კირქვიანი საშხრეთი ნაწილის, განსაკუთრებით, ოხაჩქუეს მასივის და კოლხეთის ბარის სამურზაყანოს ფარგლებში დახასიათებას იძლევა [552].

გ. დონდუა ჭეჭორა-ღარულის აუზების გეომორფოლოგიურ დახასიათებაში იძლევა აქ გავრცელებული კარსტისა და კარსტული პროცესების შესახებ საინტერესო მონაცემებს [101, 103]. ამასთან ეს მკვლევარი ცალკე გამოყოფს დაკარსტულ რელიეფის ლანდშაფტს.

ა. კოლბუტოვი დიდი ლიანვისა და ჭეჭორის ხეობის განვითარების ძირი-



თად ეტაპის დადგენისას საკმაოდ დაწვრილებით ჩერდება კუდარის გამოქვაბულის მორფოგრაფიაზეც [908—909].

ლ. მარუაშვილი კოდორის აუზის, სამეგრელოს, ლეჩხუმისა და ზემო იმერეთის მორფოლოგიის გარკვევისას ჩერდება ამავე რეგიონების კარსტის ზედაპირულ და მიწისქვეშა ფორმებისა და კომპლექსების დახასიათებაზეც [190, 193, 196, 1026].

ს. ნემანიშვილი ღუშალისა და მეჩხეთურის აუზების (ზემო იმერეთი), აგრეთვე ბზიფის ქედის სამხრეთ ფერდობისა და მიძღებარე შავი ზღვის სანაპიროს კვლევასა აქ გავრცელებულ კარსტულ ფენომენების დახასიათებასაც იძლევა [226—227, 1092].

დ. ტაბიძეს კოდორის აუზის გეომორფოლოგიურ დახასიათებაში საკმაოდ დაწვრილებით გაშუქებული აქვს წებელის მიდამოების კარსტიც [300, 303, 1243—1245].

ზ. ტინტილოზოვი მდ. ყვირილის აუზის ზემო ნაწილის მორფოლოგიის საკითხებს შორის კარსტზეც ჩერდება [309]. შ. გოგატიშვილი კაცხის სვეტის დახასიათებას იძლევა [69].

შ. ყიფიანი და გ. დონდუა აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის გეომორფოლოგიურ ნარკვევში აშუქებენ კარსტულ რელიეფსაც [416].

გ. ჩანგაშვილი კარსტული რელიეფის დახასიათებას იძლევა ქვემო რაჭის სამხრეთ ნაწილის, მდ. ბზიფის აუზის, ასხისა და ხეამლის მალღობების, ქვემო იმერეთისა და სამეგრელოს გეომორფოლოგიის ფონზე [432—234]; იგივე მკვლევარი საქართველოში გავრცელებულ თანამედროვე გეომორფოლოგიურ პროცესებს შორის გამოყოფს კარსტულსაც [435—436].

აღსანიშნავია დ. წერეთლის შრომაში მოყვანილი კარსტოლოგიური ცნობები კოლხეთის ბარის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის კარსტზე [453]. ქვემო რაჭის კარსტის დახასიათება საკმაოდ დეტალურად არის მოცემული ე. წერეთლის საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომში [455, 1306].

განსაკუთრებით აღსანიშნავია 1971 წელს გამოქვეყნებული კაპიტალური მონოგრაფია—საქართველოს გეომორფოლოგია, რომელშიც დახასიათებულია კარსტული რელიეფი როგორც გეომორფოლოგიური ლანდშაფტის შემადგენელი ნაწილი [717].

ბ. გერგელავას არბიკისა და ახალი ათონის კირკველი მასივების და ღურიფშის კირქვის კონგლომერატებით აგებულ პლატოს გამოქვაბულების მეტეოროლოგიური პირობების დახასიათებისას მოჰყავს მათი გეომორფოგრაფიულ-მორფომეტრიული მონაცემები [38, 45, 48].

გეომორფოლოგიური საინტერესო მონაცემები მოიპოვება ჰიდროლოგიურ ნაშრომებშიც, მაგალითად: გ. გიგინეიშვილის საკანდიდატო დისერტაციაში აფხაზეთისა და სამეგრელოს კარსტის შესახებ [725, 728]; ლ. ვლადიმეროვის სტატიაში შაორის ქვაბულის კარსტული მოვლენების შესახებ [638]; თ. კიკილაშვილის ნარკვევში ყვირილის აუზში გავრცელებულ კარსტის შესახებ [152] და სხვ.

საყურადღებო ფაქტიური მონაცემებია მოყვანილი საქართველოს მეცნარეული საფარის დახასიათებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში; მაგალითად, ა. კოლაკოვსკის ([905—907], ელ. და მ. სოხაძეების [274—276, 1207—1209, 1211—1217, 1219—1226] და სხვ.), ალ. ქუთათელაძის [362—366; 939]; მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ელენე და მოსე სოხაძეების ნაშრომე-

ბი, მიძღვნილი დასავლეთ საქართველოს კირქვიანი ზოლის მცენარეულ საფარზე კარსტული ღრმულების გავლენის შესახებ [271].

საქართველოს კარსტის თანამედროვე და ძველი სპელოფაუნის შესწავლისას მრავალი მკვლევარი იძლევა ამ ფაუნის თავშესაფარის — კარსტულ გამოქვაბულების მორფოგრაფია-მორფომეტრიაზე ზოგიერთ მონაცემებს; მაგალითად, ნ. ვერეშჩაგინი კუდაროს გამოქვაბულზე [620, 622], ს. ლიოვუშკინი დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ გამოქვაბულზე [951], ლ. სოლოვიოვი და ვ. ორელკინი წებელდის მიდამოებში გავრცელებულ ხუფინიფშახვას ეხზე [1205], ა. ჭანაშვილი და ა. ოქროჯანაშვილი ახალი ათონის მიდამოების სიღრუეებზე [493], ლ. გაბუნია, დ. თუშაბრაშიშვილი და ა. ვეკუა ჭრუჭულის გამოქვაბულზე [662] და სხვ.

საქართველოს კარსტზე სათანადო ცნობები მოიპოვება აგრეთვე ფიზიკურ-გეოგრაფიულ ([6, 35, 480, 553] და სხვ.) და გეოლოგიურ ნაშრომებში; მაგალითად, ი. სალინაძის წიგნში დახასიათებულია ქუთაისის მიდამოებში გავრცელებული კარსტული ფენომენები, კერძოდ კარსტული გამოქვაბულებიც ([266], იხ. აგრეთვე: [267]); საინტერესო მონაცემებია ი. ბუაჩიძისა და ვ. ჭუმბურიძის შრომებში [597, 1337]. ალ. ჭანელიძის მიერ შედგენილ ზოგად გეოლოგიის კურსში, რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელოს სტუდენტებისათვის, მიწისქვეშა წყლებისა და მათი მოქმედების დახასიათებას, კერძოდ კარსტულ მოვლენებზე სათანადო მაგალითები საქართველოდანაც არის მოყვანილი ([499], გვ. 178—179). გეოლოგიურ ექსკურსიების მეგზურში, რომელიც შედგენილია თბილისში საერთაშორისო კოლოქიუმის მოწვევასთან დაკავშირებით ევროპისა და მცირე აზიის ალპური დანაოჭების ტექტონიკის საკითხებზე, მოტანილია ცნობები სათაფლიის გამოქვაბულზე [1135].

ცნობილია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე პირველყოფილი ადამიანის მიერ საცხოვრებლად გამოყენებული იყო კარსტული გამოქვაბულებიც. ამ უკანასკნელ წლებში ასეთი გამოქვაბულების არქეოლოგიური შესწავლა განსაკუთრებით გაცხოველდა. ამ საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომებში დახასიათებულია თვით კარსტული გამოქვაბულებიც, განსაკუთრებით მათი წინა ნაწილი: მაგალითად ნ. ბერძენიშვილის [17—20, 571], აგრეთვე ამ მკვლევარისა და ი. გძელიშვილის მიერ ქვაპარისა და წყალწითელას გამოქვაბულები [572], ნ. ბერძენიშვილისა და გ. გრიგოლიას — აფხაზეთის გამოქვაბული, კერძოდ სვანთა სეანე მდ. ჭამთალის შესართავთან [21], ნ. ბერძენიშვილისა და ლ. წერეთლის [22], ი. ვორონოვის — აფხაზეთის გამოქვაბულები [656], გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება გ. ელიაშვილის ცნობებს სალინოსა და დოშაყეს გამოქვაბულებზე [106], მ. ნიორაძის — სამეგრელოს კლდის გამოქვაბულზე (ზემო იმერეთი) [232—234], გ. გრიგოლიას — წოდის გამოქვაბულზე [73—75], გ. გრიგოლიასა და ა. ვეკუას ამავე გამოქვაბულზე [76], გ. გრიგოლიას, გ. ფხაკაძის, მ. ბარამიძის და გ. ლორთქიფანიძის, — საგუნის, ბაღის, ჯორწყუს, ლესხულუხეს, ოქაჯეს და სხვ. გამოქვაბულებზე [77], გ. ხუბუტიას — გალის რაიონის გამოქვაბულებზე [469], დ. თუშაბრაშიშვილისა და გ. ჭაუაზიშვილის — გვარჯილასკლდისა და ჭრუჭულას გამოქვაბულებზე [124—132, 486], ალ. კალანაძის წონის გამოქვაბულზე [137—140, 853, 1453], ვ. ლიუბინის [966—968], აგრეთვე ამავე ავტორისა და ა. კოლბუტოვის მიერ — კუდაროს გამოქვაბულზე [969], ლ. სოლოვიოვის — აგცისა და ხუფინიფშახვის გამოქვაბულებზე [1200, 1203], მ. ფირცხალავას —

საშელეკლდის გამოქვაბულზე [350], ლ. წერეთლის — ქვაპარისა და იაშთხვის გამოქვაბულებზე [456—459], აგრეთვე ო. ბადერის შრომას [556] და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაშრომთა შორის ზოგიერთი პირველად წყაროს წარმოადგენს; მაგალითად, გ. გრიგოლის ნაშრომი წოფის გამოქვაბულზე [73—76] და სხვ. დასასრულ უნდა მოვიხსენიოთ ქართველი არქეოლოგების მიერ შედგენილი მონოგრაფია — „საქართველოს არქეოლოგია“ [8], რომელშიც საინტერესო მონაცემები მოიპოვება კარსტული გამოქვაბულების შესახებაც. ამ ხასიათის ნაშრომთა შორის მივეუთითებთ ლ. სოლოვიოვის მონოგრაფიაზეც [1204].

## კარსტის ასაკი

ბოლო წლებში საქართველოს კარსტული რელიეფის გაცხოველებულ კვლევასთან დაკავშირებით სხვა საკითხებთან ერთად, ბუნებრივია, მისი ასაკის საკითხიც იდგა მკვლევართა ყურადღების ცენტრში. მიუხედავად ამისა, იგი ჭერჭერობით მხოლოდ ზოგად ხაზებშია გადაწყვეტილი მხარის გეომორფოლოგიური განვითარების ისტორიის ფონზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კარსტული რელიეფისა და ფორმების ასაკის საკითხს რამდენიმე სპეციალური ნაშრომი ეძღვნება. ამასთან საქართველოს ცალკეული რეგიონების სპეციალური კარსტოლოგიური ან გეომორფოლოგიური და გეოლოგიური მიმართულებით წარმოებული კვლევა-ძიებისას, ეს საკითხიც არის დასმული და მეტ-ნაკლები სიზუსტით გადაწყვეტილი.

საქართველოს კარსტული რელიეფის ასაკის განსაზღვრისას მისი ზედა საზღვრის დადგენა გაცილებით ადვილია და ამაში დიდ დახმარებას გვიწევს კარსტულ გამოქვაბულთა შესახებ არსებული არქეოლოგიური და გამოქვაბულთა ნალექებში არსებული გადაშენებული ცხოველთა ძვლების შესწავლა (იხ. მაგალითად: [17—21, 113—116, 599—601, 603—605, 618, 656, 1312—1314, 1398] და სხვ.). გაცილებით ძნელია კარსტული რელიეფის ამა თუ იმ ფორმის ან ტიპის აბსოლუტური ასაკის ქვედა საზღვრის დადგენა; ამ მხრივ საქართველოს კარსტული რელიეფის მიმართ ბევრი რამ კიდევ ბურუსით არის მოსილი. ამ საკითხის გადაწყვეტა რთულდება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს კარსტული რელიეფი რთულ ტექტონიკურ პირობებში ყალიბდებოდა და ამასთან დაკავშირებით რელიეფიც ხასიათდება რთული განვითარების ისტორიით.

მიუხედავად აღნიშნულისა, უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით მოპოვებული მასალები ზოგად წარმოდგენას მაინც გვაძლევს საქართველოს კარსტული რელიეფის ასაკის ქვედა საზღვარზე. ჩვენ ამ ხასიათის მონაცემებს საქართველოს კარსტული ოლქის ცალკეულ რეგიონების მიხედვით მოვიყვანთ.

კავკასიონის კარსტული რელიეფის ასაკის საკითხს ლ. მარუაშვილმა 1963 წელს სპეციალური წერილი მიუძღვნა [1032]; წერილის დასკვნით ნაწილში ლ. მარუაშვილი იმ მოსაზრებას გამოთქვამს, რომ კავკასიონის სამხრეთ ფერდობის კარსტული ფორმების ძირითად ნაწილმა დასავლეთ საქართველოს ფარგლებში განვითარება დაიწყო შუა ან ზედა პლიოცენიდან და გრძელდებოდა მთელი პლეისტოცენის განმავლობაში; ამასთან ერთად ლ. მარუაშვილი უშვებს იმის შესაძლებლობასაც, რომ ამ ასაკის რელიეფთან ერთად კირქვი-

ნი ზოლის რელიეფში უნდა არსებობდეს უფრო ძველი კარსტული ფორმებიც, რომელთა განვითარება მიოცენის მიწურულსა და ქვედა პლიოცენიდან დაიწყო (იქვე, გვ. 906). კავკასიის ან საქართველოს კარსტის ასაკის საკითხზე ლ. მარუაშვილს აქვს გამოთქმული მოსაზრება აგრეთვე მეოთხეული პერიოდის პალეოგეოგრაფიის საკითხების გაშუქებისას [1028, 1031]. ნ. ასტახოვისა და ლ. მარუაშვილის მიერ შედგენილ საქართველოს რელიეფის გეოლოგიური ასაკის რუკაზე 1:2500000 მასშტაბში საშუალო და მაღალმთიანი კარსტული რაიონების რელიეფის ასაკი ისაზღვრება როგორც ოლიგოცენური, ოკრიბისა — ზედა მიოცენურად, ბარის კირქვის კარსტული რაიონების — შუა პლიოცენურად, ხოლო კლასტოკარსტული რაიონები — ზედაპლიოცენურად [7]. 1960 წელს გამოცემულ საბჭოთა კავშირის გეომორფოლოგიური რუკის მიხედვით 1:4000000 მასშტაბში [716] კავკასიონს სამხრეთ ფერდობზე, მათ შორის საქართველოს ფარგლებში წარმოდგენილი კარსტის განვითარება, ისე, როგორც საერთოდ რელიეფის ფორმების და ტიპების კონტინენტური განვითარების დასაწყისად და რელიეფის წარმოშობის ასაკს ზედა ნეოგენ-მეოთხეულ დროის მონაკვეთი შეადგენს.

ი. პასტუშენკო ძველი კარსტის არსებობას აღნიშნავს სოჭის ჰიდროგეოლოგიურ რაიონისათვის, მათ შორის გაგრის მიდამოებისათვისაც [111]. აღნიშნული მკვლევარი ღრმა ქაბურღილების მასალების დამუშავების შედეგად იმ დასკვნამდე მიდის, რომ ძველი კარსტის წარმოშობაში შემდეგი პერიოდები გამოიყოფა: 1) ტიტონის მიწურულისა და ვალანჯინურის დასაწყისის, 2) ბარემულის მიწურულისა და აბტურის დასაწყისის, 3) აბტურის მიწურულისა და ალბურის დასაწყისის, 4) პალეოცენის დასაწყისის, 5) შუა ეოცენის დასაწყისის, 6) ქვედა ოლიგოცენისა და 7) მიოცენ-მეოთხეულისა (იქვე, გვ. 13). ი. პასტუშენკოს მითითებით ზედაიურულ კირქებში კარსტის განვითარება დგინდება მეორე და მესამე რიგის ქედებისა და შავი ზღვისპირა დეპრესიის აღმოსავლეთ ნაწილისათვის; მაგალითად, გუმისთა-ლალიძის აუზში ამ დროს ზედაიურულ კირქებში კარსტული მოვლენები იყო განვითარებული. ამ დროს აქ მიწისქვეშა წყლების მოძრაობა აღმოსავლეთიდან დასავლეთით იყო მიმართული, რასაც ტექტონიკა აპირობებდა (ამავე მიმართულებით სტრუქტურების დაძირვა). ამავე ნალექებში ბარემულ-აბტური ასაკის კარსტი იმით დგინდება, რომ მაშინდელი სიღრუეები ამოვსილია ბარემული და ქვედა აბტური კირქვებითა და მერგელებით. ი. პასტუშენკოს აზრით, გაგრის კირქვულ მასივზე ქვედაპალეოცენური ასაკის კარსტი ფართო განვითარებით უნდა სარგებლობდეს. ამ მკვლევარის აზრით ოლიგოცენში გაგრის მასივზე მეტად ხელსაყრელი პირობები იყო კარსტული პროცესის განვითარებისათვის ზედაიურულის და ცარცულ კირქვებში (იქვე, გვ. 15).

დ. სოკოლოვი აღნიშნავს, რომ აფხაზეთის კარსტის სიძველეს უცილობლად ადასტურებს სპელეოგრაფიის შესწავლა; მისი აზრით კარსტის განვითარება აფხაზეთში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა და რომ უკვე ნეოგენში აქ არსებობდა დიდი მიწისქვეშა სიღრუეები, რომლებიც ბევრი თანამედროვე გამოქვაბულის საწყის სტადიას წარმოადგენდნენ ([1193], გვ. 148—149).

აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის — გაგრის ქედის კარსტული რელიეფის განვითარება ამ მხარის გეომორფოლოგიურ ისტორიის ფონზე მოცემულია შ. ყიფიანის და გ. დონდუას სტატიებში. მათი აზრით თანა-

მედროვე კარსტული რელიეფის განვითარება აფხაზეთის ამ ნაწილში დაიწყო შუა სარმატის შემდეგ ([387], გვ. 166—167; [416], გვ. 63—64). ასეთივე ხასიათის ცნობები მოიპოვება გ. ჩანგაშვილის სტატიაში მდ. ბზიფის აუზის შესახებ, გაგრისა და ბზიფის ქედების შესაყარზე ([433], გვ. 37—39), ზ. ტინტილოზოვი, გ. ჩანგაშვილი და არს. ოქროჯანაშვილიც გაგრის ქედის კარსტული მოვლენების განვითარებას სარმატის შემდეგ გულისხმობენ და რომ მისი განვითარება რამდენადმე შესუსტდა მეოთხეული გაყინვარების პერიოდში, ხოლო შემდეგ კვლავ ინტენსიურად წარიმართა ([340], გვ. 69—71), ლ. მარუაშვილის, ზ. ტინტილოზოვის და გ. ჩანგაშვილის აზრით არბიკის კარსტული უფსკრულები ძველი წარმოშობისაა და მათი ასაკის ქვედა საზღვარი სულ ცოტა პრერისულად მაინც ისაზღვრება ([205], გვ. 553; [206], გვ. 11—12).

შ. ყიფიანის აზრით ბზიფის ქედზე განვითარებული კარსტული ფორმების წარმოშობა, მსგავსად გაგრის ქედისა, შუა სარმატის შემდეგ დაიწყო, რომელიც შემდეგ, მეოთხეულ გაყინვარების მეოხებით მნიშვნელოვნად გარდაიქმნა და მისი თანამედროვე სახე გაყინვარების შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბდა ([389], გვ. 85—88). ს. ნემანიშვილის მონაცემებით ბზიფის ქედზე კარსტული მოვლენების განვითარება შუა სარმატის შემდგომ უნდა დაწყებულიყო ([227], გვ. 52—53; იხ. აგრეთვე: [1092], გვ. 337—338).

გუმბიშხის კირქვეულ მასივზე და მეზობელ ახალ ათონის მიდამოებში კარსტული პორიზონტული და ვერტიკალური გამოქვაბულების წარმოშობა შ. ყიფიანის აზრით ქვედა პლიოცენის შემდგომ სხვადასხვა დროს დაიწყო, სახელდობრ ივერიის უფსკრულის შუა პლიოცენში (კიმერულ ან კუიანლიკურ საუკუნეში), აძაბის გამოქვაბულისა, აგრეთვე აქვანის და აჯამსულ უფსკრულების — ზედა პლიოცენში (ჩაუდურ საუკუნეში); მანიკვარის ქისა და სვიმონ კანონიკის გამოქვაბულების წარმოშობა უკავშირდება ქვედა მეოთხეულს (ძველ ევქსინურ საუკუნეს); ახალი ათონის სტალაქტიტიანი გამოქვაბულებისა — შუა და გვიან მეოთხეულს (უზუნლარ-კარანგატულ საუკუნეს); ხაბიუს გამოქვაბული ზედა მეოთხეულს — ახალ ევქსინურს (ძველ შავზღვიურამდელია), ხოლო მანიკვარისა და ხოიჯგეთის ვოკლუზები ძველ შავზღვიურს ან ახალ ევქსინურსა [404]. ახალი ათონის კარსტულ გამოქვაბულებისა და უფსკრულების ასაკის შესახებ ძირითადად ამავე მოსაზრებისაა ზ. ტინტილოზოვიც [326, 331, 332]. ზ. ტინტილოზოვი სხვა სტატიაში გუმბიშხის მასივის გამოქვაბულების ასაკზე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ახალ ათონის გამოქვაბული კარანგატული ასაკისაა, მანიკვარის კა—ძველ ევქსინურია, ხაბიუს გამოქვაბული — ჩაუდურია, ივერიის უფსკრული უფრო ძველი, ხოლო ხოიჯგეთის კა ყველაზე ძველია ამ რაიონის უფსკრულთა შორის ([1258], გვ. 351).

კოდორის ქედის, კერძოდ ოხაჩქუეს მასივის კარსტული ნაჩენების წარმოშობას შ. ყიფიანი უკავშირებს მიოცენის დროს ([400], გვ. 103—105). ნ. ასტახოვის მითითებით ამავე მასივის რელიეფის, მათ შორის კარსტულის განვითარება მიოცენში დაიწყო და რელიეფის თანამედროვე ტიპები უკვე სრულად ჩაისახა ზედა პლიოცენში ([552], გვ. 23—26). ვ. ჭუმბურიძე 1963 წელს ოხაჩქუეს მასივის კარსტულ მოვლენების შესწავლის საფუძველზე იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამ რაიონში კარსტული პროცესების განვითარების დასაწყისად ზედა სარმატულ-მეოტური საუკუნე უნდა ჩაითვალოს ([462], გვ. 170); ამავე მკვლევარის აზრით რაიონში „ძველი და ახალი კარსტის გა-

მოყოფა პირობითა. მათ შორის საზღვრის გატარება შეუძლებელია, ვინაიდან კარსტული პროცესები მთელი მეოთხეულის მანძილზე მიმდინარეობს“-ო (იქ-ვე).

შ. ყიფიანის აზრით, ასხის კარსტული პლატოს რელიეფის განვითარების პირველი ციკლი პლიოცენში დაიწყო და ამ პერიოდის მიწურულსა და ქვედა მეოთხეულის დასაწყისს შორის დროის მონაკვეთში დამთავრდა; კარსტული მეორე ციკლი ქვედა მეოთხეულში დაიწყო და დღესაც გრძელდება ([388], გვ. 86—90). არს. ოქროჯანაშვილით მდ. აბაშის აუზის ამგებელი კირქვებში გამო-მუშავებული კარსტული ფორმების ჩასახვა-განვითარება მჭიდროდაა დაკავში-რებული ასხის მასივის რელიეფის განვითარების ისტორიასთან [243]. გრ. დე-ვდარიანი და დ. დვალი ასხის მასივის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე ჯორწყუს გამოქვაბულის ასაკის გარკვევასთან დაკავშირებით მართებულად მიუთითებენ, რომ დასავლეთ საქართველოს კირქვიან ზოლში დაკარსტვა ყვე-ლგან ერთდროულად არ დაწყებულა როგორც ჩრდილო-დასავლეთიდან სამხ-რეთ-აღმოსავლეთით, ასე სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით; მათი აზრით უფრო ძველ კარსტულ რაიონებს წარმოადგენენ ჩრდილო რაიონები, ხოლო სამხრეთი — შედარებით ახალგაზრდაა; ამავე მეცლევარების აზრით ასხის მასივის დაკარსტვა პლიოცენიდან მაინც უნდა დაწყებულიყო და ამგვა-რად ჯორწყუს გამოქვაბულის ასაკი შემდეგდროინდელია ([93], გვ. 183).

ლ. მარუაშვილის აზრით ხევამის მასივზე კარსტული ციკლი დაიწყო შუა და ზედა ეოცენის მიჯნაზე მომხდარი როდანული ოროფაზის შემდეგ ([190], გვ. 14). შ. ყიფიანის მიხედვით ხევამის მასივზე კარსტული პროცესის განვი-თარებაში ძირითადი სამი ეტაპი გამოიყოფა, ამასთან პირველი ეტაპი იწყება ზედა მიოცენში (მეოტში) — პონტში და ნაწილობრივ კიმერულში (ქვედა პლეოცენი), მეორე ეტაპი — შუა პლიოცენ (კიმერულ საუკუნიდან) — შუა მეოთხეულში თავდება, ხოლო მესამე ეტაპი იწყება შუა მეოთხეულში და დღესაც გრძელდება ([401], გვ. 37—50). ნ. ასტახოვის მონაცემებით ხევამ-ლის მასივზე და რაჭის ქედის დასავლეთ ნაწილში (მ. თაშაევის მიდამოებში) წარმოდგენილია პალეოგენური რელიეფი, მათ შორის კარსტული და მისი წა-რმოშობა ზედაპლიოცენურს უნდა უკავშირდებოდეს ([551], გვ. 45).

რაჭის ქედის დასავლეთ ნაწილის კარსტული რელიეფის განვითარე-ბა ვად. ნაქერალას მიდამოებში გ. ჩანგაშვილის აზრით მიოცენის (სარმატის) შემდეგ დაიწყო ([432], გვ. 52—53). ამავე რაიონის კარსტის ასაკის შესახებ საინტერესოა აგრეთვე შ. ყიფიანისა და ვ. ჯიშკარიანის სტატია [426]. ჯ. მეს-ხიას აზრით, მდ. ცხენისწყლის ხეობის გამოქვაბულები შეესაბამებიან მდინა-რულ VII ტერასას, რომელიც ზედაპლიოცენურ მოსწორებულ რელიეფის პირობებში, ძველვალახურსა და ახალვალახურ ტექტონიკურ მოძრაობათა შუა-ლელ დროში, ქვედა ჩაუდურ საუკუნეში ჩამოყალიბდნენ ([1068], გვ. 135 — 136).

ა. კობლუტოვის მიხედვით რაჭის ქედის აღმოსავლეთი ნაწილის, ადგილ კუდაროს მიდამოებში განვითარებული კარსტული გამოქვაბულების წარმო-შობისა და მათი აგება-დამარხვის რამდენიმე ეტაპი შეიძლება გამოიყოს, სა-ხელდობრ: 1) უძველესი ანუ აშელურამდელი, პლიოცენური და ქვედაპლეის-ტოცენური (პირველი ნახევარი) ეტაპი, როცა კუდაროს და ბუბისკლდის გა-მოქვაბულების წარმოშობა დაიწყო და შემდეგ აიგო კირქვის ელუვიონით; 2) აღრეული ანუ აშელური, ქვედა პლეისტოცენური (მეორე ნახევარი) ეტაპი;

ამ დროს ბუბისკლდის გამოქვაბული იცვება ხეინჯიანი თიხნარითა და რიყით. ამავე ეტაპზე კულდაროს I გამოქვაბულში დაილევა შრეები შუააშელური კულტურის ნიშნებით; ეს ეტაპი მთავრდება სინესტისა და გამოფიტვის ხანგრძლივი ეპოქით; 3) შუა ანუ მუსტიერული, შუაპლეისტოცენური ეტაპი. ამ დროს ხდება კულდაროსა და ბუბისკლდის გამოქვაბულების ნალექებით აცვება, რაც წყვეტილად მიმდინარეობდა. ეტაპის მიწურულში უკვე არსებობდა ერთგვაროვანი და მშრალი პირობები და ამასთან დაკავშირებით მუსტიერული აღმნიშნული მასში პერიოდულად სახლდებოდა; 4) გვიანი ანუ ახალი, ზედაპლეოლითური, ზედაპლეისტოცენურ ეტაპზე კულდაროსა და ბუბისკლდის გამოქვაბულები თიხნარით იცვება, ამასთან ადგილი აქვს ქვედა სართულის გამოქვაბულის სრულ დამარხვას (კულდარო II და III გამოქვაბულები). ამავე ეტაპზე წარმოიშვა კარსტული ფორმებიც — ენებისა და სხვ. სახით, დასასრულ 5) გვიან ანუ პოლიცენურ ეტაპზე ხდება ამ გამოქვაბულების აცვება, რომელშიც გვხვდება სპილენძის, ბრინჯაოს, რკინის საუკუნეებისა და შუა საუკუნის კულტურის ნაშთები ([908], გვ. 85—87; [909], გვ. 112—119; [969], გვ. 80—83).

კულდაროს კარსტულ გამოქვაბულის ასაკის განსაზღვრას გარკვეული მნიშვნელობა აქვს მდ. რიონის, კერძოდ ჭეჯორის ხეობის ტერასების დათარიღებისათვის; მაგალითად, ლ. კოლოშვილმა მდ. ჭეჯორის ხეობის IV ტერასული დონის კულდაროს გამოქვაბულთა ზედა სართულთან დაკავშირების საშუალებით, რომელიც შეიცავს აშელური კულტურის ნაშთებს, ამ ტერასის ასაკი მინდელარისულად (ძველ ეპქსინურად) განსაზღვრა; აღნიშნულთა და სხვა საბუთების საფუძველზე ეს მკვლევარი V ტერასის ასაკს ჩაუდურად (მინდელარად) თვლის ([894], გვ. 120—121; [895], გვ. 189—190). აქვე აღვნიშნავთ, რომ ლ. კოლოშვილის მონოგრაფია მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ მის საშუალებით შეიძლება დაზუსტდეს საქართველოს კარსტის ბევრი რაიონისა და ფორმის დათარიღება [895].

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ კულდაროს I გამოქვაბულის წარმოშობის აბსოლუტური ასაკის ზედა საზღვარი ზუსტად არის დადგენილი ურანის დაშლის პროდუქტის — თორის იზოტოპების დაგროვების განსაზღვრის საშუალებით ამ გამოქვაბულში მოპოვებულ ძუძუმწოვართა განამარხებულ ძვლებში, რაც თავის დროზე ჩაატარა ვ. ჩერდინცევი და სხვ. ამ გამოკვლევების მიხედვით მისი ასაკი შეადგენს 250000-ზე მეტ წელს, ან ურანზე შესწორების გათვალისწინებით  $265 \pm 50$  ათას წელს ([1312], გვ. 238; [1314], გვ. 60—62; [1313], გვ. 17).

წონის გამოქვაბულის (სამხრეთ ოსეთი) პალეოლითური ნაშთების გეოლოგიური დათარიღება მოახდინა და ამ რაიონის პალეოგეოგრაფიული პირობები შეისწავლა დ. წერეთელმა. ამ შრომას გარკვეული მნიშვნელობა აქვს აღნიშნული გამოქვაბულის ასაკის ზედა საზღვრისა და მის განვითარების ტენდენციის დასადგენად [454].

კოლხეთის ბარის ფარგლებში არსებული კირქვებისა და კირქვის კონგლომერატებში განვითარებულ გამოქვაბულების აბსოლუტურ ასაკსაც დიდმანშტაბიანი რყევა ახასიათებს, მაგრამ ძირითადად უფრო ახალგაზრდაა კავკასიონის სამხრეთ ფერდობის კარსტთან შედარებით. ქვემოთ მოგვყავს ზო-

გიერთი მონაცემები 1958 წლის შემდეგ ჩატარებულ გამოკვლევების მიხედვით.

ლ. მარუაშვილი კოდორის აუზის გეომორფოლოგიურ ნარკვევში საზღვრავს წებელდის მიდამოების კარსტულ რელიეფის ფორმების ასაკს და აღნიშნავს, რომ ისინი წარმოდგენილია ორი გენერაციით: 1) ძველი გენერაციის ფორმებით, რომლებიც კიმერული (შუაპლიოცენური) ასაკისა უნდა იყვნენ და 2) უფრო ახალგაზრდა გენერაციის ფორმებით, შუა და ზედამეოთხეული ასაკისა ([193], გვ. 7, 10 და 13).

დ. ტაბიძის მიხედვით წებელდის კირქვული მასივის კარსტულ წარმონაქმნებს შორის ქვაპარისა და ფალის გამოქვაბულები ძირითადად ჩამოყალიბდნენ მეოთხეულამდე; ამ დროს დაიწყო წებელდის პოლიეს, აგრეთვე ფალის, დიკლიდაშის და შუამთის უვალებისა და ჯამფალის II გამოქვაბულის ჩამოყალიბება; დანარჩენი კარსტული ფორმები დ. ტაბიძის აზრით ქვედა მეოთხეულში წარმოიშვა, ხოლო პოლოცენში ცივწყალას I და II გამოქვაბულები [301]. დ. ტაბიძე თავის სადისერტაციო ნაშრომში ცალკე ჩერდება კოდორის აუზის და მისი მოსაზღვრე ტერიტორიის კარსტულ წარმონაქმნების აბსოლუტურ ანაკზე ([303], გვ. 489—497; იხ. აგრეთვე [1244]). მისი აზრით, აქაური შრატული ველები ახალგაზრდა წარმონაქმნებია, დოლინები მინდელ-რისულ არიდულ ეპოქას მიეკუთვნება, ქვაბურები და პოლიები — ზედპლიოცენური, კიმერულის შემდგომ დროში, ხოლო რაც შეეხება ქვაპარის გამოქვაბულს, იგი ყველაზე ძველია და მისი ქვედა საზღვარი პლიოცენურია და ზედა კი ჩაუღური უნდა იყოს (მინდელ-რისული გაყინვარებათაშორისი პერიოდი); წებელდის პოლიეს ჩასახვას იგი გულისხმობს ჩაუღურ პერიოდში, შავწყალის ვოკლუზების წარმოშობას — ახალვექსინურში ([303], გვ. 493—496; [1244], გვ. 20—22).

ლ. სოლოვიოვი არკვევს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ტერიტორიის, მათ შორის აფხაზეთისას წებელდის მიდამოების ფარგლებში კარსტის ასაკს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ აქ კარსტული რელიეფის განვითარება დაიწყო ძველ მეოთხეულში, კარანგატულ საუკუნეში და ვითარდებოდა შემდგომ დროის განმავლობაში ([1202], გვ. 130); ამასთან, აღნიშნავს ლ. სოლოვიოვი, წებელდის გამოქვაბულის მშთანთქავი ნაწილები, როგორც ვორონცოვის გამოქვაბულებისა წარმოიშვა უკანასკნელ გაყინვარების პერიოდის დასაწყისში და დამთავრდა გაყინვარების შემდეგ გვიან მეზოლითამდე (იქვე, გვ. 132—133). ლ. სოლოვიოვი წებელდის მიდამოების კარსტული გამოქვაბულების ასაკის საკითხზე ჩერდება სხვა შრომაშიც [1201].

შ. ყიფიანი გუმისთა-კელასურის წყალგამყოფის კარსტულ გამოქვაბულების წარმოშობის პირობების დახასიათებისას მიუთითებს ამ ფორმების შეფარდებით და სავარაუდო აბსოლუტურ ასაკზეც. მისი აზრით ამ რაიონში ყველაზე ძველი გუმის III, შრომის ზედა და ქვედა, აგრეთვე ბირჯის გამოქვაბულებია (ქვედა და შუაპლიოცენურია); უფრო ახალგაზრდაა გუმის II (შუა) და I (ქვედა) გამოქვაბულები (შუა და ზედა—პლიოცენურია); კიდევ უფრო ახალგაზრდაა მთისკალთის (ანდრეევკის) და აძაბის გამოქვაბულები (ზედაპლიოცენურ-მეოთხეულის დასაწყისის); ყველაზე ახალგაზრდა წარმოშობისაა ზედა კელასურისა და კელასურის I—IV გამოქვაბულები, აგრეთვე კელასურ-ბესლეთის მიწისქვეშა დინება (ზედამეოთხეულური) ([395], გვ. 4; [397], გვ. 90—96). კელასურ-კოდორის წყალგამყოფის კარსტული ლანდშაფტის და-



ხასიათებისას შ. ყიფიანი მიუთითებს, რომ ამ მხარის კარსტი შუაპლიოცენური ასაკის არისო და იძლევა წებელდის მიდამოებში განვითარებულ კარსტული გამოქვაბულების სავარაუდო ასაკსაც ([399], გვ. 35—40). შ. ყიფიანი და ზ. ტინტილოზოვი კელასურის მდინარისქვეშა კარსტულ გამოქვაბულებს თვლიან თანამედროვე გეომორფოლოგიურ ციკლის წარმონაშობად [890]. იგივე მკვლევარები სხვა სტატიაში იძლევიან წებელდის მიდამოების გამოქვაბულების აბსოლუტურ ასაკის მიახლოებით განსაზღვრას; მაგალითად, ქვაჭარის და წებელდის გამოქვაბულებს ისინი თვლიან ძველ, ციკლგანვლილ კარსტის წარმონაშობად, რომელიც პლიოცენურზე ახალგაზრდა არ უნდა იყოს, კელასურის ფსკერქვეშა გამოქვაბულებს ყველაზე ახალგაზრდა წარმონაშობად თვლიან, ხოლო ამტყელის გამოქვაბულს ზემოაღნიშნულ გამოქვაბულთა წარმოშობის დროთა შუალედში გულისხმობენ ([420], გვ. 100—102).

აფხაზეთის გამოქვაბულების ასაკის განსაზღვრის საკითხზე საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ნ. გვოზდევცი [700].

ქვემო იმერეთის კარსტულ გამოქვაბულების აბსოლუტური ასაკის მიახლოებითი დათარიღების ცდა აქვს შესრულებული შ. ყიფიანს. მისი აზრით სათაფლია-წყალტუბოს მიდამოების გამოქვაბულების წარმოშობა ზედა პლიოცენში (აღჩაგილურში) დაიწყო, კერძოდ სათაფლიის I—IV, აგრეთვე ცხენჯურის და სხვ. ჩაუდურამდელია, ხოლო ქვედა და ზედა ქვილიშორის, აგრეთვე ხომულის გამოქვაბულები — ჩაუდურია, ყუმისთავის, წყალტუბოს და სხვ. გამოქვაბულები — ძველ ევკსინურია (მინდელურია) ([421], გვ. 132—134; [422], გვ. 56). დ. წერეთლის მიერ ქვემო იმერეთის პალეოგეოგრაფიული სურათის მიხედვით შეიძლება აღვადგინოთ აქაური კარსტული ფორმების განვითარების ისტორია მეოთხეულისთავის ([453], გვ. 106—107). ლ. მარუაშვილის აზრით, ცუცხვათის (მალარის) მრავალსართულიანი გამოქვაბული (ამ მკვლევარის მიხედვით იგი 11—12-სართულიანია) ჩამოყალიბდა გურიის შემდგომი დროს, ე. ი. პლეისტოცენის ანუ 800 000—1 000 000 წლის განმავლობაში; თითოეული სართულის აქტიური ჩამოყალიბების საშუალო ხანგრძლივობა 66—73 ათას წელს უდრის და რომ ამ დროის ძირითადი ნაწილი მოდის გამოქვაბულის განვითარების წყლიან სტადიაზე; აქედან გამომდინარე ლ. მარუაშვილი თვლის, რომ IV სართული მშრალ სტადიაში იმყოფება უკვე 200000 წელია, ხოლო ზედა, VII—XI სართულები წყლიან სტადიის მდგომარეობიდან გამოვიდნენ 400000—700000 წლის წინათ ([1035], გვ. 128). ცუცხვათის (მალარის) გამოქვაბული ლ. მარუაშვილის განცხადებით უნიკალურ ობიექტს წარმოადგენს თავის მრავალსართულიანობით (11—12 სართულის არსებობა) მსოფლიოში. ამიტომ, ჩემი აზრით, საჭიროა იგი უახლოეს ხანში უფრო დეტალურად იქნას შესწავლილი, ამასთან დაზუსტდეს მისი მრავალსართულიანობის, წარმოშობის მიზეზებისა და ასაკის საკითხები; ამის საჭიროებას ისიც აძლიერებს, რომ არსებობს სხვა მოსაზრებანიც ამ საკითხებზე.

ლ. მარუაშვილის მონაცემებით ზემო იმერეთის კარსტული ფენომენების განვითარების პერიოდი მოიცავს ზედა პლიოცენს ქვარტეტით, ან მხოლოდ ქვარტეტს ([1026], გვ. 70; იხ. აგრეთვე: [1030]). ზ. ტინტილოზოვი ზემო იმერეთის კარსტული გამოქვაბულების გეომორფოლოგიურ ნარკვევში იხილავს კარსტულ წარმონაქმნების განვითარებას ამ პლატოს რელიეფის ისტორიის ფონზე, კერძოდ ყვირილის ხეობის ფერდობებზე, მდინარის დონიდან 90—100 მის სიმაღლეზე მდებარე გამოქვაბულების წარმოშობის საწყისად თვლის თან-

დროულ გეომორფოლოგიურ ციკლის მეორე ფაზას, ხოლო უფრო დაბალ დონეზე მდებარენი შედარებით ახალგაზრდა წარმონაქმნებია. ზ. ტინტილოზოვის აზრით ზემო იმერეთის გამოქვაბულების ასაკის ზედა საზღვარია ზედა პალეოლითის საუკუნეზე უფრო ძველი დრო, ხოლო ქვედა საზღვარი მიახლოებით პოსტპლიოცენის ოროგენის შემდგომი დროინდელია, ამასთან იგი აღნიშნავს, რომ რაჰის ქედის კარსტი მნიშვნელოვნად ძველია ზემო იმერეთის კარსტზე ([310], გვ. 312). ეს მკვლევარი მეორე სტატიაში ორთვალედის გამოქვაბულის შესახებ ამ გამოქვაბულს თვლის ზედა სარმატის შემდგომ ხანაში წარმოშობილად [322]; სხვა სტატიაში ჭრუჭულას აუზში განვითარებულ გამოქვაბულების გეომორფოლოგიურ დახასიათებასთან დაკავშირებით ზ. ტინტილოზოვი აღნიშნავს, რომ თაროკლდის, დარკვეთის, ჭრუჭულას და სამელეკლდის გამოქვაბულები ციკლგანვილ გამოქვაბულებს მიეკუთვნებიან, ხოლო ზვედელიძეების გამოქვაბული შედარებით ახალგაზრდა წარმონაშობია ([324], გვ. 74—75). შ. ყიფიანი ზემო იმერეთის მდლობის კარსტულ რაიონების გეომორფოლოგიური დახასიათებისას მიუთითებს, რომ პლატოზე ჩვენ გვაქვს საში გენერაციის კარსტი: 1) იურულ-ცარცული ასაკის კარსტული წარმონაქმნები, 2) ქვედა მესამეულის (პალეოცენ-ეოცენი) ხნოვანების კარსტი და 3) პლიოცენ-მეოთხეული ხნოვანებისა ([390], გვ. 58—63).

კოლხეთის ბარის კლასტოკარსტული წარმონაშობების მიახლოებით დათარიღების ცდები მოცემულია ნ. მათურელის, კ. მგელაძის, ზ. ტინტილოზოვის და სხვ მიერ. ნ. მათურელი თვლის, რომ დურიფშის პლატოს კარსტული ფორმები ზედა მეოთხეულში წარმოიშვნენ ([179], გვ. 624). კ. მგელაძეს აზრით ჯალის რაიონის კლასტოკარსტი მეოთხეულში ჩამოყალიბდა [211, 1066]. ზ. ტინტილოზოვის აზრით დურიფშის პლატოს კარსტული ფორმების აღმოცენება დაიწყო მეოთხეულის შემდგომ პერიოდში — ზედაპირის დანაწევრებისა და მასივის ოროგრაფიულ იზოლაციის კვალდაკვალ ([327], გვ. 8). ამავე სტატიის პარალელურ ტექსტში რუსულ ენაზე და მეორე სტატიაში ზ. ტინტილოზოვი დურიფშის პლატოს გამოქვაბულების წარმოშობის დასაწყისად შუა მეოთხეულს თვლის ([327], გვ. 10; [329], გვ. 107).

საქართველოს კირქვული რელიეფის ტერიტორიაზე კარსტული მოვლენები ამჟამადაც ინტენსიურად მიმდინარეობს და საამისო მონაცემები ზემოთ დასახელებულ ნაშრომებში მოიპოვება; აქ მხოლოდ აღვნიშნავთ მას, რომ გ. ჩანგაშვილის მიერ შედგენილი საქართველოს თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესების გავრცელების რუკაზე 1:2500000 მასშტაბში გამოყოფილია კარსტული პროცესებისა და კლასტოკარსტული პროცესების განვითარების არეებიც [435—436]. ალ. ჯავახიშვილი ექსოგენური პროცესების, რელიეფის ტიპებისა და ფორმების განვითარებისა და გავრცელების კანონზომიერებისადმი მიძღვნილ სტატიაში საქართველოს ტერიტორიისათვის კარსტულ პროცესებსაც აღნიშნავს [479]. აღსანიშნავია აგრეთვე ნ. დუმიტრაშკოს ასეთივე მოსაზრება კავკასიის თანამედროვე რელიეფწარმოშობაზე [795]. დასასრულ დ. ტაბიძე წებელდის კარსტული მასივის ზოგიერთი თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესების დახასიათებისას ჩერდება კარსტულ პროცესებზეც [1245].

## კ ა რ ს ტ ი ს ტ ი პ ო ლ ო გ ი ა და დ ა რ ა ი ო ნ ე ბ ა

საქართველოს კარსტული რეგიონების გაღრმავებულმა შესწავლამ, რასაც 1958—1973 წწ. პქონდა ადგილი, ბუნებრივია იწვევდა მათი კომპლექსე-

ბის, ტიპოლოგიური ერთეულებისა და გავრცელების ტერიტორიალურ ერთეულებს—რაიონების გამოყოფის აუცილებლობას და მართლაც ამ მიმართულებითაც იქნა შესრულებული რამდენიმე გამოკვლევა; მაგალითად, შ. ყიფიანმა გაგრის, ბზიფის, წებელდის, კოდორის, ასხის, ლეჩხუმისა და ზემო იმერეთის კარსტულ მასივებისათვის დაადგინა და დაახასიათა მათი ტიპოლოგიური და ტერიტორიალური ერთეულები — კარსტის გეომორფოლოგიური ტიპები და მათი შესაბამისი გავრცელების გეომორფოლოგიური რაიონები [387—391, 393, 396, 398—402].

კარსტის გეომორფოლოგიური ტიპებისა და რაიონების გამოყოფამ საქართველოს ცალკეული ნაწილებისათვის შესაძლებელი გახადა ახთივე განზოგადებული ერთეულები მთელი საქართველოსათვისაც გამოყოფილიყო. 1963 წელს მსგავსი სამუშაო მხოლოდ კომპლექსურ, გეოგრაფიულ და სპელეოლოგიური მიდგომის საფუძველზე შეასრულა ლ. მარუაშვილმა ([195], გვ. 5—6). უფრო ადრე ცნობილმა კარსტოლოგმა ნ. სოკოლოვმა მოგვცა კავკასიის კარსტოლოგიური დარაიონება ([1194]; იხ. აგრეთვე: [951], გვ. 12). ეს შეკვლევარი კავკასიონის სამხრეთ ფერდობის დასავლეთ ნაწილის ოლქში გამოყოფს აფხაზეთისა და დასავლეთ საქართველოს პროვინციებს და აგრეთვე კლასტოკარსტულ კარსტის ამიერკავკასიის ოლქს; ამასთან ნ. სოკოლოვი ოლქის გამოყოფის საფუძველად იღებს კარსტვალი ქანის თვისებებს, ხოლო პროვინციისათვის უმთავრესად მის ჰიდროლოგიურ თვისებებს.

საქართველოს კარსტის გეომორფოლოგიური დარაიონების ცდა შ. ყიფიანსაც ეკუთვნის, რომელმაც გამოყო საქართველოს კარსტის გეომორფოლოგიური ტიპები (ზონები) და ქვეტიპები, აგრეთვე მათი გავრცელების ოლქები და რაიონები [393, 407, 412, 886, 888, 1461, 1463]. ამასთან აღსანიშნავია; რომ კარსტის ტიპების გამოყოფა კარსტვალი ქანის სისქისა და მასში განვითარებულ კარსტული პროცესების მიხედვით — თხელი, საშუალო და ღრმა კარსტული ტიპები, აგრეთვე დაკარსტული ტერიტორიის დაფარულობის მიხედვით — შიშველი (ხმელთაშუაზღვის) და დაფარული (შუაევროპული) ტიპისა საქართველოს კარსტისათვის როგორც მთლიანად, ისე მისი ცალკეულ რეგიონების მიხედვით 1959—1970 წწ. დაადგინა შ. ყიფიანმა [387—390, 398—402, 407, 886, 888, 1461, 1463]. ღრმა ტიპის კარსტის განვითარება საქართველოში აგრეთვე აღნიშნეს ლ. მარუაშვილმა და ზ. ტინტილოზოვმა და სხვ. ([1051], გვ. 215 და სხვ.)

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს კარსტის შესწავლილობის თანამედროვე ეტაპზე იმდენად მდიდარი მასალა დაგროვდა მიწისქვეშა სიღრუეების შესახებ, რომ შესაძლებელი შეიქნა საქართველოს კარსტული ზოლის სპელეოლოგიური დარაიონებაც, რომლის პირველი ცდაც ზ. ტინტილოზოვმა მოგვცა [1269].

საქართველოს კარსტის ტიპოლოგიისა და დარაიონების საკითხი ამ ბოლო წლებში დაისვა არა მარტო საკუთრივ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში, არამედ საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც. ასეთ საკითხების ვადაწყვეტაში მონაწილეობდნენ გამოჩენილი კარსტოლოგები: ნ. გვოზდევცი, გ. მაქსიმოვიჩი, ი. პარმუზინი, ნ. როლიონოვი და სხვ. ნ. გვოზდევცი 1961—1966 წწ. აქვეყნებს რამდენიმე სტატიას საბჭოთა კავშირის კარსტის კლასიფიკაციაზე, ტიპოლოგიასა და დარაიონებაზე [689, 691, 693, 696—697, 1442—1445]. ნ. გვოზდევცის 1966 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ნაშრომში დასავლეთ ამიერკავკასიის კარსტის

დაყოფაც არის მოცემული [699]; გ. მაქსიმოვიჩი 1958—1963 წწ. აწარმოებდა საბჭოთა კავშირის კარსტის დარაიონებას [984, 987—988, 990—992, 994, 1005, 1482]; აღსანიშნავია, რომ გ. მაქსიმოვიჩი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გავრცელებულ კარსტულ ტიპებს შორის პირველად აღგენს კარსტის დაკორღებულ ანუ კავკასიურ ტიპსაც ([987], გვ. 4; [988], გვ. 121; [990], გვ. 62—63; [994], გვ. 66 და სხვ.). საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გავრცელებული კარსტის კლასიფიკაციას ამა თუ იმ თვალსაზრისით აწარმოებდნენ ნ. ნიკოლაევი და ი. პოპოვი [1093], ი. პარმუზინი [1109—1110], ნ. როდიონოვი [1155—1157] და სხვ. ამ დაყოფაში არეკლილია კავკასიის, მათ შორის საქართველოს კარსტის თავისებურებანიც.

## კარსტული რაიონები გეომორფოლოგიურ რუკებზე

საქართველოს კარსტული რელიეფის მიერ დაჭერილმა მნიშვნელოვანმა ფართობმა და მისმა გალრმავებულმა შესწავლამ შესაძლებელი გახდა კარსტული რელიეფის სათანადო გამოხატულება ეპოვოვა ცალკეული რეგიონებისათვის შედგენილ გეომორფოლოგიურ დახასიათებებში და რუკაზე; მაგალითად, შ. ყიფიანისა და გ. დონდუას მიერ აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილისათვის [416]; ს. ნემანიშვილის ბზიფის ქედის სამხრეთ ფერდობისა და მიმდებარე შავი ზღვის სანაპიროს [227], ლ. მარუაშვილის კოდორის აუზის, ლეჩხუმისა და სამეგრელოს [190, 193, 199], დ. ტაბიძის მდ. კოდორის აუზის [302, 1244], ნ. ასტახოვის კოდორის ქედის სამხრეთ ფერდობის ოხაჩქუეთი, აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთი იმერეთისა და ლეჩხუმის ნაწილის [551—552], გ. ჩანგაშვილის მდ. ბზიფის აუზის, იმერეთ-სამეგრელოს მოსაზღვრე ტერიტორიის და ქვემო რაჭის სამხრეთ ნაწილის [432—434], ემ. წერეთლის ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობის (რაჭის ფარგლებში) [455, 1306] და გ. დონდუას მიერ ჩეჭორა-ღარულას აუზის გეომორფოლოგიურ დახასიათებებსა და რუკებზე [101, 103].

კარსტულმა რელიეფმა სათანადო ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს და კავკასიის გეომორფოლოგიურ დახასიათებებსა და რუკებზეც; მათ შორის აღსანიშნავია ლ. მარუაშვილის [199], ი. საფრონოვისა და კ. პაფენგოლცის [1174], ალ. ჯავახიშვილის [479, 761], აგრეთვე ალ. ჯავახიშვილის, ნ. ასტახოვის, არჩ. ცაგარელისა და დ. წერეთლის [482—483], არჩ. ცაგარელის [1302] და დ. წერეთლის მიერ [1304] შედგენილ დახასიათებებში და რუკებზე.

საქართველოს კარსტული რელიეფი არეკლილია საბჭოთა კავშირის გეომორფოლოგიურ რუკაზეც 1:4000000 მასშტაბში, სადაც იგი გამოყოფილია დენუდაციურ-ტექტონიკურ, კაინოზოურ ნაოკა მთებსა და ზეგნებს შორის სამი ზონის სახით (46. მაღალმთიანეთის ყინვარული და ნივალური წარმოშობის, 57. საშუალომთიანი ეროზიულ-დენუდაციური და 58. დაბალმთიანი ეროზიულ-დენუდაციური რელიეფის ზონებით); ამ ზონებში, განსაკუთრებით კი 57—58 ზონებში და ნაწილობრივ 46-შიც კარსტული ზოგიერთი ფორმაც კი არის აღნიშნული [716].

## 2) კლიმატური და ჰიდროლოგიური შესწავლილობა

როგორც ცნობილია, კარსტულ მხარეთა კლიმატები რამდენიმედ განსხვავდება დანარჩენი ტერიტორიების კლიმატებისაგან. ეს განსხვავება განსაკუთრებით რელიეფურია მიწისქვეშა სიღრუეებისა და ზედაპირულ კლიმატებს შორის. ამიტომ არის რომ სპელეოკლიმატების შესწავლა ვაცხოველებულ ინტერესს იწვევს. მის შესწავლას აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს კარსტული მოვლენების განვითარების, სპელეოფაუნის ცხოვრების ეკოლოგიურ პირობების და სხვ. საკითხების გასარკვევად. მიუხედავად ამისა, საქართველოს კარსტულ სიღრუეთა კლიმატების შესწავლა ჩვენში მაინც საწყის სტადიაში არის. კარსტული მხარეების ზედაპირის კლიმატების შესწავლა შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება, რომელთა დახასიათება მოცემულია მეზობელ მხარეთა კლიმატების ფონზე, მაგრამ საკუთრივ მისი შესწავლა, მისი თავისებურების გარკვევა ჭარბობით ყურადღების გარეშეა დატოვებული.

საქართველოს კარსტული მხარეების კლიმატების შესახებ სათანადო მონაცემები გამოქვეყნდა საერთოდ საქართველოს ამა თუ იმ რეგიონის კლიმატის დახასიათების ფონზე. ამ მხრივ აღსანიშნავია კ. გოგიშვილის, მ. კორძაიას, შ. ჭავჭავაძის და სხვ. ნაშრომები ([172—173] და სხვ.); ზოგიერთი ცნობა მოჰყავს ლ. მარუაშვილს დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანი კარსტის გეოგრაფიული დახასიათებისას ([191; 1029], გვ. 103—104). აღსანიშნავია კ. ყაყრაშვილის ამ ბოლო წლებში გამოქვეყნებული ნაშრომები აფხაზეთის მაღალმთისა და სამეგრელოს საშუალომთის კირქვეულ-კარსტული ქედების ფიზიკურ-გეოგრაფიულ ლანდშაფტებზე; ამ შრომებში იგი არკვევს ატმოსფერული ნალექების რითმს და მის როლს კარსტწარმოშობაში [843—847, 849, 851, 1454], ან ადგენს მუსონური ტენდენციის მქონე მთის ნესტიან ჰავის ტიპს და მის როლს დაკარსტვაში [846, 848].

ამ უკანასკნელ წლებში საქართველოს სპელეოკლიმატების შესწავლის მიმართულებით პირველი ნაბიჯი ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორიამ გადადგა; ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულ იქნა საქართველოს კარსტულ გამოქვაბულებში ჩატარებული მეტეოროლოგიური დაკვირვების შედეგები ჰაერის ტემპერატურის, სინოტივისა და ჰაერის მასების მოძრაობის შესახებ; მაგალითად, არბიკის მასივის, დურიფშის პლატოს, დასავლეთ გუმისთის და აბაშის აუზების, აგრეთვე სამეგრელოს გამოქვაბულებზე ([38, 45, 49, 243, 320] და სხვ.). ამასთან აღსანიშნავია, რომ ბ. გერგედავა ცდილობს გამოქვაბულთა კლიმატური ტიპებიც კი გამოყოს საზოგადოდ [42]. ამ მიმართულებით ჩატარებული შედეგები მოცემულია ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ შედგენილ საქართველოს კარსტულ გამოქვაბულთა კატასტრში ([423], გვ. 31—38 და § 6-ში მოყვანილი ცნობები თითოეული სიღრუის შესახებ). აღნიშნული კატასტრის გაცნობიდან ჩანს, რომ 1) ჰაერის ტემპერატურები მაღალმთის მხარეების გამოქვაბულებში მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე დაბალმთიან მხარეების გამოქვაბულებში; 2) ჰაერის ტემპერატურის სეზონური და განსაკუთრებით დღეღამური რყევა უმნიშვნელო ფარგლებში ხდება; 3) ჰაერის ტემპერატურები გამოქვაბულებში და ზედაპირზე დიდი სხვაობით გამოირჩევიან; 4) ჰაერის სინოტივის მხრივ ჩვენს გამოქვაბულებში მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან და მათი შეფარდებითი სინოტივე 92—100% შორის მერყეობს,

მაშინ როცა ამავე დროს გარეთ მისი სიდიდე ნაკლებია და შეადგენს 72—91% ; 5) ჩვენს გამოქვაბულებში ადგილი აქვს სხვადასხვა მიზეზით გამოწვეულ ჰაერის მასების მოძრაობასაც, რომლებიც ზოგჯერ მნიშვნელოვან სიჩქარეს აღწევენ, განსაკუთრებით დინამიურ გამოქვაბულებში, სადაც ადგილი აქვს როგორც დღეღამურ, ისე წლიურ რყევას.

ამ ბოლო წლებში ი. კონიაშვილის სახ. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თაოსნობით დაიწყო საქართველოს კარსტული გამოქვაბულების შესწავლა სამკურნალო პროფილაქტიკური მიზნით მათი გამოყენებისათვის. ამ მხრივ პირველ გამოკვლევას რ. კავკასიძის, შ. ჩხენკელის, ზ. ტინტილოზოვისა და სხვ. სტატია წარმოადგენს სათაფლის, წყალტუბოსა (თეთრას) და ივერიის გამოქვაბულების შესახებ [834ა].

კლიმატურ შესწავლილობასთან შედარებით საქართველოს კარსტის ჰიდროლოგიური შესწავლილობა გაცილებით მაღალ დონეზე დგას. გამოკვლეულია კარსტულ მხარეთა ზედაპირული წყლების — მდინარეთა წყლების და კარსტული წყაროების რეჟიმი, მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური მრავალწლიური ჩამონადენი, ჩამონადენის შიდაწლიური განაწილება და სხვ., შესწავლილ იქნა მიწისქვეშა ჰიდროგრაფია, კარსტული ტბები და სუბმარინული წყაროები. აღნიშნული საკითხების გარკვევაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით განსაკუთრებით ლ. ვლადიმეროვსა და გ. გიგინეიშვილს და აგრეთვე სხვა მეკვლევარებს.

კარსტული ზედაპირული წყლების კვლევა გ. გიგინეიშვილმა სტუდენტობიდანვე თავის სამეცნიერო თემატიკად საქართველოს კარსტული წყლების გეოგრაფიული შესწავლა აირჩია და ამ მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოაქვეყნა, განსაკუთრებით აფხაზეთის და სამეგრელოს მცირე მდინარეების ფორმირების და რეჟიმის შესახებ [54—64, 645—647, 724—736, 1432—1433]; თავისი სამეცნიერო მუშაობა გ. გიგინეიშვილმა გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის მოსაპოვებლად შესრულებულ მონოგრაფიითაც კი დააგვირგვინა [725, 728].

ამ გამოკვლევების შედეგად გ. გიგინეიშვილს გამოაქვს მნიშვნელოვანი დასკვნები, მათ შორის აღვნიშნავთ, რამდენიმეს: 1) აფხაზეთისა და სამეგრელოს კარსტულ მდინარეთა საშუალო ჩამონადენის სიდიდეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აზონალური ფაქტორი — კარსტული მოვლენები, რაც გამოიხატება მასში, რომ მდინარეთა ჩამონადენის ფაქტიური მოდული 1,5—2-ჯერ სჭარბობს თეორიულ ზონალურ მოდულს; 2) ჩამონადენის შიდაწლიური კალენდარული განაწილება კარსტულ მდინარეებზე დამოკიდებულია საზრდოობის ხასიათზე, კარსტული წყლებით მნიშვნელოვანი საზრდოობა ზრდის მინიმალურ ჩამონადენს, ხოლო წყალშთანთქმის პირობებში, მსგავსად საშუალო ჩამონადენის მოდულისა—დაბლდება; 3) კარსტული მოვლენები განსაკუთრებით ძლიერ გავლენას ახდენენ მდინარეთა მინიმალურ ჩამონადენზე; 4) აფხაზეთის კარსტულ ზოლში ინტენსიური მიწისქვეშა წყალცვლით გამოირჩევა გაგარის მასივი, ბზფის ქედის კირქვიანი ნაწილი, აგრეთვე გუმისთის, ელასურის, ბესლეთის, ამტყელ-ჩამფალისა და ოჯაჩქუეს მასივები; 5) დასავლეთ საქართველოს კარსტულ მხარეში ადგილი აქვს მდინარეთა ჩამონადენის მაჩვენებლების აზონალობას. ამ მოვლენას ადგილი აქვს, როცა: ა) ზედაპირული ჩამონადენის შთანთქმული ნაწილი არ უბრუნდება თავის აუზს, ბ) კარსტული წყლები შემოდის სხვა წყალშემკრებიდან და გ) ერთი და იმავე აუზის სხვადასხვა ფართობს

შორის ადგილი აქვს ჩამონადენის გადაწეობას მდინარის კალაპოტში არსებულ პონორების საშუალებით; 6) რეჟიმის მიხედვით აფხაზეთსა და სამეგრელოს მდინარეებს შორის გ. გვიგინეიშვილი გამოყოფს გენეტურ კარსტულ მდინარეთა შემდეგ ტიპებს: ა) კარსტული მდინარეები, რომლებიც დამატებით საზრდოადი კარსტული მალაქთიანი მსივებიდან, ან მეზობელ მდინარეთა, ძირითადად ჩამონადენის ხარჯზე; ბ) კარსტული მდინარეები, რომლებიც ეპიზოდურად დამატებით საზრდოობენ მეზობელ მდინარეთა მოუწესრიგებელი ჩამონადენის ნაწილის ხარჯზე, გ) კარსტული მდინარეები რომლებიც დამატებით საზრდოობენ როგორც მოუწესრიგებელი, ისე მეზობელ მდინარეთა ძირითად ჩამონადენის ხარჯზე; დ) კარსტული მდინარეები, რომლებიც მუდმივად კარგავენ თავიანთ ჩამონადენის ნაწილს; ე) კარსტული მდინარეები, რომლებიც ეპიზოდურად კარგავენ მოუწესრიგებელ ჩამონადენს; ვ) კარსტული მდინარეები, რომლებიც მუდმივად კარგავენ ძირითად ჩამონადენს, ხოლო ეპიზოდურად—მოუწესრიგებელ ჩამონადენის ნაწილებს; ზ) კარსტული მდინარეები კომბინირებული მიწსქვეშა წყალცვლით და თ) კარსტული მდინარეები, რომლებიც მუდმივად კარგავენ ჩამონადენს; 7) აფხაზეთისა და სამეგრელოს მდინარეებს შორის საზრდოობის მხრივ გამოიყოფიან: ა) მდინარეები ჩამონადენის გენეტური შემადგენლობის ზონალური თანაფარდობით და ბ) მდინარეები ჩამონადენის გენეტური შემადგენლობის აზონალური თანაფარდობით. ამ უკანასკნელთა შორის (ე. ი. „მდინარეები, რომელთაც კარსტული გავლენით დარღვეული აქვთ ჩამონადენის გენეტური შემადგენლობის ზონალური თანაფარდობა“) გამოიყოფიან: მდინარეები, რომლებიც საზრდოობენ კარსტული წყლებით სხვა მდინარეთა აუზებიდან და მდინარეები, რომლებიც საკუთარი აუზის წყლებს ზედაპირულ წყალგამყოფის ფარგლებს გარეთ გასცემენ.

ლ. ვლადიმეროვმა სპეციალურად რიგი შრომა მიუძღვნა საქართველოს კარსტული წყლების შესწავლასა და მათი გავლენის როლს მდინარეთა ჩამონადენის რეჟიმზე [630, 634, 638, 640, 645—647]; ამ საკითხებს იგი სწავლობს აგრეთვე საერთოდ მდინარეთა ჩამონადენის დახასიათების ფონზეც ([6, 629, 631—633, 636—637, 641—642] და სხვ.). ამ შრომებში ლ. ვლადიმეროვი აშუქებს საქართველოს კარსტის წყლების რიგ საკითხებს; ასე, მაგალითად: 1) ჰიდროლოგიური ნიშნებისა და საზრდოობის პირობების მიხედვით კარსტულ წყლებს შორის გამოყოფს წყაროებსა და მიწისქვეშა მდინარეებს. კარსტულ წყაროებს შორის ასხვავებს: წყაროებს მყარი რეჟიმით, წყაროებს არამყარი რეჟიმით და წყაროებს ეპიზოდურად მოქმედს; 2) საქართველოს კარსტულ მდინარეთა შორის იგი 3 ჯგუფს გამოყოფს: მიწისქვეშა მდინარეები, რომლებიც დაკარსტულ აუზებიდან საზრდოობენ, მიწისქვეშა მდინარეები, რომლებიც იქმნებიან მდინარის წყლის ნაწილის მიწისქვეშა მოტაცებით უშუალოდ კალაპოტიდან და მიწისქვეშა მდინარეები, რომლებიც წარმოიშობიან ზედაპირული მდინარეების სრული გაუონვის შედეგად; 3) არკვევს რა კარსტული წყლების გავლენას მდინარეთა რეჟიმზე, იგი ასკვნის რომ: ა) ზოგიერთი მნიშვნელოვანი მდინარეები, რომლებიც კარსტულ ზონას კვეთენ, იზრდება მათი მიწისქვეშა საზრდოობის ტენდენცია ქვემოთ დინების მიმართულებით; ბ) კარსტული ზონის გამკვეთ მცირე მდინარეთა შორის, კარსტის გავლენა გამოიხატება მათი წყლიანობის მკაცრ ზრდაში მდინარის დინების მიმართულებით, ამ ზონის მდინარის დაბალი ჩამონადენის ზრდაში ან დადაბლებაში, წყალმოვარდნის რეჟიმის შესუსტებაში და საერთოდ ჩამონადენის ბუ-

ნებრივ მოწესრიგების ზრდასა და შემცირებაში; გ) კარსტულ ზონაში ჩამოყალიბებული მცირე მდინარეები, მათ დადებით თუ უარყოფით მიწისქვეშა წყალცვლასთან დაკავშირებით, იყოფიან ძლიერ დაბალ ან, პირიქით. მნიშვნელოვანი შედარებითი წყლიანობით. ამ მდინარეთა ჩამონადენის ბუნებრივი მოწესრიგება დამოკიდებულია კარსტული წყლების რეჟიმზე; დ) ჩანთქმული და შემდეგ ხელახლა ზედაპირზე გამოსული მდინარეები, უმრავლეს შემთხვევაში, ხასიათდება წყალმოვარდნის შესუსტებით; ამასთან ასეთ მდინარეებზე შეიძლება ადგილი ჰქონდეს ჩამონადენის ხანმოკლე მკაცრ დადაბლებას და თვით შეწყვეტასაც კი; ე) საკმაოდ ნათლად არის გამოხატული კავშირი მდინარეთა მინიმალური და საშუალო წლიურ ხარჯებს შორის ისეთ მდინარეებზე, რომლებიც კარსტულ ზონას ჰკვეთენ ან იწყებიან თვით ამ ზონაში; ვ) კარსტული მოვლენები საერთოდ იწვევენ ჩამონადენის ზრდას, რაც დაკავშირებულია წყლის ინტენსიური ინფილტრაციის პირობებში მისი აორთქლების საგრძნობლად შემცირებით. ამასთან ერთად გვაქვს ცალკეული საწინააღმდეგო შემთხვევებიც, როცა სიღრუეები იწვევენ წყლების დაგუბებას და ხასიათდება არასაკმაო წყალგამტარობით ([630] და სხვ.).

ლ. ვლადიმეროვის ყურადღების ცენტრშია აგრეთვე მთიანი ოლქების კარსტული წყლების ჩამონადენის რეჟიმის საკითხების კვლევის მეთოდის შერჩევა, რასაც იგი საქართველოს მაგალითზე წყვეტს [639]. აღსანიშნავია აგრეთვე ლ. ვლადიმეროვის, გ. გიგინეიშვილის, თ. გაბრიჩიძის, მ. ჩიჯავაძის, რ. შენგელიას და დ. შაქარიშვილის ნაშრომი მიწისქვეშა ჩამონადენზე საქართველოს მდინარეებისათვის [643—644].

ლ. ვლადიმეროვი და გ. გიგინეიშვილი სწავლობენ წყლის ბალანსის საკითხს ოხაჩქუეს მასივის მაგალითზე [645]. ამავე მკვლევარების მიერ არის დახასიათებული კავკასიონის კარსტული წყლებიც [646—647, 1529].

საქართველოს კარსტული ზედაპირული წყლების თავისებურებაზე საინტერესო მონაცემებს იძლევიან თ. კიკილაშვილი, ნ. უკლება, ი. აფხაზავა, რ. შენგელია და სხვ. თ. კიკილაშვილი ყვირილის აუზის ჰიდროგრაფიული ქსელის სიმპიდროვის თავისებურების გარკვევისას აღნიშნავს, რომ ყვირილის აუზის ის ადგილები, სადაც კარსტული მოვლენებია განვითარებული (მაგალითად, რაჰის ქედის თხემური ნაწილის გასწვრივ—მაღალმთიან ზონაში, მდ. ყვირილისა და ძირულის წყალგამყოფის ჩრდილო ნაწილში, ყვირილის აუზის მარცხენა მხარეზე და საჩხერე-სხვიტორის მიდამოებში) დამახასიათებელია ჰიდროლოგიური ქსელის განუვითარებლობა მიუხედავად ატმოსფერული ნალექების სიუხვისა ([152], გვ. 146).

ნ. უკლება მდ. ყვირილის აუზის ჩამონადენის კოეფიციენტის დადგენისას აღნიშნავს, რომ მდ. ტყიბულას—ტყიბულთან და შაბათაღელეს—ტყცხვათთან ზამთრის ზედაპირული ჩამონადენის დიდი მაჩვენებლები, შედარებით ამავე პერიოდის მოსულ ატმოსფერულ ნალექებთან და მცირედი განსხვავება გაზაფხულის ჩამონადენთან (5—6%), აიხსნება კარსტული მოვლენებით. ამასთან გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მდ. მდ. ტყიბულა და შაბათაღელე „მიწისქვეშა კარსტული გამოქსავლელებით უნდა საზრდოობდნენ მოსაზღვრე აუზების მიწისქვეშა წყლებით, რაც მათ ზამთრის ზედაპირულ ჩამონადენს ზრდის“ ([346], გვ. 154).

ი. აფხაზავა, მდ. მდ. კელასურისა და ბესლეთის ჰიდროგრაფიის გარკვევისას აღნიშნავს, რომ კელასურის აუზის შუა დინებაში ჰიდროგრაფიული



ქსელის დაბალი კოეფიციენტი კარსტული მოვლენებით აიხსნება ([10], გვ. 182—184). რ. შენგელიას აზრით მდ. ბესლეთის წლიურ საზარდოობაში მთავარი როლი ენიჭება მიწისქვეშა წყლებს, რაც წლიური ხარჯის 70% შეადგენს; სეზონების მიხედვით იგი ასე ნაწილდება: ზამთარში 12%, გაზაფხულზე 29%, ზაფხულზე 17% და შემოდგომაზე 12%; ეს გარემოება გამოწვეულია მიწისქვეშა კავშირით კელასურთან და მძლავრი ეოკლუზური წყაროების (ოდონისა და ურავის წყაროები) არსებობით მათ ეოზში [428].

ი. აფხაზავა ახასიათებს რიწის ტბას ლიმნოლოგიური თვალსაზრისით, რომლის წყლის რეჟიმზე კარსტიც ახდენს გავლენას [13]; კარსტული წყლების, კერძოდ ტბების შესახებ საინტერესო მონაცემები მოიპოვება ამავე მკვლევარის სხვა შრომაშიც [14, 1379].

უ. ზეიადაძემ შეისწავლა მდ. ალაზნის მარცხენა მხარის კარსტული წყლების კვებისა და გავრცელების პირობები, აგრეთვე ზედაიურულ-ქვედაკარსტულ კარბონატულ ფლიშში კარსტული პროცესების განვითარების პირობები [816]. ამავე რაიონის კარსტული წყლები შეისწავლა გ. გიგინეიშვილმა და გ. კურდღელაიძემაც [64].

საქართველოს კარსტული წყლების შესახებ საკირო მონაცემებია გ. ხმალაძის შრომაში ([1299], გვ. 131, 145), აგრეთვე სსრკ ზედაპირული წყლების რესურსების IX ტომში ([1151], გვ. 17—18, 38—42, 66—67, 74—75, 118, 154, 168—273). საქართველოს კარსტული წყლების შესწავლისას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ვ. ბალკოვის შრომებს (იხ. მაგალითად: [559] და სხვ.).

კარსტული წყლების შესახებ საინტერესო მონაცემები მოიპოვება აგრეთვე არაპიდროლოგიურ ნაშრომებშიაც, მაგალითად, გეომორფოლოგიურსა და სხვ. ([7, 191, 243, 320, 340, 1029] და სხვ.). რამდენიმე გამოკვლევა გამოქვეყნდა კარსტულ ზონაში მიწისქვეშა წყლების მიდროგრაფიის საკითხზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ი. აფხაზავას ნაშრომი მდ. პი. არაგვისა და თერჯის აუზებს შორის მიწისქვეშა წყალცვლაზე [9], ი. აფხაზავასა და გ. გიგინეიშვილის ამტყერის ტბის მიდამოებზე [15], გ. გიგინეიშვილის ნაშრომები დასავლეთ საქართველოს მდინარეთა აუზებში ჩატარებულ კარსტული წყლების მიწისქვეშა გზების კვლევაზე და მის მეთოდიაზე ([55, 60, 726, 728, 730] და სხვ.), გ. გიგინეიშვილის და დ. ტაბიძის სტატია — ბზიფის კარსტული ქედის მიწისქვეშა წყალშემკრები აუზების შესახებ [737], ლ. ვლადიმეროვის კელასურ-ბესლეთის და შაორა-შარალის მიწისქვეშა კავშირის შესახებ [635, 638], ე. მგელაძის აფხაზეთის მიწისქვეშა მდინარეების შესახებ [1065]. შ. ყიფიანისა და ზ. ტინტილოზოვის კელასურ-ბესლეთის მიწისქვეშა კავშირზე [890], ვ. ჭუმბურიძის ოხაჩქუეს მასივის მიწისქვეშა წყლებზე ([1337], ს. ჩიხელიძის მინერალურ, მათ შორის კარსტულ მიწისქვეშა წყლებზე ([1333], გვ. 24 და სხვ.). მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვება საქართველოს კარსტულ მღვიმეთა კატასტრში ([423], გვ. 44—45 და § 7 ყოველი გამოქვეყნების შესახებ), აგრეთვე მიწისქვეშა ცალკეულ ობიექტების შესახებ გამოქვეყნებულ ნაშრომებში ([243, 320, 340, 420—422] და სხვ.). საქართველოს კარსტის მიწისქვეშა ტბების შესახებ ზოგიერთი ცნობები მოჰყავს, არსებულ მასალების საფუძველზე, გ. მქსინოვიჩის [986, 994].

უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული ნაშრომები ეხება გავრა-განთიადს შორის შავი ზღვის ძირზე არსებულ სუბმარინულ წყაროებსაც; ამ მხრივ საინტერესო მონაცემები მოიპოვება გ. გიგინეიშვილის ([725], გვ. 41), განსა-

კუთრებით ი. ბრაშინას [593], ი. ბუაჩიძისა და ა. მელივას [596], აგრეთვე გ. მაქსიმოვიჩისა და თ. კიკნაძის [1006] გამოკვლევებში. ამ სუბბარინულ წყაროების შესახებ ზოგიერთი მონაცემი მოჰყავს გ. მაქსიმოვიჩის [983, 985, 987, 994].

საქართველოს კარსტული წყლების შესახებ ზემოაღნიშნული მდიდარი მონაცემების დაგროვებამ ცხადია გამოიწვია სათანადო კორექტივის შეტანა საქართველოს ჰიდროლოგიური დარაიონების რუკაზეც, რაც სათანადოდ შეასრულა ლ. ვლადიმეროვმა [117, 119—120, 637].

რამდენიმე გამოკლევა გამოქვეყნდა საქართველოს კარსტულ ოლქებში მიწისქვეშა წყლების მოძრაობის ხასიათისა და კარსტის განვითარების ჰიდროგეოლოგიურ თავისებურებათა შესახებ. ასეთ შრომათა შორის აღსანიშნავია თ. კიკნაძის ნარკვევი არბიკის მასივზე კარსტის განვითარების ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ [877]. ეს მკვლევარი არბიკის მასივისათვის აღნიშნავს ცირკულაციის 5 ზონას: 1) ზედაპირულს, 2) ვერტიკალურს ანუ დაღმავალს დაკიდული წყლების ქვეზონით, 3) გარდაღმავალ და ჰორიზონტულს, 4) სიფონურ და 5) სიღრმულს (იქვე, გვ. 39). შ. ყიფიანი და ზ. ტინტილოზოვი ოხაჩქუეს კირქვიანი მასივს კარსტის დახასიათებისას ჩერდებიან ნაპარაკოვან-კარსტულ წყლების სიმაღლით ზონების საკითხზე, ამასთან გამოყოფენ ზედაპირულ და ვერტიკალურ ცირკულაციის ზონებს და არკვევენ მათ როლს; ამავე ნაშრომში მითითებულია, რომ ოხაჩქუეს კარსტული მასივისათვის დამახასიათებელია წყლების განცალკევებული ნაკადების განვითარება ([419], გვ. 75—79). ეს საკითხი ზ. ტინტილოზოვს განხილული აქვს 1960 წლის ნაშრომშიც [1251]. კარსტული წყლების ვერტიკალურ ჰიდროდინამიკურ ზონალობის საკითხს დასავლეთ საქართველოს კარსტული ზოლის მაგალითზე ზ. ტინტილოზოვი ეხება თავის მოხსენების თეზისებშიც 1967 წელს [334]. გ. გიგინიშვილი, თ. კიკნაძე და დ. ტაბიძე არკვევენ ახალგაზრდა ოროგენეტულ მხარეთა კარსტული წყლების ზედაპირულ და მიწისქვეშა აუზების გენეზის კავკასიონის მაგალითზე და იმ დასკვნამდე მიდიან, რომ მიწისქვეშა აუზების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პლიკატურ დისლოკაციებს, ხოლო ძველი კარსტის პირობებში—დიზუნქტურ დისლოკაციებს, პლიკატურს კი უმნიშვნელო [1434]. თ. კიკნაძემ და დ. ტაბიძემ შეისწავლა არბიკის კირქვეული მასივის კარსტული წყლების მიწისქვეშა აუზები [884].

აღნიშნავთ აგრეთვე გ. ჩხაიძის საკანდიდატო დისერტაციას ეოვეკვარა-დასავლეთ გუმისთის წყალგამყოფის მიწისქვეშა კარსტულ წყლებზე [1340].

საქართველოს კარსტული წყლების, მათ შორის თერმული წყლების ჰიდროგეოლოგიური ბუნების შესახებ, რომელთაც კარსტოლოგიური მნიშვნელობაც აქვთ, საინტერესო მონაცემები მოიპოვება გ. კამენსკის, მ. ტოლსტიხინასა და ნ. ტოლსტიხინის, ფ. მელივას, გ. პუსტოვალოვასა და ნ. ტოლსტიხინის, ნ. როდინოვის, შ. ჩუბინიძის და ვ. ჭუმბურიძის გამოკვლევებში [859, 1067, 1134, 1154, 1336, 1338—1339]. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. ბუაჩიძის ხელმძღვანელობით, ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილი ფუნდამენტალური მონოგრაფია საქართველოს ჰიდროგეოლოგიაზე [738]. აღსანიშნავია აგრეთვე თ. კიკნაძის შრომა — არბიკის კირქვეული მასივის კარსტის განვითარების ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ [881].

საქართველოს კარსტული წყლების თავისებურებისა და მისი ფართო გავ-

რცელების გამო ეს წყლები სათანადო ადგილს პოულობს ჰიდროგეოლოგიურ რუკებზეც — „ნაპრალოვანი კარსტული ცირკულაციის ტიპის“ სახით. იგი განვითარებულია იურულ და ცარტულ კირქვებზე, ხასიათდება წყალუხვობით და ვრცელდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში (თერჯის სათავეები, აგრეთვე ფასანაურისა და ეინევანს შორის, მაშავერის აუზში და სხვ.). [126—27]; იხ. აგრეთვე; [738, 859, 1134].

### 3) ნიადაგური და მცენარეული საფარის გაერცელების შესწავლილობა

საქართველოს კარსტული ოლქების ნიადაგობრივი საფარის ზოგიერთი თავისებურების გამო, მისი კვლევა მეტად საინტერესო და საჭიროა, როგორც ბუნებრივი ერთ-ერთი კომპონენტთაგანის. ამასთან ეს საჭიროება კიდევ უფრო ძლიერდება თუ გავითვალისწინებთ, რომ ნიადაგობრივი საფარი გავლენას ახდენს კარსტული მოვლენების ინტენსივობაზე; ამ მხრივ საქმარისია აღინიშნოს, რომ ნიადაგის საფარით დაფარულ ადგილებში შრატები და შრატული ველები ვერ ვითარდებიან. მიუხედავად ამისა, ამ უკანასკნელ წლებშიც კარსტული ოლქების ნიადაგობრივი საფარის კვლევა სათანადო სპეციალისტების ყურადღების ცენტრში ჯერ კიდევ ვერ მოქცეულა. ამიტომ არის, რომ კირქვიან ზოლში ნიადაგურ საფარს ჯერჯერობით მხოლოდ ზოგად ხაზებში ვიცნობთ.

მ. საბაშვილის მიხედვით [250—251] საქართველოს კარსტული კირქვიან ოლქებში უმთავრესად მთა-ტყის ზოლში კირქვის გამოფიტვის პროდუქტებზე ვრცელდება ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, რომლებიც გამოირჩევიან მცირე ან საშუალო სისქით, ძლიერი ხირხატოვნებით, ქვედა პორიზონტებში ნახშირმჟავა კირის დიდი შემცველობით (80%-მდე და მეტი); კლასტოკარსტულ ოლქებში, მ. საბაშვილის მონაცემებითვე, ვრცელდება ტყის ყომრალი ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების კომპლექსი, რომლებიც განვითარებულია კირქვების, მერგელების და კირქვიან ქვიშაქვების გამოფიტვის პროდუქტებზე.

მ. საბაშვილი 1965 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში საქართველოს ნიადაგების შესახებ [252] საკმაოდ დაწვრილებით ჩერდება კარსტულ რაიონებში განვითარებულ ნიადაგების დახასიათებაზეც. ამ მკვლევარის მიხედვით აფხაზეთისა და სამხრეთ აფხაზეთ-სამეგრელოს ტერიტორიაზე, ბარის ფარგლებში ვრცელდება ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, ზემო იმერეთის მაღლობზე კი—ნეშომპალა კარბონატული და ტყის ყომრალი ნიადაგები. კავკასიონის სამხრეთ ფერდობის კარსტულ-კირქვიან ზოლში მ. საბაშვილი გამოყოფს ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების ტიპს, რომელიც ვრცელდება აფხაზეთის (ვაგარის, ბზიფის და კოდორის ქედებზე, აგრეთვე იმ პატარა ქედებზე, რომელიც ამ ქედების სამხრეთით ან მათ შორის მდებარეობენ), აღმოსავლეთით იგი გავრცელებას პოულობს სამეგრელოს ქედის სამხრეთ ნაწილში (ყვირის, მინგარიისა და გაუჩის ქედებზე), აგრეთვე ურთისა და ეკოს სერებზე, ცხუნკურქუთაისის და მოწამეთ-კარტახისთავის მიდამოებში, რაჭაში და სხვ. ტყის ყომრალი, გაეწრებული ყომრალი და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები ვლინდება რაჭის ქედის სამხრეთ ფერდობზე, რაჭისა და ლეჩხუმის ქვაბულებში. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ერწო-წონის ქვაბულის რაიონში, აგრეთვე იქ, სადაც სუბსტრატი კირქვებით არის წარმოდგენილი, განვითარებულია ტყის ყვისფერი, ნეშომპალა-კარბონატული, აგრეთვე ტყის ყომრალი და გაეწრე-

ბულ-ყომრალი ნიადაგები ([252], გვ. 50—210). აღსანიშნავია აგრეთვე მ. საბაშვილის და სხვა ავტორებთან ერთად შესრულებული ნაშრომებიც [253, 1161]. მ. საბაშვილსავე ეკუთვნის საქართველოს ნიადაგების რუკა 1:200000 მასშტაბში, რომელზეც კარსტული ოლქის ნიადაგობრივი საფარიც არის გამოყოფილი [251]. ეს რუკა ზემოთ დასახელებულ მონოგრაფიის კარგ ილუსტრაციას წარმოადგენს. თ. ჩხეიძე საინტერესო სტატიას აქვეყნებს აფხაზეთის ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებზე [440].

აღსანიშნავია დ. გედევანიშვილის ნაშრომიც საქართველოს სსრ ნიადაგობრივ-ლანდშაფტური ზონების შესახებ; ამ ნაშრომში კავკასიონის დაბალ, საშუალო და მაღალმთიან ზონებისათვის გამოყოფილია კირქვებზე განვითარებული ნიადაგების კომპლექსებიც ([714], გვ. 123—124).

კირქვიან-კარსტული ტერიტორიები საერთოდ და კერძოდ საქართველოში სრულიად ორიგინალური მცენარეული საფარით ხასიათდება. მცენარეული საფარიც თავის მხრივ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კარსტული პროცესების ინტენსიობაზე. ამ მოტივებითაა გაპირობებული გეოგრაფთა, კერძოდ კარსტოლოგთა დიდი ინტერესი ჩვენი ქვეყნის მცენარეული საფარისადმი. ამიტომაც, რომ 1958 წლიდან დღევანდლამდე საქართველოს კირქვიანების მცენარეების შესახებ მრავალი საყურადღებო ნაშრომი გამოქვეყნდა, განსაკუთრებით ელ. და მ. სოხაძეების, ალ. ქუთათელაძის და სხვ. მიერ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში ნ. ალბოვის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შემდეგ კირქვიანი მცენარეებისადმი ინტერესი ისე გაცხოველებული არ ყოფილა, როგორც ამ უკანასკნელ წლებში აქვს ადგილი.

ელ. სოხაძემ მოგვცა კოლხეთის მაღალმთიანი კირქვიანი ნაწილის (გაგარის, ბზიფის, ოხაჩქუეს, ყვირის, მინგარიის, ასხის და რაჭის ქედების) ბოტანიკურ-გეოგრაფიული დახასიათებები; ამ დახასიათების მიხედვით იგი ასკენის, რომ: 1) აფხაზეთის მაღალმთიანი ლანდშაფტების მცენარეულობა (გაგარისა და ბზიფის ქედები) ნესტიანი, ყველაზე ცივი კლიმატითა და გაყინვარების კვლებით გამოირჩევა უფრო კრიომეზოფილური ხასიათით და თავისებური ენდემების არსებობით; 2) სამეგრელოს მაღალმთიანი (ოხაჩქუეს, მინგარიის და ასხის) ქედები, სადაც კლიმატი ნესტიანია, მაგრამ თბილია, ხასიათდება ლანდშაფტური მცენარეულობის უფრო თერმომეზოფილური, კოლხური კომპლექსით, აგრეთვე ძველი ენდემების თავისებურებით, რაჭის ქედის მაღალმთიანი მცენარეულობა კი უფრო კონტინენტური კლიმატის პირობებით, ქსეროფილურია და შედარებით ღარიბია კოლხურ კირქვეული მაღალმთის სახეებით; აქ ენდემებიც ნაკლებად ვრცელდება ([1212], გვ. 23—24; [1213]). იგი არკვევს აგრეთვე ზემო იმერეთის მაღლობს [1207] და საქართველოს კირქვიანი ზოლის ფარგლებში მცენარეული საფარის ძირითად ნიშნებს [274].

ელ. სოხაძე მ. სოხაძესთან ერთად აწარმოებს გაგარის, ოხაჩქუეს, ყვირის, მინგარიის, გაუჩის, ლეჩხუმისა და რაჭის კირქვეული ქედების ბოტანიკურ-გეოგრაფიულ შესწავლას [275, 1211—1217, 1219—1226]. ეს მკვლევარები არკვევენ აგრეთვე მაღალმთიან მცენარეულობის გავრცელების ზედა საზღვრის დაწვევის მიზეზებს [1226]. ელ. და მ. სოხაძეებზე დევის გავრცელების საკითხი გააშუქონ ოხაჩქუეზე [1218]. ელ. და მ. სოხაძეებმა საინტერესო ნაშრომი მიუძღვნეს დასავლეთ საქართველოს კირქვიან ზოლის მცენარეულობაზე კარსტულ ქვაბულების გავლენის საკითხსაც [276]. ელ. და მ. სოხაძეების ზემოთ

დასახელებული გამოკვლევების საფუძველზე ჩვენ საშუალება გვქონდა შედარებით სრული წარმოდგენა ვიქონიოთ საქართველოს კარსტული ზოლის მცენარეული საფარის ხასიათზე და თავისებურებაზე.

ელ. სოხაძის ეკუთვნის აგრეთვე დასავლეთ საქართველოს კირქვიან-კარსტული ზოლის ბოტანიკურ-გეოგრაფიული დარაიონება; ამ ზოლის ფარგლებში იგი გამოყოფს ოლქებსა და რაიონებს: 1) აფხაზეთის ოლქს გაგრა-ბზიფისა და ავეფსთა-ოქუშის რაიონებში; 2) სამეგრელოს ოლქს ამავე სახელწოდების რაიონით და 3) რაჭის ოლქს საკუთრივ რაჭისა და ნაქერალის რაიონებით [1213]; უფრო ადრინდელ ნაშრომებში იგი იძლევა კოლხეთის პროვინციის ნაწილის რამდენიმე განსხვავებულ ბოტანიკურ-გეოგრაფიულ დარაიონების სქემას, სახელდობრ იგი გამოყოფს: 1) გაგრა-ბზიფის რაიონს, 2) სამეგრელოს რაიონს ოხაჩქუე-ყვირის, მინგარიის და ასხის ქვერაიონებით, 3) ხვამლ-ლეკნარის რაიონს და 4) რაჭის რაიონს ნაქერალის რაიონისა და რაჭის ქედის ქვერაიონებით [1209, 1212—1213]. ელ. სოხაძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ცნობილ გეობოტანიკოსის ნ. კუზნეცოვის პრინციპების გამოყენების საკითხის გარკვევა დასავლეთ საქართველოს კირქვიანი ზოლის დარაიონებისათვის [1210].

მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს ჩატარებული აგრეთვე ალ. ქუთათელაძეს დასავლეთ საქართველოს კარსტული ოლქის, კერძოდ იმერეთის მცენარეული საფარის შესახებ [362—366, 939], ჩატარებულმა გამოკვლევებმა ალ. ქუთათელაძეს მისცეს სრული საფუძველი აღენიშნა: „იმერეთის კირქვების ფლორა მეტად თავისებური და ორიგინალური და ენდემური სახეების სიმდიდრით და ორიგინალობით საკვლევი რაიონი იმსახურებს დამოუკიდებელ ფლორისტულ რაიონად გამოყოფას იმერეთის რაიონის სახელწოდებით“ ([366], გვ. 23 და 43).

ასხის კირქულ პლატოზე წაბლის გავრცელების საკითხს ეხება ე. ნაკაიძისა და ვ. ჭიშკარიანის სტატია [1091].

საინტერესო გამოკვლევები აქვს ჩატარებული აგრეთვე ლ. მახათაძესა და კ. მამისაშვილს სათაფლიის ნაკრძალის მცენარეული საფარის დასახასიათებლად [1054]; კ. ქიშკრიძეს კირქვიან სუბსტრატზე კავკასიონის ლერწამქუჩიანი მდელოების თავისებურებებზე ([358], გვ. 7 და 9); ა. ხარაძე კავკასიონის მაღალმთიანი ენდემური ჰემიქსეროფილური ელემენტების კვლევისას ჩერდება კირქვებით აგებულ სუბსტრატზე ჩამოყალიბებულ მცენარეულ საფარსა და მის თავისებურებებზე ([1291], გვ. 117—124). აღსანიშნავია ლ. კემულარიანათაძისა და ლ. ხინთიბიძის, აგრეთვე ნ. ჩოლოყაშვილის გამოკვლევები კირქვიანების მცენარეების ენდემური ახალი სახეების დადგენის საქმეში [873, 1334].

საქართველოს კირქვიანების მცენარეული საფარის ზოგად სურათს იძლევა ნ. კეცხოველი თავის მონოგრაფიულ გამოკვლევებში [147—148].

საქართველოს კირქულ-კარსტულ ოლქების მცენარეულობის ორიგინალურობამ სათანადო გამოხატულება პპოვა დასავლეთ საქართველოს ბოტანიკურ-გეოგრაფიულ დარაიონებაშიც; ასე, მაგალითად, ა. კოლაკოვსკი კოლხეთის ბოტანიკურ-გეოგრაფიულ დარაიონებისას ხმელთაშუაზღვის ოლქის ევროპულ ქვეოლქის კოლხეთის ტყის პროვინციაში გამოყოფს ტყის კირქვიან ქვეპროვინციას. ამ უკანასკნელში იგი ასხვავებს ა) დაბალმთიან რაიონების ჯგუფს: 22. გაგრის, 23. ათონის, 24. სამეგრელოს და 25. რაჭა-ლეჩხუმის რაიონებს

([905], გვ. 178—181); ბ) მაღალმთიან ტყეების რაიონების ჯგუფს: 26. ბზიფის (გაგრისა და ბზიფის კირქვიანი ქედების ფერდობები) და 27. ასხის (სამეგრელოს ქედის სამხრეთი ტოტები) რაიონები (იქვე, გვ. 161—182). კოლხეთის ალპურ პროვინციაში ა. კოლოკოვსკი გამოყოფს ალპურ კირქვიან ქვეპროვინციას, რომელშიც შეყავს 32. გაგრა-ბზიფის რაიონი (გაგრისა და ბზიფის ქედების მაღალი ნაწილები) და 33. ასხის რაიონი (სამეგრელოს ქედის სამხრეთ ტოტები, ასხი, ჯვარი, მინჯარია) (იქვე, გვ. 186—189). ა. კოლოკოვსკის რუკის მიხედვით კოლხეთის ბარზე გავრცელებულ კლასტოკარსტულ ტერიტორიაზე წარმოდგენილია ტყის არაკირქვეული ქვეპროვინციის ბარისა და დაბალმთის ტყეების რაიონების ჯგუფი, მათ შორის: 3. გუდაუთის, 4. გუმისთის, 5. სოხუმის და 6. ზუგდიდის რაიონები (იქვე, 170—178). კოლხეთის ბოტანიკურ-გეოგრაფიული ტიპების დახასიათებას ა. კოლოკოვსკი იძლევა სხვა ნაშრომებშიც [906—907].

დასასრულ აღვნიშნავთ ა. ხარაძის ნაშრომსაც, რომელიც მიძღვნილია კავკასიის მაღალმთიანეთის ბოტანიკურ-გეოგრაფიულ დარაიონებისადმი; აღნიშნულ მკვლევარის მიერ გამოყოფილ 5 პროვინციას შორის დასახელებული აქვს დასავლეთ ამიერკავკასიის მაღალმთიანი კირქვიანების ქვეპროვინცია ([1292], გვ. 86—87 და სქემა).

#### 4) ზოოგეოგრაფიული და პალეოზოოგეოგრაფიული შესწავლილობა

კარსტის გეოგრაფიული კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს გადაშენებულ და თანამედროვე ცხოველთა გეოგრაფიის შესწავლა შეადგენს. ამ შესწავლას აქვს გეომორფოლოგიური მნიშვნელობაც — კარსტული რაიონების თანამედროვე და წარსულ ცხოველთა გარკვევით ხერხდება კარსტის ასაკის, მდინარეთა მიწისქვეშა გზებისა და სხვ. საკითხების გადაწყვეტა, რომ არაფერი ვთქვათ ამ მეთოდით სხვა პალეოგეოგრაფიულ (მეთოთხული გაყინვარების ხასიათის, პალეოკარსტის და სხვ.) საკითხების გადაწყვეტის შესაძლებლობაზე.

ამ შესწავლის ინტერესს ისიც აძლიერებს, რომ სპელეოფაუნა საუკუნეების განმავლობაში შეგუებულია გამოქვაბულის პირობებში სიცოცხლეს, სადაც უკუნეთი სიბნელე და თვით ეკოლოგიური გარემოც ხანგრძლივი დროის განმავლობაში უცვლელი რჩება. ამის გამო გამოქვაბულები ბუნებრივ შესანიშნავ ლაბორატორიებს წარმოადგენენ, სადაც შეიძლება ორგანულ სამყაროს, განსაკუთრებით ცხოველების განვითარების თეორიული საკითხების შესწავლა-გადაწყვეტა; ამიტომ არის, რომ გამოქვაბულთა და მიწისქვეშა წყლების ფაუნის შესწავლა ღირს ყურადღებას აქცევენ ბიოლოგები. ბიოლოგიის ეს დარგი უკვე მიმდინარე საუკუნის დასაწყისში გაფორმდა როგორც ბიოლოგიის ცალკე დისციპლინად — ბიოსპელეოლოგიად.

1958—1973 წლებში მნიშვნელოვანი გამოკვლევები შესრულდა საქართველოს კარსტული ობიექტების, განსაკუთრებით მიწისქვეშა სიდროუების თანამედროვე ფაუნის შესწავლისათვის, უმაჯრესად დაბალმთიან და ნაწილობრივ მაღალმთიან ნაწილებში. ამ გამოკვლევების შედეგად გამოქვაბულებში ნაპოვნი ცხოველთა მრავალი სახე, მათ შორის საქართველოს გამოქვაბულების ენდემური სახეები. ჩატარებულ გამოკვლევებიდან რამდენიმეზე შეეჩერდებით. დ. კობახიძემ შეისწავლა საკიშორესა და ცივწყალას გამოქვაბულების

შორის ქვაბული) წყლის ნაკადში არსებული თეთრი წურბელები, რომელიც ახალი ქვესახეობა აღმოჩნდა ([165], გვ. 292).

ი. ბირშტეინმა და ს. ლიოვუშკინმა აფხაზეთის ტერიტორიაზე, წებელდის გამოქვაბულში აღმოაჩინა წყალში მცხოვრები ხველთაშუა ზღვის სპელეოფაუნის დამახასიათებელი მოლუსკები, მათ შორის ერთი გვარი — *Paladilhapsis* პირველი მონაპოვარია საბჭოთა კავშირში, ხოლო მეორე — *Horatia* საბჭოთა კავშირში ცნობილი იყო მხოლოდ რაონჰესის გამოქვაბულში, რომელიც 30-იან წლებში იქნა გახსნილი სადერივაციო გვირაბის გაყვანასთან დაკავშირებით ([579], გვ. 175); ამასთან ერთად გამოვლანებულ იქნა ხოჭოები *Trechini* (*Carabidae*) აბრსკილის, წებელდისა და შაქურანის ზედა გამოქვაბულებში, აღმოჩენილ იქნა კრევეტის (*Troglocaris Schmidti*) ახალი ადგილსაყოფელი გუფის მიწისქვეშა ტბაში სოფ. არასაძინთან და სხვ. (იქვე). საქართველოს კარსტული გამოქვაბულების ფაუნის შესახებ ზოგიერთი ცნობა მოჰყავს ს. ლიოვუშკინს 1961 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში [418].

ე. ბორუტსკის მოჰყავს მონაცემები *Caucasolidium Borutsky*-ის (*Isopoda terrestria*) გვარის გავრცელებას შესახებ, რის მიხედვით ხერხდება ცხრაფეხიანების გავრცელების ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის გადაწევა გულაუთასა და გაგრას შორის გამავალ ხაზიდან თვით გვარის ქელზე [589—590].

ი. ელიაევმ გვარის რაიონის ეოფაუნისა და ჰამბონის გამოქვაბულებში აღმოაჩინა და შეისწავლა ნემატოდების 6 ფორმა, რომლებიც ადრე საბჭოთა კავშირში ცნობილი არ იყო, მათი არსებობა კი რეგისტრირებულია ბელგიის, იუგოსლავიის, პოლონეთისა და უნგრეთის გამოქვაბულებში [1354].

ნ. ზალესკიამ შეისწავლა ყირიმისა და კავკასიის, მათ შორის აფხაზეთში აღმოჩენილ გამოქვაბულთა მრავალფეხიანები — *Chilopoda* [809]. აღსანიშნავია აგრეთვე ნ. ზალესკიას და ი. უარკოვას სხვა ნარკვევებიც [801, 810].

ს. ლიოვუშკინმა 1960 წელს გამოიკვლია არბიკის მასივის უფსკრულების სპელეოფაუნა, ხოლო ამ გამოკვლევების შედეგები 1963 წელს გამოქვეყნდა; მის მიერ გამოკვლეულ იქნა ჰამბონის, გელგელუკ-ჰამბონის შორის მდებარე გელგელუკის და ახაგის გამოქვაბულების ხოჭოები, გვერდზემცურავეები, მრავალფეხიანები და სხვ. [948].

ვ. კურნაკოვი 1959 წელს აქვეყნებს შრომას აფხაზეთის ტრეჩინების, ტროგლობიონტური ხოჭოს ორი ახალი სახის შესახებ, რომლებიც ენდემური აღმოჩნდნენ აფხაზეთის გამოქვაბულებისათვის ([1475]; იხ. აგრეთვე: [949], გვ. 451).

ს. ლიოვუშკინიც იკვლევს დასავლეთ საქართველოს ტრეჩინის (*Trechini*) ფაუნის ხასიათს შაქურანის ქვედა და ტრეხუსას (არბიკის მასივზე) გამოქვაბულებში [952], აგრეთვე ივერიის გამოქვაბულში [950]; აღნიშნულ გამოკვლევათა მეოხებით გაიზარდა ამ ფაუნის სახეთა რაოდენობა სამამდე, ამასთან ისინი სახლობენ აფხაზეთში: წებელდის მიდამოებში (წებელდისა და შაქურანის ქვედა გამოქვაბულებში), ივერიის და სოჭის გამოქვაბულებში; დადგენილი იქნა, რომ ტრეჩინების ეს გვარი (*Jeannelius*) კარგადაა წარმოდგენილი ამიერკავკასიაში ([950], გვ. 1263). ისიც არის აღსანიშნავი, რომ ტროგლობიონტური ხოჭო საბჭოთა კავშირის გამოქვაბულებში იშვიათად გვხვდება და ამ მხრივ ივერიის უფსკრულში აღმოჩენილი გამოწევისა (მასში დაქერილ იქნა ასამდე ეგზემპლარი), თუ რით არის გამოწეული ამ უფსკრულში მათი ასეთი სიმრავლე, ეს ჭერჯერობით გარკვეულია.

ვეული არ არის (იქვე, გვ. 1263); ეგების ამის ნაწილობრივი მიზეზი ის არის, რომ ეს უფსკრული ახლახან იქნა აღმოჩენილი და ჭერჭერობით მას ადამიანის ხელი არ დატყობია. ს. ლიოვეუშკინმა შეისწავლა გავრის რაიონის ენოფსისა და კამზონის გამოქვაბულების ფაუნაც, სადაც მან უხერხემლოთა ფორმები, 2) ევროპაში ფართოდ გავრცელებულია ტროგლოფილები, 3) გამოქვაბულებში პირველად იქნა ნაპოვნი ზედაპირული ფორმები — ტროგლოქსენები და 4) ფართოდ გავრცელებული ევროპული ფორმები—საგარაუდო ტროგლოქსენები [952]. სხვა ნარკვევში ს. ლიოვეუშკინი ახასიათებს დასავლეთ საქართველოს სპელეოფაუნას [953].

ს. ლიოვეუშკინმა და ი. სტარობოგატოვმა შეისწავლეს ყირიმისა და კავკასიის (მათ შორის შაქურანის ქვედა) გამოქვაბულების მთიბავეები. ამ გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ დასავლეთ ევროპაში ფართოდ გავრცელებული ეს ტროგლობიონტური ფორმები, მთიბავეები ყირიმ-კავკასიაში მხოლოდ 4 სახეობით გვხვდება, აქედან ერთი საქართველოში [954].

ი. სტარობოგატოვი სწავლობდა კავკასიის, სახელდობრ შაქურანის ქვედა და წებელდის გამოქვაბულების წყლების მოლუსკების ადრე უცნობ სახეებს; ამ გამოკვლევის შედეგად ეს მკვლევარი აღნიშნავს, რომ გამოქვაბულის Pisedium-ი განვითარდა მოლუსკების ამ გვარის ადგილობრივ ფაუნიდან ([1233], გვ. 52; [1234]).

ა. ჭანაშვილი და ო. ოკროჯანაშვილი ახალი ათონის მიდამოების სპელეოფაუნის შესწავლის საფუძველზე იმ დასკვნამდე მიდიან, რომ: „ახალი ათონის მიდამოების მღვიმეთა ფაუნა ლარიბია. ტიპობრივი მღვიმეების ფაუნასთან ერთად აქ გვხვდება შემთხვევითი ელემენტებიც... შესწავლილი მღვიმეების ცხოველთა სამყაროს დიდი მსგავსება ახასიათებს აფხაზეთის სანაპირო ზოლის სპელეოფაუნასთან. ეს გარემოება შეიძლება იმით აიხსნას, რომ აფხაზეთის სანაპირო ზოლის მღვიმეთა წარმოშობა ერთნაირ გეოლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა და დღესაც ამ ზოლში ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები ერთგვაროვანია“ ([493], გვ. 178). რ. ჭანაშვილმა ბოლოფეხიანის ახალი სახე დაადგინა სათაფლიის IV გამოქვაბულის ფაუნას შორის [764] და შეისწავლა საერთოდ ბოლოფეხიანების გავრცელება დასავლეთ საქართველოში [766, 1417]. იგი სწავლობდა აგრეთვე რაქის ქედისა და ასხის მასივის სპელეოფაუნას [765].

ვ. კოკოჩაშვილი, ლ. მარტაშვილის მოწმობით, იძლევა დასავლეთ საქართველოს კირქვიანი რაიონების მოლუსკების დახასიათებას და აღნიშნავს, რომ ისინი ხასიათდებიან სახეთა ნაირნაირობით და რაოდენობრივი სიმდიდრით.

ვ. კოკოჩაშვილის აზრით ხეობებით გამოყოფილ კირქვიან მასივებზე დასახელებულ მოლუსკების ნივარების აგებულება ადასტურებს სახეობრივ სხვაობასაც, რაც მიგვითითებს ამ ხეობათა სიძველეზე, რომლებმაც გამოიწვიეს ძველი ერთიანი კირქვიანი ზოლის დანაწილება ცალკეულ მასივებად ([1029], გვ. 107). აღსანიშნავია აგრეთვე დ. კობახიძის სტატია კელასურის ცრუმორიელის ახალ სახეზე [167].

საქართველოს სპელეოფაუნის შემაჯამებელი სურათი მოცემული აქვს ს. ლიოვეუშკინს თავის მონოგრაფიაში, საბჭოთა კავშირის ძირითად კარსტული რაიონების გამოქვაბულების დახასიათებისას [951]. ს. ლიოვეუშკინი საბჭოთა კავშირის ძირითად კარსტული რაიონების გამოქვაბულთა ფაუნას შორის კავკასიურსაც ერთყოფს. ამ მკვლევარის მიხედვით კავკასიის გამოქვაბულებში და



მიწისქვეშა წყლებში ცხოველთა 260 სახეა აღმოჩენილი, მათ შორის ტროგლობიონტია 107 (41%). ამ უკანასკნელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დასავლეთ საქართველოს გამოქვაბულებშია დასახლებული. ტროგლობიონტურ სახეთა შორის ს. ლიოვეუშინი ანსხვავებს შემდეგს: 1) გამოქვაბულის ფაუნის ჩამოყალიბების ხმელთაშუა ზღვის (ბალკანეთის) ცენტრის ფორმებს, 2) კავკასიის სპელეოფაუნის ავტოქტონებს, 3) ძველ ფართოდ გავრცელებულ მიწისქვეშა ფორმებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი გამოქვაბულთა ფაუნის ჩამოყალიბების განსაზღვრულ ცენტრთან და 4) ფართოდ გავრცელებული ზედაპირული სახეების მიწისქვეშა ეკოლოგიურ ფორმებს [951]; ამასთან ერთად ს. ლიოვეუშინი დასავლეთ ამიერკავკასიის ბიოსპელეოლოგიურ რაიონებსაც გამოყოფს, სახელდობრ: 1) ჩრდილო-დასავლეთი (შავი ზღვის სანაპირო გავრავლდაუთის ჩრდილო-დასავლეთით), 2) აფხაზეთისა (შავი ზღვის სანაპირო გავრავლდაუთის მიდამოებიდან ოჩამჩირის მიდამოებამდე) და 3) დასავლეთ საქართველოს (ჭუთაისის მიდამოები) რაიონებს (იქვე, გვ. 11—12), რომლებიც ძირითადად შეესაბამებიან ამ მხარისათვის ნ. სოკოლოვის მიერ გამოყოფილ სპელეოლოგიურ რაიონებს [1194].

საქართველოს კარსტული რაიონების ცხოველთა სამყაროს (ხერხემლიანების ფეხსახსრიანების, უხერხემლოების: უმარტივესთა და კიების) შესახებ საინტერესო მონაცემები მოიპოვება 1963—1965 წწ. გამოქვეყნებულ საქართველოს ცხოველთა სამყაროს მონოგრაფიულ სისტემატურ აღწერილობებში [263].

1958—1973 წლებში ქვეყნდება საქართველოს სპელეოფაუნის შესწავლილობისადმი მიძღვნილი სტატიებიც დ. კობახიძის, ი. ბირშტინისა და ს. ლიოვეუშინის, რ. ჭანაშვილის და სხვ. მიერ [166, 168, 494, 580, 763, 765].

საქართველოს კარსტულ გამოქვაბულთა არქეოლოგიურ შესწავლასთან დაკავშირებით გარკვეულ იქნა მეოთხეული პერიოდის განამარხებული, ამჟამად ნაწილობრივ უკვე გადაშენებული ცხოველების ჩონჩხის ნარჩენები. ამ მუშაობაში მთელი რიგი მკვლევარები მონაწილეობდნენ.

ნ. ბურჩაქ-აბრამოვიჩმა შეისწავლა წებელდის მიდამოებში გავრცელებული ქეიბოლაზის, ხუფინიშაფხვისა და ქვაჭარის გამოქვაბულების ფაუნა [599—600], აგრეთვე გვარჯილასკლდის (ზემო იმერეთი) გამოქვაბულის ზედა პალეოლითური სადგომის ფრინველები [603]. ამავე მეცნიერის სხვა შრომა მიძღვნილია საქართველოს პლეისტოცენურ ფაუნის, კერძოდ ფრინველების შესწავლისადმი, რომელთა არსებობა მან აღნიშნა წონის, გვარჯილასკლდის ან საგვარჯილესა და სხვა გამოქვაბულებში [28, 601, 604, 1396, 1398]. ამ გამოკვლევების შედეგად იგი ასკვნის, რომ გვარჯილასკლდის გამოქვაბულის მიდამოებში ზედა პალეოლითში კლიმატი უფრო ცივი იყო, ვიდრე ახლა არის ([603], გვ. 109—110). აღსანიშნავია ლ. გაბუნიას გამოკვლევა საგვარჯილეს გამოქვაბულში მოპოვებულ ცხენის ჩონჩხის ნარჩენებზე [661], აგრეთვე ა. ვეკუასა და ო. ბენდუქიძის გამოკვლევა გამოქვაბულების ჰოლოცენური ნალექების ხერხემლიანების ფაუნაზე [16, 114—115].

წოდვის გამოქვაბულთა პალეოლითური სადგომის ფაუნის, კერძოდ ოქოტინას შესახებ საინტერესო მონაცემები მოიპოვება გ. გრიგოლიას და აბ. ვეკუას [76], ა. ვეკუას [113] და ამავე მკვლევარისა და მ. შილოვსკის [116] ნაშრომებში. არსებულ გამოკვლევათა საფუძველზე ამავე გამოქვაბულთა ფა-

უნის შესახებ სათანადო მონაცემებია მოყვანილი გ. გრიგოლიას მონოგრაფიაში [74].

ა. ვეკუამ გამოიკვლია აგრეთვე მალარის (ცუცხვათის) გამოქვაბულთა კომპლექსის პალეოლითური ნაფენები პალეონტოლოგიურად [114]. მან ო. ბენდუქიძისთან ერთად შეისწავლა გიგანტური ირემი საქართველოს პალეოლითურ ნაფენებიდან [115].

საქართველოს სპელეოფუნისტური მონაცემები მოიპოვება ნ. ბერძენიშვილისა და ი. სალინაძის შრომებში წყალწითელის (საკაყიის) დამარხული ეხის შესახებ [20, 1163], აგრეთვე ნ. ბერძენიშვილის (კილაძე) და ი. გძელიშვილის სტატიაში ქვაპარის გამოქვაბულზე [572], ნ. ბერძენიშვილისა და ლ. წერეთლის ნარკვევში დასავლეთ საქართველოს მეზოლითურ ფაუნაზე [22], ლ. გაბუნიას, დ. თუშაბრამიშვილის და ა. ვეკუას სტატიაში ჭრუჭრულის გამოქვაბულის ფაუნაზე ([662], გვ. 158—159); გ. დედარიანისა და დ. დვალის ნაშრომში ჭორწყუს გამოქვაბულზე [93]; დ. თუშაბრამიშვილის მონოგრაფიაში— გვარჯილასკლდის პალეოლითური ნაშთები ([124], გვ. 34—48); ალ. კალანდაძის ნარკვევში წონის გამოქვაბულზე [853, 1453], აგრეთვე ვ. ლიუბინის ნაშრომში კუდაროს გამოქვაბულზე [966] და სხვ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნ. ვერეშჩაგინის ფუნდამენტალური გამოკვლევები კუდაროს გამოქვაბულში დაცულ ხერხეზილიანთა ფაუნის შესახებ, რაც ჯერ კიდევ 1957 წელს გამოქვეყნდა [619] და შემდეგ სათანადო აღვილი დაიჭირა კავკასიის ძუძუმწოვართა ფაუნის ფორმირების ისტორიისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში [620]. ამ ნაშრომში მოცემულია არა მარტო კავკასიის და მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე ფაუნის განვითარება ქვერტეცში, არამედ მის საფუძველზე აღდგენილია ამ მხარის პალეოგეოგრაფიული სურათები. ნ. ვერეშჩაგინი კუდაროს გამოქვაბულში დამარხულ ძუძუმწოვარების დახასიათებას იძლევა 1961 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში [622]. ამავე საკითხზე ჩერდება გრ. ლაზუკოვი მეოთხეული პერიოდის ძუძუმწოვართა ფაუნისა და ადამიანის შესახებ საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ფონზე ([1015], გვ. 218—406). აქვე უნდა მოვიხსენიოთ ნ. ბურჩაქ-აბრამოვიჩისა და დ. წერეთლის გამოკვლევა გამოქვაბულის დათვის გავრცელებაზე [605].

ღიდი ინტერესი გამოიწვია ამ უკანასკნელ წლებში ვ. ლიუბინის მიერ კუდაროს გამოქვაბულში აღმოჩენილმა მაკაკის ძვლებს ნარჩენებმა [966]. ეს ინტერესი მით არის გააძირებული, რომ იგი პირველი მონაპოვარია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მეოთხეულ ნალექებში. უკანასკნელ დრომდე მიჩნეული იყო, რომ საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე ანთროპოგენის დასაწყისში პრიმატების რაზმის ყველა წარმომადგენელი განდევნილი ან მოსპობილი იყო. ამას ეკოლოგიური პირობების შეცვლას უკავშირებდნენ, რასაც თითქოს აღვილი ჰქონდა ქვედა პლიოცენში და შემდეგ თანდათან ძლიერდებოდა ზედა პლიოცენში ([621], გვ. 299). ცნობილია აგრეთვე, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სიტბოს მოყვარული მაიმუნის — უდაბნოპითეკების, მეზოპითეკების და მაკაკების არსებობის უკანასკნელი არეები მესამეულ პერიოდში ამიერკავკასია და შავი ზღვის ჩრდილო სანაპირო იყო (იქვე). ამ ფონზე ვ. ლიუბინის მიერ კუდაროს გამოქვაბულის მეოთხეული ნაფენების თხრის დროს ნაპოვნი მაკაკის ნაშთებმა მოულოდნელად გვიჩვენა, რომ მაკაკები ტენტრალურ კავკასიონის სამხრეთ ფერდობზეც ცხოვრობდნენ. აქ ნაპოვნი იქნა მაიმუნის (*Macaca? sp.*) ზედა საძირე კბილი (*M<sup>3</sup> Btr*), აგრეთვე პრიმატების ლულოვა-

ნი ძელების რამდენიმე ნაბტრევი, ხოლო სულ ქვედა, აშელურ შრეში — მარცხენა კოჭის ძვალიც. ნ. ვერეშაგინის აზრით აქ ნაპოვნი ფრაგმენტების ზომისა და მოყვანილობის დეტალების მიხედვით კავკასიის მაიმუნი ყველაზე მეტ მსგავსებას ჩრდილო აფრიკის უკულო მაკაკასთან და იაპონიის მაკაკასთან იჩენს. ამ მონაპოვარს დიდი პალეოგეოგრაფიული მნიშვნელობა ეძლევა. ნ. ვერეშაგინის გამოკვლევებით დასტურდება, რომ მაკაკების ვავრცელების დროს კუდაროს მიდამოებში ცხოვრობდა ცხოველთა სახეების თითქმის თანამედროვე დაჯგუფებანი, რომლებიც ახლო წარსულში, ამ 150—200 წლის წინათ მოიპოვებოდა ქუთაისისა და კიათურის მიდამოებში (იქვე, გვ. 302). ამ დროს აქ იყო ცხელი და შშრალი კლიმატი, რაც თანამედროვე მცირე აზიისა და სამხრეთ კავკასიისათვის არის დამახასიათებელი. აღნიშნულ მკვლევარის აზრით კავკასიური მაკაკები უდავოდ თბილი მესამეული პერიოდის რელიექტები იყვნენ; მისივე აზრით მეოთხეულ პერიოდში დათბობის დროს ადგილი არ ჰქონია მაკაკების მიგრაციას სამხრეთიდან, რადგან აქ სირიის, ლიბანისა და პალესტინის პალეოლითურ გამოქვაბულებში მათი ნიშნები ნაპოვნი არ არის. ამის შესაბამისად, ნ. ვერეშაგინი უშვებს, რომ მაიმუნები კოლხეთსა და ზემო იმერეთში პლეისტოცენშიაც ცხოვრობდნენ და მათი ამოწყვეტა ისტორიულ ეპოქაში მოხდა (იქვე, გვ. 303).

კუდაროს გამოქვაბულში ნაპოვნი მაკაკის ნარჩენების მნიშვნელობაზე ჩერდება გ. ლაზუკოვიც ([1015], გვ. 227).

როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელ წლებში საქართველოში გაძლიერდა კარსტული გამოქვაბულების არქეოლოგიური შესწავლა, რამაც გააფართოვა ჩვენი წარმოდგენები პირველყოფილ ადამიანის განსახლებაზე. ამას მოჰყვა თვით ადამიანის ძელების ნარჩენების პოვნაც გამოქვაბულის ნალექებში, რაც ასეთ იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს საერთოდ, ხოლო ჩვენი ქვეყნისათვის პირველ ასეთ აღმოჩენებს ჰქონდა ადგილი ჭრუჭულასა (ზემო იმერეთის) და ხუფინიფშახვის (აფხაზეთი, წებელდის მიდამოები) გამოქვაბულებში.

დ. თუშაბრამიშვილმა ჭრუჭულის გამოქვაბულში 1960—1961 წწ. ჩატარებული თხრის დროს გვიან მუსტიეს ასაკის კულტურულ ფენებში იპოვა ადამიანის საძირე კბილი ([128], გვ. 39—40), რომელიც ზრდადამთავრებულ ნეანდერტალელ ან პალესტინელ ადამიანს (ნეანდერტალიდს), ე. ი. ნეანდერტალებიდან თანამედროვე ადამიანისაგან გარდამავალ საფეხურს მიეკუთვნება ([130], გვ. 106, 108; [662], გვ. 160—161). ამ კბილის დეტალური შესწავლა ლ. გაბუნიაშვილმა, დ. თუშაბრამიშვილმა და აბ. ვეკუამ მოახდინა [662]. ამ მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ჭრუჭულის გამოქვაბულის ადამიანი ამ კბილის მიხედვით მიეკუთვნებოდა ნეანდერტალებების გადასვლის ადრინდელ სტადიას Homo sapiens-კენ; ამასთან ისინი სუამენ კითხვას, რომ ჭრუჭულის გამოქვაბულში იზოლირებული კბილის არსებობა ხომ არ მიუთითებს იმ ფაქტზე რომ იგი რომელიღაც ადრე ჩასახულ კულტურის გამოძახილი არისო, რადგან მუსტიურულ შრეებში ხშირად ვპოულობთ ადამიანის კბილის იზოლირებულ ნარჩენებს (იქვე, გვ. 161). მათივე აზრით მუსტიურული ადამიანის ცხოვრებისას საქართველოს ტერიტორიაზე თბილი და ზომიერად ნესტიანი კლიმატი იყო (იქვე, გვ. 159).

საინტერესო მონაპოვრები მივიღეთ ამ უკანასკნელ წლებში წებელდის მიდამოებში არსებულ ხუფინიფშახვის გამოქვაბულის ზედა პალეოლითის ნალექების თხრის შედეგად; აქ 1959 წელს აღმოჩენილი იქნა ადამიანის თა-

ვის ქალის ნარჩენები; გამოქვაბულის თხრა 1960 წელსაც გაგრძელდა [600, 1203]. მოპოვებული მასალის დამუშავება ლ. სოლოვიევა და ვ. ორელინიშა შეასრულეს. ამ გათხრების შედეგად გამოქვაბულში მოპოვებულ იქნა ადამიანის თავის ქალის ნატეხები — ქვედა ყბის ნაწილები და ცალკეული კბილები 2 კვ. მეტრის ფართობზე რაიმე წესრიგის გარეშე. ძვლები ძველად დამტვრეული ჩანს, ზოგჯერ იგი ვანატეხი ზედაპირის ჩათვლით კირის ფენით არის დაფარული; ძვლები რამდენიმე (სამი) სუბიექტის უნდა იყოს. ამ ძვლების ხასიათის მიხედვით ირკვევა, რომ იგი ხნიერ და მოზარდის სუბიექტებს უნდა მიეკუთვნებოდეს ([1205], გვ. 144). ამ გამოქვაბულში მოპოვებული ადამიანის (Homo sapiens) ძვლები, რომლებიც წარმოდგენილია თავის ქალის, კბილისა და ჩონჩხის ძვლების ფრაგმენტებით, ნ. ბურჩაყაბრაშვილის შიითებით, ატარებენ კოცონზე შეწვის კვლევს და ისეა დამტვრეული, როგორც თანამედროვე ცხოველის ძვლები. ამასთან დაკავშირებით აღნიშნული მკვლევარი გამოთქვამს მოსაზრებას ამ გამოქვაბულში მცხოვრებ ადამიანების კანიბალიზმზე, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს რაიმე რელიგიურ რიტუალთან, ან სპორადიულად ნანადირევის უქონლობასთან ([600], გვ. 12).

აღსანიშნავია აგრეთვე წებელდის ჩრდილო-აღმოსავლეთით 4 კმ-ზე მდებარე ქვაქარის (ყადის) გამოქვაბულის მეზოლითურ კულტურულ ფენის ზედა ჰორიზონტებში ადამიანთა — Homo sapiens-ის ორი ქვედა ყბის აღმოჩენა; ისინი თანამედროვე ადამიანის ტიპობრივ ეგზემპლარების ყბისაგან რამდენიმედ განსხვავდება და უახლოვდება მეზოლითულ ადამიანისას ([459], გვ. 42—43).

### 5) ფ ი ზ ი კ უ რ - გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი კ ო მ პ ლ ე ქ ს უ რ ი (ლ ა ნ დ შ ა ფ ტ უ რ ი) შ ე ს წ ა ე ლ ი ლ ო ბ ა

უკანასკნელ წლებში საქართველოს კარსტის ფიზიკურ-გეოგრაფიული და-რგობრივ შესწავლასთან ერთად წარმოებდა მისი კომპლექსური (ლანდშაფტური) კვლევა-ძიებაც. ამ გამოკვლევათა შედეგად რამდენიმე ნაშრომი გამოქვეყნდა.

ასეთი ხასიათის ნაშრომთა შორის აღსანიშნავია ლ. მარუაშვილის ნარკვევები დასავლეთ საქართველოს კარსტული ზოლის გეოგრაფიული და სპელეოლოგიური დახასიათებისათვის [195] და დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან კარსტის გეოგრაფიულ თავისებურებათა შესახებ [191, 1029] და სხვ.

ქ. ყაერშივილი რამდენიმე სტატიას უძღვნის მთლიანად აფხაზეთის ან მისი ცალკეული ნაწილის და სამეგრელოს კარსტულ ლანდშაფტის ტიპოლოგიის საკითხებს და გამოყოფილ ლანდშაფტის ტიპების და რეგიონების დახასიათებას ([375—378, 840—847, 849—850, 1454—1455] და სხვ.). დ. უკლებამ ოხაჩქუეს მასივის ლანდშაფტური ტიპები გამოყო და ამ ტიპების დახასიათება მოგვცა [341].

კოდორის ქედის ბუნებრივ-ტერიტორიალურ კომპლექსებს შორის ლ. აკსირონოვი გამოყოფს და ახასიათებს კარსტულ ლანდშაფტებსაც, ამასთან იძლევა მის სამეურნეო შეფასებას [534]; ამავე საკითხს იგი ეხება სხვა სტატიებშიც [532—533].

მთელ რიგ ნაშრომში კარსტული ფიზიკურ-გეოგრაფიული ლანდშაფტი წარმოდგენილია საერთოდ აფხაზეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული ლანდშაფტების ფონზე; მათ შორის აღსანიშნავია ნ. კუფტარიოვას, შ. ლაშხიას და კ. მგელა-

ძის მიერ შედგენილი წიგნი აფხაზეთის ბუნებაზე ([941], გვ. 65—67, 77—81, 299, 259—289); შ. ლაშხიას შავი ზღვის სანაპიროს ფიზიკურ-გეოგრაფიულ დარაიონების ცდაზე აფხაზეთის ფარგლებში ([946]; გვ. 664, 684—722; [947]); კ. მგელაძის სტატიები აფხაზეთის და ცენტრალური აფხაზეთის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებაზე [210, 1064]; დ. უკლებას სტატია აფხაზეთის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დარაიონებისათვის [342]; თ. სიხარულიძის აფხაზეთის ლანდშაფტური ზონების დახასიათება [272, 1185]; მ. ხარატიშვილის ნარკვევი [464]; საყურადღებოა აგრეთვე ა. სადოვსკის ნაშრომი რიწის ტბისა და მისი მიდამოების ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების შესახებ [1165].

რაჭა-ლეჩხუმისა და ზემო იმერეთის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებისადმი მიძღვნილ ნარკვევებში ცალკეულ კომპონენტებისა და მათი სინთეზის მიხედვით ამ ოლქების კარსტული რაიონების ბუნებაც არის დახასიათებული [6,553].

ყვირილის აუზის ზემო ნაწილის ან სამხრეთ ოსეთის ლანდშაფტების დახასიათების ფონზე ამ ტერიტორიის კარსტული ლანდშაფტებიც არის სათანადოდ გამოყოფილი და გაშუქებული; ასეთი ნარკვევები აქვს შედგენილი ქ. ყავერიშვილს 1959 წელს [374], დ. უკლებას 1963 წელს [343], აგრეთვე გ. მარგველანს 1966 და 1969 წწ. [184—185]. ი. ძიძიგური 1962 წელს სამეგრელოს ლანდშაფტურ დახასიათებისას კირქვიან რაიონებში გავრცელებულ კარსტულ მოვლენებზეც ჩერდება [450—451]. ოკრიბის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებისას გრ. დევედარიანი კარსტულ რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიულ რაიონსაც ახასიათებს [92].

საქართველოს კარსტული ლანდშაფტების კომპლექსურმა ფიზიკურ-გეოგრაფიულმა შესწავლამ სრული საფუძველი შექმნა, რათა ეს ლანდშაფტები არეკლილიყო საქართველოსა და კავკასიის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დარაიონების რუკებზე და მონოგრაფიულ დახასიათებებში. ამ მხრივ აღსანიშნავია რამდენიმე ნაშრომი; მაგალითად, ლ. მარუაშვილის საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის სახელმძღვანელოში საქართველოს ბუნებრივი პირობების ზოგადი დახასიათებისა და რეგიონული აღწერის ფონზე კარსტული ლანდშაფტებიც არის წარმოდგენილი ([199], გვ. 19—43, 74—75 და სხვ.); მ. სანებლიძე საქართველოს სსრ ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დარაიონებასთან დაკავშირებით გამოყოფს კარსტულ ლანდშაფტის გავრცელების ოლქსაც [254—255, 1166—1167]. აღენიშნავთ აგრეთვე, რომ საქართველოს სსრ ატლასში მოთავსებულ საქართველოს ლანდშაფტურ და ფიზიკურ-გეოგრაფიულ დარაიონების რუკებს (შესაბამისად 1:1500000 და 1:2500000 მასშტაბებში), რომლებიც შედგენილია ალ. ჭავჭავაძის, მ. სანებლიძის, დ. უკლებას და ქრ. ჭაყელის მიერ; ამ რუკებზე კარსტული ლანდშაფტები და კარსტული გეოგრაფიული ოლქებიც არის გამოყოფილი ([484], გვ. 153—154 და ლანდშაფტები: 12—13, 55, 58, 85 და 87; [485], გვ. 155—156 და რაიონები; 1, 3, 4, 9, 13). აღსანიშნავია მ. სანებლიძის, დ. უკლებას და ქრ. ჭაყელის მიერ შედგენილი საქართველოს სსრ ლანდშაფტური რუკა (1:600000 მასშტაბში), რომელზედაც გამოყოფილია კარსტული ლანდშაფტებიც ([257], ლანდშაფტები: 12, 15, 54, 57, 59, 89 და 92; იხ. აგრეთვე; [256]), საქართველოს კარსტულმა ლანდშაფტებმა სათანადო გამომხატულება პპოვა კავკასიის ფიზიკურ-გეოგრაფიულ რუკებზე და ამავე ტერიტორიის მონოგრაფიულ დახასიათებებში; ამ მხრივ აღსანიშნავია ნ. გვოზდევსკის ნაშრომები [685, 692, 1080]. საბჭოთა

კავშირის კარსტის ლანდშაფტურ-გეოგრაფიული შესწავლის მიმოხილვისას ა. ჩიკაშვიდი ჩერდება ამ თვალსაზრისით საქართველოში ჩატარებულ გამოკვლევების მნიშვნელობაზეც [1323].

დასასრულ გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1962—1973 წლებში გამოქვეყნდა ლ. მარუაშვილისა და ბ. გერგედავას, რამდენიმე სტატია, რომელშიც მოცემულია კარსტული მიწისქვეშა ლანდშაფტების ტიპების გამოყოფის ცდები უმთავრესად საქართველოს მაგალითზე [39, 49, 204, 720, 722, 1044]. ამ მხრივ აღსანიშნავია აგრეთვე ა. ჩიკაშვილის ცდაც ([1331], გვ. 100—115).

## 6) კარსტის გეოგრაფიული კვლევის ზოგიერთი ახალი მეთოდის გამოყენება

საქართველოს კარსტის გეოგრაფიული კვლევის დროს გამოყენებული იყო ის მეთოდები, რომლებსაც გეოგრაფიულ მეცნიერებას დღესდღეობით გააჩნია. აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდების გამოყენებას კარსტოლოგიურ გამოკვლევების ჩატარებისას ზოგიერთი თავისებურება და სიძნელე ახასიათებს, ამიტომ იყო, რომ ამ საკითხებზე 1964 წელს საკავშირო თათბირიც კი ჩატარდა ქ. პერაში ცნობილ კარსტოლოგის გ. მაქსიმოვიჩის ინიციატივით და ხელმძღვანელობით. თათბირის მოწყობასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მასალები ეხებიან კარსტის კვლევის მეთოდებს — კარსტოლოგიურ აგეგმვას, გეოფიზიკურ მეთოდებს და სხვა საკითხებს [1069]. პერაში თათბირის მასალებს კარსტის კვლევის მეთოდებაზე მნიშვნელოვანი სამსახურის გაწევა შეუძლია საქართველოს კარსტის შესწავლის დროსაც. საბჭოთა კავშირში გამოყენებული კარსტის კვლევის გეოგრაფიული მეთოდის შესახებ საინტერესო სტატია აქვს გამოქვეყნებული ნ. გვოზდეკის [687]. კარსტის პრაქტიკული მიზნებით გამოყენების საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია ნ. როდინოვის წიგნი [1153]. დასასრულ გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს კარსტის გეოგრაფიულ კვლევისას გეოგრაფიული ყველა მეთოდის გამოყენება ვერ ხერხდება და მათი დანერგვა-გამოყენება უახლოესი მომავლის საქმეა. ქვემოთ მინდა განსაკუთრებით შევჩერდე კარსტის კვლევის მხოლოდ იმ მეთოდებზე, რომელთა გამოყენება პირველად 1958 წლიდან დაიწყო ჩვენში და საჭიროა მათი ფართოდ გავრცელება მომავალში. ასეთი მეთოდი რამდენიმეა.

ამ ბოლო წლებში საინჟინერო გეოლოგიური კვლევა-ძიებისას უმთავრესად იყენებენ გეოფიზიკურ მეთოდებს; ამასთან დაკავშირებით წარჩობდა კარსტული მოვლენების შესწავლაც; მაგალითად, გეოფიზიკური ელექტროძიების მეთოდით აფხაზეთში რკინიგზის ტრანსპორტისათვის გვირაბის გაყვანასთან დაკავშირებით ვ. ბორკოვის მიერ დადგენილ იქნა რამდენიმე დიდი ნაპრალი და კარსტული სიღრმე წნევიანი წყლით ([583—584]; იხ. აგრეთვე: [1004], გვ. 71). ამან შესაძლებლობა მისცა გვირაბმშენებლებს გვირაბის მშენებლობის პროცესშივე განხორციელებინათ საჭირო ღონისძიებანი. ეს მეთოდი გამოყენებულ იქნა აგრეთვე ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ნაგებობათა საინჟინერო-გეოლოგიური პირობების გასაგებად, შაორისა და ახალსოფლის ქვაბულების წყალსაცავად გამოყენების საკითხის გადასაწყვეტად, ალპური ვაგრის (შხიურის) კურორტის დაპროექტებისას და სხვ. აღნიშნულთან დაკავშირებით გარკვეულ იქნა მიწისქვეშა კარსტული მოვლენების გავრცელების საკითხიც. ასეთი კვლევა ჩაატარა დ. ციციშვილმა, გ. ხეიტამ, თ. გოლ-

უბმა, გ. ტაბალუამ, გ. ტატიშვილმა და შ. ჩხენკელმა [445—446, 1307—1311, 1341]. ეს მეთოდი გამოყენებულ იქნა ახლად აღმოჩენილ ივერიის უფსკრულ-გამოქვაბულის სიდიდისა და მოყვანილობის გამოსარკვევად, აგრეთვე მისი კონტურების მოსახაზავად, რაც დაკავშირებული იყო ამ კომბინირებული უფსკრულის კეთილმოსაწყობად ტურისტული მიზნით. ელექტროველის მეთოდი გამოყენებულ იქნა ოთ. უკლებას მიერ შაორისა და ახალსოფლის კარსტული პოლიების ფერდობების ნაბრალეებში და სიღრუეებში წყლის ფილტრაციის გამოსავლინებლად [347].

როგორც ცნობილია, კარსტული რაიონების მიწისქვეშა ჰიდროგრაფიული ქსელის დადგენას მნიშვნელოვანი თეორიული და ზოგჯერ პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ საკითხის გადასაწყვეტად იყენებენ რამდენიმე მეთოდს, მათ შორის ჩვენში გამოყენებულია ფლოუროსციენის ( $C_{20}H_{12}O_6$ ) ან მისი ნატრიუმის მარილი—ურანინით ( $C_{20}H_{10}O_6Na_2$ ) წყლის შეღებვა შაორა-შარაულას, ტყიბულა-ძვერულას, კელასურ-ბესლეთის, ამტყელ-წებელდის მიდამოების, თურჩუ-ტობისა და დურიფშის პლატოს სიღრმეში მიწისქვეშა არხების დასადგენად, რასაც ჰიდროლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ მნიშვნელობის გარდა — გეომორფოლოგიურიც აქვს. ამ მეთოდის საშუალებით საბოლოოდ დადგინდა აღნიშნულ მდინარეთა მიწისქვეშა ნაკადების გზები და ძირითადი მიმართულებანი, ამას კი თეორიულს გარდა, პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა ([60], გვ. 27—28; [725], გვ. 294—305; [726], გვ. 9—10 და სხვ.).

მიწისქვეშა ჰიდროგრაფიულ ქსელის დასადგენად ხოსტისა და კუდეფსთის აუზებში ს. ლიოვეუშკინის მიერ გამოყენებულ იქნა ბ ი ო ლ ო გ ი უ რ ი ნ დ ი კ ა ტ ო რ ის მ ე თ ო დ ი ([579], გვ. 175—176; [948], გვ. 68; [951], გვ. 23—24). მეთოდის არსი მდგომარეობს ტროგლობიონტების გეოგრაფიულ გავრცელების ანალიზში. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა გვერდზემეტრაჟი Niphargus Smirbowi, რომელიც მკაცრი ტროგლობიონტია; ცხოვრობს კარსტულ წყლებში, გავრცელებულია ფართოდ და ჩვეულებრივია გამოქვაბულებში და წყაროებში; ამასთან იგი მეტად ცვალებადია და წარმოშობს მიკროგეოგრაფიულ რასებს თავისი გავრცელების არეალის სხვადასხვა ნაწილებში. სწორედ ნიფარგიუსის ამ ცვალებადობის შესწავლის საშუალებით ს. ლიოვეუშკინმა გადაწყვიტა აღწერილ აუზებში მიწისქვეშა წყლების ჰიდროგრაფიის საკითხი. სრული შესაძლებლობა არსებობს ეს მეთოდი ჩვენშიაც იქნას გამოყენებული საჭირო შემთხვევაში, მაგალითად, ამტყელის მიწისქვეშა დინების გადასაწყვეტად და სხვა.

ამ ბოლო წლებში ფართოდ იყენებენ ცნობილ ფრანგ კარსტოლოგის ჟან კორბელის მიერ შემუშავებულ მეთოდს კარსტულ მხარეების ქ ი მ ი უ რ დ ე ნ უ ლ ა ც ი ა ზ ე, რაც მდგომარეობს იმაში, რომ საზღვრავენ კარსტულ მასივის ფართობზე მოსულ ატმოსფერული ნალექების რაოდენობას, ამ მასივიდან გამომდინარე მიწისქვეშა წყლების ხარჯს, აგრეთვე საზღვრავენ ამ წყლების მიერ გამოტანილ კალციუმის კარბონატის ( $CaCO_3$ ) რაოდენობას და შემდეგ. სათანადო გამოთვლის საშუალებით ადგენენ კირქვის ფენის სისქეს, რომელიც ქიმიური დენუდაციის საშუალებით მოცილდა კარსტულ მასივს ([1406—1407]; ამ მეთოდის შესახებ იხ. აგრეთვე: [706, 708, 710, 1325—1329, 1348]). ამ ხერხით შეიძლება გავიგოთ კირქვიანი მასივების რელიეფის განვითარების წარსული და მომავალი. ეს მეთოდი საქართველოში პირველად იქნა გამოყენ-

ბული არბიკის მასივისათვის თ. კიქნაძისა და მ. პულინას [877, 881—883, 1500—1501], ხოლო კავკასიონის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილისათვის ფიშტ-ოშტენისა და სხვა კარსტული მასივებისათვის პ. კოსტინის მიერ [920—921]. ვ. ჯიმ-კარიანმა იგი გამოიყენა ასხის მასივისათვის [772]. საჭიროა ამ მეთოდის ფართოდ დანერგვა ჩვენი კარსტული მასივების შესწავლის დროს. ამასთან წყლების აგრესიულობის ხარისხის გასაგებად საჭირო იქნება ატმოსფერული ნალექების ფიზიკური და ქიმიური თვისებების გაგება, რაც ჭერჯერობით გამორკვეული არ არის და მხოლოდ პირველი ცდა არის შესრულებული ვ. სუპატაშვილის მიერ [298].

ზემოაღნიშნულ მიზანს ემსახურება აგრეთვე კარსტწარმოშობის ინტენსივობის გაზომვის მეთოდები სტაციონალური პირობებში, რომელიც შემოთავაზებულია ა. დევდარიანის მიერ — დერობის თავისუფალი ბოლოებისა და შპურების სიღრმის განმეორებითი გაზომვის გზით ([753]; იხ. აგრეთვე; [706]). მართლაც ეს მეთოდი კარგ შედეგებს მოგვცემს თუ შევძელით დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ კარსტულ რაიონში მანაც განზრახული კარსტოლოგიური (სპელეოლოგიური) სტაციონარის დაარსება და მისი მუშაობის ორგანიზაცია. აღსანიშნავია ამავე ავტორის მეორე შრომაც მდინარის კალაპოტიდან და არხებიდან წყლის შთანთქმის მოდელირების შესახებ [752]. საინტერესოა აგრეთვე კარსტის შესწავლა ჭაბუღლილების საშუალებით, რასაც ვ. ბაჩკოვი გვთავაზობს [562].

საქართველოს კარსტულ სიღრუეთა შესახებ შეგროვილი მდიდარი მონაცემების სისტემატიზაციისას დიდი დახმარება შეუძლია გავვიწიოს პერფორატულმა ბლანკებმა (ე. წ. „პერფორატებმა“), რომლის პროექტი ვ. დუბლიანსკიმ და მ. კომაროვამ შემოგვთავაზა [793]; აგრეთვე ვ. დუბლიანსკის მიერ რეკომენდირებულმა სხვა მეთოდებმა [786—788]. საჭიროა ამ სიახლის ჩვენშიც დანერგვა.

უკანასკნელ ხანს ორიგინალური მეთოდი შემოგვთავაზა ე. ფრიდენბერგმა კარსტულ გამოქვაბულებისა და გამოქვაბულის ნაფენების პალეოგეოგრაფიული ანალიზისა [1290], რომლის გამოყენება საშუალებას მოგვცემს საქართველოს მიწისქვეშა სიღრუეების წარმოშობა-განვითარების დადგენას უფრო მტკიცე ბაზა შეუქმნათ.

1961—1973 წწ. ელ. აბაშიძემ ლაბორატორიული გამოკვლევები ჩაატარა შაორის ჭაბუღლის წყალსაცავის გლაუკონიტიანი კირქვის ნაპრალებში წყლების მიერ ქიმიური გამოტუტვისა და ხსნადობის ინტენსივობაზე, რასაც ამ წყალსაცავის პირობებში პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება [2, 518—527, 1366—1367].

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მიმართულებით უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული სტატიები, მაგალითად: ჯ. გაბეჩავასი, ჯ. გაბეჩავასა და ვ. ჭუმბურიძის — ექსპერიმენტული გამოკვლევები დასავლეთ საქართველოს, კერძოდ აფხაზეთის კარბონატული ქანების ხსნადობაზე და მის კორელაციაზე ფაქტიურ დაკარსტულობასთან [30, 659], აგრეთვე გ. ჭოხონელიძისა და ვ. ჭუმბურიძის. სტატია [1335]. ჯ. გაბეჩავამ და ვ. ჭუმბურიძემ ექსპერიმენტულად შეისწავლეს ატმოსფერული ნალექების როლის საკითხი კარსტულ პროცესების განვითარებაზე აფხაზეთის დასავლეთ ნაწილის მაგალითზე [660]. საჭიროა ზემოაღნიშნულ გამოკვლევების უფრო გარღმავება და გაფართოება, რათა მთელი საქართველოს ტერიტორია იქნას შესწავლილი.



შავი ზღვის სანაპიროზე გაგრა-განთიადს შორის ზღვის ძირიდან ამოდის კარგად ცნობილი სუბმარინული წყაროები მაშინ, როცა აქაური ხეობები უწყლობით ხასიათდებიან, განსაკუთრებით ზაფხულის განმავლობაში, როცა სასმელ წყალზე გაჩაღებულ საკურორტო სეზონთან დაკავშირებით ასე დიდი მოთხოვნილება არსებობს და მომავალში კიდევ უფრო გაიზარდება ამ მხარისა და მამიძერული კურორტის ათვისებასთან დაკავშირებით. გაგრის ქედზე მოსული ატმოსფერული ნალექები თითქმის მთლიანად იკონება ამ მასივის სიღრმეში. კარქებში არსებულ პონორებისა და ნაპარაღების საშუალებით. ნაწილი ამ წყლებისა მდინარის ან ზღვის დონეზე გამოდის, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ჩანს, მდინარისა ან ზღვის დონის, ამ ეროზიის ბაზისის ქვემოთაც ვრცელდება და შემდეგ განიტვირთება სუბმარინული წყაროების სახით. ამ წყლების განტვირთვის შესწავლას თეორიულის გარდა, მეტად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც ენიჭება გაგრის კურორტის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საქმეში. გაგრა-განთიადის სუბმარინული წყლების გამოკვლევა ი. ბრაშინამ ჩაატარა ელექტროკარტაჟული მეთოდის გამოყენების საშუალებით [593], ხოლო ი. ბუაჩიძემ და ა. მელიყამ, აგრეთვე გ. მაქსიმოვიჩმა და თ. კიკნაძემ გეოლოგიური, უმთავრესად ჰიდროქიმიური და სხვ. მეთოდებით [596, 1006].

საქართველოს კარსტული მხარის დაკარსტულობის ხარისხისა და განსაკუთრებით ზედაპირული ფორმების (ყარების, დოლინების, უვალეების, პოლიების) შესწავლის საქმეში განსაკუთრებით დიდი პერსპექტივებია აეროფოტოოსურათების დეშიფრირების მეთოდის გამოყენების მხრივ. საბჭოთა კავშირში ეს მეთოდი უკვე გამოყენებულია, მაგალითად, ვ. ბაგრაძის ([1132]; იხ. აგრეთვე: [1329—1330]) და სხვების მიერ. საჭიროა უახლოეს ხანში ჩვენშიც ამ მიმართულებით მუშაობის გაშლა.

კარსტული რელიეფის ასაკის განსაზღვრა დ. სოკოლოვის წინადადებით შეიძლება სპელეოფაუნის ანალიზის მეთოდით. ამ მეთოდის გამოყენების საშუალებით დ. სოკოლოვმა განსაზღვრა აფხაზეთის მიწისქვეშა სიღრუეების ასაკი და მათი წარმოშობის საწყისად ნეოგენური ეპოქა ჩათვალა ([1193], გვ. 148—199). ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს გამოქვაბულთა ნალექების პალინოლოგიურ შესწავლას, რაც მალარას (ცუცხვათის) გამოქვაბულთა კომპლექსის მაგალითზე ნ. მამაცაშვილმა შეასრულა [182].

გამოქვაბულისა და საერთოდ კარსტული რელიეფის ფორმების აბსოლუტური ასაკის განსაზღვრისათვის იყენებენ გამოქვაბულებისა და მდინარეულ და ზღვიურ ტერასების კორელაციის მეთოდს. ამ მეთოდის შესაძლებლობაზე ლაპარაკობდა ყირიმელი სპელეოლოგი ვ. დუბლიანსკი სპელეოლოგთა სამეცნიერო სესიაზე ქუთაისში 1966 წელს მაისში [785]. ეს მეთოდი შ. ყიფიანის მიერ იქნა გამოყენებული 1961—1965 წწ. წებელდის, ქუთაის-ნაფხაზეთის, სათაფლია-წყალტუბოს და ახალი ათონის მიდამოების გამოქვაბულების ასაკის დასადგენად [399, 404, 420—422], ზ. ტინტილოზოვის მიერ 1964—1965 წწ. გუმიშხის კირქვული მასივის სამხრეთ ნაწილში განვითარებული გამოქვაბულების ასაკის დასადგენად [326, 1258, 1261], დ. ტაბიძის — 1966 წელს კოდორის აუზის კარსტული წარმონაშობების მიმართ [303, 1244], თ. კიკნაძის [1459] და სხვების მიერ.

კარსტული რელიეფის ფორმების აბსოლუტური ასაკის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა ეძლევა ურანის, აქტიური ნახშირბადის

(C<sup>14</sup>) და სხვა მეოთხედებს. ამის პირველი ცდა, უფრო ზუსტად გამოქვაბულთა ნალექებში არსებულ ცხოველთა ძვლების ასაკის დადგენა, რასაც ღიდი მნიშვნელობა აქვს თვით გამოქვაბულის აბსოლუტური ასაკის ზედა მიჯნის განსასაზღვრავად, ჩაატარა ვ. ჩერდინცევა და სხვ. კუდაროს გამოქვაბულის მიმართ [1312—1314]. ამ გამოკვლევით დადგენილ იქნა, რომ კუდაროს I გამოქვაბულის ასაკის ზედა საზღვარი 200000 წლის წინა ხანაში მდებარეობს.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ დ. ტაბიძის მიერ საქართველოს ზოგიერთ გამოქვაბულის გამოსახვის მაგალითზე პირველად იქნა გამოყენებული ბლოკ-დიაგრამები და მოდელები, რასაც ღიდი პერსპექტივა ესახება კარსტოლოგიურ გამოკვლევებში [302—304, 1244]. საქართველოს კარსტული მიწისქვეშა ფორმების აგეგმვის ზოგიერთ მეთოდზე ყურადღებას ამახვილებს ვ. ჭიშკარიანი და ლ. ქალდანი თავიანთ სტატიებში [352, 506].

საქართველოს კარსტის შესწავლისათვის პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტისას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ბ. ივანოვის, ბ. კორუენესკის და ი. მენსიაცისა [829, 917] და სხვ. მკვლევარების შრომებს.

## 7) კარსტული ობიექტების შესწავლის მნიშვნელობა, დაცვა და გამოყენება

საქართველოს კარსტის შესწავლას მეცნიერულ-თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. საქართველოს კარსტის მაგალითზე ბევრი კარსტოლოგიური პრობლემის შემოწმება-დადასტურება ან უარყოფა, ანდა ახლის წამოყენება შეიძლება. მაგალითად, შ. ყიფიანისა და ზ. ტინტილოზოვის კელასურის მდინარის კალაპოტისქვეშა გამოქვაბულების გამოკვლევით [890] დადასტურდა, რომ კარსტული პროცესები შესაძლებელია მდინარის დონის ქვემოთაც წარმოებდეს და რომ, მაშასადამე, მდინარის დონეები ყოველთვის არ წარმოადგენენ კარსტული პროცესების ეროზიის ბაზისს, რომლის ქვემოთაც ეს შოვლენა არ შეიძლება გავრცელდეს. ამავე დებულებას ადასტურებს კანთაილისა და გავრას შორის შავი ზღვის ნაპირთან სუბმარინული წყაროების გამოსავლები და სხვ. საქართველოს კარსტის მაგალითზე რამდენიმე კარსტოლოგიური თეორიული პრობლემატური საკითხი ზ. ტინტილოზოვის მიერ არის შემოწმებული [1260, 1264—1269, 1271—1273].

ფართოდაა ცნობილი აგრეთვე კარსტის გავლენა ბუნებრივ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებზე — კლიმატურ და ჰიდროლოგიურ-ჰიდროგრაფიულ, ნიადაგობრივ და მცენარეულ საფარზე, ფაუნაზე და საბოლოო ჯამში ფიზიკურ-გეოგრაფიულ ლანდშაფტებზე. ეს საკითხები ზემოთ იყო განხილული. მეორე მხრივ ბუნებრივი პირობების აღნიშნული ფაქტორები თავის მხრივ მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ კარსტზე და მათი ხელოვნური შეცვლა იწვევს კარსტული პროცესების ბუნებრივ მიმართულების დარღვევას ადამიანის სასარგებლოდ ან უმეტეს შემთხვევაში, მის საზიანოდ. ამის მაგალითები ჩვენს პირობებში მრავალია.

ბუნების დაცვის, გაუმჯობესებისა და გამოყენების ღონისძიებათა შესახებ მრავალ კარსტოლოგიურ შრომაშია ყურადღება გამახვილებული, რომლებიც 1958—1973 წწ. გამოქვეყნდა. ეს საკითხებია დასმული მაგალითად რაქისა და ლეჩხუმის ქვაბულების ფიზიკურ-გეოგრაფიულ ნარკვევში ([6], გვ. 203—204), აგრეთვე სხვა ტერიტორიებისა და ხასიათის ნაშრომებში (იხ. მაგა-

ლითად: [42—44, 49, 51, 191, 273—274, 387—388, 420, 491—492, 602, 1027, 1217, 1223—1226, 1397]). ამავე საკითხზე ყურადღებას ამახვილებს ვ. ვილენკინი [623] და მრავალი სხვა კარსტოლოგი. აღსანიშნავია გ. ჩანგაშვილის წინადადება ასხის კირქეული მასივის კარსტული მოვლენების უარყოფით შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ [430].

საქართველოს ბუნების, მათ შორის კარსტული ობიექტების, დაცვის ხაზით ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული. 1958 წელს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ სპეციალური კანონიკი მიიღო საქართველოს ბუნების დაცვის აუცილებლობისა და საჭიროების შესახებ [142]. ამ კანონით აღიარებულია, რომ ბუნების დაცვა წარმოადგენს პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობის ერთ-ერთ ამოცანას, სახელმწიფოსა და მთელი საზოგადოების საზრუნავ საქმეს და რომ მოსახლეობის მზარდი კულტურული და ესთეტიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება, მშრომელთა დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის საუკეთესო პირობების შექმნა მოითხოვს მუდმივ და ყოველმხრივ მზრუნველობას ბუნების სიმდიდრეთა შენარჩუნების, აღდგენისა და რაციონალურად გამოყენებისათვის. ამ კანონით გათვალისწინებულია ყველა ბუნებრივი სიმდიდრის მოვლა-პატრონობა, ხოლო დამრღვევთა სათანადო დასჯა. აღნიშნულმა კანონმა დიდი როლი ითამაშა საქართველოს ცოცხალი და მკვდარი ბუნების ძეგლებისა და ობიექტების, მათ შორის კარსტული ობიექტების დაცვისა და მოვლა-პატრონობაში. ამასთან დაკავშირებით ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის მიერ ღირსშესანიშნავი რამდენიმე ობიექტი ნაკრძალად ან აღკვეთილად არის გამოცხადებული და სახელმწიფოებრივ დაცვას ექვემდებარება. ასეთებია, მაგალითად: რიწის, გუმისთის, სათაფლიის ნაკრძალები [183, 367, 1054]; აჩიჩილრისა და აბრსკილის გამოქვაბულები, აგრეთვე ამტყელის ტბა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი შესანიშნავ ბუნებრივ ლანდშაფტად არის ცნობილი, რომლებიც მუდმივად დასაცავ აღკვეთილად არის გამოცხადებული [892, 1125, 1130]. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 დეკემბრის დადგენილებით ნაკრძალებად იქნა ცნობილი ივერიის უფსკრული, გეგის გამოქვაბული და ჩანჩქერი, აბრსკილსა და ოტაბასთავის გამოქვაბულები და ბჟიშთის (შვეწყალის) ვოკლუზი [270]. ივერიის უფსკრულს კეთილმოწყობა ტურისტული მიზნით მთავრობის დადგენილებით უკვე მიმდინარეობს და 1975 წელს მწყობრში ჩადგება.

საქართველოს კარსტული ობიექტების დაცვისა და ტურისტული მიზნით მათი უკეთ გამოყენებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ნაკრძალებისა და სამონადირო მეურნეობის მთავარმა სამმართველომ განიზრახა და ნაწილობრივ შეასრულა კიდევ წყალტუბოს სტალაქტიტიანი (თეთრა), საწურბლიისა და ცახის გამოქვაბულების კეთილმოწყობა, უახლოეს ხანში უზრუნველყოს სასმელი წყლით სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი, გამოსცეს გამოქვაბულთა მეგზურები, ბუკლეტები და ა. შ. [223].

ბოლო წლებში გამოქვეყნებულ მრავალ ნაშრომში აღნიშნულია კარსტული რესურსების უკეთ გამოყენების მნიშვნელობა და შესაძლებლობა როგორც სამეურნეო, ისე ტურისტული მიზნებისათვის [43—44, 51, 102, 134, 150, 179, 181, 213—214, 273, 362, 387—389, 426, 470, 515, 534, 663, 718, 725, 728, 741, 771, 841, 939, 997, 1113—1118, 1293]. ზოგიერთ ნაშრომში გაანალიზებულია უკვე ათვისებული კარსტული ობიექტების გამოყენება; მაგალითად, პ. მალიაროვასა და გ. ფირცხალიშვილის მიერ შაორისა და ახალსოფლის

კარსტული პოლიებისა ჰიდროელსადგურების წყალსაცავად გამოყენების შე-  
სახებ [1010], აგრეთვე ლ. გველესიანისა და ნ. შმალცელის, ე. კობახიძის,  
ზ. ლომიძის, ე. მინერვინას, მ. სემიონოვის, ნ. უკლებას, გ. ჩოგოვაძის და სხე-  
ბის საქართველოს კარსტული ობიექტების ათვისებაზე [52, 169, 176, 345,  
419, 429, 438, 666, 893, 1083, 1177]. საქართველოს კარსტის მნიშვნელობაზე,  
მის გამოყენების პერსპექტივებსა და დაცვაზე ყურადღებას ამახვილებს შ. ყი-  
ფიანიც [415].

საქართველოს კარსტულ ობიექტების ტურისტული თვალსაზრისით  
ათვისების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საპროექტო ინსტიტუტებს;  
მაგალითად „საქქალაქმშენპროექტი“-ს საპროექტო ინსტიტუტს, რომელმაც  
შეადგინა ივერიის უფსკრულის (იხ. მაგალითად დ. ლაზარევის სტატია: [942]  
და სხვ.), ხოლო „საქგვირაბპროექტმა“ აბრსკილის გამოქვაბულის კეთილმოწყ-  
ობის, აგრეთვე ვაგრა-მამიძის საბაგირო გზის მშენებლობის პროექტები  
(პროექტების შემდგენელი ჯგუფის ხელმძღვანელი არქიტექტორი რ. რიყანა-  
შვილი) და „სახსოფლმშენპროექტი“-ს საპროექტო ინსტიტუტმა—სათაფლიას  
ნაყრძალისა და თვით გამოქვაბულის კეთილმოწყობის პროექტი (პროექტის  
შემდგენელი ჯგუფის ხელმძღვანელი ვ. ჩხეიძე).

საპიროა მომავალში მტკიცედ დავიცვათ მეცნიერული რეკომენდაციები  
კარსტული ობიექტების დაცვის შესახებ და ამასთან საპიროა იგი უფრო ფარ-  
თოდ და გაბედულად გამოვიყენოთ.

## 8) კარსტის შესწავლილობისადმი მიძღვნილი ნაშრომები და მისი შესწავლის პოპულარიზაცია

კარსტოლოგიური ხასიათის ის დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევები, რომ-  
ლებიც განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში ჩატარდა, ბუნებრივია, მოითხოვ-  
და საქართველოს კარსტის შესწავლილობის საკითხების გაშუქებასაც დროდა-  
დრო და, მართლაც, ამ ბოლო წლებში ქვეყნდება ასეთი ხასიათის რამდენიმე  
ნაშრომი.

შ. ყიფიანის რამდენიმე სტატიაში მოცემულია საქართველოს კარსტის  
გეოგრაფიული შესწავლილობის პერიოდიზაცია და ნაწილობრივ დახასიათე-  
ბულია ცალკეული პერიოდები და ეტაპები, აგრეთვე დასახულია მორიგი ამო-  
ცანები ([392, 394, 403, 405—406, 408, 410—411, 413, 885, 889, 1462, 1464];  
იხ. აგრეთვე: [417]). ზოგიერთი კარსტულ-სპელეოლოგიური საკითხი დახა-  
სიათებულია ლ. მარუაშვილის, კ. მგელაძის და ზ. ტინტილოზოვის ნარკვევე-  
ბში [192, 212, 1256]. კარსტის შესწავლის საკითხებზეც მოიპოვება სათანადო  
ცნობები გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების თუ ბუნების, კერძოდ  
კლიმატური და ჰიდროლოგიური შესწავლილობის დახასიათებისადმი მიძღ-  
ვნილ ა. ჭავჭავაძის, დ. წერეთლის, მ. კორძაბიას, გ. დევდარიანის, დ. გე-  
დევანიშვილის, მ. საბაშვილის, შ. ლაშხიას, ლ. მარუაშვილის, ლ. ვლადიმერო-  
ვის, ნ. ნაჭყებias [34, 118, 171, 192, 224, 249, 452, 477—478, 481, 632, 759,  
945] და სხვ. ნაშრომებში. საქართველოს ტერიტორიის ბიოსპელეოლოგიური  
შესწავლილობის საკითხები გაშუქებულია ი. ბირშტეინის და ს. ლიოვუშკინის,  
ნ. ვერეშჩაგინის, დ. კობახიძის, რ. ჯანაშვილის ნაშრომებში [166, 168, 580,  
620, 763].

საქართველოს კარსტის შესწავლილობა ზოგად ხაზებში გაშუქებულია  
საბჭოთა კავშირის კარსტის შესწავლილობის ფონზე ნ. გვოზდევცის, ნ. გვოზ-

დეცისა და ა. ჩიციშვილის, გ. მაქსიმოვიჩის, ი. პოპოვის, დ. სოკოლოვის ნაშრომებში [683, 712—713, 994, 1128, 1193].

საქართველოს კარსტის მეცნიერული შესწავლის მზარდი აღმავლობის კვალდაკვალ და ამასთან დაკავშირებით აღძრულ პრობლემებთან ერთად ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი სამეცნიერო-პოპულარო-პატრიოტული მუშაობა იქნა გაწეული. ამ მუშაობის მიზანს შეადგენდა რესპუბლიკის ფართო მასებში საზოგადოების ცნობილი გაეხსნათ ამ დარგში ჩატარებული მუშაობა, აღძვრათ მათი ინტერესი ამ მუშაობისადმი და მიეღოთ სათანადო დახმარება როგორც თანაგრძნობით, ისე უშუალო დახმარებით; ამან ბევრ ახალგაზრდას გაუღვია სურვილი, რათა მათაც მიეღოთ მონაწილეობა საქართველოს კარსტის, განსაკუთრებით კარსტული მიწისქვეშა ფორმების აღმოჩენასა და დაპყრობისადმი.

1958—1973 წლებში საქართველოს კარსტის შესახებ მრავალი სტატია გამოქვეყნდა სამეცნიერო-პოპულარულ პერიოდიკაში, რომელშიც ზოგჯერ ბევრი ახალი მასალა და დასკვნებია მოცემული. ასეთი სტატიები ეკუთვნით: ვ. გაბელაშვილს [29], ბ. გერგუდავას [36, 44, 50—51], შ. გოგატაშვილს [71], ვ. დარდაგანიძესა და ზ. კახიძეს [84], ავთ. და ტ. ვართაგავეებს [107], გრ. ზარდალიშვილს [123], მ. იაკობაშვილს [133], თ. კიქნაძეს [159], თ. კობალაძეს [164], ლ. მარუაშვილს [200—201, 203]; კ. მგელაძესა და ვ. ზუხბაიას [213], გ. მზარელუას [214], მ. ნიორაძეს [232], ი. სალინაძეს [264, 1163], ჯ. სალინაძეს [269], ზ. ტინტილოზოვს [311—312, 314—315, 317, 319, 325, 336—337, 1253—1254], ნ. ლამბარაშვილს [367], შ. ყიფიანსა და ვ. ჭიშკარიანს [425], ა. ხარაძეს [465], ჯ. ხომასურიძეს [468], კ. ჭავჭავაძის [491], რ. ჭანაშვილს [494], ქრ. ჭაყელს [504], ვ. ჭიშკარიანს [505—514] და სხვ. [33].

1958 წელს გამოქვეყნდა საქართველოს ბუნების სიმდიდრეთა აღბოძი, რომელშიც მოყვანილია კარსტული ობიექტის—სათაფლიის გამოქვაბულის შიდა ხედის ფოტოსურათი [258]. ი. გვეტაძე და სხვები იძლევიან ბუნების ძეგლთა, მათ შორის სათაფლიის გამოქვაბულის, თავდადებულ მოამაგის პ. ჭაბუკიანის მოღვაწეობის გაშუქებას [53] და სხვ.<sup>17</sup> სხვა ნარკვევში მოთხრობილია ასხის კირქვეული მასივის კვლევისას 1965 წელს 4 ოქტომბერს ტრაგიკულად დაღუპულ სპელეოლოგ არსენ ოქროჯანაშვილის მუშაობაზე [424]. არსენ ოქროჯანაშვილის სახელის უკვდავსაყოფად ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით ტობის II გამოქვაბულს, რომელიც აღმოჩენილ და შესწავლილ იქნა მის მიერ, ეწოდა „არსენ ოქროჯანაშვილის გამოქვაბული“ ([423], გვ. 253); აღსანიშნავია, რომ ნ. კეცხოველის მიერ 1961 და 1964 წწ. გამოცემულ საქართველოს ბუნების ფოტოგრაფიულ აღბოძებში შეტანილია საქართველოს კარსტული ლიჩხუშისანიშნავი ბევრი ობიექტი ([148], სურ. სურ.: 276, 307, 625, 627—629, 661, 694—695

<sup>17</sup> აღსანიშნავია, რომ სათაფლიის გამოქვაბული აღმოჩენილია პეტრე ჭაბუკიანის მიერ, რომელმაც 1925 წლის 2 აგვისტოს 6 ახალგაზრდასთან ერთად შეაღწია ამ გამოქვაბულში. აქედან იწყება ქართული საბჭოთა სპელეოტურიზმის და, შეიძლება ითქვას, საერთოდ სპელეოლოგიის განვითარება საქართველოში. ამ აღმოჩენის 50 წლისთავი სრულდება 1975 წელს. სასურველია ეს თარიღი სათანადოდ იქნას აღნიშნული ქართველ სპელეოტურისტებსა და კარსტოლოგ-სპელეოლოგების მიერ.

პ. ჭაბუკიანის თავდადებულ და უნებგარო მოღვაწეობის შედეგად მოხერხდა სათაფლიის გამოქვაბულის პირველადი სახის მნიშვნელოვანი შენარჩუნება, კეთილმოწყობა და მისი ვიდეოების ნაერთად გამოცხადება. პ. ჭაბუკიანის აღნიშნული ღვაწლი სხვა დამსახურებასთან ერთად სათანადოდ არის დღესდღეობით ჩვენი მთავრობის და საზოგადოების მიერ.

და სხვ.; [149], სურათები: 13, 20, 26—27, 36, 49, 55, 68—69, 72, 91—92, 112, 124, 165—166, 190, 308 და სხვ.). აღსანიშნავია აგრეთვე მსოფლიოს, მათ შორის საქართველოს დიდი და ღრმა გამოქვაბულების სიის გამოქვეყნება ქართულ ჟურნალებში [315, 380].

ამავე წლებში გამოქვეყნდა სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის წიგნებიც, მაგალითად ლ. მარუაშვილის „შუქი ბნელეთში“ [197], ზ. ტინტილო-ზოვის „მღვიმეებსა და უფსკრულებში“, აგრეთვე „მღვიმე და ადამიანი“ (საუბრები ათეისტურ თემებზე) და სხვ. [328, 333, 335], თ. კიენაძის—„არაბიკის უფსკრულები. სპელოლოგის ჩანაწერები“ [879], პ. ჭაბუკიანის [460], ვ. ფაჩულიას [1113—1118] ნარკვევები. ქართულ ენაზე გამოქვეყნდა აგრეთვე გ. დონდუას პირადი შთაბეჭდილებით მიღებული აღწერა ჩეხოსლოვაკიის შესანიშნავ გამოქვაბულებზე — მაკოხასა და პუნკვაზე [100]. საქართველოს კარსტის ზოგიერთი ღირსშესანიშნავ ობიექტის შესახებ სათანადო ცნობები მოჰყავს გ. მაჭისმოვიჩისა [983, 987].

საქართველოს კარსტული ობიექტების მოკლე აღწერილობა და მათი გამოყენება ტურიზმის ან სხვა მიზნით მოცემულია საბჭოთა კავშირის გეოგრაფიის მრავალტომიან ერთ-ერთ ტომში, რომელიც საქართველოსადმი მიძღვნილი ([750], გვ. 24—25, 57, 209, 244—249, 260—261 და სხვ.).

აღსანიშნავია აგრეთვე ი. აფხაზავას შრომა — ტბები—ჩვენი ბუნების მშვენიება, რომელშიც კარსტულ ტბებზეც არის ყურადღება შეჩერებული [14].

ჩვენს ქვეყანაში კარსტის შესწავლის პოპულარიზაციაში გარკვეული როლი შეასრულა და ასრულებს ვ. დუბლიანსკისა და გ. ზელენინის, ვ. დუბლანსკისა და ვ. ილუბინის, ვ. ჰმირნოვის მიერ შედგენილი ფოტოალბომები და წიგნები [790—792, 1187—1188], აგრეთვე უცხო ენებიდან თარგმნილი ნ. კასტერის, უ. პოლიდის, ლ. იაკუჩის და მ. სიფრის წიგნები [869—870, 1184, 1300, 1365, 1514].

აღნიშნულთან ერთად საქართველოს გაზეთებში ქვეყნდებოდა მრავალი სტატია, აგრეთვე პერიოდულ ჟურნალებში მხატვრულ-ლიტერატურული ნარკვევები, რომლებშიც ასახულია საქართველოს კარსტის, განსაკუთრებით გამოქვაბულების შესწავლის ნაწილობრივ წინასწარი შედეგები, მათში აგრეთვე დასმულია ამა თუ იმ ობიექტის შესწავლის მნიშვნელობის, დაცივისა და ათვისების საჭიროების საკითხები, ზოგ მათგანში კი გაშუქებულია საზღვარგარეთ ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობანი [1530—1908].

9) კარსტოლოგიური დაწესებულებები და მათი მუშაობა. საქართველოს კარსტოლოგთა მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, სესიებში და კონგრესებში მუშაობაში

საქართველოში კარსტოლოგიურ სამუშაოთა გაშლამ და გაღრმავებამ, რასაც 1958 წლიდან აქვს ადგილი, გამოიწვია სპეციალური უჯრედების შექმნის საჭიროება როგორც სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში და უმაღლეს სასწავლებლებში, ისე საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ასეთი ღონისძიებების გატარება დაიწყო 1957 წლიდან და განხორციელდა შემდეგ წლებში.

1958 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით პრეზიდიუმთან შეიქმნა სპელოლოგიური კომისია, დამტკიცდა მისი პირველი შემადგენლობა 14 კაცის რაოდენობით და დებულება [260 —

261]. სპელეოლოგიური კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. კეცხოველი, ხოლო სწავლულ მდივნად კ. ჭავჭავაძე, რომელიც შემდეგ თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა, ხოლო სწავლულ მდივნად თ. კიკნაძე<sup>18</sup>. კომისია ნაყოფიერ სამეცნიერო-საქორორდინაციო მუშაობას ეწევა არა მარტო სპელეოლოგიის დარგში — საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ ბუნებრივ და ხელოვნურ გამოქვაბულების აღრიცხვის, შესწავლისა და დაცვის მიზნით, არამედ საერთოდ კარსტოლოგიაში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენი მიღწევების მნიშვნელოვანი ნაწილი სპელეოლოგიური კომისიის ხელშეწყობითა და დახმარებით არის შესრულებული.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სპელეოლოგიური კომისიის მიერ სპელეოლოგიური კრებულების გამოცემის ორგანიზაცია და მისი განხორციელების ხაზით ჩატარებული მუშაობა. დასახელებულ სპელეოლოგიური კრებულების გამოცემა „საქართველოს მღვიმეებისა და გამოქვაბულების“ სახელწოდებით 1963 წლიდან დაიწყო და უკვე ხუთი ტომი გამოქვეყნდა [259]. აღსანიშნავია, რომ ეს კრებულები საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველთაგანია და თავისი მეცნიერული დონით არ ჩამოუვარდება სხვა დაწესებულებების მიერ გამოცემულ მსგავს შრომებს. სპელეოლოგიურმა კომისიამ 1965 წელს სპეციალური კრებულიც კი მოამზადა IV საერთაშორისო სპელეოლოგიური კონგრესისადმი (იუგოსლავია) ([865], იხ. აგრეთვე: [259], ტ. III). 1960 წლიდან კომისია აწყობს სპელეოლოგთა სამეცნიერო სესიებს [277—286, 658], 1965 წელს მოაწყო სემინარი სპელეოლოგიურ მინერალოგიაში [296] და სხვ. (იხ. კომისიის მუშაობის შესახებ: [287—295, 875], აგრეთვე გამოქვეყნებული შრომები: [102, 287—295, 313, 328, 392, 394, 885, 1027, 1252—1254]).

ამასთან ერთად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების ბიუროსა (6. II. 1958) და საერთო კრების (3. XI. 1960), აგრეთვე პრეზიდიუმის (15. XII. 1960) დადგენილებით ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგიურ განყოფილებას გამოეყო და დამოუკიდებელ ერთეულად გახდა კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორია (ხელმძღვანელი შ. ყიფიანი). ეს ლაბორატორია ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო-კვლევითი უჭრედია საბჭოთა კავშირის მსგავს დაწესებულებათა შორის ([689], გვ. 293; [994], გვ. 15; [1195], გვ. 81). ლაბორატორიის მუშაობა იმთავითვე წარიმართა საქართველოს კარსტის გეოგრაფიულ, განსაკუთრებით კი გეომორფოლოგიური შესწავლის მიმართულებით. ამ შესწავლის სამეცნიერო შედეგები გამოქვეყნდა მრავალი ნაშრომის სახით [36—40, 45, 205—206, 240—243, 310—340, 375—378, 387—426, 468, 505—515, 771—774, 841—851, 885—891, 1091, 1251—1275, 1454—1455, 1461—1464, 1522—1525]. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ გაწეული მუშაობა საქართველოს კარსტულ გამოქვაბულთა კადასტრის შედგენაზე, რაც 1960 წელს დაიწყო და დავიკრეფინდა მისი გამოცემით [423]. ამ კადასტრის საცნობარო დანიშნულება აქვს, მასში მოკლედ, სპეციალური კითხვარის მიხედვით მოცემულია ცნობები

<sup>18</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით სპელეოლოგიური კომისია 1969 წლიდან გადაკეთდა სპელეოლოგიურ საბჭოდ, რომლის თავმჯდომარის მოვალეობის ასრულებლად დამტკიცებულ იქნა კონსტანტინე ჭავჭავაძე, ხოლო სწავლულ მდივნად თამაზ კიკნაძე და კიანო რაქვიაშვილი.

საქართველოში 1966 წლის დასაწყისამდე ცნობილ თითქმის ყველა კარსტულ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ გამოქვაბულებზე [887]. აღსანიშნავია აგრეთვე ლაბორატორიის ექსპედიციის მიერ 1961 წელს აღმოჩენილი და შემდგომ წლებში შესწავლილი ამჟამად უკვე ფართოდ ცნობილი ივერიის შესანიშნავი გამოქვაბულ-უფსკრული, რომლის კეთილმოწყობა ტურისტული მიზნით დასასრულს უახლოვდება. კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორიის მუშაობაზე წარმოდგენა შეიძლება მივიღოთ გამოქვეყნებულ ანგარიშებითა და სტატიებითაც ([102, 287—295, 313, 328, 392, 394, 885, 1027, 1252—1254] და სხვ.).

ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში კარსტოლოგიური მიმართულებით ნაყოფიერი მუშაობა წარმოებს აგრეთვე გეომორფოლოგიის [41—44, 46—51, 189—206, 225—228, 299—305, 430—436, 719—722, 1025—1051] და ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის [9—15, 55—64, 117—122, 428, 625—647, 724—737, 1379, 1432—1434, 1529] განყოფილებებში, ლანდშაფტ-მცოდნეობისა [184—185, 274—276, 341, 1091, 1207—1226] და მეოთხეულის [454, 618, 1306] ჯგუფებში.

გარდა ზემოაღნიშნულისა დასავლეთ საქართველოს კარსტულ გამოქვაბულების სპელეოფაუნის შესწავლას აწარმოებს ზოოლოგიის ინსტიტუტი [165—168, 494, 763—766, 803—906, 1417], ჰოლოცენური ნალექების ხერხემლიანებს — პალეობიოლოგიის ინსტიტუტი [16, 28, 31, 113, 116, 569, 598—605, 661—662, 1394—1398]; კარსტულ გამოქვაბულთა არქეოლოგიურ გამოკვლევას ივ. ჭავჭავიძის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ([17—22, 73—80, 125—132, 137—140, 160—163, 229—235, 447, 456—459, 469—470, 570—572, 853—854, 1094]; იხ. აგრეთვე: [287—295, 875]); მცენარეულ საფარს — ბოტანიკის ინსტიტუტი ([145—149, 215, 1334] და სხვ.). დიდი მუშაობა აქვს გაწეული გეოფიზიკის ინსტიტუტს მიწისქვეშა კარსტული სიღრმეების გამოვლენის საქმეში [445—446, 558, 1307—1311, 1341].

მუშაობა გაიშალა უმაღლეს სასწავლებლებშიც: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გეომორფოლოგიის, გეოლოგიის და სხვ. კათედრებზე [4, 35, 54, 82, 92, 99, 121—122, 180, 222, 244, 307—309, 350—352, 381—386, 463—464, 495—500, 504, 839—840], აგრეთვე ქუთაისისა [85—91, 93—96, 187, 264—268, 347, 359—366, 441—442, 471—472, 754, 939, 1020—1023] და სოხუმის (178—179, 208—213, 941, 945—947, 1062—1066) პედაგოგიური ინსტიტუტების გეოგრაფიის კათედრებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გეოგრაფიული განყოფილებას გეომორფოლოგიური სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტებისათვის აკადემიკოს ალ. ჭავჭავიძის ინიციატივით 1963 წლიდან შემოღებულ იქნა სპეციალური კურსი ზოგად კარსტოლოგიაში; 1969 წლიდან ამავე ფაკულტეტის ფიზიკური ქვეყანათმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებისათვის შემოღებულია სპეცკურსი—სპელეოლოგია (მღვიმეთმცოდნეობა).

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ვ. ი. ლენინის სახ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტთან არსებული ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის პრობლემათა ლაბორატორია [25—27, 30, 462, 594—597, 659—660, 738, 818, 1335—1340], რომელიც ამჟამად საქართველოს აკადემიის სისტემაშია.



1964 წლიდან მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდა აფხაზეთის კულტურის ძეგლების დაცვისა და ტურიზმის ინსტიტუტი, ხოლო ამჟამად ასრულებს ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია (ხელმძღვანელი ვ. ფაჩულია) აფხაზეთის კარსტული ფენომენების ტურიზმის მიზნით მათი გამოყენების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

სათანადო უჯრედები ჩამოყალიბდა საზოგადოებრივ ორგანიზაციებშიც; მაგალითად, საქართველოს სსრ გეოგრაფიულ საზოგადოებასთან 1961 წელს შეიქმნა კარსტოლოგიისა და სპელეოლოგიის სექცია (ხელმძღვანელი ზ. ტინტილოზოვი), საქართველოს სსრ-ის სპორტულ საზოგადოებასთან და ორგანიზაციათა კავშირთან 1961 წელს—სპელეოლოგების კომიტეტი (თავმჯდომარე—კ. ჭავჭავაძე), ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსთან 1966 წელს—სპელეოტურიზმის სექცია (თავმჯდომარე — რ. ჭანაშვილი), რომელსაც აქვს ქვესექციები თბილისში (თავმჯდომარე — კ. რაქვიაშვილი), ქუთაისში (თავმჯდომარე — გ. ყალაბეგიშვილი), სოხუმში (თავმჯდომარე ე. მილიანოვსკი) და სხვ. დასახელებულმა ორგანიზაციებმა ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს განვლილ წლებში. საქმარასია აღინიშნოს სპორტული და მეცნიერულ-სპორტულ ექსპედიციის მოწყობა ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტთან ერთად არბიკის მასივზე 1960 და 1962 წლებში და სხვ. ნაყოფიერად მუშაობს ქუთაისის სპორტული საზოგადოება „ოქროს ჩარდახი“ კარსტულ უფსკრულების დაპყრობის დარგში, მაგალითად, მათ მიერ იქნა პირველად გავლილი და აღწერილი ტყიბულა-ძევრულას მიწისქვეშა გზის დიდი ნაწილი.

აღნიშნული დაწესებულებები და ორგანიზაციები ყოველწლიურად აწყო-ბენ სამეცნიერო-კვლევით და სპორტულ ექსპედიციებს საქართველოს კარსტის ზედაპირულ და მიწისქვეშა ფორმების შესასწავლად ([102, 153, 205, 287—295, 312, 328, 335, 394, 468, 875, 885, 1027, 1252—1255] და სხვ.), რომელთა შედეგები ქვეყნდება სამეცნიერო შრომების სახით.

საქართველოს კარსტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესაქამებლად და მომავალი პერსპექტივების დასასახავად ეწეობა სპეციალური სპელეოლოგიური სამეცნიერო სესიები და სემინარები [206, 277—286, 658].

საქართველოს კარსტოლოგიური საკითხები გატანილი იყო სხვა ხასიათის სამეცნიერო თათბირებზე, კონფერენციებსა და სესიებზე: კავკასიის ანთროპოგენის პალეოგეოგრაფიისა და გეომორფოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილ საკავშირო თათბირზე თბილისში [693, 1256], ლარდშვებტციოდნეობის III და IV საკავშირო თათბირებზე თბილისსა და რიგაში [840, 1064]; მალაღობითანი მხარეების ფლორისა და მცენარეულობის შესწავლისა და ათვისებისადმი მიძღვნილ საკავშირო თათბირზე ლენინგრადში [1212]; სამეცნიერო-ტექნიკურ თათბირზე მიძღვნილს ეროზიულ და მეწყურულ მოვლენებისადმი აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე [1243, 1245]; პროფ. ნ. კუზნეცოვის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე ტარტუში [1210]; მოსკოვის ბუნებისმეტყველთა საზოგადოების სამეცნიერო სესიაზე [694, 1027, 1091]; საქართველოს სსრ გეოგრაფიულ საზოგადოების სამეცნიერო სესიაზე [56, 375]; ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიებზე [191, 202, 274, 316, 332, 412—413, 724, 730—732, 1031, 1033, 1208—1209, 1255, 1257, 1263, 1265, 1268—1269, 1271]; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ თანამშრომელთა სამეცნიერო სესიებზე [391, 393,

396, 403, 411, 414—415], აგრეთვე ამიერკავკასიის უნივერსიტეტების სამეცნიერო კონფერენციებზე [889].

განსაკუთრებით აღინიშნის ღირსია ის, რომ საქართველოს კარსტის გეოგრაფიული კვლევით დაინტერესდნენ ასპირანტები და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაეები (ი. აფხაზაია, ბ. გერგელაია, გ. გიგინეიშვილი, ა. ოქროჯანაშვილი, დ. ტაბიძე და სხვ.), აგრეთვე სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების წევრები (გ. გიგინეიშვილი, ა. ესიტაშვილი, რ. ნავერიანი, რ. ფირცხელაური, ლ. ქალღანი, ბ. ყიფიანი, კ. წიქარაშვილი, შ. ხარატიშვილი, ც. ხურცილავა და სხვ.), მათ მიერ შესრულებულ თემებს ისინი კითხულობდნენ ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა ([9, 37—38, 43, 55, 58, 113, 240, 299, 456 და სხვ.) და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე ([35, 54, 106ა, 222, 350—352, 381—383, 459ა, 463, 471—472] და სხვ.).

საქართველოს კარსტოლოგები მონაწილეობას ღებულობდნენ აგრეთვე საკავშირო კარსტოლოგიურ თათბირების თუ სესიების მუშაობაში; მაგალითად 1958—1959 წწ. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფია-გეოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებასთან არსებულ კარსტის გეოლოგიისა და გეოგრაფიის შემსწავლელ საუწყებთაშორისო კომისიის პლენუმების მუშაობაში ([289—292, 875, 885, 1251—1252] და სხვ.); 1964 წელს პერშში, მიძღვნილ კარსტის შესწავლის მეთოდიკაზე ([292, 521, 639, 1069] და სხვ.).

საქართველოს კარსტის შესწავლის საქმეში მიღწეულმა შედეგებმა საშუალება მისცა საქართველოში მომუშავე კარსტოლოგებს თავიანთი მუშაობის შედეგები გაეტანათ არა მარტო რესპუბლიკურ და საკავშირო მასშტაბით, არამედ საერთაშორისო კონფერენციასა და კონგრესებზე; მაგალითად, უკვე 1961 წელს III საერთაშორისო სპელეოლოგიურ კონგრესზე ავსტრიაში მონაწილეობას ღებულობს კ. ჭავჭავაძე: მოხსენების თეზისების გაზავებით [1418].

1964 წელს საერთაშორისო სპელეოლოგიურ კონფერენციაზე, რომელიც შედგა ქ. ბრნოში (ჩეხოსლოვაკია), საბჭოთა კავშირის 6 დელეგატთა შორის (დელეგაციის ხელმძღვანელი თ. კიქნაძე) 5 კაცი საქართველოდან წარგზავნილები იყვნენ (ნ. ბურჩაყ-აბრამოვიჩი, ი. ელიაია, კ. რაქვიაშვილი, თ. გორდენიანი და თ. კიქნაძე [1499], გვ. 217—220). კონფერენციაზე მოხსენებებით წარსდგნენ ნ. ბურჩაყ-აბრამოვიჩი [1394] და თ. კიქნაძე [1456—1457]. ამასთან აღსანიშნავია, რომ კონფერენციაზე წასაკითხ მოხსენებათა თეზისებში დაიბეჭდა გ. გიგინეიშვილისა და ზ. ტინტილოზოვის მოხსენებათა მოკლე შინაარსიც [1432, 1522].

IV საერთაშორისო სპელეოლოგიურ კონგრესის მუშაობაში, რომელიც 1965 წელს სექტემბერში შედგა იუგოსლავიაში, საქართველოდან 12 კარსტოლოგი და სპელეოლოგი მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის 26 დელეგატიდან ([293, 698, 744—745, 1322, 1324, 1425, 1428, 1431, 1447] და სხვ.). საქართველოდან წარგზავნილებმა მოხსენებებიც წაიკითხეს კონგრესის სათანადო სექციებში; სახელდობრ: ელ. აბაშიძემ [522, 525, 1366], ნ. ბურჩაყ-აბრამოვიჩმა [600, 1395], გ. გიგინეიშვილმა [726, 729, 1433], ალ. კალანდაძემ [853, 1453], თ. კიქნაძემ [877, 880, 1457], კ. რაქვიაშვილმა [1141, 1502], ზ. ტინტილოზოვმა [1259—1260, 1524], ქ. ყავრიშვილმა [844, 847, 1454], შ. ყიფიანმა [886, 888, 1461], კ. ჭავჭავაძემ [762, 1419—1420] და რ. ჭანაშვილმა [763, 1416].

1968 წელს XXI საერთაშორისო გეოგრაფიულ კონგრესის (კალკუტა, ინდოეთი) მასალებში დაიბეჭდა ლ. მარუაშვილის მოხსენების თეზისები კარსტული გამოქვაბულების ევოლუციის საკითხზე [1491].

V საერთაშორისო სპელეოლოგიურ კონგრესის მუშაობაში, რომელიც 1969 წელს შედგა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მოხსენებების გაგზავნით მონაწილეობდნენ ელ. აბაშიძე, ლ. ვლადიმროვი და გ. გიგინეიშვილი, ზ. ტინტილოზოვი, ქ. ყავრიშვილი და შ. ყიფიანი [526, 646, 848, 1264, 1462 — 1463].

1973 წელს შედგა VI საერთაშორისო სპელეოლოგიური კონგრესი ჩეხოსლოვაკიაში. ამ კონგრესში საბჭოთა 22 დელეგატს შორის 5 საქართველოდან მონაწილეობდნენ, რომლებმაც მოხსენებებიც წაკითხეს; სახელდობრ: გ. ვიგინეიშვილმა [1434, 1529], თ. კიკნაძემ [1434, 1459—1460], კ. რაქვიაშვილმა [1503], ზ. ტინტილოზოვმა [1525] და შ. ყიფიანმა [1464]; გარდა ამისა ი. აფხაზავასა და ქ. ყავრიშვილის მოხსენებებიც [1379, 1455] იქნა წაკითხული დელეგატების მიერ, ხოლო ლ. ვლადიმროვი და დ. ტაბიძე მართალია კონგრესის მუშაობაში პირადად არ მონაწილეობდნენ, მაგრამ მომხსენებელთა თანავეტორები იყვნენ [1434, 1529]. ე. აბაშიძის, ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩისა და რ. ჭანაშვილის მონაწილეობა გამოიხატა კონგრესის მასალებში მათი მოხსენებათა თეზისების დაბეჭდვით [1367, 1397—1398, 1417].

## 10) ქართული სამეცნიერო კარსტოლოგიური ტერმინოლოგიისა და გეოგრაფიულ ობიექტების აღმოსახელოვანების მიცემის საკითხები

საქართველოს კარსტის გეოგრაფიულ შესწავლილობის საბჭოურ პერიოდის ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით კი ამ ბოლო წლებში, კარსტოლოგიურ გამოკვლევათა გაფართოებამ და ამ მუშაობაში ნაციონალური კადრების ფართო ჩაბმამ გამოიწვია ქართული სამეცნიერო კარსტოლოგიური ტერმინოლოგიის დამუშავების აუცილებლობა. მიუხედავად ამისა ჯერჯერობით ამ მიმართულებით მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული. ამ საკითხების დაუმუშავებლობა ზოგ შემთხვევაში გაუგებრობას იწვევს, ხშირად მუშაობასაც კი უშლის ხელს, ან აძნელებს მას. აღნიშნულის კარგ ილუსტრაციას წარმოადგენს ქართული სინონიმური ტერმინების გამოქვაბულისა და მღვიმის ხმარება ამასთან დაკავშირებით ქვემოთ მინდა შევჩერდე ამ საკითხებზე და, ვსარგებლობ რა შემთხვევით, გამოვთქვამ ზემს მოსაზრებასაც.

ცნობილია, რომ რუსულ ტერმინ „пещера“-ს ბევრი მკვლევარი ქართულ ენაზე „გამოქვაბულად“ აღნიშნავდნენ, ამ ბოლო დროს კი შემოვიდა მეორე ტერმინი — „მღვიმე“. ამასთან მღვიმედ ბუნებრივ გამოქვაბულს აღნიშნავენ ხოლო ადამიანის მიერ გამოკაფულს — გამოქვაბულად. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ 1958 წელს დამტკიცებულ სპელეოლოგიური კომისიის დებულებაში ტერმინი მღვიმის ხსენებაც არ არის; იქ სრულიად მართებულია ხმარებულია ტერმინები: ბუნებრივი და ხელოვნური გამოქვაბულები ([261], გვ. 189, წ. 56). გასაგებია, რომ სპელეოლოგიური კომისია ამ ტერმინებით უნდა სარგებლობდეს და მისი შეცვლა სპეციალური დადგენილების გარეშე არ შეიძლება, მაგრამ ეს არ იქნა დაკული და სპელეოლოგიური კომისიის მიერ 1963 წლიდან გამოცემულ კრებულებს აწერია:

„საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები“ [259]. ძველ ქართულ მწერლობაში და სამეცნიერო თხზულებებში მღვიმის ტერმინი ამ გაგებით არ არის ხმაარებული. მღვიმედ თავიდანვე აღნიშნავდნენ ხელოვნურად გათხრილ გვირაბს, ორმოს ან ხაროს, რომელიც დამნაშავეთა საპატიმროდ ან რელიგიური კულტის მსახურების, ამ ქვეყნიდან განდგომილთა ჩასაქროდ ადგილს წარმოადგენდა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვან.

ბიბლიის (ძველი აღთქმა, არა უადრეს II ს. ახ. წ. ა.) მიხედვით მღვიმე ხელოვნურად განათხარი („რომელი თხრიდეს მღვიმესა, იგივე შთავარდეს მას“) და სამლოცველო ადგილია განდგომილთათვის („ვემსგავსეთ მათ, რომელი შთავლენან მღვმესა“), ხოლო ძველ ქართულ მწერლობაში ქვაბათ ან ქუაბათ გამოქვაბულს აღნიშნავდნენ (იხ. ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი [მასალები], გამ. „მეცნიერება“, თბილისი, 1973, გვ. 304 და 459).

დიდი ლექსიკოგრაფი საბა-სულხან ორბელიანი მღვიმეს ასე განმარტავს: „მღვიმე არს მთხრებელი კლდისა კაცთათვის საპატიმრო, გინა თავით თვისით შთაქდეს სინანულისათვის“, ან „მღვიმე არს უკვე მთხრებელი კლდისა კაცთათვის საპატიმროდ, გინა თვით კაცთმან ნებისით თვისით პატიმარყოს თავი თვისა ლოცვისათვის და სოფლისა ამის შორს ყოფისათვის“ ([239], გვ. 481—482, 539), ხოლო ქუაბი კლდეა გამოწყობილი (იქვე, გვ. 234). ნიკო ჩუბინიშვილის განმარტებითაც „მღვმე კლდის ხარო, ან ქვაბი“—ა, ხოლო „ქერეთი მღვმე, ხარო“—ა, რომელიც საპყრობილეს ერთ-ერთი სახეა „შეუკრავთა და უჭაჭვოთა“—თვის ([439], გვ. 304, 350, 401; იხ. აგრეთვე: ქერეთის მნიშვნელობის შესახებ: ([239], გვ. 709; [357], ტ. VII, გვ. 288). და რომ „მღვმე არს მთხრებელი კლდისა კაცთა საპატიმრო, ანუ ეინც თავით თვისით შთაქდეს სინანულისათვის“ (იქვე, გვ. 280); „ქუაბი“ კი მხოლოდ „კლდეა გამოწყობილი“ (იქვე, გვ. 402) და „ღარანი ქუაბი, ნაბრალი კლდესა, ანუ მიწასა შინა (გვ. 194).

ამ მნიშვნელობით ხმარობს აღნიშნულ ტერმინებს ჩვენი სასიკაძულო მამულიშვილი, გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილიც (ბაგრატიონი). იგი მკვეთრად ასხვავებს „ქუაბსა“ და „მღვმეს“ და კარგად იცის ამ უკანასკნელის დანიშნულება; ასე მაგალითად: მუხრანის აღწერისას, ვახუშტი მიუთითებს მცხეთის დასავლეთით, შიო მღვიმის მონასტრის მიდამოებში: „და არიან ქუაბნი გამოკუთლინი კლდისაგან, მრავალნი, და კლდე ესე არს, ვითარცა ნაშენი ქეიტკირისა. არს აქა მონასტერი დიდი, გუნბათიანი და მღვმე მას შინა, რომელსა შინა ცხოვრობდა წმინდა შიო... არს მღვმესა შინა საფლავი წმიდისა შიოსი...“ ([356], გვ. 350, 5—10). ამავე შრომის მეორე ადგილას ვახუშტი მღვმეს საყუთარი სახელის მნიშვნელობითაც ხმარობს, სადაც, როგორც ჩანს, საპატიმროც არააბობდა. იგი სწერს „...და მოადგნენ სკანდასა მყოფსა (ე. ი. სკანდის ცხენში მყოფს. ზემო იმერეთშია ქ. კვიათურის ახლო — შ. ყ.) აღუქსანდრეს, შეიპყრეს და წარგზავნეს მღვმეს, მერმე სუერს (იქვე, გვ. 857, 23—24; იხ. აგრეთვე: გვ. 759, 21, 23; 760, 1). ამ შემთხვევაშიც ვახუშტის არა ავიწყდება, რომ ყვირილის ხეობის ორივე ფრიად მაღალ კლდოვან მხარეზე „სევრას წყალსა“ და „მღვმე-საჩხერეს“ შორის „არიან მას შინა ქუაბნი მრავალნი (და არა მღვიმეები!—შ. ყ.), გამოკვეთილნი სახიზრად და შეუალი მტრისაგან“ (იქვე, გვ. 360, 3—4).

მამასადამე, ტერმინ „მღვიმეს“ კარსტთან საერთო არაფერი არ აქვს, და იგი წარმოადგენს ზღამიანის მიერ გათხრილ გვირაბს ან ორმოს პატიმართა

დასამწვედევად ან რელიგიური კულტის შესრულებისათვის; ამიტომ თუ მაინცდამაინც ხელოვნური გამოქვაბულისათვის სპეციალური ტერმინი გვინდა შემოვიღოთ, მაშინ ცხადია, რომ ასეთად სწორედ მღვიმე უნდა მივიღოთ და არა პირიქით.

ამასთან ისიც არის აღსანიშნავი, რომ ბუნებრივი და ხელოვნური გამოქვაბულების მავიერ შესაბამისად მღვიმისა და გამოქვაბულის ტერმინების შემოღება უხერხულოდ იწვევს, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე კირქვიან ადგილებში გვაქვს ბევრი ისეთი გამოქვაბული, რომლის გენეზისი სადავოა — ბუნებრივს თუ ხელოვნურს წარმოადგენს ისინი; ამასთან ზემო იმერეთში და სხვაგან ჩვენ გვაქვს კარსტული გამოქვაბულები, რომლებიც ხელოვნურად არის ადამიანის მიერ გაფართოებული. გამოდის რომ ერთისათვის იგი გამოქვაბული იქნება, მეორესათვის — მღვიმე, ან მასზე ჩვენი წარმოდგენის მიხედვით ერთ ეტაპზე გამოქვაბული, ხოლო შემდეგ მღვიმე, ან პირიქით. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ალბად „მღვიმე-გამოქვაბულის“ ტერმინი გვეხმარა, როგორც კ. ჭავჭავაძის მოხსენების თემის სათაურად არის აღნიშნული ბუნებრივი და ხელოვნური გამოქვაბულების მცნების გამოსახატავად [281]. ამასთან ბევრ ბუნებრივ კარსტულ წარმოშობის გამოქვაბულში პირველყოფილი ადამიანის კულტურის ნიშნები მოიპოვება. ასეთებს არქეოლოგები გენეზისის მიუხედავად გამოქვაბულებს უწოდებენ, ხოლო კარსტოლოგებმა მღვიმე უნდა ეუწოდოთ? გამოდის, რომ ერთი და იგივე ფორმა გამოქვაბულიც არის და მღვიმეც. ასე იქცევიან, მაგალითად ყვირილის აუზში განვითარებული გამოქვაბულების მიმართ: არქეოლოგ დ. თუშაბრამიშვილისათვის იგი „ჯრუჭულას ზეობის გამოქვაბულებია“ [129—131], ხოლო სპელეოლოგ ზ. ტინტილოზოვისათვის „ჯრუჭულას აუზის კარსტული მღვიმეებია“ [324]. ასეთი მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

დასახელებულ მაგალითებიდან გამომდინარეობს, რომ გვაქვს გამოქვაბული, კარსტული გამოქვაბული და კარსტული მღვიმე, მაგრამ თუ ჩვენ გვაქვს ორი ტიპის სიღრუე ხელოვნური და ბუნებრივი წარმოშობისა, რომელსაც შესაბამისად გამოქვაბულად და მღვიმედ აღვნიშნავთ, მაშინ კარსტული გამოქვაბულის ტერმინის ხმარება აღარ შეიძლება. ასეთ აღრევას ყოველთვის ექნება ადგილი, თუ ჩვენ განსხვავებული გენეზისის მქონე მოყვანილობითა და გავრცელების ერთგვაროვანი ფორმისათვის ამ ორი ტერმინის ხმარებას დავუშვებთ. ზემოაღნიშნულ გარემოებას ვერ უშველის ალ. კალანდაძის წინადადება, რომ „კარსტული წარმოშობის, მეტ-ნაკლებად პორიზონტული გავრცელების პირგახსნილ ღრმულს მასში კულტურული ფენის არსებობის თუ არარსებობის მიუხედავად, მღვიმე ეუწოდოთ, ხოლო ადამიანის ხელით საგანგებოდ გამოკვეთილს კი—გამოქვაბული“ ([141], გვ. 183). ჩემი აზრით არავითარი აუცილებლობა არ არსებობს იმ წინადადების მიღებისათვის, რომ „კომისიის დებულებაში“ ხმარებული გამოთქმა „ბუნებრივი და ხელოვნური გამოქვაბულები“ უმჯობესი იქნებოდა შეგვეცვალა გამოთქმით — „მღვიმეები და გამოქვაბულები“ (იქვე), როგორც ამას ალ. კალანდაძე ვვიჩვენებს; პირიქით იგი უნდა დარჩეს და არსებულ გაუგებრობასაც ბოლო უნდა მოეღოს.

დასასრულდ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივ გამოქვაბულებისათვის მხოლოდ მღვიმის ტერმინის დამკვიდრება ზოგჯერ უხერხული იმიტომაც, რომ თვით ადგილს, სადაც ეს გამოქვაბულია გავრცელებული მღვიმე ან მღვიმევი ეწოდება: მაგალითად, მცხეთის დასაუღლეთით მონასტერს შიო მღვიმე

ეწოდება, ხოლო კიათურის რაიონში მდებარე სოფელს მღვიმევი, გამოდის რომ შესაბამისად შიო მღვიმის მღვიმე და მღვიმევის მღვიმე უნდა ვიხმაროთ, როგორც ეს ნაწილობრივ კადასტრშია მოცემული ([423], გვ. 201, № 265).

იმ გარემოებაზეც უნდა მივუთითოთ, რომ ძველ ისტორიულ წყაროებში ტერმინ ქუაბებს ან ქვაბებს ხმარობდნენ ([354—356] და სხვ.). თ. კიენადის გამოკვლევით ეს ტერმინი პირველად ნახმარია ეფრემ მცირეს მიერ XI საუკუნის მეორე ნახევარში [159]. ცხადია, რომ ქუაბებიდან ან ქვაბებიდან ნაწარმოებ კარსტოლოგიურ ტერმინად გამოქვაბული უფრო გამოდგება, ვიდრე მღვიმე.

საბოლოოდ ჩვენი წინადადება ასეთი იქნება: დარჩეს ორივე ტერმინი, გამოქვაბული და მღვიმე, მაგრამ უპირატესობა პირველს მივანიჭოთ როგორც ისტორიულად გამართლებულს, ხოლო მათი გენეტური თავისებურება ზედსართავი სახელებით აღვნიშნოთ, როგორც ეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ თავის დროზე დამტკიცებულ სპელეოლოგიურ კომისიის დებულებით არის დადგენილი.

რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში არის ცდები საერთოდ მიღებულ კარსტოლოგიურ ტერმინების რუსულით შეცვლისა და ზოგჯერ იგი საერთო აღიარებასაც კი ღებულობს; მაგალითად, „дolina“ შეცვალეს „воронка“-ში, „уваля“ — „котловина“-ში და ა. შ. ([678], გვ. 166—182; [994], გვ. 104—134; [1239], გვ. 176—188 და სხვ.). ამის აუცილებლობას ნაწილობრივ იმითაც ასაბუთებენ, რომ ზოგიერთი ტერმინის, მაგალითად „დოლინას“ და სხვ. რუსულ ენაზე სხვა მნიშვნელობა აქვს; ამასთან გვაქვს სრულებიდა სხვადასხვა ფორმების აღმნიშვნელი ტერმინები კარსტული ქვაბულებისა „уваля“ და ბორცვებისა „уваля“, რომელთა ხმარება ზოგჯერ გაუგებრობას იწვევს; მაგრამ ეს უხეზბულობა თავიდან შეგვეძლოს ადვილად აგვეციდინა, მაგალითად „დოლინას“ ხმარებისას, თუ ამ სიტყვაზე მახვილის სათანადო მარცვალზე დაკვირვებით: „дolina“, რაც, რა თქმა უნდა, იგი აღარ აგვერეოდა ტერმინ „дolina“-ში.

რუსულ სამეცნიერო ლიტერატურის გავლენითა და მეტისმეტი მიზანძღობით ზოგიერთი ქართველი მკვლევარი საერთაშორისო კარსტოლოგიური ტერმინების შიგნით, შესაბამის რუსული ტერმინის პირდაპირ გადმოქართულებას ახდენს; მაგალითად, „დოლინას“ მაგიერ „ძაბრს“ ხმარობს, ან შესაბამის ახალ ტერმინს ეძებს ქართულ ენაზე — „წკვარამს“ ([187], გვ. 129); „პოლიეს“ მაგიერ „რაბოს“ ([498], გვ. 88—90, 92), ვოკლუზიის მაგიერ „ბინჯულს“ ([496], გვ. 238) და ა. შ. ამან ნაწილობრივ გამოხატულება ჰპოვა დ. უკლებას მიერ შედგენილ გეოგრაფიის ტერმინოლოგიაში [344], სადაც „воронка карстовая“ თარგმნილია „კარსტულ ძაბრად“ (გვ. 21), ხოლო „дolina“ — დოლინად ან წკვარამად (გვ. 32); გამოდის, რომ ერთი და იგივე ფორმის გამოსახატავად ქართულ ენაზე სამი ტერმინი — ძაბრი, დოლინა და წკვარამი უნდა ვიხმაროთ; შემდეგ ამავე ლექსიკონში „котловина карстовая“ თარგმნილია „კარსტულ ქვაბულად“ (გვ. 45), ხოლო „уваля“ სრულიად მართებულად „უვალად“ (გვ. 93). როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, ჩვენი აზრით, უმჯობესი იყო საერთოდ მიღებული ტერმინები გვეხმარა, ე. ი. როგორც „воронка карстовая“ და „дolina“, აგრეთვე „котловина карстовая“ და „уваля“-ი, შესაბა-

მისად დოლინად და უვალად გვეთარგმნა. ამასთან არავითარი საჭიროება არ მოითხოვს, რომ პოლიეს მაგიერ რაბო, ხოლო ვოკლუზის მაგიერ ბინული შემოვიღოთ ქართულ ენაზე. ასეთი ტერმინების არსებობა ქართულ ენაზე მართალია ჩვენი ერის ენის სიმდიდრეზე მიგვიფიქრებს, მაგრამ მათი შემოღების საჭიროება არ არის. სხვათა შორის დ. უკლებას ქართულ გეოგრაფიულ სამეცნიერო ტერმინოლოგიიდან სრულებით ამოულია „გამოქვამული“ და მის მაგიერ ტერმინ „მლვიმეს“ დამკვიდრებას ცდილობს.

საქმე იქამდე მიდის, რომ მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ აღიარებულ ისეთ ტერმინებსაც კი როგორცაა კარსტოლოგია, სპელეოლოგია და ა. შ. შესაბამისად თარგმნიან კარსტმკოდნეობად, სპელიმდ-მკოდნეობად, რაც სრულიად დაუსაბუთებელია და საჭიროდ არ მიგვაჩნია.

გ. ბრეგვაძე 1966 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში — „ვერდიოთ უცხო გამოთქმებს!“ — სრულიად სწორად აღნიშნავს, რომ „ჩვენს მშობლიურ ქართულ ენაში ზოგიერთი უცნაური უცხო ტერმინი უნებურად, განუსჯელადაა შემოთესლებული“-ო... და რომ ამის ერთ-ერთი მავალითია ცნება „კარსტული ორმო“ ანუ „კარსტული ჭა“-ო ([23], გვ. 11). ამასთან იგი იძლევა წინადადებას, რომ ნაცვლად „კარსტული ორმოსა“ თუ „კარსტული ჭასა“, ხრამი უნდა მივიღოთ ძირითად ტერმინად „-ო (იქვე). გ. ბრეგვაძის აღნიშნული მოსაზრება შენიშვნებს იწვევს, ჯერ ერთი ქართულ კარსტოლოგიურ ტერმინოლოგიაში კარსტულ ორმოს არ ხმარობენ, არამედ კარსტულ ჭასა და უფსკრულს, რომლებითაც აღნიშნავენ უმთავრესად ვერტიკალურად გავრცელებულ სიღრუეებს, ანუ ვერტიკალურ გამოქვამულებს და მეორე, ხრამი ქართული ენის წარმოდგენით არა ვერტიკალურ, ჰისებრივ, არამედ ზედაპირული უმთავრესად დახრილი ღია ფორმა და წარმოდგენს მდინარეული ხეობების განვითარების ადრინდელ სტადიას. ასეა იგი განმარტებული, მაგალითად დიდი ლექსიკოგრაფის საბა-სულხან ორბელიანის ქართულ განმარტებით ლექსიკონში, „ხრამი კლდიანი ღრმა კევი“-ა ([239], გვ. 427; [357], ტ. 8, გვ. 1503) და რა თქმა უნდა, სპელიალურ, მათ შორის გეომორფოლოგიურ წყაროებში. მაშასადამე, აღნიშნული წინადადების მიღება ყოველად შეუძლებელია.

ამავე საკითხზე გამოქვეყნდა გ. ჯიშკარიანის სტატია — „კარსტი თუ ხრამი“ ([509]. გ. ჯიშკარიანი უმართებულად გ. ბრეგვაძეს აწერს თითქოს იგი ტერმინ კარსტის მაგიერ ტერმინ ხრამის მიღების წინადადებას იძლეოდეს, სტატიის სათაურიც ამაზე მიუთითებს, მაგრამ გ. ბრეგვაძის სტატიიდან ასეთი რამ არ გამომდინარეობს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უკანასკნელ წლებში საბჭოთა საქართველოში ფართოდ გაიშალა კარსტოლოგიური, კერძოდ სპელეოლოგიური კვლევა-ძიება. ამას მოჰყვა ის, რომ ბევრი ახალი ობიექტი—გამოქვამული, ჭა, უფსკრული და სხვ. იქნა აღმოჩენილი და შესწავლილი. ამასთან დაკავშირებით, ცხადია, საჭირო გახდა ახლად აღმოჩენილ ყველა ობიექტისათვის სათანადო სახელწოდების მიცემა. საერთოდ მიღებულია, რომ ახლად აღმოჩენილ გეოგრაფიული ობიექტისათვის სახელწოდების მიცემაში პრიორიტეტი მის აღმოჩენის ექვთვანის; ამასთან საჭიროა ასეთი ობიექტისათვის შესაფერისი სახელიც იქნას შერჩეული; მაგრამ სამწუხაროდ ამას ყველა მკვლევარი არ იცავს და ხშირად ერთი და იგივე ახლად აღმოჩენილ ობიექტს აძლევენ არა შესაფერ და სხვადასხვა სახელსაც კი. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტოლოგიურ ექსპე-

დიციის მიერ (ხელმძღვანელი შ. ყიფიანი) 1961 წელს კურორტ ახალ ათონის მიდამოებში, მ. ივერიის ახლო, მიკვლეული და შესწავლილი, ახლა უკვე ფართოდ ცნობილი ივერიის გამოქვაბულ-უფსკრული. ამ ობიექტის აღნიშნულ ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი თავის გამოკვლევებში „ანაკოფიას“ ან ზოგჯერ „ანაკოფიას (ივერიას)“ უწოდებს და ცდილობს მის დამკვიდრებასაც [325—326, 330—331, 335, 1258, 1261, 1523], რაც გამართლებული არ არის. აღნიშნულ ექსპედიციის ხელმძღვანელი და დანარჩენი წევრები ამ უფსკრულ-გამოქვაბულს ივერიას უწოდებენ [38, 50, 242, 404, 423, 493, 508, 511, 771, 887], რაც იმით არის დასაბუთებული, რომ უახლოეს მნიშვნელოვან გეოგრაფიულ ობიექტს—მთას ივერია ეწოდება, ხოლო ანაკოფიად ამ მთაზე არსებულ ანტიკურ ციხე-სიმაგრეა წოდებული და ამასთან ეს სახელი ქართული წარმოშობისა არ არის. დასასრულ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერაც აღნიშნული ობიექტი სრულიად მართებულად წოდებულია ივერიად [270] და ეს უკვე დაკანონებულია. მაშასადამე, ყველანი ვალდებული ვართ დავეიცოთ აღნიშნული დადგენილება, მათ შორის 1961 წლის კარსტოლოგიური ექსპედიციის წევრებმაც<sup>18</sup>.

ანალოგიურ, მაგრამ რამდენიმედ განსხვავებულ შემთხვევას აქვს ადგილი მაღარის მრავალსართულიან გამოქვაბულთა კომპლექსის სახელწოდებასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, მაღარა მდებარეობს ქუთაისის აღმოსავლეთით 12 კმ-ზე, სოფ. ცუცხვათსა და ჰალასთავს შორის. პირველი ცნობა მის შესახებ ალ. ჭანელიძეს ეკუთვნის ([767], გვ. 242, 317—318). ამ კომპლექსის ოთხი სართული 1959 წელს შეისწავლა ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორიის ექსპედიციამ — შეადგინა აღწერილობა, რაც ადრე არ არსებობდა, პირველად ავ. ეგვა მისი ქვედა, გამჭოლი სართული და სხვ. ამ კვლევის შედეგები გამოქვეყნდა გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომებში 1962 წელს [421], ზოგიერთი მონაცემი შეტანილია 1966 წელს გამოცემულ კადასტრშიც [423]. ამ კომპლექსს ადგილობრივი მცხოვრებლები მაღარას უწოდებენ. ეს სახელწოდება შენარჩუნებულია აღნიშნულ შრომებშიც. ამ გამოქვაბულს ასევე უწოდებდა ლ. მარუაშვილიც თავის აღრინდელ შრომებში [189, 197, 1024], მაგრამ 1966 წლიდან მას სახელი შეუცვალა და დაარქვა ჭერ „მაღარა (ცუცხვათი)“, შემდეგ „ცუცხვათი (მაღარა)“ ([1037], გვ. 7, 63, 78) და, დასასრულ „ცუცხვათი“ [200, 1034—1035, 1039, 1042, 1048].

აღნიშნული გაუგებრობისა და უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით მომავალში აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია ყოველი ახალი კარსტოლოგიური ობიექტის სახელწოდებათა რეგისტრაცია — დადასტურება სათანადო ავტორიტეტული ორგანოს მიერ, ჩვენს პირობებში ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, ან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ სპელეოლოგიურ საბჭოს მიერ.

როგორც დავინახეთ ამ უკანასკნელ წლებში საქართველოს კარსტის გეოგრაფიულ შესწავლის მიმართულებით მნიშვნელოვანი მუშაობა არის გაწეუ-

<sup>18</sup> აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით ეს სიღრმე შემდეგში ახალათონის გამოქვაბულად უნდა იქნას წოდებული. ეს სახელწოდება არაა გამართლებული ახალ ათონში მეორე სიღრმის ასეთივე სახელის გამოც.



ლი. ამასთან გამოვლენილი და შესწავლილია თითქმის ყველა ძირითადი კარსტული რაიონი და მრავალი ობიექტი, რომლის ნაწილის კეთილმოწყობაც კი მიმდინარეობს ტურისტული მიზნით. ამ ეტაპისათვის ისიც არის დამახასიათებელი, რომ საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლა მიმდინარეობდა როგორც ცალკეული დარგების, ისე კომპლექსურადაც; ამასთან ამ კვლევისას ნაწილობრივ გამოყენებული იყო კვლევის ახალი მეთოდები. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შესწავლაში, განსხვავებით წინა ეტაპისა, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მორფოგენეტიკურ მხარეს მორფოგრაფიულ-მორფომეტრიულთან ერთად.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ეტაპის დასაწყისში გატარებულმა ორგანიზაციულმა ღონისძიებებმა მეტად ხელსაყრელი პირობები შექმნა საქართველოში კარსტოლოგიური, მათ შორის სპელეოლოგიური მუშაობის გაშლისა და გაღრმავებისათვის, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო სათანადო კადრების აღზრდასა და ამ მუშაობაში ფართო საზოგადოებრივობის ჩაბმას. ამ ეტაპისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ საქართველოს კარსტის შესწავლა უპირატესად ადგილობრივი, ნაციონალური კადრების მეოხებით წარმოებდა.

### III. საერთო დასკვნები და მორიგი ამოცანები

I. საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის ანალიზიდან ჩანს, რომ მისი შეცნობა იწყება ანტიკური ეპოქიდან და, განსაკუთრებით ინტენსიურად წარმოებს ჩვენს დროში. ეს გარემოება იმით არის გაპირობებული, რომ კარსტული მოვლენები ძველთაგანვე ქართველი ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და დღესაც თამაშობს. მიუხედავად ამისა, საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლა ერთნაირი ინტენსივობით და მასშტაბით არ წარმოებდა. ეს გარემოება გამოწვეულია, ერთი მხრივ, ქართველი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ქარტეხილობით და ამასთან დაკავშირებით სამეურნეო-ეკონომიური განვითარების დონით, მეორე მხრივ, თვით კარსტოლოგიური მეცნიერების მიღწევებით. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს კარსტის გეოგრაფიულ შესწავლაში ორი თვისობრივად მკვეთრად განსხვავებული საბჭოურამდელი და საბჭოური პერიოდი გამოიკვეთება.

II. საბჭოურამდელ პერიოდში, ე. ი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, კარსტის შესახებ წარმოებდა ფაქტობრივი მასალის დაგროვება (კარსტული ფენომენების რეგისტრირება და მათი გამოყენებით მნიშვნელობის გარკვევა, ცალკეული ობიექტების, განსაკუთრებით გამოქვაბულების მორფოგრაფიულ-მორფომეტრიული აღწერა), ხოლო მის გენეტიკურ მხარეს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამ პერიოდისათვის ისიც არის დამახასიათებელი, რომ კარსტული მოვლენების სპეციალური შესწავლა იშვიათად წარმოებდა; მთელი მუშაობა ამ მიმართულებით მიმდინარეობდა სხვა საკითხების კვლევასთან ერთად და მას დამორჩილებული, მეორეხარისხოვანი ადგილი ეკავა. თვით კარსტის კვლევის საკითხებიც შეზღუდული იყო. არარსებობდა ამ მუშაობის შემსრულებელი ორგანიზაციული ცენტრი. იგი არ წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანს და მთელი მუშაობა უმთავრესად ამა თუ იმ სპეციალობის მკვლევარის პირად დაინტერესებაზე და ინიციატივაზე იყო დამოკიდებული.

მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს კარსტის გეოგრაფიულ შესწავ-  
ლილობის საბჭოურამდელ პერიოდში შეინიშნება კარსტის კვლევის თან-  
დათანობითი აღმავლობა, რამაც უკლმინაეცა XX საუკუნის პირველ მეოთ-  
ხედში მიიღწია. ამასთან მკვეთრად გამოიყოფა XIX საუკუნის მეორე ნახევარ-  
ი წინა ხანისაგან. თითოეულ ამ ეტაპს კარსტის შესწავლის გარკვეული თა-  
ვისებურება ახასიათებს, რამაც მათ სახელწოდებაშიც ჰპოვა არეკვლა. ეს ეტა-  
პები შემდეგია:

1. კარსტული გამოქვაბულების შესახებ პირველი, ზოგადი ცნობების მო-  
პოვებისა და დაგროვების ეტაპი (1850-იან წლებამდე);

2. კარსტული მოვლენების რეგისტრაციისა და მათი მორფოგრაფიულ-  
მორფომეტრიული აღწერის საწყისი ეტაპი (1851—1900 წწ.) და

3. კარსტული ფენომენების მორფოგრაფიულ-მორფომეტრიული, ნაწი-  
ლობრივ კი გენეტური და მისი პრაქტიკული მნიშვნელობის შესწავლის საწყ-  
ისი ეტაპი (1901—1920 წწ.).

III. საქართველოს კარსტის გეოგრაფიულ შესწავლილობის საბჭოურ პე-  
რიოდში, ე. ი. 1921 წლიდან, საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა განსაკუთრებუ-  
ლი ხელსაყრელი პირობები საქართველოს ბუნების, კერძოდ კარსტის შესწავ-  
ლისათვის; ამასთან გაფართოვდა ფიცი კარსტული მოვლენების შესწავლის  
სფერო; კარსტული მოვლენების აღწერასთან ერთად, მნიშვნელოვანი ყურად-  
ღება დაეთმო მის გენეტურ შესწავლასაც. ხშირად კარსტული მოვლენების შე-  
სწავლა უკავშირდება სახალხო მეურნეობის მიერ დასმულ პრაქტიკულ სა-  
კითხების გადაწყვეტას. კარსტულ მოვლენების შესწავლაში ჩაებნენ ადგილობ-  
რივი მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-პედაგოგიური და სა-  
ზოგადოებრივი ორგანიზაცია-დაწესებულებები. ამასთან დაკავშირებით ჩა-  
მოყალიბდა ზათანალო სამეცნიერო უჯრედები. შეიქმნა საკოორდინაციო ცენტ-  
რიც.

საბჭოურ პერიოდში კარსტის კვლევა ერთნაირი მასშტაბითა და სიღრმით  
არ წარმოებდა, მაგრამ იგი ყოველთვის მკვეთრად გამოხატული აღმავალი  
პრუდით მიმდინარეობდა. ამ საერთო აღმავლობის ფონზე რამდენიმე ეტაპი  
გამოისახება, რომლებიც მოკლედ შემდეგნაირად ხასიათდება:

1. კარსტული მოვლენების გენეტური კვლევის დასაწყისისა და მისი პრა-  
ქტიკული ათვისების პირველი ცდების ეტაპი სოციალისტური მშენებლობის  
მოთხოვნების შესაბამისად (1921—1940 წწ.);

2. კარსტული და კლასტოკარსტული გამოქვაბულების, უმთავრესად გეო-  
მორფოლოგიური კვლევისა და მათი გამოყენების შესაძლებლობის დადგე-  
ნის ეტაპი (1941—1945 წწ.);

3. კარსტის უმთავრესად გეომორფოლოგიური გაღრმავებული კვლევის  
ეტაპი (1946—1957 წწ.) და

4. კარსტის ფიზიკურ-გეოგრაფიული დარგობრივი და კომპლექსური (ლა-  
ნდშფეტური) გაღრმავებული კვლევისა და მისი პრაქტიკული რაციონალური  
გამოყენების ეტაპი (1958 წლიდან დღევანდლამდე).

IV. საბჭოურ პერიოდში საქართველოს კარსტის გეოგრაფიულ გამოკვლე-  
ვათა შედეგად გარკვეულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. დაზუსტდა კარსტის ტიპები და მათი გავრცელების ფარგლები საქარ-  
თველოს ტერიტორიაზე;

2. გაცხოველებით მიმდინარეობდა ზედაპირული კარსტული ფორმების, მათი კომპლექსებს და კარსტული რელიეფის განვითარების ისტორიის შესწავლა;

3. დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთი, სამეგრელო) გამოვლენილი და შესწავლილი იქნა კარსტის ახალი სახეობა კირქვის კონგლომერატებში, ე. წ. კლასტოკარსტი, აგრეთვე ძველი და დამარხული კარსტი (აფხაზეთი, ზემო იმერეთი);

4. დიდი მუშაობა იქნა გაწეული მიწისქვეშა კარსტული და კლასტოკარსტული ფორმების შესასწავლად უმთავრესად გეომორფოლოგიური თვალსაზრისით. ახლად გამოვლენილ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ გამოქვაბულებთან ერთად შესწავლილ იქნა ადრე ცნობილიც.

მნიშვნელოვანი გამოკვლევები ჩატარდა ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციების მიერ შალარის (ცუცხვათის) მრავალსართულიანი გამოქვაბულთა კომპლექსის გამოსაყვანად და შესასწავლად ჯერ კიდევ 1958, შემდეგ კი 1966—1974 წლებში.

გამოვლენილ და შესწავლილ იქნა მდინარის კალაპოტისქვეშა გამოქვაბულები, მაგალითად კელასურ-ბესლეთისა.

დაწყებულ იქნა სუბტერალური ნალექებისა და თოვლიან-ყინულიანი სიღრუეების შესწავლა.

ჩატარდა პირველი ცდები კარსტული გამოქვაბულების კორელაციისა ზღვიურ და მდინარეულ ტერასებთან.

ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორიის ექსპედიციის მიერ 1961 წელს მიკვლულ და შემდეგ წლებში შესწავლილ ივერიის გამოქვაბულ-უფსკრულის კეთილმოწყობა ტურიზმის მიზნით მთავრობის დადგენილებით უკვე მიმდინარეობს და ექსპლოატაციაში შევა უახლოეს ხანში.

ჩატარებული მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა საქართველოს კარსტულ გამოქვაბულთა კადასტრის შედგენა.

5. საქართველოს ცალკეული კარსტულ გამოქვაბულთა შესწავლასთან ერთად წარმოებდა თეორიული საკითხების დამუშავებაც, მაგალითად გამოქვაბულთა წარმოშობა-განვითარებაზე.

6. საქართველოს კარსტის გეომორფოლოგიურ შესწავლასთან ერთად წარმოებდა მისი კლიმატის, უმთავრესად სპელეოკლიმატის, წყლების, მცენარეული საფარის, სპელეოფაუნის, აგრეთვე ფიზიკურ-გეოგრაფიული ლანდშაფტური კვლევა. მიმდინარეობდა აგრეთვე სუბმარინული წყლების შესწავლაც გაგრა-განთიადს შორის.

7. საქართველოს კარსტის გეოგრაფიულ კვლევისას გამოყენებულ იყო ახალი მეთოდებიც, მაგალითად, ოდენობითი მეთოდი კარსტის დენუდაციის სიჩქარის გასაგებად, აგრეთვე მიწისქვეშა ჰიდროგრაფიის კვლევისას წყლების შეღებვა და სხვ.

8. ჩატარებული მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა საქართველოს კარსტის გეომორფოლოგიური, აგრეთვე სპელეოლოგიური, ზოოსპელეოლოგიური, ბოტანიკურ-გეოგრაფიული და ლანდშაფტური დარაიონებანი.

9. შესრულდა საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლილობის პერიოდიზაციის პირველი ცდა.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ საქართველოს კარსტის პრობლემატურმა

საკითხებმა კოვია რესპუბლიკურ და საკავშირო, აგრეთვე საერთაშორისო რეზონანსიც, რაც კერძოდ გამოიხატა ქართველ კარსტოლოგების მზარდი მონაწილეობით სათანადო სამეცნიერო თათბირებში, კონფერენციებსა და კონგრესებში და სხვ.

საქართველოს კარსტის შესწავლის ზემოთ აღნიშნული მიღწევები მნიშვნელოვანწილად გააირობებულია სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში სათანადო ორგანიზაციული ღონისძიებების გატარების წყალობით, რასაც ამ უკანასკნელ დროში ჰქონდა ადგილი (მაგალითად, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორიის ჩამოყალიბება, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან სპელეოლოგიური ჯერ კომისიის, შემდეგ კი საბჭოს შექმნა და სხვ.).

V. როგორც ჩანს, საქართველოს კარსტის გეოგრაფიული შესწავლის მიმართულებით ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ ჯერ კიდევ კარსტის გეოგრაფიული ბევრი პრობლემა და საკითხი არის შესასწავლი და გასარკვევი; ეს გასაგებიცაა, რადგან საქართველოს კარსტის ყოველი ახალი შესწავლა კიდევ უფრო ახალ და ახალ პრობლემებს წამოჭრის მკვლევართა წინაშე. მათ შორის რამდენიმეს აღვნიშნავთ.

1. გასულ წლებში საქართველოს კარსტის გეომორფოლოგიურ შესწავლას, როგორც დავინახეთ, ფიზიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევათა შორის უპირატესი ადგილი ეკირა და ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ეს თანამედროვე ეტაპისათვის სრულიად საკმარისი აღარ არის. საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება, გაღრმავება და გაფართოება.

ამ მხრივ ჩვენს წინაშე მდგარ და გადასასწავებელ უმნიშვნელოვანეს პრობლემათა და ამოცანათა შორის მხოლოდ რამდენიმეზე შეეჩერდები.

ა) პირველ რიგში საჭიროა მომავალშიაც გავაგრძელოთ და გავაძლიეროთ საქართველოს კარსტული ოლქების მორფოგრაფიულ-მორფომეტრიული და მორფოგენეტიკური შესწავლა. ამასთან ერთად უნდა მოეწყოს გაძლიერებული ძიება კარსტული ახალი ობიექტების გამოვლენისა და რეგისტრაციისათვის. ეს განსაკუთრებით ეხება მიწისქვეშა ობიექტებს. ამ მხრივ ჩვენს წინაშე ფართო პორიზონტი იშლება, ამაზე მიგვიითებებს სხვათა შორის, ამ ბოლო წლებში ჩატარებული გამოკვლევების შედეგები. ამასთან ერთად საჭიროა მოეწყოს კარსტული ობიექტთა ზუსტი ტოპოგრაფიული ავეგმეები.

ბ) მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საქართველოს კარსტულ რეგიონების რელიეფის ტიპებისა და ფორმების აბსოლუტური ასაკისა და განვითარების გარკვევა მხარის გეომორფოლოგიური ისტორიის ფონზე. ამ მხრივ დიდი და მეტად საინტერესო სამუშაოებია ჩასატარებელი. ამ საკითხის გადასაწყვეტად, გარდა გეოგრაფიული მეთოდებისა, ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მეზობელ მეცნიერული დარგების მეთოდებიც, კერძოდ გეოლოგიური, არქეოლოგიური და სხვ.

გ) ამასთან ერთად საჭიროა გარკვეულ იქნას საქართველოს კარსტის განვითარების პირობები, რასაც გარდა რეგიონალურისა, ზოგადი კარსტოლოგიური მნიშვნელობაც აქვს. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა გავარკვეოთ ლითოლოგიურ-ფაქიალური წყებების როლი დაკარსტვაში; საჭიროა დეტალურად შევისწავლოთ ზედაიურული, ცარცული, პალეოგენური და სხვ. კარბონატული წყებების ფიზიკური თვისებები და ქიმიური შედგენილობა, ტექსტურა და სხვა თვისებები და, ცხადია, მათი როლი დაკარსტვაში.

დ) ასევე მნიშვნელოვანია ამა თუ იმ კარსტული რეგიონის ტექტონიკური აგებულების როლის გარკვევა, კერძოდ, კარბონატული წყებების დანაპარალიანობისა, კარსტულ ზედაპირულ და მიწისქვეშა ფორმების წარმოშობაში.

ე) საქართველოს კარსტის წარმოშობის საკითხების გარკვევისათვის საჭიროა გავიგოთ ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორის (კლიმატის, წყლების, ნიადაგების, მცენარეული საფარისა და თვით მათი სინთეზის — ლანდშაფტების) როლი კარსტის განვითარებაში და მორფოლოგიაზე, ამ კომპონენტების ვერტიკალურ ზონალურ გავრცელებასთან დაკავშირებით.

ვ) საქართველოს კარსტის გამოვლენის ინტენსივობისა და განვითარების საკითხების გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კირქვებში მეონად წყლებში აგრესიულ ნახშირორჟანგის რაოდენობის განსაზღვრას სიმალლითი ზონალობისა და ცალკეულ ტერიტორიების მიხედვით, რაც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ დაკარსტების ტემპი და ინტენსივობა. ამასთან ერთად ნახშირორჟანგის რაოდენობა უნდა განისაზღვროს ნიადაგსა და ჰაერშიც, აგრეთვე სიმალლითი ზონებისა და ცალკეული რეგიონების მიხედვით.

ზ) ცალკეულ ტერიტორიებზე კარსტის განვითარების კანონზომიერებათა დასადგენად საჭიროა აგრეთვე მოვაწყოთ აქ მიწისქვეშა წყლების, უმთავრესად ვერტიკალური ცირკულაციის გზებისა და ჰიდროდინამიკური ზონების დადგენა. ეს საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ ამ წყლებისა და ზონების მნიშვნელობა დაკარსტის პროცესში საერთოდ და, კერძოდ, კარსტული ეროზიის ბაზისის დონეს ზემოთ და ქვემოთ.

თ) მიწისქვეშა წყლების ჰიდროგრაფიული ქსელის კვლევისას ფართოდ უნდა გამოვიყენოთ წყლის შეღებვის, მცენარეული მტვრით წყლების გაქუქუყიანების, რადიოაქტიური, ბიოლოგიური ინდიკატორისა და სხვ. ახალი მეთოდები.

ი) ამ ბოლო წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში ვხვდებით მითითებას იმის შესახებ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე (გაგრის რაიონი, ზემო იმერეთი) თანამედროვე აქტიურ კარსტთან ერთად გვაქვს ძველი და დამარხული კარსტიც; ამასთან დაკავშირებით საჭიროა ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გაღრმავება და გაფართოება; ეს საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ საქართველოს კარსტის განვითარების ისტორიის ჭრჭვრობით წყვილიაღი მთელნი ფურცლები.

კ) საქართველოს კარსტის განვითარებაზე მნიშვნელოვან როლს ნეოტექტონიკური მოძრაობანი თამაშობენ და, ცხადია, ამ საკითხების შესწავლა საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ კარსტის ასაკი და კარსტის კავშირი აზვეებისა და სიწყნარის პერიოდებთან.

ლ) გასულ წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში მოცემული იყო პირველი ცდები კარსტული ჰორიზონტალური და ვერტიკალური გამოქვაბულების კორელაციისა მდინარეულ და ზღვიურ ტერასებთან, მაგრამ ეს სრულებით საკმარის არ არის; საჭიროა ამ მიმართულებით მომავალში მუშაობის გაგრძელება და გაფართოება, რაც საშუალებას მოგვცემს გამოქვაბულთა წარმოშობა დაკავშირებით მდინარეული ხეობების და შავი ზღვის ქვაბულის განვითარების ეტაპებთან.

მ) საქართველოს მაღალმთიან და, ნაწილობრივ, საშუალომთიანი კარსტის თავისებურებათა კვლევის დროს აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება

უნდა მივაქციოთ ამ მხარეთა მეოთხეულ გაციწვარებასა და მის როლს დაკარსტვის პროცესში.

6) უნდა გავაძლიეროთ კოლხეთის ბარის ჩრდილო ნაწილში ამ უკანასკნელ ხანს გამოვლენილი კლასტოკარსტის მორფოლოგიური შესწავლა — მათი გავრცელების კანონზომიერებანი, ამ კარსტის განსხვავების თავისებურებანი და მიზეზები. ყურადღების გარეშე არ უნდა დაგვრჩეს სუფოზური და ფსევდოკარსტული მოვლენების კვლევაც.

7) მნიშვნელოვანი გამოკვლევები ჩატარდა ამ უკანასკნელ წლებში საქართველოს კარსტის გეომორფოლოგიური, სპელეოლოგიური და სხვ. დარაიონების, აგრეთვე კარსტის ტიპოლოგიური ერთეულების გამოყოფის ხაზით. საჭიროა მათი კვლავ დაზუსტება და შევსება იმ ახალი მასალების გათვალისწინების საფუძველზე, რომლებიც აქ ბოლო ხანებში გამოვლინდა.

8. საქართველოს კარსტის კლიმატური თავისებურებების შესწავლის მიმართულებითაც ზოგი რამ არის გაკეთებული. მაგრამ შემდეგში საჭიროა ამ მუშაობის გაძლიერება და გაღრმავება; უნდა გამოვავლინოთ კარსტული ობიექტების მიკროკლიმატური თავისებურებანი. ეს განსაკუთრებით ეხება სპელეოკლიმატს. ამის შესასრულებლად საჭირო იქნება კარსტულ ზოლში მეტეოროლოგიური სადგურების დაარსება, განსაკუთრებით ატმოსფერული ნალექებისა და ჰაერის ტემპერატურაზე დაკვირვებათა საწარმოებლად. ამას საერთო კლიმატური მნიშვნელობაც ექნება. გარდა ამისა საჭიროა მეტეოროლოგიური დაკვირვებები ვაწარმოოთ მცირე ფორმებზეც, განსაკუთრებით გამოქვაბულებში მუდმივად თუ არა, ეპიზოდურად მაინც წლის სხვადასხვა დროს. ამისათვის ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ავტომატური თვითმწირი მეტეოროლოგიური ხელსაწყოები. მოაოვეთ მასალას დიდი მნიშვნელობა ექნება არა მარტო ამა თუ იმ ობიექტის ან რეგიონის კლიმატური პირობების დასახასიათებლად, არამედ საერთო თეორიულიც. ამით შევძლებთ გავარკვიოთ კლიმატური პირობების როლი კარსტული მოვლენების განვითარების, ხასიათის, ინტენსივობისა და ტემპის გასაგებად. ამასთან მუშაობა ისე უნდა ჩავატაროთ, რომ გავარკვიოთ კარსტული რელიეფის როლი მხარის კლიმატურ თავისებურებაშიც.

9) გასულ წლებში მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი მუშაობა ჩატარდა საქართველოს კარსტის ჰიდროლოგიური პირობების გასარკვევადაც, მაგრამ საჭიროა ეს მუშაობა კვლავ გაგრძელდეს, რათა გამოვარკვიოთ კარსტის როლი მდინარეთა და წყაროების ჩამონადენზე (მინიმალური, მაქსიმალური და საშუალო ჩამონადენი; ჩამონადენის შიდაწლიური ცვლილება და ა. შ.) და მათ რეჟიმზე. ფართოდ უნდა დავენერგოთ ჰიდროლოგიური კვლევის ახალი მეთოდები. საჭიროა მოეწიოს კარსტული რეგიონებიდან გამომდინარე წყაროებისა და მდინარეების ხარჯების რეგულარული გაზომვები, აგრეთვე კარსტული წყლების ქიმიური შედგენილობისა, რაც ატმოსფერული ნალექების რაოდენობის ცოდნასთან ერთად საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ კარსტული მხარეთა დენუდაციის სიდიდე. მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ გავიგოთ ყოველი კარსტული რეგიონის მდინარეებისა და წყაროების რეჟიმი, ამ წყლების როლი დაკარსტვის პროცესში და მათი გავლენა დანარჩენ ფიზიკურ-გეოგრაფიულ კომპონენტებზე.

10. საქართველოს კარსტის მხარეთა ნიადაგობრივი საფარის გეოგრაფიულ შესწავლას აქამდე ყურადღება არ ექცეოდა. საჭიროა კარსტულ მხარეთა ფიზიკურ-გეოგრაფიული კვლევისას ნიადაგური საფარის შესწავლასაც მიექცეს

ყურადღება, ამასთან მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ გარკვეულ იქნას არა მარტო კარსტული ოლქის ნიადაგური საფარის თავისებურებანი, არამედ მისი როლიც დაკარსტების პროცესში.

5. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საქართველოს კარსტული მხარეების მცენარეული საფარის გეოგრაფიულ შესწავლას ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი გამოცოცხლება დაეტყო. საჭიროა ამ მიმართულებითაც კვლევა-ძიება კიდევ უფრო გაძლიერდეს. ამასთან მუშაობა ისე უნდა მოეწყოს, რომ გარკვეულ იქნას არა მარტო ის, თუ რა გავლენას ახდენს კარსტი მცენარეული საფარის თავისებურებაზე, რასაც აქამდე მთავარი ყურადღება ექცეოდა, არამედ პირიქით; უნდა გავიგოთ ისიც, თუ რა როლს თამაშობს თვით მცენარეული საფარი კარსტული პროცესების განვითარებაში.

6. მთელი რიგი გამოკვლევებია ჩატარებული კარსტის სპელეოფაუნის შესწავლის მიმართულებით, მაგრამ საჭიროა ამ მუშაობის უფრო გაძლიერება, უნდა გაძლიერდეს აგრეთვე საქართველოს კარსტული ოლქების ზედაპირული ფაუნის შესწავლაც. მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ გავიგოთ საქართველოს კარსტულ მხარეთა როგორც ზედაპირული, ისე მიწისქვეშა ფაუნის ზოოგეოგრაფიული თავისებურებანი და შესაძლებლობა მოგვეცეს ამ მონაცემების საფუძველზე გადაწყვიტოთ საქართველოს კარსტის რეგიონალური და ზოგადი კარსტოლოგიური საკითხები; მათ შორის საქართველოს კარსტის საზოგადოდ და განსაკუთრებით მიწისქვეშა კარსტული ფორმების აბსოლუტური ასაკი და სხვა.

7. საქართველოს კარსტის ფიზიკურ-გეოგრაფიული ლანდშაფტების, აგრეთვე სპელეოლანდშაფტების კვლევის დარგში საჭიროა მუშაობის გაძლიერება და გაღრმავება. ამასთან საქართველოს კარსტული ოლქების ლანდშაფტურ თავისებურების გამოვლენასთან ერთად, გარკვეულ უნდა იქნეს მთელი ამ ბუნებრივი კომპლექსის როლი კარსტული მოვლენების განვითარებაში, როგორც საქართველოს კარსტულ რეგიონებისათვის, ისე საერთოდ.

8. ზემოთ დასახელებულ პრობლემათა გადაწყვეტის დროს, რა თქმა უნდა, საქართველოს კარსტის გამოყენების პრაქტიკულ მხარესაც მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა ექცეოდეს. ამასთან დაკავშირებით საჭიროა გამოვლენილ და შესწავლილ იქნეს სათანადო ობიექტები. კარსტის გამოყენების პრაქტიკული საკითხების, განსაკუთრებით ტურისტული, თუ სხვა თვალსაზრისით გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა გვქონდეს თვით კარსტული ფენომენების შენარჩუნება-დაცვის საკითხებიც.

9. საქართველოს კარსტის შესწავლის გაძლიერება გადაუდებელ საჭიროებად სახავეს ქართული კარსტოლოგიური, მათ შორის სპელეოლოგიური ტერმინოლოგიის დამუშავებას, აგრეთვე ახლად აღმოჩენილ კარსტულ ობიექტებისათვის სახელწოდების მინიჭებაში სათანადო წესრიგის დამყარების საჭიროებას.

დასახული პრობლემებისა და ამოცანების უახლოეს ხანაში გადასაწყვეტად, გარდა სპეციალურ მუშაობისა, საჭიროა ექსპერიმენტულ-ლაბორატორიული და სტატეიონალური გამოკვლევების წარმოებაც. ამისათვის საჭირო იქნება უახლოეს ხანაში მოეწყოს ექსპერიმენტული ლაბორატორია და დაარსდეს კარსტოლოგიური სტატეიონალური სადგურები საქართველოს კარსტულ რაიონებში, პირველ რიგში კი ახალ ათონში ივერიის გამაქვიკაბულ-უფსკრულის ბაზაზე.

## КАРСТ ГРУЗИИ (ОПЫТ ГЕОМОРФОЛОГИЧЕСКОЙ ХАРАКТЕРИСТИКИ)

Том. I. Распространение, изученность и очередные задачи

### Резюме

Грузия — страна богатой природы и многообразных сочетаний естественных ландшафтов, среди которых карстовым принадлежит одно из ведущих мест.

По развитию и масштабам распространения карстовых ландшафтов Грузия справедливо считается классической страной. Этим и объясняется тот пристальный взгляд и нарастающий интерес к карстовым ландшафтам Грузии, который день ото дня приобретает всеоюзный и, даже, международный резонанс.

В Грузии давно сложилась традиция познания геоморфологической сущности карстовых ландшафтов. Поэтому по геоморфологической проблеме накопился богатый материал. Среди многочисленных научных публикаций по геоморфологии карста Грузии доминируют геоморфологические характеристики отдельных карстовых регионов, в большинстве случаев в виде описаний и анализов карстовых массивов и отдельных карстовых объектов. Следовательно, до сегодняшнего дня мы еще не имеем обобщающего труда по геоморфологии карста всей Грузии.

Накопился материал также и по другим отраслям физической географии. Так, благодаря ценным материалам гидрологов и гидрогеологов уточняются познания по вопросам подземной циркуляции карстовых вод, по их водному балансу.

За последние десять лет возникли ландшафтные работы по карстовым регионам Грузии, что дает возможность глубже познать природу карстовых ландшафтов и оценить роль каждого ландшафтообразующего компонента в формировании типов карстовых ландшафтов.

Итак, возникла неотложная необходимость обобщить весь этот богатый материал в виде монографии по геоморфологии карста Грузии.

Геоморфологической проблеме карста Грузии мы намереваемся посвятить несколько книг. Цель предлагаемой первой монографии — раскрыть картину географической закономерности распространения типов карстового рельефа Грузии и выявить уровень географической изученности карста нашей республики. В книге выделены основные вехи изученности карста и намечены проблемы дальнейшего исследования карста Грузии.

Карст в Грузии в основном представлен на южном склоне Кавказии (Большой Кавказ), занимая среднегорье и, частично, высокогорье площадью в 7793 км<sup>2</sup>, т. е. 71% всей закарстованной территории Грузии.



Карстовый рельеф распространен также в межгорной низине Грузии, занимая 2889 км<sup>2</sup> площади (26,4%).

Менее типичен карст для Южно-Грузинского нагорья и, в частности, для его северного обрамления. Тем не менее и здесь встречаются карстовые феномены, занимая 288 км<sup>2</sup> площади, т. е. 2,6% всей закарстованной территории Грузии.

Итак, карстовым рельефом занята в Грузии приблизительно 11000 км<sup>2</sup> площади, что составляет 15,8% всей территории нашей республики (69500 км<sup>2</sup>).

Здесь развит известняковый карст в верхнеюрских, меловых и третичных осадках, а кластокарст — в мио-плиоценовых и четвертичных отложениях (известняках, доломитах, мергелях, известняковых конгломератах, а также в карбонатном флише). Наряду с карбонатным карстом в Грузии встречается суффозионный карст и псевдокарст. Первый развит в основном в третичных гипсоносных отложениях, а второй — в мио-плиоценовых и четвертичных глинах и песчаниках.

Многообразное проявление типов карстового рельефа привело к их систематике и к созданию опытов районирования. Указанные опыты основывались либо на территориальном (индивидуальном), либо на типологическом принципе. Этот односторонний подход требовал сочетания двух указанных принципов и создания таким путем нового опыта геоморфологического районирования карстового рельефа Грузии, что и предлагается читателю в данной книге.

Для создания нового опыта классификации карста Грузии необходимо было, прежде всего, установление типологии карста и территориальное разграничение каждого выделенного типа, в виде геоморфологических регионов определенного таксономического достоинства.

При установлении типов карстового рельефа литологическому фактору придавалось главенствующее значение, так как литология, в основном, определяет характер и типичность карста.

На территории Грузии с геоморфологической точки зрения можно выделить следующие типы карста:

- I. Высокогорный известняковый (истинный);
- II. Среднегорный известняковый (истинный);
- III. Низкогорно-низинный известняковый (истинный);
- IV. Субмаринный известняковый (истинный);
- V. Горный карбонатно-флишевый;
- VI. Низкогорный известняково-конгломератовый (кластокарст);
- VII. Низкогорный гипсовый (суффозионный);
- VIII. Низкогорный глинистый (псевдокарст).

Названные типы карста в разных сочетаниях создают карстовые геоморфологические районы. В одних случаях район может вместить несколько типов карстового рельефа и, наоборот, — один тип может характеризовать карстовый район.

В формировании типов карстового рельефа, наряду с геоморфологическими факторами, определяющую роль играют климатические условия, в частности, количество и режим атмосферных осадков, а также термические условия. По этому классификационному показателю карстовые районы Грузии мы объединяем в области: А. Гумидную; В. Семигумидную; С. Семиаридную; Д. Аридную.

На южном склоне Кавказских гор в пределах Грузии карст проявляется уже у северо-западной границы республики — по левобережью реки Псоу, откуда в виде более или менее широкой полосы карстовый рельеф распространяется далее на восток и юго-восток — вдоль всего южного

склона Кавказиони до Кахетии. Длина указанной карстовой полосы превышает 540 км, а наибольшая ширина достигает на территории Абхазии, Асхского плато и Рача-Лечхумского Кавказиони (25—35 км).

Гагрский карстовый район (524 км<sup>2</sup> площади) расположен на северо-западе Грузии, между долинами рек Псоу и Бзыби. По яркому проявлению карстовых феноменов и многообразному сочетанию типов карстового рельефа район этот нужно считать классическим (№ 1)<sup>20</sup>. Наибольшую территорию здесь занимает среднегорный известняковый (истинный) тип карста. Гипсометрически ниже располагается низкогорный известняковый (истинный) тип карста. Гагрский район включает в свои пределы и высокогорный известняковый (истинный) тип карста, с прекрасно развитыми карстовыми формами (карры, воронки, колодцы), сочетающимися с гляциальными реликтовыми (троги, цирки, кары, бараны лбы). Диапазон высот распространения карста достигает 2800 м высоты; кроме того, для района характерен глубинный карст, в виде вертикальных и горизонтальных пещер. Все указанные явления развиты в верхнеюрских рифовых известняках и неокомских слоистых известняках.

Гагрский район делится на два подрайона: Арбика-Мзиурский (№ 1-а) и Ахаг-Ахахчский (№ 1-б), занимая соответственно площади 435 и 89 км<sup>2</sup>. Граница подрайонов проходит по правобережью р. Геги и истокам реки Сандрипш.

Пшегитхинский карстовый район (36 км<sup>2</sup> площади) расположен между долинами рек Геги и Юпшары. В формировании рельефа района (№ 2) определяющую роль играют верхнеюрские рифовые известняки, а также многочисленные трещины экзотектонического происхождения.

В высокогорной зоне Абхазского Кавказиони, на абсолютной высоте 1700—2200 м, между долинами рек Геги и Мзимты (бассейн р. Агепсты) расположен Агелстинский карстовый район (26 км<sup>2</sup> площади). Сконструирован рельеф рифовыми известняками (титон-кимериджского и лужитанского возрастов), неокомскими известняками и аптскими мергелями и глинистыми мергелями. Тем не менее, из-за малой площади района (№ 3) карстовые явления не столь ярко представлены.

Бзыбский карстовый район (№ 4) занимает центральное положение в Абхазии, распространяясь между долинами рек Бзыби и Апста (519 км<sup>2</sup> площади). На севере район ограничивается продольной долиной-тесниной реки Бзыби, а на юге — северной периферией Колхетской низины. Сконструирован рельеф верхнеюрскими рифовыми и неокомскими слоистыми известняками, доломитами и массивными доломитизированными известняками.

Широко развиты поверхностные карстовые формы: воронки, котловины, карры. Во многих местах обнаружены карстовые пропасти, колодцы; тем не менее, еще полностью не вскрыт глубинный карст и, разумеется, не определена энергия карстовой денудации.

Для высокогорного типа характерно сочетание карстовых форм с гляциальными. В периферических частях района, в полосе разгрузки карстовых подземных вод, выходят высокодебитные карстовые источники (типа воклюз); тут же развиты карстовые пещеры. Указанные источники расположены на уровне базиса карстовой денудации (Мчышта и др.), а часть из них относится к подвешенным карстовым источникам (Джирхва и др.).

<sup>20</sup> Нумерация регионов дана для удобочитаемости карты типов карстового рельефа Грузии.

Бзыбский карстовый район делится на Абац-Дзишрский (№ 4-а) и Хиптский (№ 4-б) подрайоны. Площадь каждого из них соответственно равна 395 и 124 км<sup>2</sup>.

Севернее расположен Рыхвский карстовый район (122 км<sup>2</sup> площади). Четко очерчены границы района каньонообразными долинами рек: Бзыби, Геги, Юпшары, Пшицы (№ 5). Сконструирован рельеф верхнеюрскими и меловыми известняками. Наряду с широким распространением поверхностных карстовых форм (польсы, узлов, воронок, карровых полей), пока мало выявлены глубинные формы.

Восточнее расположен карстовый район Лакороза, по правобережью р. Бзыби (32 км<sup>2</sup> площади). Он распространяется между ущельями Пшчцы и Бавю (№ 6). Рельеф сложен верхнеюрскими рифовыми известняками, однако из-за малой занимаемой площади карстовые формы не достигают полного развития.

Восточнее Бзыбского района, между долинами рек Апста и Западной Гумистой располагается Ачавчарский карстовый район (9 км<sup>2</sup> площади). Возвышается его рельеф на 1400—1800 м высоты над уровнем моря (№ 7). Рельефообразующими породами являются кимеридж-титонские известняки и доломиты. Карст здесь относительно слабо развит.

Гумишха-Хицмский карстовый район (№ 8) распространен юго-восточнее Бзыбского района, занимая 122 км<sup>2</sup> площади.

Низкогорье занимает карстовый район Псырхи или Ахали-Лфони (№ 34), имея 107 км<sup>2</sup> площади. В западной своей части рельеф его сложен неокотскими слоистыми и массивными доломитизированными известняками и доломитами, но в восточной части — турон-сенон-датскими слоистыми известняками. Карст здесь ярко представлен, в виде прекрасных воронок, карровых полей, карстовых колодцев, пропастей, а также пещер, как например пещера-пропасть Ивериа (Анакопия). Большой интерес представляют карстовые высокодебитные источники воклюзного типа.

Между долинами рек Западной и Восточной Гумисты расположен карстовый район Отош (№ 35), с 19 км<sup>2</sup> площадью. Сложен его рельеф титон-датскими слоистыми известняками. Здесь ярко представлены как поверхностные, так и глубинные карстовые формы.

Междуречье Восточной Гумисты и Келасури занимают два карстовых района: Яштух-Бирцский (№ 36) и Абнанда-Чаамский (№ 37). Занимаемая площадь их соответственно равна 38 и 75 км<sup>2</sup>. Сконструирован их рельеф турон-датскими слоистыми известняками, отчасти апт-альб-сеноманскими мергелями и мергелистыми известняками. Карст здесь относительно слабо развит.

Карстовые районы Амлар-Апушта-Пал (№ 9) и Цебельдинский (№ 38) соответственно занимают 86 и 136 км<sup>2</sup> площади, располагаясь между долинами рек Келасури и Кодори. Рельеф сложен турон-датскими слоистыми известняками и палеогеновыми мергелистыми известняками. Характерна интенсивная закарстованность поверхности.

Узкая полоса карстового рельефа распространяется между долинами рек Джампал и Кодори, образуя район Зимы или Копшарский (№ 10). Сконструирован рельеф барремскими известняками (ургонская фация) и турон-датскими слоистыми известняками. Несмотря на незначительную занимаемую площадь (19 км<sup>2</sup>), рельеф характеризуется интенсивной закарстованностью и хорошим развитием карровых поверхностей.

Карстовые феномены типичны для Ачадарского района (№ 11), который занимает 75 км<sup>2</sup> площади. Поверхность сложена турон-дат-

скими слоистыми известняками. Однако северо-восточная часть сконструирована барремскими известняками ургонской фации, между тем как фораминиферовые мергелистые известняки палеогена слагают его южную часть.

Восточнее Ачадарского карстового района, на протяжении около 40 км тянется ряд возвышенностей: Када, Бебшра, Речишха, Огирдэ, Ткауци, Аисра, Лашикандер, которые объединяются в единый карстовый район (№ 39), занимаая 107 км<sup>2</sup> площади. Указанные возвышенности топографически четко разграничены благодаря глубокому врезу поперечных долин: Дуаб, Адзыхва, Моква, Галидзга и др. Рельефообразующими породами являются барремские известняки (ургонская фация) и турон-датские слоистые известняки. Несмотря на узость полосы распространения карстующихся пород (не превышающую 3 км), химическая денудация известняков настолько интенсивна, что выработаны прекрасные карстовые формы.

Между долинами рек Окуми и Ингури распространяется карстовый район Охачкуе (125 км<sup>2</sup> площади). Поверхность района (№ 12) сложена барремскими известняками (ургонская фация), имеющими моноклиналинное строение, на фоне которого широко простираются второстепенные складчатые структуры. Район сочетает среднегорный тип карста с высокогорным, для которых характерны идеальные карстовые воронки, поля и карстовые колодцы. Район Охачкуе можно считать классическим по развитию карстовых поверхностных форм.

В долине Ингури расположен Чекледерский карстовый район (4 км<sup>2</sup> площади). Поверхность этого небольшого района (№ 13) сложена неокомскими массивными и слоистыми известняками, круто (<70°) падающими и даже опрокинутыми на юг. Тектонический разлом ограничивает район с юга. Карст предельно слабо развит.

Восточнее и юго-восточнее района Охачкуе распространяются следующие карстовые районы: Цулиши (№ 14), Квира (№ 15, Гауча (№ 16) и Мингариа (№ 17). Все это пространство расположено между antecedentными участками долин Ингури и Техури. Сконструирован рельеф барремскими известняками (ургонская фация) и частично средне- и верхнемеловыми и палеоценовыми известняками и другими карбонатными породами, имеющими моноклиналинное строение. По интенсивности химической денудации известняков особо выделяются районы Квира (53 км<sup>2</sup> площади) и Мингарии (75 км<sup>2</sup> площади), тогда как малая площадь района Гаучи (17 км<sup>2</sup>) не создает благоприятных условий для развития карста, а тем более в районе Цулиши (7 км<sup>2</sup>).

Асхский район (413 км<sup>2</sup> площади) занимает междуручье Техури и Цхенисцкали. Сконструирован рельеф в северной части барремскими мергелистыми известняками (ургонская фация), а в южной—турон-датскими известняками и мергелями. Асхский район (№ 18) является классическим по развитию карстовых феноменов и интенсивности химической денудации, известняков.

Между долинами рек Цхенисцкали и Асхисцкали располагается карстовый район Хвамли (83 км<sup>2</sup> площади), который делится на следующие подрайоны: собственно Хвамлский (№ 19-а), Алпанский (№ 19-б) и Саирме-Удабноисский (№ 19-в). Рельефообразующими породами для всего района (№ 19) являются барремские известняки (ургонская фация), а также турон-датские известняки. Несмотря на одинаковое геологическое строение рельефа трех подрайонов, карст наиболее ярко выражен в Хвамлском, — в более обширном по занима-

емой площади (48 км<sup>2</sup>) подрайоне, затем в Саирме—Удабноисском (24 км<sup>2</sup>) и слабее в Алпанском (11 км<sup>2</sup>).

Севернее располагается Парел-Квацixe-Лайлашский карстовый район (№ 20), занимая 28 км<sup>2</sup> площади, рельеф которого сконструирован в северном крыле Рача-Лечхумской синклинали. Несмотря на распространение меловых известняков и мергелей, из-за неблагоприятных морфографических условий, в районе карст слабо развит.

Восточнее распространены Рачинский карстовый район (№ 21), занимающая площадь 382 км<sup>2</sup>, между долинами рек Риони и Велеура. Сложен рельеф в основном барремскими известняками (ургонская фация) и в меньшей степени турон-датскими известняками и мергелями. Скульптурирован его рельеф в весьма сложном южном крыле Рача-Лечхумской синклинали. Можно выделить два подрайона: Тавшавский (99 км<sup>2</sup> площади) и Накерала-Сацаликский (283 км<sup>2</sup> площади). Последний характеризуется исключительно высокой интенсивностью химической денудации известняков и широким распространением карстовых феноменов, а весь Рачинский район нужно признать классическим районом карста.

Хихата-Шкмерский карстовый район (№ 22), занимая 167 км<sup>2</sup> площади, располагается восточнее. По сравнению с классическим Рачинским районом карст здесь не столь ярко выражен, из-за более сухого климата, значительно меньших по количеству атмосферных осадков и их иному ритму.

Карстовый район Саэлиао (№ 23), занимая всего 19 км<sup>2</sup> площади, расположен по правобережью Риони вдоль широтного участка реки (между долинами рек Аскисцкали и Цесури). Из-за малой занимаемой площади и неблагоприятных морфографических условий характеризуется слабым развитием карста. Рельефообразующими породами являются известняки и мергели мелового возраста.

Восточнее Рачинского карстового района расположены три карстовых района: Велуанта-Укиветский (Кударо), Бубы (Валхохский или Эро-Цоцский) и Алхашендский. Первый занимает всего 8 км<sup>2</sup> (№ 24), а второй (№ 25) — 13 км<sup>2</sup> площади, однако карст здесь ярко представлен. Слабее развиты карстовые формы в Алхашендском районе (№ 26), хотя и занимает большую площадь (29 км<sup>2</sup>). Причина меньшего эффекта карстовой денудации, по-видимому, заключается в большей доле нерастворимых частиц в массивных рифовых и слоистых известняках верхнеюрского возраста.

Район мелового карбонатного флиша (№ 27) охватывает среднегорье и низкогорье Рачинского, Мтиулетского и Кахетинского Кавказиони, а также Юго-Осетии (2300 км<sup>2</sup> площади). По сравнению с истинным карстом все феномены карста здесь, разумеется, менее типично выражены, тем не менее на отрезке между долинами Ксани и Алазани (600 км<sup>2</sup>) заслуживают внимание отдельные территории, как например, окрестности селения Жинвани, где рельефообразующими породами являются турон-датские известняки и мергели.

В высокогорной зоне Центрального Кавказиони, а также в среднегорной зоне Восточного Кавказиони имеются выходы верхнеюрского карбонатного флиша со слабым проявлением карстовых явлений. Район этот (№ 28) протягивается от Сванетского Кавказиони (от долины Накра, охватывая окрестности с. Местиа) на западе до восточной границы республики (до долины р. Мацимы). Площадь, занятая районом приблизительно равна 2500 км<sup>2</sup>.

Верхнеюрским карбонатным флишем сконструировано также низ-

горы Кавказиони, носящее название кудигореби. Карст проявляется в виде поверхностных форм и выходов карстовых источников типа воклюз (окрестности селений Алвани, Шакриани и др.).

Мало характерен карстовый рельеф для северного обрамления Южно-Грузинского нагорья — Аджаро-Триалетской горной системы. Карбонатные породы в большом количестве содержат нерастворимые частицы, а выходы чистых известняков не занимают значительные площади.

Имеретский карстовый район расположен между истоками реки Ханисцкали и окрестностями Боржоми (№ 29), занимая приблизительно 45 км<sup>2</sup> площади. Поверхностный карст здесь развит в турон-датских известняках.

Восточнее распространен Триалетский карстовый район (№ 30), занимая 55 км<sup>2</sup> площади. Среднегорный тип карста распространяется между долиной Дзамы и окрестностями с. Земо Хведурети.

Следуя на восток вдоль Триалетской горной системы можно далее выделить Дзегвский карстовый район (№ 31), занимающий 81 км<sup>2</sup> площади, между долинами Тедзами и Дзегви.

В пределах юго-восточного окончания Триалетской горной системы выделяется Алгетский карстовый район (№ 32), между долинами рек Храми и Алгети. Весь этот район занимает 67 км<sup>2</sup> площади и для него характерно «островное» проявление слабо развитого карстового рельефа, так как карстообразующие турон-датские известняки и мергели выходят на поверхность в виде «островов».

Слабо закарстованная поверхность, сложенная сеноманскими известняками, образует Сомхитский карстовый район (№ 33). Расположен этот район между долинами рек Машавера и Дебеды, занимая 40 км<sup>2</sup> площади. Карстовые формы здесь находятся в зачаточном состоянии.

Богато представлен карстовый рельеф в межгорной низине Грузии, где наряду с истинным карстом проявлен также псевдо-класто и суффозионный карст.

На территории Колхетской низины, кроме выше отмеченных (№ 34—39), могут быть выделены следующие карстовые районы: Сатанджо, Урта, Экский, Накалакебский и Абедатский (№ 40—44), площадь которых соответственно равна 15, 26, 24, 8 и 13 км<sup>2</sup>. Карстовый рельеф согласуется с брахиантиклинальными структурами, сложенными турон-датскими известняками и мергелями. Наряду с геологическими строениями, развитию карста благоприятствуют обильные атмосферные осадки, носящие здесь муссонообразный характер.

В южной части Колхетской низменности выделяется карстовый район Гური (Нигоецкий), который расположен между долиной Супсы, с одной стороны, и Риони и Пичоры — с другой (№ 45). Поверхность, сложенная верхнемеловыми известняками, слабо закарстована из-за малой занимаемой площади (5 км<sup>2</sup>).

Между долиной Риони и левобережьем р. Квирилы распространяется Южно-Имеретский карстовый район (№ 46). Карст здесь развит по сравнению с Нигоецким, кроме того, выделяются «острова» карстового рельефа с общей площадью 35 км<sup>2</sup>: 1) «остров» юго-восточнее г. Самтреди, на территории сельсовета Шуамта; 2) юго-восточнее поселка Вани, на территории сельсовета Дихашхо и в окрестностях с. Исрити; 3) на территориях селений Обча и Свири.

В черте Колхетской низины карстовый рельеф наиболее ярко пред-

ставлен в Цхалтубо-Сатаплийском карстовом районе (№ 47), площадь которого равна 92 км<sup>2</sup>.

Благоприятная геологическая ситуация и обильные атмосферные осадки способствовали интенсивной химической денудации барремских известняков (ургонской фации) в условиях гумидного климата.

Карстовый район Чахати расположен между долинами рек Риони и Цкалцитела (№ 48). Поверхность сложена известняками ургонской фации и, несмотря на малую занимаемую площадь (10 км<sup>2</sup>), интенсивно закарстована.

На северном краю Колхетской низменности, между долинами рек Цхалцитела и Дзуса распространяется карстовый район Очхрыбы (№ 49). Он имеет 136 км<sup>2</sup> площади и охватывает окрестности селений: Годогани, Нагареви, Навенахеви, Симонети, Дзевра и Чхари. Хорошо развитый поверхностный и глубинный карст обусловлен широким распространением меловых известняков, благоприятными тектоническими структурами, а также обильными атмосферными осадками.

Между долинами рек Дзуса и Дзирула распространяется Верхне-Имеретский карстовый район (№ 50), который по интенсивности карстовых процессов заслуживает пристального внимания. Закарстованная территория занимает 150 км<sup>2</sup> площади, а формы карстового рельефа развиты в турон-датских известняках, которые местами перекрыты мергелями.

Картло-Имеретский карстовый район (№ 51) охватывает бассейн р. Чхеримелы и характеризуется широким распространением карстовых явлений. Эти феномены встречаются также и восточнее бассейна Чхеримелы, однако на территории Внутри-Картлийской низины карст значительно слабее выявлен и не столь характерен. Весь район занимает приблизительно 70 км<sup>2</sup> площади и развитие карста связано с меловыми известняками.

В восточной части межгорной низины Грузии для развития карстового рельефа и даже для отдельных феноменов карста, разумеется, меньше потенциальных возможностей, однако и здесь возможно выделить район Цив-Гомборский (№ 52), субстрат которого сложен меловыми карбонатными породами. Площадь, занятая районом, равна 460 км<sup>2</sup>.

Наряду с истинным карстом на территории Колхетской низины развит также и кластокарст, т. е. карстовые формы, скульптированные не в известняках, а в карбонатных конгломератах.

Кластокарстовый район Бачи (№ 53) распространен по левобережью р. Мчышты (окрестности с. Отхара), занимая всего 2 км<sup>2</sup> площади. Рельефообразующими породами являются среднемиоценовые известняковые конгломераты, в которых разработаны кластокарстовые пещеры и колодцы.

